



სამეცნიერო რეცენზირებადი/რეფერირებადი ჟურნალი
Scientific peer-reviewed journal

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

ბოამბე



BULLETIN

OF AKAKI
TSERETELI
STATE
UNIVERSITY

№ 1 (23)

ქუთაისი
KUTAISI

2024

ISSN 2233-3711

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu>

მთავარი რედაქტორი:
ნესტან კუტივაძე

Editor:
Nestan Kutivadze

პასუხისმგებელი მდივანი:
ოთარ ნიკოლეიშვილი

Executive Secretary:
Otar Nikoleishvili

ელექტრონული
გამოცემის რედაქტორი:
გიორგი ჭიჭინაძე

Electronic Journal Editor:
Giorgi Chichinadze

სარედაქციო კომპენია:

- იმერ ბასილაძე** (საქართველო)
- თამაზ გვენეტაძე** (გერმანია)
- ომარ კიკვიძე** (საქართველო)
- ქრისტინა ლასი** (დიდი ბრიტანეთი)
- შოთა ლომინაშვილი** (საქართველო)
- ვლადიმერ მენშიკოვი** (ლატვია)
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი** (საქართველო)
- გიორგი ონიანი** (საქართველო)
- ივანე საღინაძე** (საქართველო)
- ალექსანდრე სლადკოვსკი** (პოლონეთი)
- ვახტანგ ქობალია** (საქართველო)
- გიორგი ლავთაძე** (საქართველო)
- თემურ ღვინიანიძე** (საქართველო)
- გულნარა შელია** (საქართველო)
- გიორგი ჩირაძე** (საქართველო)
- ნინო ჩიხლაძე** (საქართველო)
- ფოლკმარ ჰანზენი** (გერმანია)
- იორგ ჰარდი** (დიდი ბრიტანეთი)

EDITORIAL BOARD:

- Imer Basiladze** (Georgia)
- Tamaz Gvenetadze** (Germany)
- Omar Kikvidze** (Georgia)
- Christian Laes** (UK)
- Shota Lominashvili** (Georgia)
- Vladimer Menshikov** (Latvia)
- Avtandil Nikoleishvili** (Georgia)
- Giorgi Oniani** (Georgia)
- Ivane Saghinadze** (Georgia)
- Aleksander Sladkowski** (Poland)
- Vakhtang Kobalia** (Georgia)
- Giorgi Ghvattadze** (Georgia)
- Temur Ghvinianidze** (Georgia)
- Gulnara Shelia** (Georgia)
- Giorgi Chiradze** (Georgia)
- Nino Chikhladze** (Georgia)
- Folkmar Hanzen** (Germany)
- Joerg Hardy** (UK)

**2019 წლიდან განთავსებულია EBSCO-ს
(Central & Eastern European Academic Source) სამეცნიერო ბაზაში
It has been included in EBSCO since 2019**

ინგლისურენოვან ტექსტზე პასუხისმგებელი: **Responsible for English Text:**
თამარ გრიგალაშვილი **Tamar Grigalashvili**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **Computing:**
შორენა ხუნდაძე **Shorena Khundadze**

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ: 24 00 21
E-mail: atsugamomcemloba@gmail.com



© Printed by Akaki Tsereteli State University
59 Tamar Mepe Str. Kutaisi 4600, Tel: 24 00 21
E-mail: atsugamomcemloba@gmail.com

შინაარსი
CONTENTS

აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებანი
Agricultural and Biological Sciences

ვახტანგ კობაია

მანდარინ უნშიუსა და ადრეულას კლონებისა და ნუცელარული
თესლნერგების აგრობიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლები
ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში.....8

Vakhtang Kobaia

Agrobiological and Agricultural Performance of Tangerine Unshiu
and Early Ripe (Adreula) Clones and Nucellar Seedlings under Relatively
Harsh Conditions of Citrus Cultivation15

ნინო ყიფიანი

ციტრუსოვანთა ზოგიერთი კულტივენის ზრდის თავისებურების
შესწავლა იუვენალურ სტადიაში იმერეთის პირობებში.....18

Nino Kipiani

Study of Growth Characteristics of Some Citrus Cultivars in the
Juvenile Stage under Imereti Conditions.....22

ალმა ყიფიანი, თინათინ კოპალეიშვილი

ფუნქციური ინგრედიენტები კრეკერის წარმოებაში.....24

Alma Kipiani

Functional ingredients in cracker production.....33

ირმა ბერულავა, მარიამ ძოჭენიძე

ფეკილოვანი საკონდიტრო ნაწარმის ახალი ასორტიმენტი
არატრადიციული მცენარეული ნედლეულის გამოყენებით.....37

Irma Berulava, Mariam Dzotsenidze

A new range of flour confectionery products using
non-traditional plant raw materials.....49

გულნარა ხეცურიანი

ფუნქციური დანიშნულების ხილ-ჟელეს კანფეტის ახალი ასორტიმენტი
ლურჯი მოცვის ბაზაზე.....53

Gulnara Khetsuriani

A new assortment of functional fruit-jelly candies on a blueberry basis.....61

მანანა ფხაკაძე, თამთა ჯღამაძე, დოდო თავდიდიშვილი

საქართველოში მოშენებული მწყრის კვერცხის სამომხმარებლო
თვისებები და ხარისხის ზოგიერთი მაჩვენებლის გამოკვლევა.....65

Dodo Tavdidishvili, Manana Pkhakadze, Tamta Jgamadze

Investigation of some quality indicators of quail eggs bred in Georgia.....75

ნინო ძოჭენიძე	
ეთერზეთოვანი მცენარეები ხვამლისა და ნაქერალას ქედების ფლორაში.....	80
Nino Dzotsenidze	
Plants Containing Essential Oils in the Flora of Khvamli and NakeraRidges.....	86

ბელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები **Arts and Humanities**

თინათინ კოსტავა	
სახელმწიფოთა ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანების საერთაშორისო პოლიტიკური ფაქტორები.....	91
Tinatın Kostava	
International political factors of the union of states under one umbrella.....	97
თამაზ დევიძე	
მიმღეობურ ფორმათა სტრუქტურული მახასიათებლები მარკოზის სახარების ათონურ რედაქციაში.....	100
Tamaz Devidze	
Structural characteristics of participle forms in the Athonian redaction Gospel of Mark.....	111
ირმა რუსაძე	
მეორადი ნომინაციის მეტაფორული ტიპი სომატურ იდიომებთან მიმართებით	115
Irma Rusadze	
Metaphoric Type Of The Secondary Nomination In Relation To Somatic Idioms.....	122
Ramaz Svanidze	
Multidimensionale Analyse der politischen Slogans.....	127
რამაზ სვანიძე	
პოლიტიკური სლოგანების მულტიდიმენსიონალური ანალიზის საკითხისათვის.....	143
Ramaz Svanidze	
Multidimensional analysis of political slogans.....	144
ვახტანგ ენდელაძე	
“უჩინარი” მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ანტიკურ ლიტერატურაში.....	146
Vakhtang Endeladze	
“Invisible” Secondary Characters in Ancient Literature	154

ქეთევან ფუტკარაძე მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი: პოპულარობის ტერიტორია (XV-XIX საუკუნეები).....	157
Ketevan Putkaradze Marcus Fabius Quintilianus: Area of Popularity (XV-XIX centuries).....	162
გიორგი ჭიჭინაძე ბიბლიოთეკის წარმოშობა ძველ საბერძნეთსა და რომში (ტრადიციული შეხედულებების რევიზირება).....	165
Giorgi Chichinadze The Origin of the Library in Ancient Greece and Rome (Revising Traditional Views).....	171
ნესტან კუტივაძე ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და მკვლელობის რეცეფციის თავისებურებები გურამ ბათიაშვილის პიესაში „მობრუნებული ქართველები“	174
Nestan Kutivadze Peculiarities of the Reception of Ilia Chavchavadze’s Work and Murder in Guram Batiashvili’s Play “Returned Georgians”	184
ზეინაბ კიკვიძე კეთილისა და ბოროტის დიქოტომია და 1930-იანი წლების რეპრესიები ზაირა არსენიშვილის „კენჭებში“	187
Zeinab Kikvidze The Dichotomy of Good and Evil and the 1930s Repressions in Zaira Arsenishvili’s Pebbles.....	196
საინჟინრო საქმე Engineering	
ვლადიმერ გვეტაძე, ალექსანდრე კამლაძე წყალბადის საწვავად გამოყენება სატრანსპორტო ძრავებში და მისი ეფექტიანობის კვლევა.....	202
Vladimer Gvetadze, Aleksandre Kamladze Use of hydrogen in vehicle engines and study of its efficiency	209
მიხეილ ნიკაბაძე, ნოდარ მარდალეიშვილი, ომარ კიკვიძე მზარდი ბლანტდრეკადი სხეულების მექანიკის განტოლებები.....	216
Mikheil Nikabadze, Nodar Mardaleishvili, Omar Kikvidze Equations of mechanics of growing viscoelastic solids.....	223

გიორგი თეთვაძე, ლილი თეთვაძე, იური თვალოძე, ლამარა ციბაძე ბლიაშკე-ჯერბაშიანის კანონიკური ნამრავლის სასაზღვრო თვისებები ერთეულოვან წრეში.....	228
Giorgi Tetvadze, Lili Tetvadze, Iuri Tvalodze, amara Tsibadze The paper establishes necessary and sufficient conditions for Blaschke–Djrbashyan Canonical product, to be convergent on the boundary of the unit circle.....	233
ერეკლე ჯაფარიძე ჩეზაროსა და ბორელის სიმეტრიული წარმოებულების შესახებ.....	238
Erekle Japaridze On the Cesaro and Borel symmetric derivatives.....	249
თამაზ ვაშაკმაძე დრეკად თხელკედლოვან სტრუქტურათა სამგანზომილებიანი მოდელების რედუქციის შესახებ.....	252
Tamaz Vashakmadze Reduction of three-dimensional models of elastic thin-walled structures	257
 საზოგადოებრივი მეცნიერებანი Social Sciences	
თამთა დემეტრაძე რეფლექსია როგორც პროფესიული განვითარების ინსტრუმენტი ინგლისური ენის ქართველი მასწავლებლების გამოცდილებაზე დაყრდნობით	262
Tamta Demetradze Reflection as a professional development tool based on experience of Georgian teachers of English.....	285
გულნარა შელია ფსიქოემოციური სტრესის დონე, გამომწვევი ფაქტორები და მისი გავლენასამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთა ჯანმრთელობაზე.....	293
Gulnara Shelia Level of psycho-emotional stress, its causative factors and impact on the health of medical faculty students.....	302

აგრარული და ბიოლოგიური
მეცნიერებანი

Agricultural and Biological Sciences

აგრონომია და მეცნიერება მცენარეთა შესახებ

მანდარინ უნშიუსა და ადრეულას კლონებისა და ნუცელარული თესლნერგების აგრობიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლები ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში

ვახტანგ ქობალია

vakhtang.kobalia@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.01>

ნუცელარული და კლონური სელექციის მეთოდების გამოყენებით ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრი პირობებისათვის გამორჩეულია ნაყოფების ყველაზე ადრეული და ყველაზე გვიანი ვადის მომწიფების, ასევე ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე ხანმოკლე მომწიფების პერიოდის მქონე ფორმები, რომელთა წარმოებაში დანერგვის შემთხვევაში, შესაძლებელია მანდარინის ახალი პროდუქციით ბაზრის თანდათანობითი მომარაგება სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან დეკემბრის შუა რიცხვებამდე.

საკვანძო სიტყვები: მანდარინი, კლონი, ნუცელარული თესლნერგი, მოსავლიანობა, პროდუქტიულობა.

შესავალი. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონისათვის უკეთ შეგუებული, მაღალპროდუქტიული და მაღალხარისხიანი მანდარინის ჯიშებისა და ფორმების შექმნის ერთ-ერთ საიმედო გზას წარმოადგენს ნუცელარული და კლონური სელექცია (ბუკია... 2009: 239; მაისურაძე 1970: 35; სურგულაძე 1973:24; ქობალია 2018: 42; ქობალია 2016: 16).

ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში ჩვენ მიერ სხვადასხვა წელს გამორჩეული მანდარინის სხვადასხვა კლონის და ნუცელარული თესლნერგის აგრობიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების სრულასაკოვან პერიოდში დეტალური ცოდნა სრულყოფილ სურათს შექმნის მათ საბოლოო პერსპექტივაზე როგორც შემდგომი სელექციური მუშაობის, ისე პრაქტიკული გამოყენების მიმართულებით.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს მანდარინ უნშიუს 3 კლონი და 3 ნუცელარული თესლნერგი, მანდარინ ადრეულას 6 კლონი და 3 ნუცელარული თესლნერგი, ასევე, მათი საწყისი ჯიშები - ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუ და მანდარინი ადრეულა.

ვ. ქობალია

ნუცელარული თესლნერგები მიღებულია მანდარინ უნშიუს და მანდარინ ადრეულას *C. ichangensis*-თან შეჯვარებით. ყველა მცენარე სრულ ასაკოვანია. აგროტექნოლოგიური ღონისძიებები ტარდება ერთნაირად. სამუშაო (2019-2022) მიმართულია აღნიშნული პირობებისადმი უფრო ადაპტური, ნაყოფების მომწიფების სხვადასხვა ვადის, მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხიანი ახალი ფორმების შესარჩევად.

კვლევის შედეგები. კვლევის ობიექტად აღებული მანდარინის კლონებისა და ნუცელარული თესლნერგების, ციტრუსოვანთა კულტივირების შედარებით მკაცრი პირობებისადმი (სენაკის რაიონის სოფ. ნოსირი) ფიზიოლოგიური თავისებურებების შესაბამისობის ხარისხზე, კერძოდ, მცენარის წლიური ბიოლოგიური ციკლის ცალკეული ფაზის - ზრდისა და განვითარების ცალკეული ეტაპების, გავლის თავისებურებებზე მსჯელობა, ყველაზე სრულყოფილად შესაძლებელია ფენოლოგიური დაკვირვების მეთოდით. ასეთი დაკვირვების შედეგებს არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველაზე ადაპტური ფორმების გამორჩევის პროცესში. მრავალწლიანი დაკვირვებით გაირკვა, რომ ვეგეტაციის ფაზაში ყველაზე ადრეული შესვლა ახასიათებთ მანდარინ უნშიუს თესლნერგებს №870127 (23.03) და №8704021 (24.03), ყველაზე გვიანი - მანდარინ ადრეულას კლონს №01139 (10.04). ასევე განსხვავებულია ნაყოფების მომწიფების ვადები. ნაყოფების ყველაზე ადრეული მომწიფებით გამოირჩევიან მანდარინ ადრეულას კლონები №01139 (28.09), №09054 (3.10) და №01209 (7.10); ყველაზე გვიანი - მანდარინ უნშიუს თესლნერგი №870214 (24.11) და მანდარინ უნშიუს კლონი №200367 (7.11). ნაყოფების მომწიფების ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი აქვთ მანდარინ უნშიუს თესლნერგს №870214 (26 დღე), მანდარინ ადრეულას კლონს №200253 (24 დღე), მანდარინ უნშიუს ნუცელარულ თესლნერგს №870127 (22 დღე), ხოლო ყველაზე ხანმოკლე პერიოდი - ადრეულას კლონებს №01209 (15 დღე) და №09054 (17 დღე). სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით გამოირჩევიან მანდარინ უნშიუს კლონი №200367 (232 დღე) და მანდარინ უნშიუს თესლნერგი №8702145 (255 დღე). ვეგეტაციის ყველაზე ხანმოკლე პერიოდი აქვთ ადრეულას კლონებს №01139 (193 დღე) და №09054 (197 დღე).

მცენარის ზრდის სიძლიერე და ვარჯის ზომები მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია მანდარინის სელექციაში. დაბალმოზარდი მცენარეები ხასიათდებიან შედარებით კომპაქტური, მომრგვალო ფორმის ვარჯით და ძლიერმოზარდებთან შედარებით გააჩნიათ გარკვეული უპირატესობა, ვინაიდან კომპაქტური ვარჯი უფრო მოხერხებულია როგორც ხელით, ისე მექანიზირებული წესით ნებისმიერი აგროტექნოლოგიური

სამუშაოს ჩასატარებლად. ასევე კულტივირების შედარებით მკაცრ პირობებში კომპაქტური მომრგვალო ვარჯის მქონე მცენარეები უფრო ადვილად გადასაზამთრებელია, ვინაიდან ციტრუსოვანთა გავრცელების მალიმიტირებელი ფაქტორის - დაბალი ტემპერატურის მავნე მოქმედებისაგან ასეთი მცენარეების დაცვა უფრო მოხერხებულია. ჩვენს მიერ კვლევის ობიექტად აღებული მცენარეები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზრდის სიძლიერის, ვარჯის ფორმის, ვარჯის ზომის მიხედვით. ბიომეტრიული გაზომვების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე ძლიერმოზარდებია - მანდარინ უნშიუს თესლნერგები №8702145, №8704021, №870127 და მანდარინ უნშიუს კლონი №2003258, ყველაზე სუსტი ზრდა ახასიათებთ - მანდარინ ადრეულას კლონებს №01139 და №09054. ყველაზე კომპაქტური ვარჯი აქვთ მანდარინ ადრეულას კლონებს №01036, №01139 და №2002246, ხოლო ყველაზე დიდი - მანდარინ უნშიუს თესლნერგს №8702145, მანდარინ უნშიუს კლონებს №880265 და №2003258. თუ ზრდის სიძლიერის მიხედვით ყველა საკვლევ მცენარეს 14 წლის ასაკში პირობითად დავყოფთ ძლიერმოზარდ, საშუალომოზარდ და დაბალმოზარდ ჯგუფებად, ასეთ სურათს მივიღებთ: ძლიერმოზარდებია, ანუ 3.5 მეტრზე მეტი სიმაღლისაა - მანდარინ უნშიუს თესლნერგები №8702145, №8704021, მანდარინ უნშიუს კლონი №880265, მანდარინი. უნშიუ, მანდარინ უნშიუს თესლნერგი №870127 და მანდარინ უნშიუს კლონები №200367, №2003258; დაბალმოზარდ, ანუ ნაგალა ზრდის (<2.5 მ) მცენარეებს მიეკუთვნებიან მანდარინ ადრეულას კლონები №2002246, №01036, №01209, №01139 და №09054. დანარჩენი მცენარეები საშუალომოზარდია - მათი სიმაღლე ვარიირებს 2.5-3.5 მეტრის ფარგლებში.

სელექციურ მუშაობაში ჯიშის, თუ ამა თუ იმ ფორმის პერსპექტიულობის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ნაყოფების მორფოლოგიურ ნიშნებს, რომლებიც ფართოდ ცვალებადობს სხვადასხვა ფაქტორის გავლენით. ბაზრის მოთხოვნებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ნაყოფების ზომები, მასა და კანის შეფერილობა. ნაყოფების ანალიზის (ცხრ. 1) შედეგად დადგინდა, რომ საკვლევ მცენარეები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: მსხვილნაყოფიანები (>90 გრ) და საშუალო ნაყოფიანები (65-90 გრ). მსხვილნაყოფიანებს მიეკუთვნება: მანდარინ უნშიუს თესლნერგი №8702145; მანდარინ ადრეულას კლონები №2002246, №01036, №01139 და №200253; მანდარინ ადრეულას თესლნერგები №0932 და №01167; მანდარინ უნშიუს კლონი №2003258; საშუალონაყოფიანებს მიეკუთვნება: მანდარინ უნშიუს თესლნერგები №8704021 და №870127; მანდარინ უნშიუს კლონები №880265 და №200367; მანდარინი უნშიუ, მანდარინ ადრეულას კლონები №01209 და №09054; მანდარინ ადრეულას თესლნერგი №0967; მანდარინი ადრეულა.

ვ. ქობალია

ცხრილი 1. საკვლევი მცენარეების ნაყოფების მასის, პროდუქტიულობისა და მოსავლიანობის მაჩვენებლები (2019-2022 წწ. საშუალო)

საკვლევი მცენარეების დასახელება	ნაყოფის მასა, გრ	პროდუქტიულობა, კგ	მოსავლიანობა, ც/ჰა
მანდარინ უნშიუს თესლნერგი №8702145	91.0	46.7	467.0
მანდარინ უნშიუს თესლნერგი №8704021	67.5	40.1	401.0
მანდარინ უნშიუს კლონი №880265	84.0	38.9	389.0
მანდარინი უნშიუ	77.0	39.3	393.0
მანდარინ უნშიუს თესლნერგი №870127	68.5	38.4	384.0
მანდარინ უნშიუს კლონი №200367	75.0	45.8	458.0
მანდარინ უნშიუს კლონი №2003258	100.5	44.9	449.0
მანდარინ ადრეულას თესლნერგი №0932	101.0	30.1	376.3
მანდარინ ადრეულას თესლნერგი №01167	108.0	31.7	396.3
მანდარინი ადრეულა	65.0	32.4	405.0
მანდარინ ადრეულას თესლნერგი №0967	85.5	36,2	452.5
მანდარინ ადრეულას კლონი №200253	108.0	34.6	432.5
მანდარინ ადრეულას კლონი №2002246	96.5	38.6	482.5
მანდარინ ადრეულას კლონი №01036	88.0	31.0	387.5
მანდარინ ადრეულას კლონი №01209	87.5	29.2	365.0
მანდარინ ადრეულას კლონი №01139	101.0	31.4	392.5
მანდარინ ადრეულას კლონი №09054	82.5	32.9	406.3

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო მაჩვენებლის - მოსავლიანობის მიხედვით სასელექციო მასალის შეფასებისათვის აუცილებელია მისი ორი მახასიათებლის: პროდუქტიულობის, ანუ ერთი მცენარის მოსავლის და ფართობის ერთეულზე მცენარეთა რაოდენობის დადგენა.

პროდუქტიულობის მიხედვით, ძლიერმოზარდი მცენარეებიდან გამოირჩევიან მანდ. უნშ. თესლნერგი №8702145 (46.7 კგ), მანდ. უნშ. კლონები №200367 (45.8 კგ) და №2003258 (44.9 კგ), ხოლო საშუალო- და დაბალმოზარდი მცენარეებიდან - მანდ. ადრ. კლონები №2002246 (38.6 კგ) და №200253 (34.6 კგ), მანდ. ადრ. თესლნერგი №0967 (36,2 კგ).

ფართობის ერთეულზე ციტრუსოვან მცენარეთა რაოდენობა დამოკიდებულია მცენარეთა ზრდის სიძლიერეზე, ვარჯის ზომებზე. ჩვენის კვლევის ობიექტებიდან საშუალომოზარდი და დაბალმოზარდი მცენარეების კვების არე შეადგენს 8 მ², ანუ 1250 ძირი ჰექტარზე, ხოლო ძლიერმოზარდების - 10 მ², ე.ი. 1000 ძირი ჰექტარზე.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, ჩვენი საკვლევი მცენარეების მოსავლიანობის მაჩვენებლები ასეთია (ცხრილი 1): ყველაზე მაღალი საჰექტარო მოსავლიანობა ახასიათებს დაბალმოზარდ მანდ. ადრ კლონს №2002246 - 482.5 ც/ჰა, შემდეგ მოდის მაღალმოზარდი მცენარეები - მანდ. უნშ. თესლნერგი №8702145 (467.0 ც/ჰა), მანდ. უნშ. კლონი №200367 (458.0 ც/ჰა) და საშუალომოზარდი მცენარე - მანდ. ადრ თესლნერგი №0967 (452.5 ც/ჰა). ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ამ მხრივ აქვთ - საშუალომოზარდ მანდ. ადრ. თესლნერგს №0932 (376.3 ც/ჰა) და დაბალმოზარდ მანდ. ადრ. კლონს №01209 (365.0 ც/ჰა). დანარჩენი მცენარეების საჰექტარო მოსავლიანობა ამ ციფრების ფარგლებშია.

ციტრუსოვანთა სასელექციო მასალის შეფასებისას ასევე დიდ როლს ასრულებს ნაყოფების ბიოქიმიური ანალიზის მონაცემები. ჩვენს მიერ გამოკვლეულ იქნა ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ნაყოფებში მშრალი ნივთიერების, ასკორბინის მჟავას, შაქრების, მჟავიანობის შემცველობა და შაქარმჟავიანობის კოეფიციენტი. ნაყოფების გემური თვისებების დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს მჟავიანობას და შაქრების სიდიდეს. მათ საფუძველზე ფასდება ნაყოფების გემური თვისებები. ყველაზე მაღალი შაქარმჟავიანობის კოეფიციენტით გამოირჩევიან მანდ. ადრ. კლონი №200253, მანდ. უნშ. კლონი №2003258, მანდარინი ადრეულა და მანდ. ადრ. თესლნერგი №01167.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ყველა მაჩვენებლის ერთმანეთთან შეჯერების შედეგად შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ შესწავლილი მცენარეებიდან ყველაზე გამორჩეულია მანდ. ადრ. კლონები №2002246,

ვ. ქობალია

№01209 და №200253, მანდარინი ადრეულა, მანდ. უნშ. კლონები №200367 და №2003258.

როგორც სამომხმარებლო, ისე ბაზარზე რეალიზაციის კუთხით, მანდარინის პროდუქციის გამოყენების მეტი ეფექტურობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მწიფე ნაყოფების თანაბარ შემოსვლას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამისათვის აუცილებელია გვქონდეს ჯიშების/ფორმების ისეთი მრავალფეროვნება, რომლებიც ნაყოფების მომწიფების ვადების მიხედვით გადაფარავდნენ შემოდგომა-ზამთრის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს, ანუ საჭიროა ისეთი ჯიშების/ფორმების შერჩევა, რომ ნაყოფების მომწიფების ვადების მიხედვით ისინი მოსავალს იძლეოდნენ თანდათანობით შემოდგომა-ზამთრის სხვადასხვა დროს. შესაძლებელი რომ იყოს ჩვენი კვლევის შედეგად გამორჩეული ფორმების მასობრივი საწარმოო გამრავლება, ამ. მხრივ, ანუ ახალი ნაყოფებით ბაზრის მომარაგების მხრივ ასეთ სურათს მივიღებდით:

1. სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან - 17-20 ოქტომბრამდე მოსავალს იძლევიან: მანდარინ ადრეულას კლონები №01139, №09054 და №01209;

2. 12-14 ოქტომბრიდან - ნოემბრის პირველ რიცხვებამდე მოსავალს იძლევიან: მანდარინი ადრეულა, მანდ. ადრ კლონები №01036, №2002246, №200253;

3. ნოემბრის დასაწყისიდან - 20-21 ნოემბრამდე მოსავალს იძლევიან: ადრეულას თესლნერგი №0967, მანდ. უნშ. კლონები №200367 და №2003258;

4. 24-25 ნოემბრიდან - 16-17 დეკემბრამდე მოსავალს იძლევიან: მანდარინ უნშიუს თესლნერგი №870214, მანდარინი უნშიუ.

ამდენად, ჩვენ მიერ გამორჩეულ მანდარინის ფორმებს შეუძლია ახალი პროდუქციით ბაზრის თანდათანობითი მომარაგება სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან დეკემბრის შუა რიცხვებამდე. ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობაა საჭირო.

დასკვნები:

1. ნაყოფების ყველაზე ადრეული მომწიფებით გამოირჩევიან მანდარინ ადრეულას კლონები №01139 (28.09), №09054 (3.10) და №01209 (7.10); ყველაზე გვიანი - მანდარინ უნშიუს თესლნერგი №870214 (24.11) და მანდარინ უნშიუს კლონი №200367 (7.11). ნაყოფების მომწიფების ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი აქვთ მანდარინ უნშიუს თესლნერგს №870214 (26 დღე), მანდარინ ადრეულას კლონი №200253 (24 დღე), მანდარინ უნშიუს ნუცელარულ თესლნერგს №870127 (22 დღე), ხოლო ყველაზე ხანმოკლე პერიოდი - ადრეულას კლონებს №01209 (15 დღე) და №09054 (17 დღე).

2. შესწავლილი მაჩვენებლების (ფენოლოგიური ფაზების გავლა, ზრდის სიძლიერე და ვარჯის ზომები, ნაყოფების მორფოლოგიურ ნიშნები,

პროდუქტიულობა, მოსავლიანობა, ნაყოფების ქიმიური შედგენილობა) გათვალისწინებით ყველაზე პერსპექტიულია მანდ. ადრ. კლონები №2002246, №01209 და №200253, მანდარინი ადრეულა, მანდ. უნშ. კლონები №200367 და №2003258.

3. ჩვენ მიერ გამორჩეულ მანდარინის ფორმებს, წარმოებაში დანერგვის შემთხვევაში, შეუძლიათ ახალი პროდუქციით ბაზრის თანდათანობითი მომარაგება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში: სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან დეკემბრის შუა რიცხვებამდე.

ლიტერატურა

- ბუკია, ზ., ბერიძე, ნ. 2009. ჰიბრიდიზაცია, ნუცელარული სელექცია და მუტაცია მანდარინის – (*Citrus Reticulata* BL.) ზოგიერთი ნაგალა ჯიშის ფორმათაწარმოშობის მართვაში. თბილისი.
- მაისურაძე, ნ. 1970. „ციტრუსოვანთა სპონტანური მუტაცია და კლონური სელექცია“. *სუბტროპიკული კულტურები*, #2, 1970.
- სურგულაძე, შ. 1973. „მანდარინ უნშიუს ნუცელარული ნათესარების სელექციური ნარგავებისა და მათგან გამორჩეული პერსპექტიული ფორმების სამეურნეო დახასიათება“. *სუბტროპიკული კულტურები*, №4, 1973.
- ქობალია, ვ. 2018. „საადრეო მანდარინის პერსპექტიული კლონების ბიოქიმიური დახასიათება“. *საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, №21(40), 2018.
- ქობალია, ვ. 2016. „მანდარინ „ადრეულას“ ნუცელარული თესლნერგების ფორმათა მრავალფეროვნების ბიო-მორფოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლის შედეგები“. *პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგროNEWS*, №1, 2016.

Agronomy and Crop Science

Agrobiological and Agricultural Performance of Tangerine Unshiu and Early Ripe (Adreula) Clones and Nucellar Seedlings under Relatively Harsh Conditions of Citrus Cultivation

Vakhtang Kobaia

vakhtang.kobalia@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.01>

Using nucellar and clonal selection methods, for the relatively strict conditions of citrus cultivation, the forms with the earliest and the latest ripening period of the fruits, as well as the longest and the shortest ripening period are distinguished. If implemented, it is possible to gradually supply the market with new tangerine products from the end of September to the middle of December.

Keywords: *Tangerine, clone, nucellar seedling, yield.*

Nucellar and clonal selection is one of the reliable ways to create better-adapted, highly productive and high-quality tangerine varieties and forms for the subtropical zone of Western Georgia.

The research object is 3 clones of Tangerine Unshiu and 3 nucellar seedlings, 6 clones and 3 nucellar seedlings of Tangerine Adreula, as well as their initial varieties - broad-leaved Tangerine Unshiu and Tangerine Adreula. Nucellar seedlings are obtained by crossing Tangerine Unshiu and Tangerine Adreula with *C. ichangensis*.

The results of phenological observation are essential in the process of distinguishing the most adaptive forms. After many years of observation, it became clear that Tangerine Unshiu seedlings No. 870127 (23.03) and No. 8704021 (24.03), the latest – Tangerine Adreula clone No. 01139 (10.04) are characterized with the earliest entry into the vegetation phase. The fruit ripening period is also different. Tangerine Adreula clones #01139 (28.09), #09054 (3.10) and #01209 (7.10) are distinguished with the earliest fruit ripening; Whilst, Tangerine Unshiu seedling #870214 (24.11) and Tangerine Unshiu clone #200367 (7.11) have the latest fruit ripening characteristics.

The plants taken as the object of the study are essentially different from each other in terms of the strength of growth, the shape and the size of the crown. As a

result of biometric measurements, it was determined that the strongest in growing are Tangerine Unshiu seedlings #8702145, #8704021, #870127 and Tangerine Unshiu clone #2003258, the weakest – Tangerine Adreula clones #01139 and #09054. Tangerine Adreula clones No. 01036, No. 01139 and No. 2002246 have the most compact crown and tangerine Unshiu seedling No. 8702145, Tangerine Unshiu clones No. 880265 and No. 2003258 have the biggest.

As a result of fruit analysis, it was determined that the research plants can be divided into two groups: large-fruited (>90 g) and medium-fruited (65-90 g). Large-fruited ones include: Tangerine Unshiu seedling No. 8702145; Tangerine Adreula clones #2002246, #01036, #01139 and #200253; Seedlings of Tangerine Adreula No. 0932 and No. 01167; Tangerine Unshiu clone #2003258; Medium-fruited ones include: Tangerine Unshiu seedlings No. 8704021 and No. 870127; Tangerine Unshiu clones #880265 and #200367; Tangerine Unshiu, Tangerine Adreula clones #01209 and #09054 and Seedling of Tangerine Adreula No. 0967.

The indicators of yield of researched plants are as follows: the highest yield per hectare is characteristic of low-growing Tangerine Adreula clone No. 2002246 - 482.5 c/ha, followed by high-growing plants – Tangerine Unshiu Seedling No. 8702145 (467.0 c/ha), Tangerine Unshiu Clone No. 200367 (458.0 c/ha) and medium-grown plant – Tangerine Adreula seedling No. 0967 (452.5 c/ha). The lowest indicators in this regard have - middle-aged Adreula Seedling No. 0932 (376.3 c/ha) and low growing Tangerine Adreula Clone No. 01209 (365.0 c/ha). The yield per hectare of other plants is within these figures.

Tangerine Adreula clone #200253, Tangerine Unshiu clone #2003258, Tangerine Adreula and Tangerine Unshiu seedlings #01167 stand out with the highest sugar acidity coefficient.

Thus, as a result of comparing the above-mentioned indicators with each other, it can be said that among the plants studied, most outstanding are Tangerine Adreula clones #2002246, #01209 and #200253, Tangerine Unshiu Clones #200367, #2003258.

Both from the point of view of consumer and market realization, the equal supply of ripe fruits over a long period of time has a great significance for the greater efficiency of using Tangerine products. For this, it is necessary to have such a variety of varieties/forms that, according to the ripening period of the fruits, covered a rather long period of autumn-winter, that is, it is necessary to select such varieties/forms that, according to the ripening period of the fruits, gave a harvest gradually at different times of the autumn-winter. If it were possible to mass-produce reproduction of the distinctive forms as a result of our research, in this regard, that is, in terms of supplying the market with fresh fruits, we would get such a picture:

ვ. ქობალა

1. From the end of September - until October 17-20, harvest is given from: Tangerine Adreula clones №01139, №09054 and №01209;

2. From October 12-14 - until the first of November, harvest is given from : tangerine Adreula clones #01036, #2002246, #200253;

3. From the beginning of November - until November 20-21, harvest is given from: Tangerine Adreula No. 0967, Tangerine Unshiu Clones #200367 and #2003258;

4. From November 24-25 to December 16-17 harvest is given from tangerine Unshiu seedling #870214.

Thus, our featured tangerine forms can gradually supply the market with fresh produce from late September to mid-December. Intensive work is needed in this direction.

აგრონომია და მეცნიერება მცენარეთა შესახებ

ციტრუსოვანთა ზოგიერთი კულტიგენის ზრდის თავისებურების შესწავლა იუვენალურ სტადიაში იმერეთის პირობებში

ნინო ყიფიანი

nino.kipiani@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.02>

ციტრუსოვანთა კულტიგენები, რომლებიც გავრცელებულია იმერეთის რეგიონში (ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუ, მანდარინი კოვანო ვასე, ლიმონი მეიერი, ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი), საინტერესოა მათი ბუნებრივ პირობებში განსხვავებული გამძლეობისა და გარემოს ექსტრემალური პირობების მიმართ დამოკიდებულების მხრივ. ახალი, პერსპექტიული ჯიშების ჩამოყალიბებაზე გარდა გარემო ფაქტორებისა, მოქმედებს ასევე შინაგანი ფაქტორებიც, კერძოდ ის ცვლილებები, რომელიც მიმდინარეობს მცენარის ორგანიზმში. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ციტრუსოვანთა ზოგიერთი კულტიგენის ზრდის თავისებურებანი იუვენალურ სტადიაში. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ციტრუსოვანთა თესლნერგების ზრდის ინტენსივობა, ვეგეტაციის ხანგრძლივობა, თესლნერგების ბიომეტრიული მაჩვენებლები იუვენალურ სტადიაში და საასიმილაციო ზედაპირის მოცულობა.

საკვანძო სიტყვები: ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუ, მანდარინი კოვანო ვასე, ლიმონი მეიერი, ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი, ზრდის თავისებურებაშესწავლა იუვენალურ სტადიაში.

შესავალი. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ციტრუსოვანთა სახეობები და ჯიშები კულტიგენებია და მათი სენსიტიური დამოკიდებულება გარემო პირობების მიმართ აისახება გავრცელების არეალზე. ციტრუსოვანთა ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ახალი ჯიშების ჩამოყალიბებაზე, გარდა გარემო ფაქტორებისა, მოქმედებს ასევე შინაგანი ფაქტორებიც, კერძოდ ის ცვლილებები, რომელიც მიმდინარეობს მცენარის ორგანიზმში. ამიტომაც, ციტრუსოვანთა სელექციის კლასიკური და ახლი გენეტიკური მეთოდების კომპლექსური გამოყენებით უნდა მოხდეს გარემო პირობებთან ადაპტირებული ჯიშების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას (ყიფიანი 2010:10-32; ყიფიანი 2014:18-23; ყიფიანი 2017: 64-68; ყიფიანი 2015: 1-147).

6. ყიფიანი

კვლევის მიზანი და ობიექტი. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმერეთის პირობებში შეგვესწავლა ციტრუსოვანთა ზოგიერთი კულტიგენის ზრდის თავისებურებანი იუვენალურ სტადიაში. ექსპერიმენტი განხორციელებულ იქნა ქ. ქუთაისში. კერძოდ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში. აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საკოლექციო ნაკვეთებზე გაშენებულია ციტრუსოვანთა ნარგაობები (ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუ, მანდარინი კოვანო ვასე, ლიმონი მეიერი, ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი), ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა დაკვირვებები და აღრიცხვები, კერძოდ მოვახდინეთ თავისუფალი დამტვერიანების პირობებში მიღებული ნაყოფების შეგროვება, მათი პომოლოგიური შეფასება, ჩავატარეთ ნაყოფების მექანიკური ანალიზი, გამორჩეული თესლები შევინახეთ გრილ, მშრალ ადგილას და გაზაფხულზე, როდესაც ჰაერის საშუალო ტემპერატურამ შეადგინა +15C გამორჩეული თესლები დავთესეთ სათეს ყუთებში. შევისწავლეთ თესლების აღმოცენების უნარიანობა დინამიკა და ნათესარების ბიოლოგიური თავისებურებანი იუვენალურ სტადიაში. შესწავლის შედეგები მოცემულია ცხრილში (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუს, მანდარინი კოვანო ვასეს, ლიმონი მეიერის და ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველის თესლების აღმოცენების დინამიკა იუვენალურ სტადიაში

მცენარის დასახელება	თესლების საშუალო მასა	დათესილი თესლების რაოდენობა	დათესვის თარიღი	აღმოცენების დასაწყისი	აღმოცენების დასასრული	პოლიემბრიონული თესლნერგების რაოდენობა	თესლნერგების საერთო რაოდენობა
ფართო-ფოთლიანი მანდარინი უნშიუ	0,35	16	25.04	15.05	12.06	-	9
მანდარინი კოვანო ვასე	0,30	10	25.04	17.05	19.06	-	4
ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი	0,54	7	25.04	24.05	1.06	1	3
ლიმონი მეიერი	0,4	36	25.04	20.05	22.06	-	28

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფართოთლიანი მანდარინი უნშიუს თესლის საშუალო წონა 0,35 გრ-ია, მანდარინ კოვანო ვასეს თესლები კი შედარებით უფრო მცირე წონისაა, კერძოდ 0,30გრ, რაც შეეხება ლიმონ მეიერს მისი თესლების წონა 0,4გრ, ხოლო ყველაზე დიდი ზომითა და წონით (0,54გრ), მაგრამ მცირე რაოდენობით თესლები მივიღეთ ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველიდან.

ამავე ცხრილში მოტანილი მასალები წარმოდგენას გვამლევს საველე პირობებში თესლების აღმოცენების ხარისხზე, კერძოდ აღმოცენების დინამიკაზე დაკვირვებამ გვიჩვენა რომ, საცდელი ფორმებიდან პირველი აღმონაცენი აღინიშნა ფართოთლიანი მანდარინი უნშიუს შემთხვევაში, ხოლო ყველაზე გვიან აღმოცენება დაიწყო ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველის თესლებმა. (სურათი 1). აღმონაცენების საერთო შესწავლისას დავადგინეთ, რომ აღმოცენების შედარებით დაბალ % იძლევიან პართენოკარპიულად განვითარებული ფორმის თესლები (ფართოთლიანი მანდარინი უნშიუ, მანდარინი კოვანო ვასე, ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი), მათი აღმოცენების ინტენსიობა 40-56%-ია, მაშინ როცა ლიმონ მეიერის შემთხვევაში 78%-ია, გარდა ამისა ექსპერიმენტის პერიოდში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა საცდელი ფორმებისგან მიღებული თესლნერგების ზრდის ინტენსივობა, ასევე შევისწავლეთ თესლნერგების ბიომეტრიული მაჩვენებლები იუვენალურ სტადიაში, ვეგეტაციის ხანგრძლივობა, სასიმილაციო ზედაპირის მოცულობა, აღვრიცხეთ ფოთლებისა და გვერდითი ტოტების რაოდენობა. მონაცემები ასახულია ცხრილში (ცხრილი 2).

ცხრილი 2. ფართოთლიანი მანდარინი უნშიუს, მანდარინი კოვანო ვასეს, ლიმონი მეიერის, ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველის თესლნერგების ბიომეტრიული მაჩვენებლები იუვენალურ სტადიაში

მცენარის დასახელება	თესლნერგების რაოდენობა	თესლნერგების საშუალო სიმაღლე	ფოთლების რაოდენობა	ფოთლის ფართი	გვერდითი ტოტების რაოდენობა
ფართოთლიანი მანდარინი უნშიუ	9	16,2	12	16,4	3
მანდარინი კოვანო ვასე	4	9,2	8	12,2	3

6. ყიფიანი

ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი	3	22,7	18	18,7	4
ლიმონი მეიერი	28	18,8	14	13,4	2

როგორც ცხრილიდან ჩანს, ციტრუსოვანთა შერჩეული ფორმების ნათესარები ზრდის სხვადასხვა ინტენსივობით ხასიათდება, კერძოდ ძლიერი ზრდა ახსიათებს ლიმონ მეიერისა და ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველის თესლნერგები, ხოლო ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუსა და კოვანო ვასეს ნათესარებს შედარებით სუსტი ზრდა ახასიათებს. აღსანიშნავია რომ ფოთოლწარმოქმნის უნარი გაცილებით მეტი აღენიშნა ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველსა და ლიმონ მეიერს, ვიდრე მანდარინის ფორმებს, რაც შეეხება მცენარეთა სასასიმილაციო ზედაპირის ფართობს, რომელიც ძირითადად ფოთლის ფართის შესწავლით განისაზღვრება, აქაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა ციტრუსოვანთა მიღებული ფორმების ფოთლებს შორის. კერძოდ, ფოთლის სიდიდით გამოირჩევა ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველისა და ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუს ნათესარების ფოთლები, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ექსპერიმენტის პერიოდში ფორთოხალ ვაშინგტონ ნაველის ნათესარებში გამოვლინდა პოლიემბრიონული თესლნერგები.



სურ.1. ციტრუსოვანთა (ფართოფოთლიანი მანდარინი უნშიუ, მანდარინი კოვანო ვასე, ლიმონი მეიერი, ფორთოხალი ვაშინგტონ ნაველი) ნათესარები.

დასკვნა. ამრიგად, ციტრუსოვანთა ზოგიერთი კულტიგენის ზრდის თავისებურების შესწავლის შედეგებმა იუვენალურ სტადიაში გვიჩვენეს, რომ ბუნებრივ პირობებში მათ ახასიათებთ განსხვავებული გამძლეობა და დამოკიდებულება გარემოს ექსტრემალური პირობების მიმართ და მათი

ასეთი განსხვავებულობა შეიძლება აიხსნას მცენარის თვითრეგულაციის უნარით.

ლიტერატურა

- ყიფიანი, ნინო. 2015. ფორმათაწარმოშობი პროცესების ხელოვნურად მართვის შემთხვევები მანდარინის ნაგალა ფორმებსა და ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველში (დამხმარე სახელმძღვანელო).
- ყიფიანი, ნინო. 2017. „მანდარინის ნაგალა ფორმების ადრემსხმოიარე ტრიფოლიატასა და ციტრუს იჩანგენზისთან შეჯვარების შედეგად მიღებული ჰიბრიდული თესლების აღმოცენების დინამიკა“. პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ნოვაცია, №19, 2017: 64-68.
- ყიფიანი, ნინო, ვახტანგ ქობალია. 2014. „ნუცელარული ნათესარების სიხშირე და სპექტრი ციტრუსოვანთა ზოგიერთ კულტივენში“ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, №3, 2014:18-23.
- ყიფიანი, ნინო. 2010. „ვეგეტატიური ორგანოების ზრდის ინტენსივობის თავისებურებანი შორეული ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებულ ციტრუსოვანთა ახალგაზრდა ასაკის ფორმებში“. სუბტროპიკული კულტურები. №1-4, 2010: 30-32.

Agronomy and Crop Science

Study of Growth Characteristics of Some Citrus Cultivars in the Juvenile Stage under Imereti Conditions

Nino Kipiani

nino.kipiani@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.02>

Citrus cultivars distributed in the Imereti region (broad-leaved tangerine Unshiu, mandarin Kovano Vase, lemon Meyer, orange Washington Navel) are interesting in terms of their different resistance to natural conditions and their tolerance to extreme environmental conditions. In addition to environmental factors, internal factors also influence the formation of new, promising varieties. We studied the growth intensity of citrus seedlings, the duration of vegetation, biometric indicators of seedlings in the juvenile stage and the volume of the assimilation surface.

6. გოგობნო

Keywords: *Broad-leaved mandarin Unshiu, mandarin Kowano Vase, lemon Meyer, orange Washington Navel, growth characteristics, study of the juvenile stage.*

Introduction. Citrus species and varieties common in Western Georgia are cultigens and their sensitive attitude towards environmental conditions is reflected in the distribution area. In addition to environmental factors, internal factors also affect the formation of new varieties based on the biological characteristics of citrus fruits, namely the changes that take place in the plant's body. Therefore, with the complex use of classic and new genetic methods of citrus selection, it is necessary to create varieties adapted to environmental conditions, which will contribute to the further development of the field.

The aim and object of the research. The aim of our study was to study the growth characteristics of some citrus cultivars in the juvenile stage under the conditions of Imereti. The experiment was carried out in Kutaisi. In particular, in the scientific research center of Akaki Tsereteli State University. On the collection plots of the said scientific-research center, citrus plantations (broad-leaved tangerine Unshiu, mandarin Kovano Vase, lemon Meyer, orange Washington Navelli) were planted, we conducted observations and records, in particular, we collected the fruits obtained under conditions of free pollination, their pomological evaluation, we carried out the evaluation of the fruits Mechanical analysis, we also studied the dynamics of seed germination ability and biological characteristics of relatives in the juvenile stage.

The results of the research. The materials obtained from the results of observation give us an idea about the quality of seed germination in field conditions, in particular, the observation of the germination dynamics showed us that the first germination of the test forms was noted in the case of broad-leaved tangerine Unshiu, and the latest germination began in the seeds of orange Washington Navel. During the general study of germination, we determined that the seeds of the parthenocarpically developed form (broad-leaved tangerine Unshiu, mandarin Kowano Vase, orange Washington Navel) give a relatively low percentage of germination, their germination intensity is 40-56%, while in the case of Meyer lemon it is 78%. In addition, during the experiment, we studied the growth intensity of the seedlings obtained from the experimental forms, as well as studied the biometric indicators of the seedlings in the juvenile stage.

Conclusion. Thus, the results of the study of the growth characteristics of some citrus cultivars in the juvenile stage showed us that in natural conditions they are characterized by different resistance and attitude to extreme environmental conditions, and such differences can be explained by the ability of the plant to regulate itself.

სურსათმცოდნეობა

ფუნქციური ინგრედიენტები კრეკერის წარმოებაში

ალმა ყიფიანი

alma.kipiani@atsu.edu.ge

თინათინ კოპალეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.03>

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი მენარეული ნედლეულის მოძიება და ბიოლოგიური ღირებულების ამაღლების კუთხით მათი გამოყენება, ფუნქციური დანიშნულების ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმში, მეტად პერსპექტიულია. სტატიაში განხილულია ყურძნის გადამუშავების მეორადი პროდუქტების გამოყენების შესაძლებლობა ფუნქციური დანიშნულების ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის მომზადებისას. შემუშავებულ იქნა წითელნაყოფა ყურძნის ტკბილი (დაუდუღებელი) წიპწის ჰიდროფილური ექსტრაქტის მიღების ტექნოლოგია, შესწავლილ იქნა ექსტრაქტის ორგანოლექტიკური და ბიოლოგიურად აქტიური მაჩვენებლები. დადგინდა იქნა, რომ წიპწის ექსტრაქტი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით-ფენოლური ნაერთებით და ხასიათდება საკმაოდ მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით, ხოლო წიპწის ზეთის შედგენილობაში ჭარბობს პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები, კერძოდ ω-6 ლინოლის მჟავა, რომელზედაც მოდის ცხიმოვანი მჟავების საერთო რაოდენობის 70%-მდე. აღნიშნული საშუალებას იძლევა ყურძნის გადამუშავების მეორადი პროდუქტები მიჩნეულ იქნას ფუნქციურ ინგრედიენტებად. დადგინდა იქნა აღნიშნული ინგრედიენტების დადებითი გავლენა ნამცხვარზე. შემუშავებულ იქნა მაღალი კვებითი ღირებულების ხმელი, ფენოვანი ნამცხვრის - კრეკერის ტექნოლოგია და რეცეპტურა.

საკვანძო სიტყვები: ყურძნის წიპწა, ტკბილი წიპწის ექსტრაქტი, წიპწის ზეთი, ხმელი ნამცხვარი - კრეკერი.

შესავალი. ჯანმრთელობის შენარჩუნება და სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანსაღი და სრულფასოვანი კვებითა და არაბალანსირებული კვებით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკით მიიღწევა.

თანამედროვე ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია კვების სტრუქტურის ცვლილება, კვების პროდუქტების ხარისხის ამაღლება და მათთვის სამკურნალო პროფილაქტიკური თვისებების მინიჭება,

ა. ყიფიანი, თ. კოპალეიშვილი

რამდენადაც კვების სტრუქტურაში შეინიშნება ფიზიოლოგიურად ფუნქციური ინგრედიენტების: შეუცვლელი ამინომჟავების, ცილების, საკვები ბოჭკოებისა და რიგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დეფიციტი. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ე.წ. ფუნქციურ საკვებ პროდუქტებს, რომლებიც ფაქტიურად ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ერთობლიობას წარმოადგენენ.

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი მასობრივი მოხმარების, მოსახლეობის ყველა ჯგუფის მიერ ხელმისაწვდომ და ყოველდღიურ კვებაში რეგულარულად გამოსაყენებელ, კვების მეტად მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს. ამიტომ მაღალხარისხოვანი, კვებითი ღირებულებითა და სრულყოფილი ტექნოლოგიით გამორჩეული სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე ფუნქციური დანიშნულების ფქვილოვანი ნაწარმით მოსახლეობის უზრუნველყოფა მეტად აქტუალურია.

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის, ბიოლოგიური ღირებულებისა და გემოვნებითი ღირსების ამაღლება შესაძლებელია არატრადიციული მცენარეული ნედლეულის ფართო გამოყენებით. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადსაღებია მეღვინეობის მეორადი ნედლეულის - წითელნაყოფა ყურძნის წიპწის გამოყენება, რომელიც ბიოფლავონოიდების ფასეულ წყაროს წარმოადგენს, მის შემადგენლობაში შედის ვიტამინები (B_1 , B_2 , B_3 , B_6 , B_9 , C, E, K, PP), მიკრო და მაკრო ელემენტები (Fe, Mn, Zn, Mg, Ca, Cu) ფლავონოიდები, ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავები და სხვა ნივთიერებები (Gvinianidze 2017, Kikalishvili 2012, Ozcan 2012).

წიპწის ექსტრაქტი და ზეთი გამოირჩევა ანტითრომბული, ანტიდიაბეტური, ანტიათეროსკლეროზული, წნევისა და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. პროდუქტს ანიჭებს დიეტურ თვისებებს, აძლიერებს ორგანიზმის იმუნიტეტსა და ანტიოქსიდანტურ აქტივობას, იწვევს სისხლძარღვთა კაპილარების კედლების სიმტკიცის გაზრდასა და შეღწევადობის შემცირებას (Кароматов 2010).

დღეისათვის მრავალრიცხოვანი კვლევებით ზუსტად არის დადგენილი კავშირი კვების სტრუქტურის დარღვევასა და დაავადებათა მნიშვნელოვან ზრდასთან, ამიტომ ჯანსაღი კვების სფეროში ერთერთ პრიორიტეტს შეუცვლელი ინგრედიენტებით მდიდარი ფუნქციური დანიშნულების მცენარეული პროდუქტების მოძიება და გამოყენება წარმოადგენს (Капрельянец 2012).

სამუშაოს მიზანი და ამოცანები. სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი წიპწის ექსტრაქტის და წიპწის ზეთის გამოყენებით მაღალი ბიოლოგიური ღირებულების

ხმელი ნამცხვრის კრეკერის მომზადება და ხარისხის შეფასება, რისთვისაც:

- წითელნაყოფა ყურძნის ტკბილი (დაუდუღებელი) წიპწიდან მიღებულ იქნა ექსტრაქტი და შეფასებული ორგანოლექტიური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით;
- წიპწის ექსტრაქტი გამოყენებულ იქნა კრეკერის ცომის მომზადების პროცესის ინტენსიფიკაციისათვის;
- შემუშავებულ იქნა ფუნქციური დანიშნულების ხმელი ნამცხვრის კრეკერის რეცეპტურა და მომზადების ტექნოლოგია;
- განსაზღვრულ იქნა ხმელი ნამცხვრის კრეკერის ახალი ასორტიმენტის ხარისხის ორგანოლექტიური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევები ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების, გარემოს დაცვისა და ქიმიური ტექნოლოგიების დეპარტამენტებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებრივ ნაერთთა კვლევის ლაბორატორიებში; კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა

მელვინეობის მეორადი ნედლეულის წითელნაყოფა ყურძნის წიპწა; ტრადიციული რეცეპტურით დამზადებული ხმელი ნამცხვარი კრეკერი და კრეკერის საკონტროლო ნიმუშები; ნაწარმის ორგანოლექტიური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები შემოწმებულ იქნა აღნიშნულ ასორტიმენტზე არსებული სტანდარტის შესაბამისად (Апет 2004).

წიპწის ექსტრაქტში საერთო ფენოლების რაოდენობა განსაზღვრულ იქნა სპექტროფოტომეტრული მეთოდით Folin-Ciocalteu-ს რეაგენტით, საერთო ფლავონოიდების რაოდენობა სპექტრალური მეთოდით, ხოლო ანტიოქსიდანტური აქტივობა განისაზღვრა DPPH მეთოდით (თავისუფალი რადიკალის კოლორიმეტრია, რადიკალის 50% ინჰიბირებით). წიპწის ზეთის ცხიმოვანი შემადგენლობა განსაზღვრულ იქნა სტანდარტული მეთოდით ქრომატოგრაფზე «Хроматэк-Кристалл 5000.1» პლაზმურ-იონიზაციის დეტექტორით.

ნახევარფაბრიკატის მიკროსტრუქტურა შეფასებულ იქნა სტერეო მიკროსკოპით XT2-VI, ხოლო ნამცხვრის ფიზიკო ქიმიური მაჩვენებლები სტანდარტული მეთოდებით.

შედეგები და მათი განხილვა. ხმელ ნამცხვარ-კრეკერზე წიპწის ექსტრაქტის გავლენის შესწავლის მიზნით, თავდაპირველად ჩვენს მიერ მომზადებულ იქნა მელვინეობის მეორადი ნედლეულის, წითელნაყოფა ყურძნის ტკბილი (დაუდუღებელი) წიპწის ჰიდროფილური ექსტრაქტი, რისთვისაც წინასწარ დადგენილ იქნა ექსტრაქციის ოპტიმალური პარამეტრები: ჰიდრომოდული 1:2; ექსტრაქციის ხანგრძლივობა 2

ა. ყიფიანი, თ. კოპალეიშვილი

საათი; ექსტრაქციის ტემპერატურა 60°C; ექსტრაგენტი წყალი, 2% ლიმონმჟავას დამატებით. ანალიზმა აჩვენა, რომ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ყველაზე უფრო სრული გამოწვლილვა აღინიშნა გარეცხილი ყურძნის წიპწის წინასწარი გამოშრობით, საშრობ კარადაში 50-55°C ტემპერატურაზე. გამშრალი, 0,5 მმ ზომის დაქუცმაცებული წიპწა მოთავსებულ იქნა ინოვაციური პერიოდული ქმედების ექსტრაქტორში პულსატორით (ვიბრაციის სიხშირე 2-3წ⁻¹ და ამპლიტუდა 1-2 მმ) (Гапенко 2004, კოპალეიშვილი 2017).

ექსტრაქციის პროცესის დამთავრების შემდეგ ექსტრაქტორიდან გადმოღვრილ იქნა ექსტრაქტი N1, ხოლო ექსტრაქტორში დარჩენილ ნედლეულს განმეორებით ჩაუტარდა ექსტრაქცია იმავე მეთოდით. ექსტრაქციის დამთავრებისას მიღებულ იქნა ექსტრაქტი N2, რომელიც დამატებულ იქნა N1 ექსტრაქტს და გამოშრობილ იქნა საშრობ კარადაში 55°C-ზე, 50% მშრალი ნივთიერებების შემცველობამდე.

მიღებული ექსტრაქტი გამოკვლეულ იქნა ორგანოლექტიკურად და ბიოქიმიური მაჩვენებლებით. ბიოქიმიური ანალიზის შედეგები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1. წითელნაყოფა ყურძნის ტკბილი (დაუდუღებელი) წიპწის ექსტრაქტის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები

დასახელება	მახასიათებლები				
	საერთო ფენოლები, მგ/100გ მშრალ მასაზე	საერთო ფლავონოიდები, მგ/100გ მშრალ მასაზე	ფლავონოიდები მგ/100გ მშრალ მასაზე	ლეიკოანთონები მგ/100გ მშრ.მასაზე	ანტიოქსიდანტური აქტივობა-ინჰიბირება %, განზავ. 1:20
წიპწის ექსტრაქტი	3910,0	1724,0	1158,1	462,0	61,8

ორგანოლექტიკური მაჩვენებლების მიხედვით, ყურძნის წიპწის ექსტრაქტი წარმოადგენს ოდნავ მუქი, მომჟავო გემოს, უსუნო სითხეს.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, წითელნაყოფა ყურძნის ტკბილი (დაუდუღებელი) წიპწიდან მიღებული ექსტრაქტი მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით და ხასიათდება საკმაოდ

მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით.

ტემპერატურისადმი მდგრადობაზე კვლევამ აჩვენა, ექსტრაქტის სტაბილურობა გაცხელების დროს. შესაბამისად ექსტრაქტის გამოყენება საკვები პროდუქტების შემადგენელ კომპონენტად მიზანშეწონილი და გამართლებულია.

შესწავლილ იქნა წიპწის ზეთის ცხიმოვანი შემადგენლობა, შედეგები ნაჩვენებია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2. წიპწის ზეთის ცხიმოვანი შემადგენლობა

ცხიმოვანი მჟავების დასახელება	ცხიმოვანი მჟავების გაჯერების ხარისხი	ცხიმოვანი მჟავების შემცველობა, % საერთო რაოდენობიდან	
		კონტროლი-ზეითუნის ზეთი	წიპწის ზეთი
ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები: პალმიტინის სტეარინის	16:0 18:0	13,7 2,5	7,2 4,5
მონოუჯერი ცხიმოვანი მჟავა: ოლეინის მჟავა	18:1	-	16,6
პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავა ლინოლის მჟავა ლინოლენის მჟავა	18:2 18:3	10 0,6	68,2 0,8

როგორც კვლევამ აჩვენა, წიპწის ზეთის შემადგენლობაში ჭარბობს პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები, კერძოდ ω-6 ლინოლის მჟავა, რომელზედაც მოდის ცხიმოვანი მჟავების საერთო რაოდენობის 68,2%.


კვლევის შემდგომ ეტაპზე შესწავლილ იქნა ფუნქციური ინგრედიენტების დადებითი გავლენა ცომის სტრუქტურასა და ნამცხვრის ხარისხზე, შემუშავებულ იქნა მაღალი კვებითი ღირებულების ხმელი ფენოვანი ნამცხვრის - კრეკერის ტექნოლოგია და რეცეპტურა.

ლაბორატორიულ პირობებში 30% წებოვარის შემცველობის მქონე, I ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან, მომზადებულ იქნა ხმელი ნამცხვარი კრეკერი აფრული მეთოდით. ცომის საკონტროლო ნიმუშები კრეკერი „სუფრის“ შესაბამისად. 50-54% ტენიანობის აფარი მოხელილ იქნა წიპწის ექსტრაქტზე (ფქვილის საერთო რაოდენობის 5-7%). აფარის დუღილის ხანგრძლივობა 6-7სთ, ცომის დაყოვნების ხანგრძლივობა 1 სთ, ცომის

ა. ყიფიანი, თ. კოპალეიშვილი


მომზადების ეფექტურობა ფასდებოდა აფარსა და ცომში მჟავების დაგროვებით.

ექსპერიმენტის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ დუდილის ბოლოს მჟავიანობა უფრო მეტად გაიზარდა საცდელ ნიმუშებში წიპწის ექსტრაქტის გამოყენების შემთხვევაში, საკონტროლოსთან შედარებით, შესაბამისად შემცირდა წყალბადიონთა კონცენტრაცია pH. აღსანიშნავია, რომ თუ საკონტროლო ნიმუშში მჟავიანობამ 8°H -ს(ნეიმანს) 7-8 საათის შემდეგ მიაღწია, იგივე შედეგი საცდელ ნიმუშებში 2,5-3 საათის შემდეგ დადგა (სურ.1).



სურ. 1. მჟავიანობის (ა) და pH (ბ) დამოკიდებულება აფარის დუდილის ხანგრძლივობასთან
1 - საკონტროლო; 2- ექსტრაქტის დამატებით

აღმოჩნდა, რომ ყურძნის ტკბილი (დაუდულებელი) წიპწის ჰიდროფილური ექსტრაქტი, როგორც აზოტოვანი და მინერალური ნივთიერებების კვების წყაროსაფუძვრებისადარძემჟავაბაქტერიებისათვის, მონაწილეობს აფარის მომწიფებაში და ნახშირწყლებთან ერთად, წარმოადგენს საფუძვრების მადულარი აქტივობის გაზრდის ეფექტურ საშუალებას და უზრუნველყოფს აფარის დუდილის პროცესის დაჩქარებას (Беляев 2018) (სურ 2).



სურ.2. აგარის მიკროსტრუქტურა×100
 ა) საკონტროლო ნიმუში; ბ) საკვლევი ნიმუში

წიპწის ზეთი გამოყენებულ იქნა ცომის შეგრაგნის დროს, რამოდენიმე ჯერადად ცომის ფენაზე დატანით, რითაც მიღწეულ იქნა კრეკერის ფენოვება გამოცხობის დროს.

კვლევის დასკვნით ეტაპზე შემუშავებულ იქნა წიპწის ექსტრაქტისა და ზეთის გამოყენებით ფუნქციური დანიშნულების ხმელი ნამცხვრის, კრეკერის რეცეპტურა და განსაზღვრულ იქნა ახალი ასორტიმენტის კრეკერი „წიპწის“ ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, შედეგები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3. ხმელი ნამცხვრის -კრეკერი „წიპწის“ ხარისხის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ხმელი ნამცხვარი-კრეკერი	
	კონტროლი №110 „სუფრის“	„წიპწის“
ნახევარფაბრიკატი ცომი		
ტენიანობა,%	29,1	31,0
ტემპერატურა, 0C	35 - 38	
მოზელის ხანგრძლივობა, წთ	45	30
ცხობის ხანგრძლივობა, წთ.	3 - 5	
შზა ნაწარმი		
ტენიანობა,%	6,8	7,0
ტუტიანობა, გრად.	2,0	1,8

ა. ყიფიანი, თ. კოპალეიშვილი

მჟავიანობა, გრად	1,9	2,1
გაჯორჯვება,%	138	156
ორგანოლექტიკური მაჩვენებლები		
ფერი	ღია ყვითელი	ჩალისფერი
ტრადიციული რეცეპტურით და ტექნოლოგიური ინსტრუქციის შესაბამისად მოვამზადეთ ხილ-ჟელეს კანფეტის საკონტროლო ნიმუში „ვოლგა-ვოლგა“ (Рецептуры ... 1971) და ხილ-ჟელეს კანფეტის საცდელი ნიმუშები, რომელთა მომზადების დროს ვაშლის პიურე ჩავანაცვლეთ ჩვენ მიერ მომზადებული მოცვის პიურეთი ზემოთ მითითებული პროპორციით. ამავე დროს საკონტროლო ნიმუშების მომზადების დროს რეცეპტურიდან ამოვიღეთ საღებავი, ციტრუსის ესენცია და ლიმონის მჟავა.

ტრადიციული ტექნოლოგიით ხილ-ჟელეს კანფეტის კორპუსების მომზადებისას ცალკე მზადდება შაქარ-აგარ-ბადაგიანი სიროფი მშრალი ნივთიერებების შემცველობით 75-76%, რომელიც მიეწოდება მატემპერირებელ მანქანას, სადაც მას ემატება იგივე სინესტემდე ცალკე შეხარშული ხილისნახევარფაბრიკატისა და შაქრის ნარევისაგან მიღებული მასა. ამ მასების შერევის შედეგად მიღებული მასის ტემპერატურა უნდა იყოს 78-80°C. ტემპერირებული მასა მიეწოდება დასაფორმებლად ჩამოსხმაზე. ჩამოსხმელი მანქანის ხვიშირა აღჭურვილია შემრევით, სადაც ხდება სხვა საგემოვნო ნივთიერებების დამატება-შერევა.

ხილ-კენკრის ფუძეზე მომზადებული კანფეტის მასები შეიძლება დაფორმდეს როგორც სახამებლის ფორმებში ჩამოსხმით, ასევე პლასტიკის სახით დასხმით, რომელიც ჟელირების შემდეგ დაიჭრება კანფეტის კორპუსის ზომაზე.


საკონტროლო ნიმუშისათვის კანფეტის მასა მოვამზადეთ შემდეგი თანმიმდევრობით: 1. შაქარ-ბადაგ-აგარიანი სიროფის მომზადება, რისთვისაც რეცეპტურით გათვალისწინებული აგარი გავხსენით 4-ჯერადი რაოდენობის წყალში, დავუმატეთ შაქარი და ბადაგი, სიროფი მოვხარშეთ 78-80% მშრალი ნივთიერებების შემცველობამდე; 2. მიღებულ შაქარ-ბადაგ-აგარიან სიროფში ხილის პიურესა და შაქრის ნარევისაგან წინასწარ მომზადებული მასის დამატება; 3. ნარევის ტემპერირება; დასხმა პლასტიკის სახით და დაყოვნება ჟელირების დასრულებამდე. 4. მიღებული პლასტიკის

დაჭრა კანფეტის კორპუსის ზომის შესაბამისად და მოჭიქურება შოკოლადის ჭიქურით. კანფეტის მასის ნაწილი საანალიზოდ დავტოვეთ მოჭიქურების გარეშე.

იმისათვის, რომ დაგვედგინა ჩვენ მიერ შერჩეული მოცვის ნედლი პიურეს ოპტიმალური ოდენობა, ანალოგიური თანმიმდევრობით მოვაშხადეთ საცდელი ნიმუშის სამივე ვარიანტი, იმ განსხვავებით, რომ ვაშლის პიურეს 25, 50 და 75% ჩავანაცვლეთ ჩვენს მიერ წინასწარ მომზადებული ნედლი მოცვის პიურით, მოცვის პიურეს ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით რეცეპტურიდან ამოვიღეთ ციტრუსის ესენცია, საღებავი და ლიმონის მჟავა. ტემპერირებული მასები დავასხით პლასტის სახით და დავაყოვნეთ ჟელირების დსრულეზაამდე. მიღებული ნიმუშების პლასტები დავჭერით კანფეტის კორპუსის ზომაზე. საანალიზოდ განკუთვნილი კანფეტის კორპუსის ნიმუშები დავტოვეთ მოჭიქურების გარეშე.

მიღებული ნიმუშების ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები შევამოწმეთ აღნიშნულ ასორტიმენტზე არსებული სტანდარტის 4570 2014-ის შესაბამისად (სახელმწიფო სტანდარტი 4570-2014).

საკონტროლო და საცდელი ნიმუშების ორგანოლექტიკური მაჩვენებლების პროფილოგრამა ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.



ნახ. 1. ხილ-შეღეს კანფეტის საკონტროლო და საცდელი ნიმუშების ორგანოლექტიკური მაჩვენებლების პროფილოგრამა.
 საკონტროლო - კანფეტი „ვოლგა-ვოლგა“;
 ნიმუში 1- კანფეტის კორპუსი 25% მოცვის პიურეს დამატებით;
 ნიმუში 2 - კანფეტის კორპუსი 50% მოცვის პიურეს დამატებით;
 ნიმუში 3 - კანფეტის კორპუსი 75% მოცვის პიურეს დამატებით.

გ. ხეცურიანი

პროფილოგრაშიდან ჩანს, რომ საუკეთესო ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, კერძოდ გემო, სუნი, ფერი, კონსისტენცია, სტრუქტურა აქვს მეორე საცდელ ნიმუშს, რომელშიც ვაშლის პიურეს 50% ჩანაცვლებილია მოცვის პიურეთი.

განვსაზღვრეთ საკონტროლო და საცდელი ნიმუშების ხარისხის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები სახელმწიფო სტანდარტის (4570-2014) შესაბამისად, შედეგები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2. მოცვის პიურეს გამოყენებით მომზადებული ხილ-ჟელეს კანფეტის ხარისხის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები

მაჩვენებლების დასახელება	საკონტროლო ნიმუში	საცდელი ნიმუშები მოცვის პიურეს დამატებით, %		
		25	50	75
ტენის მასური წილი, %	13,8	14,1	14,3	14,5
რედუცირებული ნივთბუბის მასური წილი, %	34,5	34,8	35,2	35,7
ხილის მასის შემცველობა, %	18,9	20,33	20,33	20,33

ცხრილიდან ჩანს, რომ შემუშავებული ნაწარმის საცდელი ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

დასკვნა. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

ხილ-ჟელეს კანფეტის რეცეპტურაში ლურჯი მოცვის შეტანა უმჯობესია ნედლი, ერთგავროვანი მასის მქონე პიურეს სახით, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოცვის ნაყოფების კვებითი ღირებულებისა და სასარგებლო თვისებების მაქსიმალური შენარჩუნება.

საცდელი ნიმუშების ორგანოლეპტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება ნიმუში, რომელშიც ვაშლის პიურეს 50% იქნა ჩანაცვლებული მოცვის ნაყოფის ნედლი პიურეთი. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მოცვის პიურეს დამატებით შესაძლებელი ხდება საკონტროლო ნიმუშის რეცეპტურიდან მთლიანად ამოღებულ იქნას საღებავი, ლიმონის მჟავა და ციტრუსის ესენცია.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემუშავებული ხილ-ჟელეს კანფეტის ასორტიმენტი ლურჯი მოცვის ნედლი პიურეს

დამატებით შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანისათვის სასარგებლო ნატურალურ და ამავე დროს ფუნქციურ საკვებ პროდუქტებს.

ლიტერატურა

- ლურჯი მოცვის ბიზნესი საქართველოში. გალტ & თაგარტი. 4 აგვისტო, 2023. მოძიებულია 20. 03. 2024. https://api.galtandtaggart.com/sites/default/files/2023-08/report/blueberry-business-in-georgia_geo
- სახელმწიფო სტანდარტი. 2015. ГОСТ 4570-2014. Конфеты. Общие технические условия. Москва, Стандартинформ.
- ხეცურიანი, გ., ხუციძე, ც. 2022. შაქროვანი ნაწარმის ტექნოლოგია და ხარისხი. ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდური მითითებები. ქუთაისი. გამომც. ინდ.მეწარმე „მარიამ იობაძე“.
- RoBeRtA O SAntoS, Simone C Trindade, LuAnA H Maurer, AndrieLy M Bersch, Claudia K Sautter, Neidi G. Penna. 2016. „Physicochemical, antioxidant and sensory quality of brazilian blueberry wine”. *Anais da Academia Brasileira de Ciências*, 88, 1557-1568. DOI: [10.1590/0001-3765201620140491](https://doi.org/10.1590/0001-3765201620140491)
- Rolf Nestby, David, Percival, Inger Martinussen, Nina Opstad, Jens Rohloff. 2011. “The European blueberry (*Vaccinium myrtillus* L.) and the potential for cultivation.” *European Journal of Plant Science and Biotechnology*. #5, 2011:5-16.
- Skrovankova, S., Sumczynski, D., Mlcek, J., Jurikova, T., & Sochor, J. 2015. “Bioactive compounds and antioxidant activity in different types of berries”. *International journal of molecular sciences*, 16(10), 24673-24706.
- Polska Borowka sp.z.o.o. 20. 03. 2024. <http://www.polskaborowka.eu/ka/>
- Рецептуры на конфеты и ирис. 1971. М.: Пищевая промышленность.
- Черника - польза и вред для организма. 20. 03. 2024. <https://fitomarket.com.ua/fitoblog/chernika-polza-i-vred-dlja-organizma>

Food Science

A new assortment of functional fruit-jelly candies on a blueberry basis

Gulnara Khetsuriani

gulnara.khetsuriani@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.05>

Improvement in the nutritive value of food products by using local plant raw materials containing natural biologically active substances is a highly relevant and important issue. Due to the fact that the nature of Georgia is characterized by the diversity of medicinal plant raw materials, their targeted application to improve human health is becoming increasingly important today. Among the population, sugary confectionery products and various assortments of candies are particularly popular; therefore, it is very important to develop the technology of a new range of fruit-jelly candies for therapeutic-prophylactic and functional purposes using local plant raw materials rich in biologically active substances. To that end, we chose the blueberry common in Georgia and prepared a fruit-jelly candy with the semi-finished product obtained from it. The results of the research proved that products in which 50% of apple puree is replaced with blueberry and, besides, citric acid, citrus essence, and colorant are removed from the recipe have the best organoleptic and physico-chemical characteristics.

Keywords: blueberry puree; fruit-jelly candy; technological parameters; organoleptic and physico-chemical characteristics.

Introduction. In recent years, the market has seen an increasing demand for functional confectionery products. Their quality is assessed by targeted physiological action, high nutritional value, and appropriate taste properties.

Local plant raw materials are currently attracting a lot of interest in the food industry because they are the best source of natural, biologically active substances. The use of such resources allows for the production of new products with high nutritional value, proper organoleptic characteristics, and preventive properties.

Sugar confectionery goods have been and still are highly demanded products. Candy products are one of the important groups, which in turn are distinguished by their diversity, so our choice in favor of creating a new functional product from this range is not accidental.

Fruit-jelly candy is low-calorie compared to other assortments, so demand for

this product has been growing. Depending on demand, it is possible to expand its range by using new local raw materials. Blueberry was selected as such a raw material.

Blueberry culture was introduced to Georgia at the beginning of the century, and its industrial production began in 2019. It was cultivated especially intensively in Guria, Adjara, and Samegrelo. According to industry experts, by 2027, blueberry production will have increased to 25 million kg (from 4 million kg in 2023). Currently, 90% of the harvest is exported to various countries around the world, especially Great Britain, the Netherlands, Poland, etc.

There are about one hundred species of bilberry (*Vaccinium*). In Georgia, there are primarily four species: mountain bilberry, blueberry, red bilberry, and Caucasian bilberry.

Blueberry is an extremely useful plant. Berries contain proteins, fats, carbohydrates, ash, water, tannins, organic acids (citric, malic, amber, lactic, etc.), as well as C and B group vitamins, fats, and proteins.

Berries contain more antioxidants than any other fruit or vegetable. Studies have shown that it can block cancer cells and prevent them from multiplying. Therefore, blueberries can be used for cancer prevention. Blueberry increases the acidity of gastric juice, improves digestion, and normalizes metabolism. Due to the content of pectins, blueberries remove toxins from the intestines. Blueberry is an excellent natural antiseptic and antibiotic. Thanks to this, it is used for coughing and various throat diseases. Blueberries and drinks on their basis are used to prevent blood clots and myocardial infarction. Due to the content of anticoagulants, this fruit reduces blood clotting ability. It has strong bactericidal and antiviral properties. It helps to remove toxins from the body and strengthens immunity.

Bilberries are rich in micro- and macro-elements: manganese, potassium, phosphorus, sulfur, copper, zinc, and chromium, A, C, PP and B group vitamins, essential oils, and tanning substances. Bilberry fruit contains sugars (glucose and fructose). The iron contained in berries is fully absorbed by the body. It contains especially large amounts of anthocyanins. Bilberry anthocyanins are used as natural food colorants. Polyphenolic compounds give bilberries their bluish/black color and high antioxidant activity (Skrovankova ... 2015).

We determined the organoleptic and physico-chemical indicators of the quality of the control and test samples in accordance with the requirements of the existing standard for the mentioned products (GOST 4570-2014. 2015).

Purpose and objectives of work. The purpose of work is to expand the range of fruit-jelly candy with high nutritional value for functional purposes using blueberry fruits, for which:

გ. ხეცურიანი

1. We studied the possibility of including blueberries in the fruit-jelly candy recipe in order to expand the range of functional candy;
2. We determined the form and optimal dosage of blueberry semi-finished product to be added to the fruit-jelly candy recipe;
3. We developed the recipe and technology for a new range of fruit-jelly candies with functional purposes;
4. We studied the influence of recipe ingredients and technological parameters on the organoleptic and physico-chemical indicators of the quality of a new range of fruit-jelly candies.

Materials (object of research) and methods. Studies were conducted in the laboratories of the Department of Food Technologies at Akaki Tsereteli State University. As the objects of study, we selected: blueberries common in western Georgia and semi-finished product from them in the form of puree; fruit-jelly candy “Volga-Volga” made according to the traditional recipe (control sample) [Recipes for candies and toffee., 1971], three test samples prepared with the addition of blueberry puree: 1- 25% of the apple puree provided by the recipe was replaced with blueberry puree, 2 - 50% of the apple puree was replaced with blueberry puree, 3 - 75% of the apple puree was replaced with blueberry puree. At the same time, during the preparation of all test samples, we removed citric acid, citrus essence, and colorant from the recipe.

Results and their discussion. In order to preserve the beneficial properties of blueberry fruit as much as possible, we placed selected and cleaned blueberry fruits in a blender and prepared raw blueberry puree in the form of a homogeneous mass in laboratory conditions.

To assess the quality of raw materials, semi-finished products, and finished products, we used both generally accepted and special research methods (Khetsuriani, Khutsidze 2022).

We prepared a control sample of fruit-jelly candy “Volga-Volga” (Recipes ... 1971) and test samples of fruit-jelly candy, during the preparation of which we replaced the apple puree with the blueberry puree that we prepared in the proportion indicated above. At the same time, during the preparation of the control samples, we removed the colorant, citrus essence, and citric acid from the recipe.

We prepared the candy mass for the control sample in the following order:
1. Preparation of sugar-molasses-agar syrup, for which we dissolved the agar specified in the recipe in the fourfold amount of water, added sugar and molasses, and then we boiled the syrup to 78-80% dry matter content; 2. Adding a mass of fruit puree that was prepared in advance and a sugar mixture to the obtained sugar-molasses-agar syrup; 3. Mixture tempering; molding in the form of layer and keeping until the jelling is complete. 4. Cutting the obtained layer according to the

size of the candy case and icing it with a coating chocolate. We left part of the candy mass without icing for analysis.

In order to determine the optimal amount of raw blueberry puree that we selected, we prepared all three versions of the test sample in a similar order, with the difference that we replaced 25, 50 and 75% of the apple puree with raw blueberry puree that we prepared in advance. Taking this into account, we removed the citrus essence, colorant and citric acid from the recipe. We molded the tempered masses in the form of layer and waited until the jelling is complete. We cut the obtained samples to the size of the candy case. We left the candy case samples for analysis without icing.

We checked the organoleptic and physico-chemical parameters of the obtained samples in accordance with the existing standard 4570-2014 (GOST 4570-2014).

The experiment has established that the second test sample, in which 50% of apple puree was replaced with blueberry puree, has the best organoleptic characteristics, in particular taste, smell, color, consistency, and structure.

We determined the physico-chemical indicators of the quality of the control and test samples in accordance with the standard (4570-2014).

It has been established that the physico-chemical indicators of the test samples of the developed products correspond to the indicators specified in the standard.

Conclusion. Based on the results of our research, we can draw the following conclusion:

It is best to include blueberries in the fruit-jelly candy recipe in the form of a raw, homogeneous puree to ensure maximum preservation of the nutritional value and beneficial properties of the blueberry fruit.

The analysis of the organoleptic and physico-chemical indicators of the test samples shows that the sample in which 50% of the apple puree was replaced with raw blueberry puree has better characteristics. At the same time, it should be noted that with the addition of blueberry puree, it is possible to completely remove colorant, citric acid, and citrus essence from the recipe of the control sample.

Based on the obtained results, the range of fruit-jelly candies that we developed with the addition of raw blueberry puree can be attributed to natural and, at the same time, functional food products useful for humans.

სურსათმცოდნეობა

საქართველოში მოშენებული მწერის კვერცხის სამომხმარებლო
თვისებები და ხარისხის ზოგიერთი მაჩვენებლის გამოკვლევა

დოდო თავდიშვილი

dodo.tavdidishvili@atsu.edu.ge

მანანა ფხაკაძე

manana.pkhakadze@atsu.edu.ge

თამთა ჯღამაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.06>

განხილულია მწერის კვერცხის კვებითი ღირებულება, ქიმიური შედგენილობა, გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, დიეტურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ კვებაში ჩართვის მიზანშეწონილობა. შესწავლილია საქართველოში მოშენებული სხვადასხვა ჯიშის მწერის კვერცხის ხარისხის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები, გაანალიზებულია სხვადასხვა კლასის კვერცხის განმასხვავებელი ნიშნები. გამოკვლეულია კვერცხის მორფოლოგიული თვისებები, დადგენილია კვერცხის ცილის, კვერცხის გულის და ნაჭუჭის გამოსავლიანობა და ერთმანეთთან თანაფარდობა, კვერცხის ცილის და გულის pH და რეფრაქციის კოეფიციენტი, რაც სხვა მაჩვენებლებთან ერთობლიობაში მიუთითებს ყველა გამოსაკვლევი ჯიშის მწერის კვერცხის მაღალ ხარისხზე და შეესაბამება მწერის კვერცხისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

საკვანძო სიტყვები: მწერის კვერცხი, ხარისხის მაჩვენებლები, ოვოსკოპია, მორფოლოგიური შედგენილობა.

შესავალი. მოსახლეობის უზრუნველყოფა უსაფრთხო და მაღახარისხოვანი ცხოველური წარმოშობის მრავალფეროვანი პროდუქციით დღევანდელი მეტად აქტუალური პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს საკვების წარმოებაში ახალი სახის სრულფასოვანი ნედლეულის ჩართვას. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს მეფრინველეობის სწრაფად და დინამიურად განვითარებადი დარგის - მემწყერეობის გადამუშავების პროდუქტები.

მწერის კვერცხის და ხორცის ფართო გამოყენება განპირობებულია შეუცვლელი ნუტრიენტების კარგად დაბალანსებული შემცველობით, შეთვისების მაღალი უნარით, დიეტურ და სამკურნალო-

პროფილაქტიკურ კვებაში ჩართვის მიზანშეწონილობით. მათი მოხმარების უკუჩვენება შეიძლება იყოს პროდუქტის ინდივიდუალური აუტანლობა (თავდიდიშვილი 2023: 4, Данилова 2014: 5).

მწერის კვერცხი აღიარებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსის ბუნებრივ წყაროდ და ძვირფას სამკურნალო პროდუქტად (Tolik 2014: 5, Ekpo 2021:14).

მწერის კვერცხი ცნობილია უძველესი დროიდან. ინფორმაცია მასზე ნაპოვნი ეგვიპტურ პაპირუსებსა და ჩინური მედიცინის რეცეპტებში. 300 წლის წინათ კი ჩინელმა მეცნიერმა და ექიმმა ლი ში ვუშენმა მიუთითა მის სასარგებლო თვისებებზე, რაც შემდგომში დადასტურდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით. იაპონიაში მას უწოდებენ „ჟენშენი ნაჭუჭში“. იაპონელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მწერის კვერცხი გამოდევნის ორგანიზმიდან რადიონუკლიდებს და დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმის მრავალ ფუნქციაზე. ამიტომ ის მოსწავლეთა კვების რაციონშიც შეიტანეს (Соловьев 2018: 27).

მწერის კვერცხის გამოყენება რეკომენდირებულია დიეტოთერაპიაში, ბრონქული ასთმის, ქრონიკული პნევმონიის, მწვავე და ქრონიკული გასტრიტის, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების დაავადებების, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის, რაქიტის, ძვლების მოტეხილობების და ანემიის სამკურნალოდ, სტრესის და დეპრესიის დროს. მწერის კვერცხი ასევე ასუფთავებს სისხლს, ზრდის ჰემოგლობინს და ახდენს არტერიული წნევის ნორმალიზებას (Ekpo 2021:14).

დადგენილია, რომ მწერის კვერცხი სასარგებლოა როგორც მოზარდი ორგანიზმისთვის, ასევე ხანდაზმულთა, ფეხმძიმე ქალების, მემძღვრის დედების, სპორტსმენების, ფიზიკური შრომით დაკავებულ პირთა კვებაში. მისი გამოყენების უკუჩვენებაა - პროდუქტის ინდივიდუალური აუტანლობა.

მწერის კვერცხის სასარგებლო თვისებები განპირობებულია მისი მაღალი კვებითი ღირებულებით. ის გამოირჩევა A, D, E და B ჯგუფის ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების, ამინომჟავების და ოქსიდანტების მაღალი შემცველობით. ასე, ხუთი მწერის კვერცხი, რომელიც მასით ერთი ქათმის კვერცხს უტოლდება, დაახლოებით შეიცავს 4,5-ჯერ მეტ რკინას და კალიუმს, 5-ჯერ მეტ კალიუმს და 2,5-ჯერ მეტ B₁ და B₂ ვიტამინებს. მასში ასევე, მნიშვნელოვნად მეტია A ვიტამინის, კობალტისა და სპილენძის რაოდენობა. მწერის კვერცხის ცილა შეიცავს ყველა შეუცვლად ამინომჟავას, კარგი თანაფარდობითაა მასში ცხიმოვანი (Tanasorn Tunsaringkarn 2013: 8, Ekpo 2021: 14).

მწერის კვერცხი ქათმის კვერცხთან შედარებით უფრო მდგრადია ინფექციებისადმი, რადგან მასში არსებული ბაქტერიციდული

დ. თავიდაშვილი, მ. ფხაკაძე, თ. ჯღამაძე

ნივთიერების ლიზოციტის მაღალი კონცენტრაცია ხელს უშლის არასასურველი მიკროფლორის განვითარებას და ანადგურებს მიკრობებს, მათ შორის სალმონელოზის ბაქტერიებს ან აფერხებს მათ მოქმედებას. ამასთან ერთად, სასოფლო სამეურნეო ფრინველებს შორის მწყერი გამოირჩევა ყველაზე მაღალი სხეულის ტემპერატურით და ეს თვისება იცავს მას ინფექციური დაავადებებისაგან (Mostafa 2019: 17).

ლიტერატურული მონაცემებიდან ცნობილია, რომ სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა მწყერის კვერცხის ნაჭუჭიც, რომელიც 90%-მდე შედგება ადვილად შესათვისებელი კალციუმის კარბონატისაგან. მის შედგენილობაში ასევე შედის მანგანუმი, რკინა, ფტორი, ფოსფორი, თუთია, სილიციუმი, მოლიბდენი და სხვ (Гогуნიш 2015: 3).

დღევანდელი ცხოვრების რეალობა კვების საწარმოების მიერ დამზადებულ პროდუქტებში საკვები დანამატების და კონსერვანტების არსებობა, რაც მეტწილად უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. მათ ზემოქმედებას უდავოდ შეანელებს მენიუში და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დიეტებში მწყერის კვერცხის შეტანა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოკვლევები, რომელთა შედეგად შესწავლილი იქნება მწყერის კვერცხის სამომხმარებლო თვისებები საკვები პროდუქტების წარმოებაში გამოყენების მიზნით, აქტუალურია და წარმოადგენს პრაქტიკულ ინტერესს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მოშენებული სხვადასხვა ჯიშის მწყერის კვერცხის ხარისხის მაჩვენებლების და მორფოლოგიური თავისებურებების გამოკვლევა.

კვლევის ობიექტები და მეთოდები. კვლევები ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების დეპარტამენტის ლაბორატორიებში. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოში მოშენებული ფარაონის, მანჯურიული და იაპონური ჯიშის მწყერის კვერცხი.

მწყერის კვერცხის ორგანოლექტიკურ და მორფოლოგიურ მახასიათებლებს ვსაზღვრავდით არსებული სტანდარტების მიხედვით. ანალიზისათვის ვიღებდით თითოეული სახის ჯიშის მწყერის 30 ცალ კვერცხს (სულ 90 ცალს) დადებიდან სამი დღის შემდეგ.

კვერცხის სიახლეს და შესაბამისად მის კლასს ვადგენდით საჭაერო კამერის მდგომარეობისა და სიმაღლის, კვერცხის გულის მდგომარეობის, კვერცხის ცილის სიმკვრივის და ფერის გათვალისწინებით; კვერცხის სუნს ვსაზღვრავდით ორგანოლექტიკურად.

კვერცხის ნაჭუჭის სისუფთავეს ვადგენდით ვიზუალურად, კაშკაშა სინათლის ქვეშ; ნაჭუჭის სისქეს ვზომავდით მიკრომეტრით სიზუსტით 1მკმ-მდე.

კვერცხის მასას ვადგენდით კვერცხის აწონვით. ასაწონად გამოვიყენეთ RADWAG მარკის ელექტრო სასწორი; კვერცხის ცილის სიმკვრივეს და ფერს ვსაზღვრავდით ვიზუალურად, კვერცხის ცილის და გულის pH - უნივერსალური ინდიკატორის ქალაღდით, რეფრაქციის კოეფიციენტს - LICHEN მარკის რეფრაქტრონეტრზე.

კვერცხის საჭაერო კამერის მდგომარეობას, მის სიმაღლეს, ასევე, კვერცხის გულის მდგომარეობას და ნაჭუჭის მთლიანობას ვადგენდით OH-10 მარკის ოვოსკოპის საშუალებით.

ცდებს ვატარებდით სამჯერადი განმეორებით. მიღებული შედეგები დამუშავებულია მათემატიკური მეთოდების გამოყენებით.

კვლევის შედეგები და ანალიზი. გამოსაკვლევი ჯიშების მწყრის კვერცხის ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს ვაფასებდით როგორც კვერცხის გარეგნული სახის, ფერის და გემოს, ასევე მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

მწყრის კვერცხის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების შეფასების შედეგები წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1. მწყრის კვერცხის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

მაჩვენებლები	მწყრის ჯიშები			სტანდარტთან შესაბამისობა
	ფარაონი	მანჯურიული	იაპონური	
გარეგნული სახე: ნაჭუჭის მდგომარეობა,	ფარაონის და იაპონური ჯიშის მწყრის კვერცხის ნაჭუჭი სუფთაა, დაუზიანებელი, ჩაღრმავებების გარეშე, არ აქვს სისხლის და ექსკრემენტის ლაქები; მანჯურიული ჯიშის მწყრის კვერცხის 10% დაბინძურებულია			შეესაბამება
ნაჭუჭის ფერი	ღია ყვითელი დამახასიათებელი მუქი ლაქებით; შიდა მხრიდან აქვს ღია ცისფერი ელფერი			შეესაბამება
ცილის ფერი	გამჭვირვალე			შეესაბამება
სუნი	მწყრის კვერცხისათვის დამახასიათებელი, არ აქვს გარე სუნი			შეესაბამება
გემო	მწყრის კვერცხისათვის დამახასიათებელი, არ დაკრავს გარეშე გემო			შეესაბამება

1-ელი ცხრილის მონაცემები მეტყველებს ფარაონის და იაპონური ჯიშის მწყრის კვერცხის ნიმუშის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების

დ. თავიდაშვილი, მ. ფხაკაძე, თ. ჯღამაძე

შესაბამისობაზე სტანდარტით წაყენებულ მოთხოვნებთან. რაც შეეხება მანჯურიული ჯიშის კვერცხის დაბინძურებულ 10%-ს, მათზე სისხლის ლაქები აღინიშნებოდა ნაჭუჭის ზედაპირის არა უმეტეს 1/8 ნაწილზე, რაც სტანდარტებით დასაშვებია და გავლენას ახდენს მხოლოდ კვერცხის კლასზე (ГОСТ 3165 -2012. 2013:9).

მწყრის კვერცხის ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგები ასახულია ცხრილში 2.

მაჩვენებლები	სტანდარტით		მწყრის ჯიში		
	დიეტური	სასადილო	ფარაონი	მანჯურიული	იაპონური
	გამოსაკლავი კვერცხის კლასი				
კვერცხის მასა, გ-ში	არანაკლებ 10 გ	არანაკლებ 10 გ	13,87* 138,66**	14,82* 148,21**	11,52* 115,2**
საჭაერო კამერის მდგომარეობა და სიმაღლე	უმომრავო, არა უმეტეს 2 მმ	უმომრავო, არა უმეტეს 3 მმ	დიეტური	90 % დიეტური; 10%-სასადილო	დიეტური
კვერცხის გულის მდგომარეობა	მყარი, ოდნავ ხილვადი, მაგრამ კონტურები არ ჩანს, გული იმყოფება ცენტრში, არ მოძრაობს	მყარი, ოდნავ ხილვადი, გული უმნიშვნელოდ მოძრაობს	შეესაბამება დიეტურ კვერცხს	90 % - დიეტური; 10% სასადილო	შეესაბამება დიეტურ კვერცხს
კვერცხის ცილის სიმკვრივე და ფერი	მკვრივი, ღია, გამჭვირვალე	არასაკმარისად მკვრივი, ღია, გამჭვირვალე	მკვრივი ღია, გამჭვირვალე	90 % - დიეტური; 10% სასადილო	მკვრივი, ღია, გამჭვირვალე

* -1 ცალი კვერცხის მასა;

** -10 ცალი კვერცხის მასა

მწყრის კვერცხი, ქათმის კვერცხისაგან განსხვავებით, არ იყოფა კატეგორიებად. შენახვის ვადების მიხედვით არსებობს მწყრის კვერცხის 2 კლასი: დიეტური და სასადილო. გარდა ამისა, კვერცხის კლასის დადგენა შეიძლება სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც: საჭაერო კამერის მდგომარეობის და სიმაღლის, კვერცხის გულის

მდგომარეობის, კვერცხის ცილის სიმკვრივის და ფერის გათვალისწინებით.

მე-2 ცხრილის მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ ფარაონის და იაპონური ჯიშის მწყერის ყველა კვერცხის სიმაღლე 2 მმ ფარგლებშია, გული - მყარი კონსისტენციისაა და იკავებდა კვერცხის ცენტრალურ ნაწილს, ხოლო ცილა - მკვრივი, ღია და გამჭვირვალე. ამ მაჩვენებლების მიხედვით ისინი მიეკუთვნება დიეტურ კვერცხს, რომლის შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 11 დღეს.

მანჯურიული ჯიშის მწყერის კვერცხის საერთო რაოდენობის 90% იყო დიეტური, ხოლო 10% შეესაბამებოდა კვერცხის სასადილო კლასს, რომლის შენახვის ვადა სტანდარტით არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს (მაცივარში შენახვისას 90 დღეს).

ხვადასხვა ჯიშის მწყერის კვერცხის მორფოლოგიური მახასიათებლები წარმოდგენილია მე-3 ცხრილსა და პირველ ნახაზზე.

ცხრილი 3. მწყერის კვერცხის მორფოლოგიური მახასიათებლები

კვერცხის მახასიათებლები	მწყერის ჯიშები		
	ფარაონი	მანჯურიული	იაპონური
კვერცხის მასა, გ	13,67	14,02	11,52
კვერცხის ცილის მასა, გ	8,02	8,10	6,65
კვერცხის გულის მასა, გ	4,40	4,58	3,70
კვერცხის ცილის თანაფარდობა კვერცხის გულის მასასთან	1,82	1,77	1,80
ნაჭუჭის მასა, გ	1,25	1,34	1,17
ნაჭუჭის სისქე, მმ	0,22	0,22	0,23
ბლაგვი ბოლო	0,20	0,20	0,20
წვეტიანი ბოლო	0,23	0,22	0,22

მე-3 ცხრილის მონაცემები მეტყველებს, რომ კვლევისთვის აღებული სხვადასხვა ჯიშის მწყერის კვერცხებს შორის ყველაზე დიდი მასით გამოირჩევა მანჯურიული ჯიშის მწყერის კვერცხი, შემდეგ მოდის ფარაონის და იაპონური ჯიშის კვერცხი. კვერცხის გულის ფერის მხრივ არსებითი სხვაობა გამოსაკვლევ ნიმუშებს შორის არ გამოვლინდა.


დ. თავიდაშვილი, მ. ფხაკაძე, თ. ჯღამაძე

მანჯურიული ჯიშის მწერის კვერცხის ფორმა ოდნავ წაგრძელებულია, ფარაონის და იაპონური ჯიშის მწერის კვერცხის კი - მომგვრალეული.

კვერცხის ცილისა და გულის თანაფარდობა, რომელიც მის საერთო მასასთან ერთად განსაზღვრავს კვერცხის კალორიულობას, 1,77-1,82 ფარგლებშია.

ფარაონისა და მანჯურიული ჯიშის მწერის კვერცხის ნაჭუჭის სისქე ერთმანეთისგან არ განსხვავდება, ხოლო იაპონური ჯიშის კვერცხის სისქე მათზე 4.54%-ით მეტია.

კვერცხის ცილის, გულის და ნაჭუჭის პროცენტული შემცველობა გამოსაკვლევე ჯიშის მწერის კვერცხში ასახულია ნახ. 1-ზე. კვერცხის მასასთან შეფარდებით მათი თანაფარდობა შემდეგია: ფარაონის ჯიშის კვერცხში - 1:0,55:0,16, მანჯურიული ჯიშის კვერცხში - 1:0,56:0,16, იაპონური ჯიშის კვერცხში - 1:0,56:0,17.



ნახ. 1. სხვადასხვა ჯიშის მწერის კვერცხის მორფოლოგიური შედგენილობა, %.


მიღებული მონაცემები მწერის კვერცხის მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე თანხვედრაშია ლიტერატურაში არსებულ შესაბამის მონაცემებთან (Lukanov 2019: 7, Đukić-Stojčić Mirjana 2012: 7).

კვერცხის ცილის და გულის რეფრაქციის კოეფიციენტი (ცხრილი 4) მწერის კვერცხის ყველა გამოსაკვლევ ნიმუშში ნორმის ფარგლებშია.

ცხრილი 4. მწყრის კვერცხის ცილის და გულის რეფრაქციის კოეფიციენტები

მწყრის კვერცხი	მაჩვენებლები	
	კვერცხის ცილის რეფრაქციის კოეფიციენტი	კვერცხის გულის რეფრაქციის კოეფიციენტი
ფარაონის ჯიშის მწყრის კვერცხი	1,348	1,408
მანჯურიული ჯიშის მწყრის კვერცხი	1,354	1,386
იაპონური ჯიშის მწყრის კვერცხი	1,356	1,394

მწყრის კვერცხის კულინარული თვისებები და მათი შენახვის უნარი დიდწილად დაკავშირებულია წყალბადის იონების კონცენტრაციასთან pH-თან.



ნახ.2. კვერცხის ცილის და გულის pH.

მე-2 ნახაზზე ჩანს, რომ ყველა ჯიშის კვერცხის ცილას აქვს ტუტე რაქცია, ხოლო კვერცხის გულს - მჟავე. კვერცხის გულის ტუტე რეაქცია მიუთითებს მის ბაქტეროციდულ თვისებებზე. შენახვის პროცესში მწყრის კვერცხი სწრაფად „ბერდება“, ცილის წყალბად-იონების კონცენტრაცია მცირდება, გულისა კი - იზრდება (Авдошина 2015: 5).

დ. თავიდაშვილი, მ. ფხაკაძე, თ. ჯღამაძე

ჩვენ მიერ მიღებული კვლევის შედეგები შეავსებს ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს სხვადასხვა ჯიშის მწყრის კვერცხის ხარისხობრივ და მორფოლოგიურ მაჩვენებლებზე.

დასკვნები. განსაზღვრულია საქართველოში მოშენებული, სხვადასხვა ჯიშის მწყრის კვერცხის ორგანოლეპტიკური და მორფოლოგიური მაჩვენებლები.

1. დადგენილია, რომ კვერცხის ფორმა დამოკიდებულია მასაზე: პატარა ზომის კვერცხის ფორმა მომრგვალოა, დიდი ზომის - წაგრძელებული.

2. დადასტურებულია, რომ დიეტურ კვერცხს გააჩნია საკმაოდ მაღალი, მკვრივი ცილა და ოდნავ ხილვადი მაღალი სიმაღლის გული, რაც მიუთითებს კვერცხის სიახლეზე.

3. განსაზღვრულია კვერცხის მორფოლოგიური მაჩვენებლები. ცილის, და გულის ხვედრითი წილი 1,77 -1,82 ფარგლებშია. ცილის, გულის და ნაჭუჭის თანაფარდობა მასის მიხედვით ფარაონის ჯიშის კვერცხში 1:0,55:0,16 ტოლია, მანჯურიული ჯიშის კვერცხში - 1:0,56:0,16, იაპონური ჯიშის კვერცხში - 1:0,56:0,17.

4. განსაზღვრულია კვერცხის ცილის და გულის pH და რეფრაქციის კოეფიციენტი, რაც სხვა მაჩვენებელთან ერთობლიობაში მიუთითებს ყველა გამოსაკვლევი ჯიშის მწყრის კვერცხის მაღალ ხარისხზე და შეესაბამება მწყრის კვერცხისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ლიტერატურა

- თავდიდიშვილი, დოდო, მანანა ფხაკაძე, თამთა ჯღამაძე. 2023. „საქართველოში მოშენებული მწყრის ხორცის ქიმიური შედგენილობის და სტექნოლოგიური თვისებების შესწავლა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. #2, 2023.
- Dukić-Stojčić Mirjana, Milošević N., Perić L., Jajić I., Tolimir N. 2012. „Egg quality of Japanese quail in Serbia (*Coturnix coturnix japonica*).” *Biotechnology in Animal Husbandry*. 28(3), 2012:425-431. DOI:10.2298/BAH1203425D
- Ekpo Kotchikpa Justin, Diantom Agoura Joseph, Glago Jean, Osseyi Eलो Germain, Dossou Joseph, Karou D. Simplicite, 2021. Quail (*Coturnix japonica*) eggs composition, properties and processing for preservation: A review. *International Journal of Agronomy and Agricultural (IJAAR)* ISSN: 2223-7054. Vol. 19, No. 5, p. 60-73.
- Lukanov, H., A. Genchev, P. Kolev. 2019. “EGG QUALITY TRAITS IN WG, GG AND GL JAPANESE QUAIL POPULATIONS H”. *Trakia Sciences*, No1, 2019: 49-55. doi:10.15547/tjs.2019.01.008.

- Mostafa, A. Ali and Amany A. Abd El-Aziz. 2019. "A Comparative Study on Nutritional Value of Quail and Chicken Eggs". *Journal of Research in the Fields of Specific Education*. Volume 5, No. 22. 2019: 39-56. DOI:10.21608/jedu.2019.73533
- Tolik, D., E. Poławska at al. 2014. "Characteristics of egg parts, chemical composition and nutritive value of Japanese quail eggs-a review". *Folia biologica*. Krakow. V.62, No.4, 2014: 287-292. DOI:10.3409/FB62_4.287
- Tanasorn Tunsaringkarn, Wanna Tungjaroenchai, Wattasit Siriwong. 2013. „Quail egg benefits (Cortunix japonica) eggs“. *Int. J. Sci. and Res*. Volume 3, Issue 5, 2013: 1-8. ISSN 2250-3153.
- Авдошина, О.М. [и др.]. 2015. Сравнительный анализ морфометрических и биохимических показателей перепелиных яиц // *Успехи современной науки и образования*. №5. 2015: 25 - 29.
- Голубов, И.И., Ю.А. Молчанов. 2015. Расширение возможностей углубленной переработки яиц // *Птицеводство*, № 7, 2015: 49 – 51.
- ГОСТ 31655 -2012. 2013. ЯЙЦА ПИЩЕВЫЕ (индюшине, цесарине, перепелине, страусине). Технические условия. Москва: Стандартиформ.
- Данилова, Л.В., Кучнов П.В. 2014. Мясо перепелов для производства продуктов питания // *Аграрная наука в XXI века: проблемы и перспективы*. Саратов. С. 313-315.
- Соловьев, Н.А., Семенченко, С.В., 2018. *Особенности ветеринарно-санитарно экспертизы продукции перепеловодства*. Россия: Донской государственный аграрный университет.

Food Science

Investigation of some quality indicators of quail eggs bred in Georgia

Dodo Tavdidishvili

Dodo.Tavdidishvili@atsu.edu.ge

Manana Pkhakadze

Manana.Pkhakadze@atsu.edu.ge

Tamta Jgamadze

tamta.jgamadze@gmail.com

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.06>

The article discusses the nutritional value and chemical composition of quail eggs, their effect on the human body, and the feasibility of including them in dietary therapeutic and preventive nutrition. The organoleptic indicators of the quality of quail eggs of different breeds bred in Georgia were studied, and the distinguishing features of different classes of eggs were analyzed. The morphological properties of the egg were investigated, the yield and ratio of egg albumin, yolk, and shell, and the pH and refraction coefficient of egg albumin and yolk were determined, which, with other indicators, indicate the high quality of quail eggs of all test breeds and comply with the requirements for quail eggs.

Keywords: quail eggs, quality indicators, ovoscope, morphological composition.

Introduction. The provision of the population with safe and high-quality, diverse products of animal origin is now a very urgent issue, the solution of which requires the inclusion of new types of complete raw materials in food production. In this regard, attention is paid to the processing products of rapidly and dynamically developing branch of poultry farming, such as quail farming.

The widespread use of quail eggs and meat is due to the well-balanced content of essential nutrients, their high absorption capacity, and the feasibility of including them in dietary therapeutic and preventive nutrition. A contraindication to their use may be individual intolerance of the product.

Quail eggs are recognized as a natural source of a complex of biologically active substances and a valuable medicinal tool.

Quail eggs have been known since ancient times. Information about quail eggs is found in Egyptian papyri and recipes of Chinese medicine. 300 years ago, the Chinese scientist and doctor Li Shi Wushen pointed out the useful properties of quail eggs, which were later confirmed by studies conducted in many countries

throughout the world.

In Japan, it is called “ginseng in the shell”. Japanese scientists found that quail eggs excrete radionuclides from the body and have a positive effect on a multitude of bodily functions. In addition, quail eggs has many functions, so they were also included in the diet of students.

Quail eggs are recommended for use in diet therapy, in the treatment of bronchial asthma, chronic pneumonia, acute and chronic gastritis, diseases of the gall bladder and biliary tract, cardiovascular failure, rickets, bone fractures and anemia, stress, and depression. Quail eggs also purify the blood, increase hemoglobin level and normalize blood pressure.

It is established that quail eggs are useful for the adolescent body, as well as in the nutrition of the elderly, pregnant women, nursing mothers, athletes, and people engaged in physical labor. A contraindication to its use is individual intolerance of the product.

The useful properties of quail eggs are due to their high nutritional value. It is distinguished by a high content of vitamins A, D, E and B, mineral substances, amino acids, and oxidants. Thus, five quail eggs, which are equal in weight to one chicken egg, contain approximately 4.5 times more iron and potassium, 5 times more potassium and 2.5 times more vitamins B1 and B2. It also contains significantly more vitamin A, cobalt, and copper. Quail egg albumin contains all essential amino acids, with a good proportion of fatty acids.

Quail eggs are more resistant to infections than chicken eggs, because the high concentration of the bactericidal substance lysocine therein prevents the development of unwanted microflora, and destroys microbes, including salmonellosis bacteria, or inhibits their activity.

Along with that, quail has the highest body temperature among agricultural birds, and this feature protects it from infectious diseases.

It is known from the literature that the quail egg shell, which consists of up to 90% easily digestible calcium carbonate, also has curative properties. Its composition also includes manganese, iron, fluorine, phosphorus, zinc, silicon, and molybdenum, etc.

The reality today is the presence of food supplements and preservatives in the products made by food enterprises, which largely have a negative impact on human health. Inclusion of quail eggs in the menu of therapeutic diets will undoubtedly slow down their effect.

Based on this, the studies aiming at analyzing the consumer properties of quail eggs for use in food production, are relevant and of practical interest.

The purpose of the study was to investigate the quality indicators and morphological characteristics of quail eggs of different breeds bred in Georgia.

Research objects and methods. The studies were conducted in the laboratories of the Department of Food Technology of Akaki Tsereteli State University. The object of the research was the eggs of Pharaoh, Manchurian, and Japanese quail bred in Georgia.

We determined the organoleptic and morphological characteristics of quail eggs according to the existing standards. For analysis, we took 30 quail eggs of each breed (90 eggs in total) three days after laying.

We determined the freshness of the egg and, accordingly, its class, taking into account the condition and height of the air chamber, the condition of the egg yolk, and the density and color of the egg albumin. We defined the smell of eggs organoleptically.

We determined the purity of the egg shell visually, under bright light; the thickness of the shell was measured using a micrometer with an accuracy of up to 1 μm . Then we determined the egg mass by weighing the egg. We used the RADWAG brand electric scales for weighing. The density and color of the egg albumin were determined visually, while the pH of the egg albumin and the yolk were determined using a universal indicator paper, the refraction coefficient was determined on a LICHEN brand refractometer. We determined the state of the air chamber of the egg, its height, as well as the state of the egg yolk and the integrity of the shell by means of the OH-10 brand ovoscope.

We conducted experiments three times. The obtained results have been processed using mathematical methods.

Research results and analysis. We evaluated organoleptic indicators of quail eggs of test breeds according to the appearance, color, and taste of the egg, as well as its qualitative indicators.

According to the organoleptic indicators, the samples of quail eggs of the Pharaoh and Japanese breeds fully complied with the requirements specified in the standard. 10% of Manchurian eggs were contaminated. However, blood spots were observed on no more than 1/8 of the shell surface, which is acceptable by standards and affects only the egg class (GOST 3165 -2012. 2013:9).

According to shelf life, there are 2 classes of quail eggs: dietary and dining. In addition, the grade of the egg can be determined according to other qualitative indicators: the condition and height of the air chamber, the condition of the egg yolk, the density and color of the egg albumin.

The height of all quails of the Pharaoh and Japanese breeds of quail is within 2 mm, the yolk has a solid consistency and occupies the central part of the egg, and the albumin is dense, light, and transparent. According to these indicators, they belong to dietary eggs, the shelf life of which should not exceed 11 days.

90% of the total number of quail eggs of the Manchurian breed were dietary, and 10% corresponded to the class of the dining eggs, whose shelf life should not exceed 30 days.

The examination of the morphological composition of the samples showed that among the quail eggs of different breeds, the Manchurian quail egg has the largest mass, while the Pharaoh and Japanese quail eggs have a smaller mass. In terms of the color of the egg yolk, no significant difference was detected between the test samples.

The shape of the Manchurian quail egg was slightly elongated, while the rest of the eggs of smaller sizes were oblong.

The ratio of egg albumin and yolk, which together with its total mass determines the calorie content of the egg, varies between 1.77-1.82.

The thickness of the quail egg shell of the Pharaoh and Manchurian breeds does not differ from each other, while the thickness of the egg of the Japanese breed is 4.54 % greater than them.

The ratios of egg albumin, yolk, and shell in the quail eggs of the test breeds are as follows: in the Pharaoh breed egg - 1:0.55: 0.16, in the Manchurian breed egg - 1:0.56:0.16, in the Japanese breed egg - 1:0, 56:0,17.

The obtained data on the morphological indicators of quail eggs are consistent with the data available in the literature on the qualitative properties of quail eggs.

Refractive index of the egg albumin and yolk in all quail egg samples is within the normal range.

The culinary properties of quail eggs and their ability to be stored are largely related to the concentration of hydrogen ions, or ph.

The egg albumins of all breeds have an alkwaline reaction, and the egg yolks have an acidic reaction. The alkaline reaction of the egg yolk indicates its bactericidal properties. In the process of storage, quail eggs quickly “age” and the pH of the albumin decreases, while the acidity of the yolk goes up.

The results of our research will complement the data available in the literature on qualitative and morphological indicators of quail eggs of different breeds.

Conclusions. The organoleptic and morphological indicators of quail eggs of different breeds bred in Georgia have been determined.

1. It has been established that the shape of an egg depends on its mass: the shape of a small egg is round, and the shape of a large egg is elongated.

2. It has been proven that diet eggs have a fairly high, dense albumin and a slightly visible tall yolk, which indicates the freshness of the egg.

3. The morphological indicators of the egg have been determined. The ratio of albumin and yolk is within 1.77-1.82. The ratio of albumin, yolk, and shell by

დ. თავიდაშვილი, მ. ფხაკაძე, თ. ჯღამაძე

mass ratio in the Pharaoh breed egg is 1:0.55: 0, in the Manchurian breed egg - 1:0.56:0.16, while in the Japanese breed egg, the ratio is 1:0.56:0.17.

4. The pH and refraction coefficient of the egg albumin and yolk have been determined, which with other indicators, indicate the high quality of quail eggs of all test breeds and comply with the requirements for quail eggs.

მეცნიერება მცენარეთა შესახებ

ეთერზეთოვანი მცენარეები ხვამლისა და ნაქერალას ქედების
ფლორაში

ნინო ძოჭენიძე

nino.dzotsenidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.07>

სისტემატიკურად იქნა შესწავლილი ნაქერალას და ხვამლის ქედების ფლორაში გავრცელებული ეთეროვანი ზეთების შემცველი მცენარეები. ეთერზეთების შემცველ მცენარეებს ოდითგანვე დიდი გამოყენება ჰქონდათ მედიცინასა და პარფუმერიაში, როგორც ძვირფასს ნედლეულს ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, სპაზმოლიტური, ჰიპოტენზიური, სეკრეციის გამაძლიერებელი პრეპარატების მისაღებად. საკვლევ რაიონში აღმოჩნდა ეთერზეთების შემცველი 42 სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან 19 ბოტანიკურ ოჯახსა და 39 გვარს. დომინანტი ოჯახებია: *Labiatae* (9 სახეობით) და *Cruciferae* (5 სახეობით), 21 სახეობა ბალახოვანია, 7-ბუჩქოვანი, 3-ხემცენარეა. კავკასიის ენდემია ერთი სახეობა-*Valeriana tiliaefolia*. თავად საკვლევ ტერიტორია, მიეკუთვნება კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციას, ხვამლისა და ნაქერალას ქედები გაერთიანებულია დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ტყისა და ალპურ ქვეპროვინციებში. ნაქერალას ქედი გამოყოფილია ცალკე დამოუკიდებელ ქვერაიონად რაჭის კირქვიანი ქედისა და ლეჩხუმის რაიონის ფარგლებში. ეს უკანასკნელი მოიცავს: 1. ლეჩხუმ-რაჭის დაბალმთიან ქვერაიონი 2. ნაქერალას ქვერაიონი 3. საწალიკე-ხიხათა-ლეკნარის ქვერაიონი 4. შქმერის ქვერაიონი. ნაქერალას ქვერაიონში ავტორები აერთიანებენ ნაქერალას ქედს, თავშავას მასივს, შაორის ქვაბულს. ჩვენს საკვლევ ტერიტორიაში შედის: რაჭის ქედის დასავლეთი ნაწილი, კერძოდ: თავშავა, ნაქერალა, საწალიკე, წმინდა გიორგი.

საკვანძო სიტყვები: ნაქერალა, ხვამლი, მცენარეულობა, ეთერზეთი, სახეობა.

საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციას, ა. კოლაკოვსკის მიხედვით (Колаковский 1958:177-181;1961: 310-400) ხვამლისა და ნაქერალას ქედები გაერთიანებულია დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ტყისა და ალპურ ქვეპროვინციებში. ე. სოხაძე (სოხაძე 1969:30-75) მათ აერთიანებს კოლხეთის პროვინციის ჩრდილოეთ კოლხეთის მთის ქვეპროვინციის კირქვიანების ოლქში. რ. გაგნიძე (გაგნიძე 1996:105-220) ნაქერალასა და ხვამლის მასივებს იხილავს

6. ძონენიძე

კოლხეთის პროვინციის დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ქვეპროვინციის რაჭა-ლეჩხუმის ოლქში. მორფოლოგიურად ხვამლის ზედაპირი კასტრულ ეროზიული პროცესებით დანაწევრებულ პლატოს წარმოადგენს. მისი ტოპოზედაპირის სახეს განსაზღვრავს ძაბრების, ჭებისა და ქვეშ გამდინარე წყაროს წყლების კომპლექსი, რომელთა სიღრმე მეტწილად 40-50 მეტრია, ხოლო სიგრძე რამდენიმე ათეული მეტრი. დასახელებული კარსტული წარმონაქმნები ხვამლს აძლევენ ტალღოვანდაცხრილული ზედაპირის სახეს. წვევარამებსა და უვალებს შორის არსებული წყალგამყოფები ამოზნექილი თხემებით ხასიათდება და ბრტყელ ზედაპირებს თითქმის მოკლებულია. 1700 მეტრის სიმაღლეზე არის "ბოგა-საყინულე", რომელშიც ზამთარში ჩახვეტილი თოვლი მთელი ზაფხულის განმავლობაში რჩება, აქ ტემპერატურა ნულ გრადუსზე დაბალია, შიგ ყინულის ლოლოები და ზოდებია. ხვამლის დასავლეთი მხარე ორსაფეხურიანი ციცაბო კლდეებისაგან შედგება, ეს მხარე მიუვალია, აქვს მხოლოდ ერთი შემოსასვლელი, რომელიც პირველი საფეხურის ძირას იწყება, საფეხურები თანდათან მალდება დასავლეთის მიმართულებით. დაბალი ჩრდილო ანუ ზედაცარცული კუესტა უფრო სუსტად არის დაკარსტული. ნაქერალას კირქვიანი ქედი ცალკე ბოტანიკურ გეოგრაფიულ რაიონად არის გამოყოფილი-ნაქერალას რაიონის სახელწოდებით (Колаковский 1958: 177-181). რ. გაგნიძის, ლ. კემულარია-ნათაძის მიხედვით (Гагნიძე, Кемулариа-натадзе 1986: 140-148) ნაქერალას ქედი გამოყოფილია ცალკე დამოუკიდებელ ქვერაიონად რაჭის კირქვიანი ქედისა და ლეჩხუმის რაიონის ფარგლებში. ეს უკანასკნელი მოიცავს: 1. ლეჩხუმ-რაჭის დაბალმთიან ქვერაიონი, 2. ნაქერალას ქვერაიონი 3. საწალიკე-ხიხათა-ლეკნარის ქვერაიონი 4. შქმერის ქვერაიონი. ნაქერალას ქვერაიონში ავტორები აერთიანებენ ნაქერალას ქედს, თავშავას მასივს, შაორის ქვაბულს. ჩვენს საკვლევ ტერიტორიაში შედის: რაჭის ქედის დასავლეთი ნაწილი, კერძოდ: თავშავა, ნაქერალა, საწალიკე, წმინდა გიორგი.

კლიმატური რეჟიმი ხვამლის კირქვიანი მასივის ზემო სარტყლისათვის თავისებურია, რაც დაკავშირებულია ტენის კონდენსაციასთან, რომელიც მოტანილია შავი ზღვიდან სამხრეთ დასავლეთის ქარებით. ამით აიხსნება აქ ხშირი სქელი ნისლი. ხვამლის მცენარეულობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: მასივი ძირიდან 1000მ სიმაღლეზე დაფარულია მეორადი ტყით, ხშირად ბუჩქნარებით. ტყის ძირითადი შემადგენელი სახეობებია: *Quercus pontica*, *Carpinus caucasica*, *Carpinus orientalis*, *Acer trautvetteri*, *Corylus avellana*, *Crataegus pentagyna*, *Rubus caucasicus*, *Lonicera caprifolia*, *Stafilea colchica*. სამხრეთ ფერდობებზე ადგილ-ადგილ გვხვდება მუხის ტყეები წიფლის მონაწილეობით. ზღვის დონიდან 1000მ-ის ზემოთ გვხვდება *Fagus orientalis*, რომლის როლი სიმაღლესთან დაკავშირებით

თანდათანობით იზრდება. ნაძვი და სოჭი ტყის შემადგენლობაში გვხვდება დაახლოებით ზღვის დონიდან 1300 მეტრიდან, ხოლო 1400-1500 მეტრზე ისინი ქმნიან მაღალეროვან წიფლნარ-მუქწიწვოვან ტყეებს. ზღვის დონიდან 1500 მეტრამდე ტყეში სჭარბობს *Fagus orientalis*, *Carpinus caucasica*, *Picea orientalis*, *Abies nordmanniana*, *Ulmus elliptica* ქვეტყისათვის დამახასიათებელია: *Corylus avellana*, *Daphne glomerata*, *Laurocerasus officinalis*, *Ilex colchica*, *Rubus caucasicus*, ამ სარტყელში გვიმრებიდან ცოტაა- *Pteridium tauricum* და *Dryopteris filix -mas*, არ არის *Castanea sativa*, *Rhododendron Ponticus*. ზ. დ. 1500 მეტრიდან ტყეები ღებულობენ უფრო მეზოფილურ ხასიათს, მერქნიანი მცენარეებიდან აქ ჭარბობს წიფელი, ნაძვი, ნაკლებად მონაწილეობს *Pinus sylvestris*, *Ulmus elliptica*, *Tilia begoniifolia*. გამეჩხრებულ ტყეებში გვხვდება: *Ilex colchica*, *Fragaria alnus*, *Laurocerasus officinalis*. აღმონაცენტა ფანჯრებში დამახასიათებელია: გვიმრები და *Paeonia wittmanniana*. გვიმრები ამ სარტყელში მეტია, ვიდრე ქვედაში. ტყის ზემო საზღვარი მასივის ამ ნაწილში მდებარეობს 1600-1700 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქ ტყეები იქმნება გამეჩხრებული წიფლისაგან, ნაძვებისაგან, ფიჭვებისა და მაღალმთის ნეკერჩხლისაგან. ქვეტყეში გვხვდება *Frangula alnus*, *Ribes nigrum* და *Daphne glomerata*. ალაგ-ალაგ *Taxus baccata* და *Juniperus depressa*. ტყის ზემოთ მდებარე მცენარეულობა რიგ შემთხვევაში შემორჩენილია ტყის ცალკეული მონაკვეთებით, რაც წარმოდგენილია ბუჩქებით, მდელოს მეორადი მაღალბალახეულობით. სუბალპურ სარტყელში გავრცელებულია თავისებური კლდის მცენარეები. ტყის ცალკეული მონაკვეთები აქ შემორჩენილია ციცაბო და კლდოვან ადგილებზე 1800-1900მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამ ტყის მერქნიანი მცენარეების შემადგენლობაში შედის: *Fagus orientalis*, *Pinus sylvestris* და *Picea orientalis*. ნაკლებად გვხვდება *Betula litvinowii* და *Acer trautvetteri*, ბუჩქებიდან უმეტესად წარმოდგენილია: *Daphne avelana*, *Laurocerasus officinalis*, *Frangula alnus* და *Vaccinium mirtillus*. ნაკლებადაა: *Caprifolia* *Ionicera*, *Juniperus oblonga*, *Corylus avelana*, *Crataegus pentagina* (საქართველოს ფლორა 1971-1987).

ხვამლისა და ნაქერალას ქედების ტყის კომპლექსებს ქმნის 236 სახეობა, რომელიც გართიანებულია 154 გვარში, მდელოს კომპლექსებს ქმნის 181 სახეობა, კლდეებისა და ნაშალღორღიანების ფლორის კომპლექსება 79 სახეობა, მაღალბალახეულის კომპლექსებში შედის 16 სახეობა, რუდერალურ ადგილებში გავრცელებულია 18 სახეობა (ქუთათელაძე 1962: 33-36).

ნაქერალასა და ხვამლის ქედების ფლორიდან შესწავლილი იქნა ეთერზეთოვანი მცენარეები, რომლებიც მიეკუთვნებიან 19 ბოტანიკურ ოჯახს და 42 სახეობას.

ეთერზეთების შემცველ მცენარეებს უძველესი დროიდან ფართო გამო-

6. ძონენიძე

ყენება აქვთ მედიცინაში. მათგან იღებენ ეფექტურ პრეპარატებს, რომლებსაც ახასიათებთ: სპაზმოლიტური, ჰიპოტენზიური, ამოსახველებელი, ანტიბაქტერიული და ანტივირუსული აქტივობა. მათ ასევე წარმატებით იყენებენ კოსმეტიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში. მათი გამოყენების შედეგად ჩამოყალიბდა მეცნიერება-არომათერაპია. ეთერზეთებს მხოლოდ უმაღლესი მცენარეები გამოიმუშავებენ. ეთერზეთებით განსაკუთრებით მდიდარია: ტუჩოსანთა, რთულყვავილოვანთა, ვარდისებრთა, ფიჭვისებრთა, დაფნისებრთა, ირისისებრთა ოჯახები. უფრო მეტია სუბტროპიკულ და ტროპიკულ ფლორაში. ეთერზეთები გროვდებიან მცენარის ყველა ორგანოში, უმეტესად კი-ნაყოფებში, ფოთლებსა და ფესურებში (ერისთავი 2012: 185-201).

კვლევის შედეგად დაგენილ იქნა, რომ საკვლევ რაიონში ეთერზეთოვანი მცენარეების შემდეგი ოჯახები გამოირჩევიან: Labiatae 9სახეობით და Cruciferae- 5 სახეობით. სახეობრივად კი ასე განაწილდა შესწავლილი მცენარეები:

ოჯახი-Anacardiaceae

Cotinus coggygia Scop. (Burv.) Greerinck -ფითრი

ოჯახი-Boraginaceae

Cynoglossum officinale L. Brot.-ძაღლის ენა

ოჯახი-Caprifoliaceae

Lonicera caprifolium L.-ცხრატყავა

ოჯახი-Compositae

Achillea millefolium L. - ფარსმანდუკი

Erigeron Canadensis L. Brot.-ცხენის კუდა

Inula helenium L. Hook. f. & Thomson. -კულმუხო

ოჯახი-Corylaceae

Carpinus caucasica Grossh. -კავკასიური რცხილა

Corylus avellana L.- ჩვ. თხილი

ოჯახი-Cruciferae

Alliaria petiolata (M. Bieb) Cavara & Grande- ნივრის დედა

Capsella bursa pastoris Medik.- წიწმატურა

Apidium ruderae L. -წიწმატი

Sisimbrium officinale(L.) Scop.-გონგოლა

*Thluspis arvensis*L.- ქუთქუთა

ოჯახი-Ericaceae

Rhododendron luteum Sweet.- იელი

*Rhododendron caucasicum*Pall.- დეკა

ოჯახი-Gentianaceae

Gentiana cruciata L. -ნაღველა

ოჯახი-Hypericaceae

*Hypericum perforatum*L.-კრაზანა

ოჯახი-Labiatae

Ajuga reptans Schreb.-პირწმინდა

Calamintha menthaefolia Host-მთის პიტნა

Glechoma hederacea L.- ოშოშა

Mentha longifolia (L.) Huds.- ტყის პიტნა

Mentha pulegium L.- ომბალა

Nepeta grandifolia Lapeyr.- კატაპიტნა

Origanum vulgare L.-თავშავა

Salvia glutinosa L.-შალამანდილი

Salvia verticillata L.-დაჯირა

ოჯახი- leguminosae

Coronilla varia L. -ყვავის ფრჩხილა

Melilotus officinalis (L.) Pall.-ყვითელი ძიძო

Trifolium pratense L.-წითელი სამყურა

ოჯახი-Oleaceae

Fraxinus excelsior L.-ჩვეულებრივი იფანი

Ligustrum vulgare L.-ჩვ. კვიდო

ოჯახი-Ranunculaceae

Clematis vitalba L.-კატაბარდა

Ranunculus bulbosus L.-ბაია

ოჯახი-Solanaceae

Datura stramonium L.-ლემა

ოჯახი-Tiliaceae

Tilia begoniifolia Chun & Wong-ბეგონიასფოთოლა ცაცხვი

ოჯახი- Umbelliferae

Anthriscus nemorosa Baker & S. Moore-ღრინჭოლა

Conium maculatum L.-კონიო

Daucus carota L.-ფერისცვალა

Laser trilobum Borkh. ex Gaertn.-ტყიურა

ოჯახი-Valerianaceae

Valeriana colchica Utkin. -კოლხური კატაბალახა

ოჯახი-Verbenaceae

Verbena officinalis L.-ცოცხანა

ოჯახი-Violaceae

Viola odorata L.-სურნელოვანი ია

განხილული ეთერზეთოვანი მცენარეებიდან ერთი ან ორწლოვანია 11

6. ძონენიძე

სახეობა; მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 21 სახეობა; ბუჩქია 7 სახეობა; ხე მცენარე კი-3 სახეობა.

აღნიშნული მცენარეები მიეკუთვნებიან შემდეგ გეოგრაფიულ ტიპებს: ჰოლარქტიკულს-9 სახეობა; ევროპულ-ხმელთაშუაზღვეთურს-8 სახეობა; პალეარქტიკულს-7; პანკონტინენტურს-5; ევროპულს-4; ხმელთაშუაზღვეთურს-3; კავკასიურს-2; დანარჩენი გეოგრაფიული ტიპები: ევროპულ-კავკასიურ მცირაზიური, კავკასიურ-მცირეაზიური, კავკასიურ-წინააზიური წარმოდგენილია თითო სახეობით. ერთი სახეობა-Valeriana colchica კავკასიის ენდემია (გაგნიძე 1996: 85-105).

ამ ეთერზეთოვანი მცენარეებიდან 13 სახეობას დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში.

სახეობა	ნედლეული
Achillea millefolium ფარსმანდუკი	ბალახი
Clematis vitalba კატაბარდა	ბალახი
Cotinus coggygria თრიმლი	ფოთლები
Fraxinus excelsion ივანი	ფოთლები
Gentiana cruciata ნალველა	ფესურა, ფესვები
Hypericum perforatum კრაზანა	ღერო, ფოთლები, ყვავილი
Mentha pulegium პიტნა	ფოთლები
Nepeta grandiflora კატაპიტნა	მიწისზედა ნაწილი
Inula helenium კულმუხო	ფესვი, ფესურა
Salvia glutinosa შალამანდილი	ფოთლები
Tilia begoniifolia ცაცხვი	ყვავილედი, ფოთლები
Melilotus officinalis ყვითელი ძიძო	ბალახი
Valeriana colchica კატაბალახა	ფესვი, ფესურა

ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოს ფიტოცენოზთა სისტემატიკის, ეკოლოგიის, ბიომრავალფეროვნების შესწავლისათვის. მასალა დამუშავდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ტის ბოტანიკის კაბინეტში და ინახება ამავე უნივერსიტეტის ჰერბარიუმის განყოფილებაში.

ლიტერატურა

- გაგნიძე, რევაზ, დავითაძე მურმან. 2000. ადგილობრივი ფლორა. ბათუმი.
გაგნიძე, რევაზ. 1996. მცენარეთა გეოგრაფია. თბილისი.
გაგნიძე, რევაზ. 2005. საქართველოს ფლორის კონსპექტი. ნომენკლატურული ნუსხა. თბილისი.
ერისთავი, ლინა. 2012. სამკურნალო მცენარეები. თბილისი.
საქართველოს ფლორა. 1971-1987. III-IX ტ. თბილისი.
სოხაძე, ელენე. 1969. საქართველოს კირქვიანი მთების ბოტანიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. თბილისი.
ქუთათელაძე, ალექსანდრე. 1962. „საქართველოს ენდემები იმერეთის კირქვიანების ფლორაში“. საქ. ბოტ. საზ. „მოამბე“. თბილისი.
Гагნიдзе, Р.И., Кемулария-Натадзе, Л.М. 1985. Ботаническая география флора Рача-Лечхуми. Тбилиси.
Колаковский, А.А. 1958. „Ботанико-географическое районирование Колхиды“, труды сухумского ботанического сада.
Колаковский, А.А. 1961. Растительный мир Колхиды. Москва.

Plant Science

Plants Containing Essential Oils in the Flora of Khvamli and Nakera Ridges

Nino Dzotsenidze

nino.dzotsenidze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.07>

The plants containing essential oils were systematically studied in the flora of the Khvamli and Nakerala ridges. Plants containing essential oils had been long used in medicine and perfume as precious raw materials for making antiviral, spasmolytic, hypotensive, and secretion-enhancing medications. In the study area, 42 species of aromatic plants were found belonging to 19 botanic families and 39 genera. Dominant families are as follows: Labiatae (with 9 species) and Cruciferae (with 5 species), 21 species

6. დონეები

are herbaceous, 7- bushy, 3- arboreal plants. One of the species is a Caucasian endemic – *Valeriana tiliaefolia*. The study area itself belongs to the botanical-geographical province of Kolkheti, the Khvamli and Nakerala ridges are united in the limestone forest and alpine sub provinces of Western Transcaucasia. The Nakerala Ridge is separated as a distinct, independent subregion within the borders of Racha limestone ridge and Lechkhumi district. The latter encompasses 1. Low-mountainous sub-district of Lechkhumi-Racha. 2. Nakerala sub-district 3. Satsalike-Khikhata-Leknari sub-district 4. Shkmeri sub-district. In the Nakerala sub-district, the authors combine Nakerala ridge, Tashava massif, and Shaori basin. Our research area includes the southwestern part of the Racha mountain range, in particular, Tavshava, Nakerala, Satsalike, and Saint George.

Keywords : Nakerala, Khvamli, plants, essential oils, species.

The research area belongs to the botanical-geographical province of Kolkheti. According to A. Kolakovsky Khvamli mountain is included in the limestone forest and alpine sub-provinces of Western Transcaucasia. E. Sokhadze includes it in the limestones district of the mountain sub-province of North Kolkheti in Kolkheti province. R. Gagnidze considers the Khvamli massif in Racha-Lechkhumi district of the West Transcaucasia limestone subprovince of the Kolkheti province. Morphologically, the surface of Khvamli is a plateau divided by karst erosion processes. Its topographic appearance is determined by the complex of funnels, wells and springs flowing underneath, the depth of which is mostly 40-50 m, and the length is several tens of meters. The mentioned karst formations give Khvamli a wave-shaped riddled surface. The watersheds between abysses and untrodden paths are characterized by convex ridges and are almost devoid of flat surfaces. At an altitude of 1700 meters there is a “foot-ridge ice cellar”, in which the snow shoveled in winter remains throughout the summer, the temperature here is below zero degrees, there are icicles and sticks inside. The western side of Khvamli consists of two-step steep rocks, this side is impassable, it has only one entrance, which starts at the bottom of the first step, the steps gradually rise in the west direction. The lower northern or upper cretaceous cuesta is less karstic. The climatic regime for the upper belt of the Khvamli limestone massif is peculiar, which is related to the condensation of moisture brought from the Black Sea by the southwest winds. This explains the frequent thick fog here.

The vegetation of Khvamli is represented as follows: the massif from the base to 1000 m. is covered with secondary forest, often with shrubs. The main constituent species of the forest are: *Quercus pontica*, *Carpinus caucasica*, *Carpinus orientalis*, *Acer trautvetteri*, *Corylus avellana*, *Crataegus pentagina*, *Rubus caucasicus*, *Lonicera caprifolia*, *Staphylea colchica*. On the southern

slopes, there are oak forests with some beeches. Beech (*Fagus orientalis*) can be found above 1000m. above sea level, the role of which gradually increases with height. Spruce (*Picea orientalis*) and fir-tree (*Abies nordmanniana*) can be found in the forest from about 1300 meters above sea level, and at 1400-1500 meters they form high-stemmed beech-coniferous forests. *Fagus orientalis*, *Carpinus caucasica*, *Picea orientalis*, *Abies nordmanniana*, *Ulmus elliptica* prevail in the forest up to 1500 meters above sea level. *Corylus avellana*, *Daphne glomerata*, *Laurocerasus officinalis*, *Ilex colchica*, *Rubus caucasicus* are typical for sub-forest. Among the ferns in this belt there are *Pteridium tauricum* and *Dryopteris filix-mas*. There are no *Castanea sativa*, *Rhododendron ponticum*. From 1500 meters above sea level the forest takes on a more mesophilic character, *Fagus orientalis* (*Picea orientalis*) prevails among the woody plants here, *Pinus sylvestris*, *Ulmus elliptica*, *Tilia begoniifolia* are less involved. *Ilex colchica*, *Rhamnus imeretina*, *Laurocerasus officinalis* can be found in the sparse forests. Ferns and *Paeonia macrophylla* are typical in the windows of sprouts. There are more ferns in this belt than in the lower one. The upper border of the forest in this part of the massif is located at an altitude of 1600-1700 meters above sea level. Here the forests are represented by scarcity of beech (*Fagus orientalis*), spruce (*Picea orientalis*), pines (*Pinus spp.*) and mountain maple (*Acer trautvetteri*). *Rhamnus imeretina*, *Ribes nigrum* and *Daphne glomerata* can be found in the undergrowth mixed with *Taxus baccata* and *Juniperus depressa*. In the subalpine vegetation above the forest, in some cases separate sections of the forest are preserved, which are represented by bushes, secondary high herbage of the meadow. Peculiar rock plants are common in the subalpine belt. Separate sections of the forest are preserved here on steep and rocky places at an altitude of 1800-1900 m. above sea level. Here, the woody plants of the forest include: *Fagus orientalis*, *Pinus sylvestris* and *Picea orientalis*. *Betula litwinowii* and *Acer trautvetteri* are less common, and the most common shrubs are: *Daphne mezereum*, *Laurocerasus officinalis*, *Frangula alnus* and *Vaccinium myrtillus*. Less: *Juniperus oblonga*, *Corylus avellana*, *Crataegus pentagina*.

The forest complexes of the Khvamli ridge are made up of 236 species, which are included in 154 genera, the meadow complexes are made up of 181 species, the flora complexes of rocks and sloughs are made up of 79 species, tall herbaceous complexes include 16 species, 18 species are found in ruderal areas.

Plants containing essential oils have been widely used in medicine since ancient times. Effective preparations are obtained from them, which are characterized by: spasmolytic, hypotensive, expectorant, antibacterial and antiviral activity. They were also successfully used in cosmetic and perfumery production. As a result of

6. Ժամանակ

their use, the science of aromatherapy was formed. Only higher plants produce essential oils. The following are especially rich in essential oils: the families of the Labiatae, Asteraceae, Pinaceae, Laurus, and Iridaceae families. They are more abundant in subtropical and tropical flora. Essential oils accumulate in all organs of the plant, mostly in fruits, leaves and stems. Among the studied aromatic plants, 11 species are annual or biennial; 21 species are perennial herbaceous plants; 7 species are shrubs; and 3 species are arboreal plants. The mentioned plants belong to the following geographical types: Holarctic – 9 species; European- Mediterranean – 8 species; Palearctic – 7; Pancontinental – 5; European -4; Mediterranean – 3; Caucasian – 2; Remaining geographical types: European-Caucasian-Asian Minor, Caucasian-Asian Minor, Caucasian-Pre-Asian are represented by one species each. One species - Valerianacolchica - is endemic to the Caucasus.

The studied plants were distributed in this way

Cotinus coggygia Scop. (Burv.) Greerinck ; *Cynoglossum officinale* L. Brot.; *Lonicera caprifolium* L.; *Achillea millefolium* L.; *Erigeron Canadensis* L. Brot. ; *Inula helenium* L. Hook. f. & Thomson.; *Carpinus caucasica* Grossh. ; *Corylus avellana* L.; *Alliaria petiolata* (M. Bieb) Cavara & Grande; *Capsella bursa pastoris* Medik.; *Apidium ruderae* L. ; *Sisimbrium officinale* (L.) Scop.; *Thluspi arvense* L.; *Rhododendron luteum* Sweet.; *Rhododendron caucasicum* Pall.; *Gentiana cruciata* L. *Hypericum perforatum* L.; *Ajugea chia schreb.*; *Calamintha menthaefolia* Host.; *Glechoma hederaceae* L.; *Mentha longifolia* (L.); Huds; *Mentha pulegium* L. ; *Nepeta grandifolia* Lapeyr.; *Origanum vulgare* L. *Salvia glutinosa* L.; *Salvia verticillata* L.; *Coronilla varia* L.; *Melilotus officinalis* (L.) ; Pall. *Trifolium pratense* L.; *Fraxinus excelsior* L.; *Ligustrum vulgare* L.; *Clematis vitalba* L.; *Ranunculus bulbosus* L.; *Datura stramonium* L.; *Tilia begoniifolia* Chun & Wong; *Anthriscus nemorosa* Baker & S. Moore; *Conium maculatum* L.; *Daucus carota* L. *Laser trilobum* Borkh. ex Gaertn.; *Valeriana colchica* Utkin. *Verbena officinalis* L.; *Viola odorata* L.

ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები

Arts and Humanities

ისტორია

სახელმწიფოთა ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანების საერთაშორისო პოლიტიკური ფაქტორები

თინათინ კოსტავა

tinatin.kostava@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.08>

მსოფლიოს ისტორიაში ძალიან იშვიათად თუ შევხვდებით დიდი, გამორჩეული და წარმატებული ალიანსების ჩამოყალიბების მაგალითებს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ალიანსების შექმნა დიდი პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ ყველაზე სანდო საშუალებად ჩამოყალიბდა. თუმცა, ასევე, ადგილი ჰქონდა, სრულიად წარმუშატებელ ალიანსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, ისეთი როგორცაა ვთქვათ, ერთა ლიგა. არსებულმა მაგალითებმა დახვეწა სისტემები და ყოველი ახალი გაერთიანება უფრო მტკიცედ ჩამოყალიბდა. გაერთიანების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამოუკიდებელი ინდივიდები აერთიანებენ საკუთარ რესურსებს, რათა ერთად მიაღწიონ საერთო მიზნებს. ასევე, გაერთიანების მთავარ მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოებაზე ზრუნვა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოები ერთი ქოლგის ქვეშ ერთიანდებიან სხვადასხვა მიზეზით, პოლიტიკური, ეკონომიკური, რეგიონალური საკითხების გამო თუ სხვა. მნიშვნელოვანი სარგებელი, რაც შეიძლება ერთი ქოლგის ქვეშ ცალკეული სახელმწიფოების გაერთიანების პროცესმა მოიტანოს, არის ძალთა ბალანსის შენარჩუნება.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო უსაფრთხოება, გაერთიანება.

ადამიანმა ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე აღმოაჩინა, რამდენად მნიშვნელოვანია გაერთიანება და ერთმანეთის გვერდით დგომა. სახელმწიფოს წარმოქმნის, თომას ჰობსის, მოსაზრებების მიხედვით, როდესაც წამოწყებული იყო ყველას ომი ყველას წინააღმდეგ (ადამიანის „ბუნებითი“ მდგომარეობა) და სრული ანარქია სუფევდა, ადამიანმა შექმნა სახელმწიფო, თავის აბსოლუტურ თავისუფლებაზე უარი თქვა, რათა საერთო ჯამში თავი მეტად უსაფრთხოდ ეგრძნო. მან ხელისუფლებას გადასცა „თავისი“ სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილი და ასე ჩამოყალიბდა ერთგვარი პირველი ტიპის გაერთიანება,

სახელმწიფო. ამით გადაიჭრა უსაფრთხოების ყველაზე დიდი გამოწვევა პიროვნულ დონეზე, თუმცა პრობლემამ გადაინაცვლა სახელმწიფოს დონეზე, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელად რჩება, თუმცა მეცნიერები მიანიშნებენ, რომ სახელმწიფოთა დონეზე უსაფრთხოების საკითხის გადაჭრა გაცილებით მარტივია, ვიდრე ინდივიდთა დონეზე.

გაერთიანების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამოუკიდებელი ინდივიდები აერთიანებენ საკუთარ რესურსებს, რათა ერთად მიაღწიონ საერთო მიზნებს. განა ჩვენი ქვეყნის დევიზიც არ გვკარნახობს, რომ „ძალა ერთობაშია!“?

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაერთიანების ერთ-ერთი სარგებელია უსაფრთხოების დაცვა თუ შენარჩუნება. უსაფრთხოების ასპექტში მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა ნატო, ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაცია. ის შეიქმნა 1949 წელს და მიმართული იყო საბჭოთა, წითელი, მარწუხების წინააღმდეგ. ორგანიზაცია ცივ ომში გამოიყენებოდა მთავარი მანიპულირების საშუალებად. ნატო ცნობილია თავისი მე-5 მუხლის მიხედვით, რომლის თანახმადაც ორგანიზაციის ერთ წევრზე თავდასხმა განხილული იქნება როგორც თავდასხმა თითოეულზე (შარაშენიძე 2021: 18).

ნატომ თავის მთავრ დანიშნულებას მიაღწია და ჩრდილო ატლანტიკის რეგიონში შეინარჩუნა მშვიდობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იყო საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ ნატოს საჭიროება აღარ იყო და მისი დაშლა გარდაუვალი იქნებოდა. ეს, ცხადია, ასე არ მოხდა. ნატო საოცრად მოქნილი აღმოჩნდა ამ მხრივ და მცირედი ცვლილებებისა და განახლებების გამო არათუ დასრულდა მისი არსებობა, არამედ გაფართოვდა კიდევაც. მან ახალი მიზნები შეიძინა, ისეთი როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც უდიდესი ჰუმანური იდეაა, რომელიც მშვიდობასა და სტაბილურობას უქადის არა მხოლოდ რაღაც კონკრეტულ რეგიონს, არამედ მთელს მსოფლიოს. ტერორიზმი აღარებულა მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევად.

არსებობს გამოთქმა, „ბოროტება ძლიერდება იმიტომ, რომ კეთილი ადამიანები არაფერს აკეთებენ მის შესაჩერებლად.“ მსოფლიოს ისტორიის განმავლობაში ძალიან იშვიათად თუ შევხვდებით დიდი, გამორჩეული და წარმატებული ალიანსების ჩამოყალიბების მაგალითებს. ეს ალბათ გამოწვეული იყო ადამიანის ბნელი, ეგოისტური მხრის ბატონობისაგან, რამაც უამრავი ომი და სისხლისღვრა გამოიწვია. კაცობრიობა მხოლოდ უკანასკნელ საუკუნეებში მიხვდა გაერთიანების უდიდეს ძალას. პირველ გამორჩეულ ალიანსად ალბათ უნდა მივიჩნიოთ ევროპის სახელმწიფოების გაერთიანება იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ, რამაც ხელი შეუშალა დიქტატორს სრული ჰეგემონობა მოეპოვებინა ევროპაში.

თ. კოსტავა

ამ მომენტიდან მოყოლებული ალიანსების შექმნა დიდი პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ ყველაზე სანდო საშუალებად ჩამოყალიბდა. თუმცა ასევე უარსებია სრულიად წარმუმატებელ ალიანსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, ისეთი როგორცაა ვთქვათ, ერთა ლიგა, თუმცა ამ მაგალითებმა დახვეწა სისტემები და ყოველი ახალი გაერთიანება უფრო მტკიცედ ყალიბდებოდა. სახელმწიფოები ერთი ქოლგის ქვეშ ერთიანდებიან სხვადასხვა მიზეზით, პოლიტიკური, ეკონომიკური, რეგიონალური საკითხების გამო და სხვ.

ახლა კი უშუალოდ დავუბრუნდეთ გაერთიანების საკითხს, რომელმაც თავის დავალებას თავი, ასევე, ჩინებულად გაართვა, შეძლო გამკლავებოდა მრავალი სახის პრობლემას და არათუ დაშლილიყო არამედ პირიქით გაფართოებულიყო კიდევაც, ევროკავშირზე და მის მაგალითზე განვიხილოთ, თუ რა სარგებლის მომტანი არის ცალკეული ქვეყნებისათვის ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება.

მეორე მსოფლიო ომმა ჯერ კიდევ მანამდე არსებულ სხვა კონფლიქტებთან შედარებით დამანგრეველი შედეგები მოიტანა. დაიხოცა მილიონობით ადამიანი, სრულიად დაიშალა ევროპის ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა. ამ კონტინენტზე არც გამარჯვებული და არც დამარცხებული სახელმწიფოები აღარ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ძალას. მეორე მსოფლიო ომმა კი, მსოფლიოს ნათლად დაანახა ომის საშინელება და მშვიდობის აუცილებლობა. ამ პერიოდიდან განსაკუთრებით მომძლავრდა სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ გაერთიანებების ჩამოყალიბების პროცესები. ამ კუთხით გამორჩეული და ყველასაგან განსხვავებულია ევროკავშირი, რომლის სტრუქტურა რობერტ შუმანმა და ჟან მონემ შეიმუშავეს, მიხეილ მუსხელიშვილის მიერ შედგენილი კონცეფციის მიხედვით (ქართველოები უცხოეთში: მიხეილ მუსხელიშვილი). შუმანს ღრმად სწამდა, რომ თუკი ქვეყნები ეკონომიკურად იქნებოდნენ ურთიერთდაკავშირებულები, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოს მიეღწია საერთო მშვიდობის კონცეფციამდე. თავისი სტრუქტურის მიხედვით ევროკავშირი არის არა საერთაშორისო ორგანიზაცია, არამედ დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობა. ის ემყარება ბიუროკრატიულ მოწესრიგებულ და სრულყოფილ სისტემას. ტერმინი თანამეგობრობა თავის თავში მოიაზრებს იდეას, რომ ევროპის სახელმწიფოებმა, გაერთიანებისას, თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილი გადასცეს ინსტიტუტებს, რომლებიც თავად შექმნეს და ნდობა გამოუცხადეს. ყველა ინსტანციაში მოქმედებს სუპრანაციონალიზმის პრინციპი ანუ ცალკეული პიროვნებებს, რომლებიც იქნებიან არჩეულნი ევროკავშირის რომელიმე ინსტიტუტში, ეკრძალებათ იმოქმედონ ეროვნული ინტერესებზე დაყრდნობით, ამ მომენტიდან

ისინი ემსახურებიან არა რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოს, არამედ სრულიად ევროპის კავშირს 27-ვე სახელმწიფოს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ევროკავშირს არ აქვს კონსტიტუცია. იგი ეფუძნება მხოლოდ წესდებას, რის გამოც ამ გაერთიანებას არ ჰყავს გენერალური მდივანი და პრეზიდენტი. ხელმძღვანელი სახელმწიფოები ყოველ 6 თვეში იცვლებიან როტაციული პრინციპის საფუძველზე.

თანამეგობრობის კონცეფციის მეშვეობით ევროკავშირის სახელმწიფოები იმდენად არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, ვერ გაზედავენ წავიდნენ ერთურობის საწინააღმდეგოდ, რადგან კონფრონტაცია ორივე მხარეს თვალსაჩინოდ დააზარალებს (გაბრიჩიძე 2012: 27-29).

ევროკავშირის მაგალითიდან ვადგენთ უსაფრთხოების გვერდით მეორე სარგებელს, ესაა საყოველთაო მშვიდობის დამაყრებისაკენ სწრაფვა.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ერთ-ერთ საგულისხმო ასპექტზე, რომელიც ყველა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, ესაა ეკონომიკა. ზემოთ განვიხილეთ ეკონომიკის მანიპულირებით მშვიდობის მიღწევის შუმანისეული მეთოდებზე, თუმცა ცალკეული ქვეყნების ერთი ქოლიგის ქვეშაერთიანებამათვის ეკონომიკის განვითარების საწინდარი შეიძლება იყოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, გაერთიანების მთავარი არსი რესურსების გაერთიანებაშია, რომლითაც ეკონომიკური მოგების მიღწევა უფრო ადვილია. მსოფლიოში არსებობს უამრავი საერთაშორისო ორანიზაცია, რომელს მთავარი მიზანი გარკვეულ ქვეყნებს ან რეგიონებს შორის ახალი ეკონომიკური თუ სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაა. ამის ნათელი მაგალითია „ოპეკი“ (Organization of the Petroleum Exporting Countries, OPEC), მსოფლიოს მსხვილი ნავთობმომპოვებელი ორანიზაციების კავშირი, რომლებიც არეგულირებენ ნავთობის მოპოვების, მიწოდებისა და ფასის ნიშნულებს. ამით ისინი ერთგვარად აბალანსებენ ბაზარს და ცდილობენ არ ქონდეს ადგილი ერთგვარი მონოპოლიის დამყარებას, თითოეული წევრი თანაბრად მოგებული დარჩეს.

ბოლო გამორჩეული და მნიშვნელოვანი სარგებელი, რაც შეიძლება ერთი ქოლიგის ქვეშ ცალკეული სახელმწიფოების გაერთიანების პროცესმა მოიტანოს, არის ძალთა ბალანსის შენარჩუნება.

ცივი ომის პერიოდში, როგორც ვიცით, დაპირისპირება იყო ორ ბანაკს - კომუნისტურსა და კაპიტალისტურს შორის, რომელშიც ამ უკანსკნელმა გაიმარჯვა და დადგინდა მისი უალტერნატივობის საკითხი. ცივი ომი 1991 წელს საბოლოოდ დასრულდა საბჭოთა კავშირის დაშლით. ამერიკის შეერთებული შტატები, მეორეს მხრივ, გამოვლინდა გამარჯვებულად, თუმცა ისიც დადგა გარკვეული პრობლემების წინაშე, ეს იყო თვითგამორკვევის საკითხი. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში მას ჰქონდა ასე ვთქვათ ცხადად ჩამოყალიბებული მიზნები და მის არსებობას

თ. კოსტავა

სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პერიოდში იყო ინტენსიური კონკურენცია, რაც მას აძლევდა გამუდმებული განვითარების საშუალებას (კისინჯერი 2021: 1010-1018). ამ ფაქტორთა ერთობლიობამ ხელი შეუწყო მის ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ცივი ომის შემდეგ დადგა პრობლემა, რამდენად აუცილებელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი სახით არსებობა, ერთი შეხედვით, მან დაკარგა მიზნები.

ბევრი მეცნიერი აპელირებდა იმას, რომ აშშ-ს დასუსტება გარდაუვალი მომენტი იყო. ის აუცილებლად დაიწყებდა რეგრესს და ზესახელმწიფოს ტიტულს იაპონიას გადაულოცავდა. რადგან ისტორიის განმავლობაში არასოდეს არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც, რომელიმე ერთ კონკრეტულ სახელმწიფოს ძლიერება დიდი ხნის განმავლობაში შეენარჩუნებინა, ყოველთვის იცვლებოდა მსოფლიოს ძლიერების ცენტრები.

ეს ყოველივე წინასწარმეტყველება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით ნაწილობრივ გამართლდა, რადგან დრესდლეობით მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესს ვხვდებით, რადგან საერთო მოცულობით ჩინეთის ეკონომიკამ პირველ ადგილზე გადაინაცვლა. სამეცნიერო წრეები ხშირად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ აშშ-ს მთავარი კონკურენტი ჩინეთია, ხოლო გარკვეული საფრთხე მომდინარეობს რუსეთის ფედერაციიდან. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნაპრალი მსოფლიოს ზესახელმწიფოსა და დანარჩენ სახელმწიფოებს შორის ასეთი გრანდიოზული და თვალშისაცემი არასოდეს ყოფილა. ამიტომ აქ შემოდის განსაკუთრებული მნიშვნელობა ცალკეული ქვეყნების ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებისა.

თუკი ერთ კონკრეტულ სახელმწიფოს არ შეუძლია ჩაებას ძალთა ბალანსის სიტემაში, მაშინ ეს როლი უნდა შეითავსოს კოალიციამ, ცალკეული დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაერთიანებამ, სწორედ ისეთმა როგორც ევროკავშირმა.

ზოგადად ბიპოლარული ან მონოპოლარული სამყაროს არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე მთავარი ფაქტორის გამო. ძალთა ბალანსის შეიძლება ვინმეს ესმოდეს, როგორც უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი ტერმინი, საბჭოთა კავშირის ამ როლში ხილვის გამო, თუმცა მათვარი ჰეგემონის ტოლი ძალის არსებობის პირობებში, ჩვენ მარტივად შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ მისი მხრიდან ძალის გადამეტების შესაძლებლობა.

ასევე, ორ ან მეტ ზესახელმწიფოთა შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის პირობებში ჩვენ შეგვიძლია მივალწიოთ დიდ მიზნებს და დავამყაროთ ასე სანატრელი მსოფლიო მშვიდობის კონცეფცია.

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის რომ თავად ჰეგემონსაც

„აწყობს“ სხვა დამბალანსებლების გამოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე, რადგან მეცნიერები მიუთითებენ, რომ ჰეგემონს სჭირდება ძალიან დიდი რესურსი რათა თავისი ეს ტიტული შეინარჩუნოს, რაც საბოლოოდ გამოიწვევს მის გამოფიტვას. ასევე ჰეგემონმა რაც არ უნდა ფრთხილი და სამართლიანი პოლიტიკა გაატაროს აუცილებლად მონდებათ მისი ძლიერების დასრულება, ამიტომ არის მნიშვნელოვანი სხვა ქვეყნებს ჰქონდეთ „არჩევანის თავისუფლება“ რომელი დამბალანსებლის იდეოლოგიაც ესადაგება თავისას მისის მოკავშირეები გახდნენ.

დასკვნის სახით გამოიკვეთა, რომ მსოფლიო ისტორიის გადახედვაც გვიჩვენებს იმ იდეას, რომ გაერთიანება ყოველთვის არის გადარჩენის მთავარი საწინდარი. ჩვენს ეპოქაში ცალკეული სახელმწიფოების ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებას რამდენიმე მთავარი და გამორჩეული სარგებელი მოაქვს. ესენია: დამოუკიდებელი სახელმწიფოების უსაფრთხოების შენარჩუნება, რეგიონალური მშვიდობის დამყარება, ეკონომიკური სარგებლის მიღება, ძალთა ბალანსის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება.

ლიტერატურა

- შარაშენიძე, თორნიკე. 2021. *ნატოს შესახებ*. თბილისი: საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.
- გაბრიჩიძე, გაგა. 2012. *ევროკავშირის სამართალი*. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი.
- კისინჯერი, ჰენრი. 2021. *დიპლომატია*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
- ქართველები უცხოეთში (მიხეილ მუსხელიშვილი)*. 2024. მოძიებულია 15.05.2024. <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000041/>

History

International political factors of the union of states under one umbrella

Tinatin Kostava

tinatin.kostava@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.08>

We can rarely see the examples of successful alliances through the world history. After the WWII, creation of alliances was one of the trustful ways. Though, unsuccessful alliances and international organizations also had their roles, for example Nations League. Those examples refined systems and every new union formed more assertively. The meaning of this union is that independent ones unite their resources, for reaching the mutual goals together. Also main point of this union is to take care of security. We should underline the fact that every joint country has different reasons such as political, economical, regional issues and others. Important benefit of joining of every state for one goal brings incumbent balance of strength.

Keywords: *state, international organizations, international security, union.*

At the dawn of civilization, people discovered how important it is to unite and stand by each other. According to the views of Thomas Hobbes on the formation of the state, when there was a war of all against all and total anarchy reigned, a human created the state, gave up his absolute freedom in order to feel more secure overall. He/She surrendered a certain part of his/her sovereignty to the government, and thus a kind of first type of union, the state, was formed. This solved the biggest security challenge at the personal level, but the problem shifted to the state level, which still remains unresolved, however, scientists point out that solving the security issue at the level of states is much easier than at the level of individuals.

One of the benefits of pooling is security protection. NATO is the preferred organization in terms of security. According to its Article 5, *an armed attack against one of the members in Europe or North America shall be considered an attack against them all. NATO has achieved its main objective and has maintained peace in the North Atlantic region. After the collapse of the Soviet Union, talking about the fact that NATO was no longer needed and its dissolution would be inevitable did not turn out to be correct. NATO proved to be flexible in this regard, and due to minor changes and updates, it not only ended its existence,*

but also expanded. It has acquired new goals, such as the fight against terrorism, which is a great humanitarian idea that promotes peace and stability not only in a particular region, but in the whole world.

World War II brought devastating results compared to other conflicts before it. Millions of people were killed, Europe's infrastructure and economy were completely destroyed. The Second World War clearly showed the world the horror of war and the alternative of peace. From this period, the processes of formation of various types of international organizations or unions were especially strengthened. In this regard, the European Union is outstanding and different from all others, the structure of which was developed by Robert Schuman and Jean Monnet, according to the concept drawn up by Mikheil Muskhelishvili.

Schumann deeply believed that if countries were economically interconnected, then it would be possible for the world to reach a common concept of peace. According to its structure, the European Union is not an international organization, but a commonwealth of independent countries. It is based on an orderly and perfect bureaucratic system. The term commonwealth implies the idea that the states of Europe, when united, transfer part of their sovereignty to institutions that they themselves created and trusted. In all instances, the principle of supranationalism applies, i.e. individual persons who will be elected to any institution of the European Union are prohibited from acting based on national interests, from this moment they serve not any specific state, but the entire European Union of all 27 states.

It is important to focus on one important aspect that is important for all countries, that is the economy. The unification of individual countries under one collegium can be a precursor to economic development for them. As mentioned above, the main essence of the union is in the pooling of resources, with which it is easier to achieve economic profit. There are many international organizations in the world, the main purpose of which is to establish new economic or trade relations between certain countries or regions.

A distinct and important benefit that the process of uniting separate states under one umbrella can bring is the maintenance of the balance of power.

Many scientists said that the weakening of the US was an inevitable moment. It would surely begin to regress and the title of superpower would be taken by Japan, because there has never been a case in history where any one particular state has maintained its power for a long time. All these prophecies regarding the United States of America have been partially justified, because today we are witnessing the process of forming a multipolar world order, as the Chinese economy has moved to the first place in terms of total volume. The existence of a bipolar or monopolar world in general is very important because of several key

თ. კოსტავა

factors. Under conditions of friendly relations between two or more superpowers, we can achieve great goals and establish the concept of world peace.

Finally, unity is always the key to survival. In our age, the unification of individual states under one umbrella has several major and distinct benefits. These are: maintaining the security of independent states, establishing regional peace, receiving economic benefits, participating in the construction of the balance of forces.

ენა და ენათმეცნიერება

მიმღებურ ფორმათა სტრუქტურული მახასიათებლები მარკოზის სახარების ათონურ რედაქციაში

თამაზ დევიძე

tamaz.devidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.09>

მიმღებობა ზმნისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელია. მიმღებურ ფორმათა ანალიზი, ტრადიციულად, საუღლებელ ერთეულთა კლასიფიკაციას ეფუძნება. წარმოების თვალსაზრისით, მიმღებური ფორმები მრავალფეროვანია და ეს მრავალფეროვნება ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის, არაერთი დიალექტური წრის მონაცემთა ასახვითაა შეპირობებული. სინქრონიულ დონეზე არაერთი წარმოშობით მიმღებური ფორმა არსებით სახელადაა გააზრებული. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ამგვარი ფორმები მაინც მიმღებობია, რადგან მათში ადვილად ამოიცნობა მიმღებობის ყალიბი. გასულსტანტივების პროცესის შედეგებზე საუბარი მხოლოდ სინტაქტურ დონეზეა შესაძლებელი, რადგან ენა, როგორც სისტემა, მხოლოდ სინტაქსის დონეზე არსებობს. სტატიაში განხილულია მარკოზის სახარების ათონურ რედაქციაში დადასტურებულ მიმღებურ ფორმებს სტრუქტურის თვალსაზრისით. ანალიზის სისრულისათვის ემპირიული მასალა შევუდარეთ სხვა რედაქციათა ჩვენებებს. რაც მთავარია, გავითვალისწინეთ ტექსტის ძველბერძნული იკითხვისები.

საკვანძო სიტყვები: მიმღებობა, სტრუქტურა, მარკოზის სახარება, რედაქცია, იკითხვისი.

მიმღებობა ზმნისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელია. მიმღებურ ფორმათა ანალიზი, ტრადიციულად, საუღლებელ ერთეულთა კლასიფიკაციას ეფუძნება. გამომდინარე აქედან, განარჩევდნენ მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარის მიმღებობებს (შანიძე 1973: 570-572). სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვა, გაცილებით მოსახერხებელი, და, ჩვენი აზრით, მართებული ტერმინებია შემუშავებული, როგორცაა: „სასუბიექტო მიმღებობა“ და „საობიექტო მიმღებობა“.

წარმოების თვალსაზრისით, მიმღებური ფორმები მრავალფეროვანია და ეს მრავალფეროვნება ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის, არაერთი დიალექტური წრის მონაცემთა ასახვითაა შეპირობებული. ამის თაობაზე ა. შანიძე შენიშნავს: „არსად არ არის არეული ერთმანეთში

თ. დევიძე

სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღეობის ფორმებში“ (შანიძე 1973: 569).

მიმღეობის ყალიბები ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნის საშუალებაა. ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ მათი ანალიზისას გასათვალისწინებელია სასუბიექტო მიმღეობათა გასუბსტანტივების მძლავრი ტენდენცია. ამ პროცესის შედეგია წარმოშობით მიმღეობურ ფორმათა განხილვა არსებით სახელებად (მაგალითად: **მწერალი, მხატვარი, მკურნალი...**) (ფეიქრიშვილი 1992: 247).

აღწერითი მსჯელობისათვის ამ ფაქტის აღნიშვნა საკმარისი იქნებოდა, თუმცა ნებისმიერ ფაქტს სჭირდება არგუმენტირებული ახსნა, რათა უკეთ გამოვლინდეს ენის განვითარების ტენდენცია. მიმღეობათა გასუბსტანტივების ისტორიული პროცესის გამომწვევ მიზეზზე საინტერესო მსჯელობას ვხვდებით არნ. ჩიქობავასთან:

„საკმარისია მოიშალოს ის ზღუდე, რომელსაც დრო ქმნის და მიმღეობა გადაიქცევა ჩვეულებრივ ნაწარმოებ სახელად, ზედსართავ ან არსებით სახელად. ჩვეულებრივ მ- პრეფიქსიანი მიმღეობა დამოუკიდებლად ხმარებულ არსებით სახელს უფრო მოგვაგონებს, ვინემ სხვა სახელის მსაზღვრელად ხმარებულ ზედსართავს“ (ჩიქობავა 1942: 185).

სინქრონიულ დონეზე არაერთი, წარმოშობით მიმღეობური, ფორმა არსებით სახელადაა გააზრებული. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ამგვარი ფორმები მაინც მიმღეობებია, რადგან მათში ადვილად ამოიცნობა მიმღეობის ყალიბი. გასუბსტანტივების პროცესის შედეგებზე საუბარი მხოლოდ სინტაქტურ დონეზეა შესაძლებელი, რადგან ენა, როგორც სისტემა, მხოლოდ სინტაქსის დონეზე არსებობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მორფოლოგიური (სტრუქტურული) ანალიზისას განვიხილავთ ისეთ მიმღეობურ ფორმებსაც, რომელთაც სახარების ტექსტის თარგმნისა და რედაქტირების პროცესში უკვე დაკარგული ჰქონდათ მიმღეობის გაგება და არსებით სახელებად იყვნენ ქცეულნი, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ფაქტი ვერ ცვლის აღნიშნულ ფორმებში სათანადო ყალიბის არსებობას.

ამჯერად მხოლოდ მარკოზის სახარების ათონურ (წმინდა გიორგი მთაწმინდელის) რედაქციაში დადასტურებული მიმღეობური ფორმები განვიხილეთ. ძირითად მასალად ავირჩიეთ მარკოზის სახარების გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ტექსტი (ქართული ვულგატა)¹. ანალიზის სისრულისათვის ემპირიულ მასალას შევუდარეთ სხვა რედაქციათა

¹ სახარების წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ტექსტის განხილვისას ვერდნობით **H** (ვანის ოთხთავი - A-1335, XII-XIII სს.); **I** (ეჩმიადინის ოთხთავი - XII-XIII სს.) და **K** (გელათის ოთხთავი - Q-908, XII-XIII სს.) ნუსხებს.

ჩვენება. რაც მთავარია, გავითვალისწინეთ ტექსტის ძველბერძნული იკითხვისები.

როგორც აღვნიშნეთ, უფრო ზუსტად და მოსახერხებლად მიგვაჩნია ტერმინები „სასუბიექტო მიმღობა“ და „საობიექტო მიმღობა“. კლასიფიკაციის ამ სქემის მიხედვით გვაქვს აგებული მიმღობურ ფორმათა ანალიზი.

ა) სასუბიექტო მიმღობა

როგორც ცნობილია, ამ ტიპის მიმღობათა უკლებლივ ყველა ყალიბში გამოიყოფა მ- პრეფიქსი. არნ. ჩიქობავას აზრით, იგი თავდაპირველად ადამიანის კლასზე მიუთითებდა:

„თუ აწმყო დროის მიმღობა მოქმედებითი გვარისაა, ამის სათავეა პირვანდელი მნიშვნელობა მ- პრეფიქსისა სახელთაგან ნაწარმოებ სახელებში: მ- ადამიანს აღნიშნავს და აქტიურ საწყისს განეკუთვნება; და პირუკუ: ვნებითი გვარისაა მყოფადის მიმღობა იმიტომ, რომ სა-პრეფიქსი ნივთის კატეგორიის ნიშანია ისტორიულად, იგი პასიურს, უმოქმედოს შეეფერება (ეგევე ითქმის ნა- პრეფიქსით ნამყოში ვნებითის წარმოების შესახებ)“ (ჩიქობავა 1942: 184).

ეს გარემოება სასუბიექტო და საობიექტო მიმღობის ფორმათა შორის დროის გამოხატვის მიხედვით არსებული ოპოზიციის ახსნაცაა. ზოგადად, ქართულ მიმღობაში საინტერესოა დროის კატეგორიის არსებობის საკითხი. ა. შანიძე შენიშნავს:

„დროულ გაგებას გვაძლევს არა სამივე გვარის ზმნები, არამედ ვნებითი გვარისა და საშუალოთაგან მხოლოდ ვალ ფუძისანი“ (შანიძე 1973:568).

მაშასადამე, ნამყო და მყოფადი დროების გამოხატვა მხოლოდ საობიექტო მიმღობებს შეუძლია, სასუბიექტო მიმღობა, დიაქრონიული თვალსაზრისით, აწმყო დროისა იყო, თუმცა დროის გაგება ამ ფორმებში თანდათან დაიჩრდილა.

ამის გარკვევა საჭირო და ფასეულია იმდენად, რამდენადაც ძველბერძნულ ენაში მიმღობურ ფორმებს უდასტურდება განსხვავებული მორფოლოგიური კატეგორიები: დრო, გვარი, ბრუნვა, სქესი და რიცხვი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველბერძნულ ენაში ზმნის პარადიგმის ყველა წევრს (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა დროს) საკუთარი მიმღობა მოეპოვება (Меჩух 2021: 176-178). სახარების ტექსტში დადასტურებულ ფორმათა განხილვა, უპირველეს ყოვლისა, ორიგინალთან¹ მიმართების გარკვევას გულისხმობს. რამდენად შეიძლება

¹ ორიგინალი, როგორც ტერმინი, მიუღებელია სახარების ბერძნულ ტექსტთან მიმართებით. საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა ბიბლიურ წიგნთა ტექსტების არაერთი ტიპი, რაც, ბუნებრივია, არაერთგვაროვანს ხდის თარგმანის მათთან მიმართების

თ. დევიძე

დავუკავშიროთ სასუბიექტო მიმღეობაში აწმყოს გაგების დაჩრდილვა ხანგრძლივ მთარგმნელობით ტრადიციას, ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ფაქტია, რომ სასუბიექტო მიმღეობა საჭიროებისამებრ გადმოსცემს სხვადასხვა დროის გამომხატველ ძველბერძნულ მიმღეობებს.

სანამ ამ საკითხს უფრო ღრმად განვიხილავთ, მანამდე დავიმოწმოთ სასუბიექტო მიმღეობის ყალიბები, რომლებიც საანალიზო მასალაში დადასტურდა.

მა-R

გარდამო-მა-ვალი

„სული ღმრთისაჲ **გარდამომავალი**, ვითარცა ტრედი, მის ზედა“ (მარკ. 1:10 HIK)...

მ-R-არე

მ-წუხ-არე

„და მიმოიხილა მათდა რისხვით და **მწუხარედ** სიბრმისათჳს გულთა მათთაჲსა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ კელი შენი!“ (მარკ. 3:5 HIK);

მ-ღვიძ-არე

„არამედ იხილეთ და მღჳძარე იყვენით“ (მარკ. 13:33 HIK)...

მ-R-th.suf.-არ

მ-თესვ-არ-ი

„გამოვიდა **მთესვარი** თესვად“ (მარკ. 4:3 HIK)...

მ-მურკნვ-ალ-ი

„ყოველსავე **მმურკნვალსა** ქუეყანასა ზედა ვერ კელ-ეწიფების ეგრეთ განსპეტაკებად“ (მარკ. 9:3 HIK)...

მ-R-ომ-არე

მ-ჯდომ-არე

„და წარ-რად-ვიდოდა, იხილა ლევი ალფესი, **მჯდომარე** საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას: მომდევი მე. და აღდგა და მისდევდა მას“ (მარკ. 2:14 HIK)...

მ-დგომ-არე

„ხოლო ოდეს იხილოთ სამაგელი იგი მოოწრებისაჲ, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისაჲ, მდგომარე, სადა-იგი არა ჯერ-არს“ (მარკ. 13:14 HIK)...

მო-R-არ

მო-ძღუ-არ-ი

„რადსაღა აშრომებ **მოძღუარსა**“ (მარკ. 5:35 HIK)...

მ-R-ელ

საკითხს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ არა ტექსტობრივ, არამედ გრამატიკულ ფორმათა მიმართებას, რის შესახებაც მსჯელობის საშუალებას გვაძლეებს ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტის კრიტიკული ტექსტი.

მ-კელობ-ელ-ი

„უმჯობეს არს შენდა მკელობელისაჲ შესლვად ცხორებასა“ (მარკ. 9:45 HIK)...

მ-თხოვ-ელ-ი

„ჯდა გზასა თანა მთხოვლად“ (მარკ. 10:45 HIK)...

მ-სყიდ-ელ-ი

„დასასხდომელები იგი მსყიდელთაჲ მათ ტრედისათაჲ დაუმკუა“ (მარკ. 11:15 HIK)...

მა-R-th.suf-ელ

მა-შენ-ებ-ელ-ი

„არცალა ესე წიგნი აღმოგიკითხავს: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა?“ (მარკ. 12:10 HIK)...

მე-R-ელ

მე-ტყუ-ელ-ი

„რამეთუ არა თქუნ ხართ მეტყუელნი, არამედ სული წმიდაჲ“ (მარკ. 13:11 HIK)...

მიმღეობის დადასტურებულ ყალიბთაგან, სინქრონიულ დონეზე ყველა პროდუქტიული არ არის. მაგალითად, **მო-R-ედ** ყალიბი ერთადერთ მიმღეობურ ფორმაში დასტურდება, სხვა შემთხვევა ჯერ გამოვლენილი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას **მო-R-არ** და **მე-R-ელ** ყალიბთა შესახებაც.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დროის გაგება სასუბიექტო მიმღეობაში ადვილად იჩრდილება. საპირისპიროდ ამისა, იგი ბერძნული მიმღეობისთვის ერთ-ერთი ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიაა. ქართულში დროის კატეგორია სრულყოფილად ერთადერთი ზმნური ფუძისაგან ნაწარმოებ მიმღეობას მოეპოვება. ესაა **ვალ**.

ქართული სასუბიექტო მიმღეობა ძველბერძნულ სხვადასხვა დროის მიმღეობის შინაარსობრივ ფუნქციას ასრულებს. ამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

„Ὅταν δὲ ἴδῃτε τὸ βδέλυγμα τῆς ἐρημώσεως ἑστηκότα ὄπου οὐ δεῖ, ὁ ἀναγινώσκων νοεῖτω, τότε οἱ ἐν τῇ Ἰουδαίᾳ φευγέτωσαν εἰς τὰ ὄρη“ (Μαρκ. 13:14)

დამოწმებულ მუხლში **ἑστηκότα** ნამყო დროის (უფრო ზუსტად პერფექტის) მიმღეობაა. ყველა ქართულ რედაქციაში ეს ფორმა ნათარგმნია როგორც **მდგომარე**.

Ὅς ἂν ἐν τῶν τοιοῦτων παιδῶν δέξῃται ἐπὶ τῷ ὀνόματί μου, ἐμὲ δέχεται· καὶ ὁς ἂν ἐμὲ δέχῃται, οὐκ ἐμὲ δέχεται ἀλλὰ τὸν ἄποστειλαντά με (Μαρκ. 9:37)

Ἀποστειλαντά აორისტის (ნამყო ძირითადის) მიმღეობაა. ამ მუხლის ქართული იკითხვის, გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მიხედვით, ამგვარია:

თ. დევიძე

„რომელმან ერთი ამათგანი ყრმად შეიწყნაროს სახელისა ჩემისათვის, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ **მომავლინებელი ჩემი**“ (მარკ. 9:37 HIK)

ანალოგიური ვითარებაა ოთხთავის დანარჩენ რედაქციებში.

„ὁ δὲ κει δὲ ὁ **παράδοσις** αὐτὸν σὺσσημον αὐτοῖς λέγων Ὅν ἂν φιλήσῃ αὐτός ἐστιν· κρατήσατε αὐτὸν καὶ ἀπάγετε ἄσφαλδῶς“ (Μαρκ. 14:44)

παράδοσις აწმყოს მიმღობაა. ქართულ რედაქციებში ეს ფორმა ნათარგმნია როგორც **მიმცემელსა**.

ემპირიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტოაქტივებში (ტრადიციული კლასიფიკაციით: მედიოაქტივებში) **მ-R-არე** ყალიბი გაცილებით პროდუქტიულია, ვიდრე აქტივებში. ყალიბთა ურთიერთმიმართების გარკვევას ბუნებრივად მივყავართ ავტოაქტივთა და აქტივთა ისტორიული ურთიერთობის საკითხთან. ავტოაქტივები ისტორიულად აქტივთა ამოსავალნი არიან, შესაბამისად, ძირითადად ერთგვარი უნდა იყოს მათგან მიმღობათა საწარმოებელი ყალიბები.

-არე და **-არ** სუფიქსთა ურთიერთმიმართების საკითხს შეეხო ა. შანიძე და ფიქრობს, რომ ეს სუფიქსები ერთი წარმომავლობისაა, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო **-არე**, რომლისგანაც მივიღეთ **-არ**, რადგან **ე** ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა გააზრებული და დაიკარგა (შანიძე, 1973: 580). ბოლოკიდური ე-ს დაკარგვა არის ფაქტი, მაგრამ რა არის ამ ფაქტის მიზეზი?

შეიძლება დავსვათ შეკითხვა, რამდენად სწორია ა. შანიძის თვალსაზრისი ამ სუფიქსთა იგივეობის შესახებ. რამდენად შეიძლება ვივარაუდოთ ამგვარ ფორმათა არსებობა: **მთესვარე, მწერალე (< მწერარე) და ა. შ.**

მ-R-არე ყალიბის ავტოაქტივებში გამოყენებას შესაძლოა დიურატიულობასთანაც ჰქონდეს კავშირი, მით უფრო იმ ისტორიული ვითარების ფონზე, როცა დროის კატეგორია ქართულში მომენტობრივი და დიურატიული ასპექტების ოპოზიციამდე დაიყვანება. ასეთ შემთხვევაში **-ე** ხმოვნის დაკარგვა გასუბსტანტივების ისტორიული პროცესის თანამდევ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. თუ ეს ვარაუდი სწორია, როგორ აიხსნება გასუბსტანტივებული მიმღობის **მდულარე**-ს არსებობა? ვფიქრობთ, საკითხი შემდგომ, უფრო საფუძვლიან, კვლევას საჭიროებს.

სასუბიექტო მიმღობის ყალიბთაგან საყურადღებოა ე.წ. საწყისიანი ყალიბი – **მ-R-ომ-არე**. ზმნები, რომლებიც სასუბიექტო მიმღობას ამ ყალიბის გამოყენებით აწარმოებენ, ცოტაა. ესენია მეორე დიათეზის სტატიკური ზმნები (I ქვეჯგუფი) ე.წ. მედიოპასივები. თუ **-ომ** სუფიქსს საწყისის მაწარმოებლად გავიაზრებთ, მაშინ ეს ფაქტი სათანადო ახსნას მოითხოვს. საინტერესოა ფორმათა დაპირისპირებაც:

მ-დგომ-არე – მ-დგ-არ-ი – მ-დგომ-ი

ეს ოპოზიცია საინტერესოა ყალიბთა დაპირისპირების თვალსაზრისითაც.

აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავა **-ომ** და **-ოლ** სუფიქსებს არ განიხილავდა საწყისის მაწარმოებლბად:

„ასეთ მასდარში -ო განეკუთვნება ზმნის ფუძეს და წუხ-ი-ლ-ის ტიპის მასდარებში -ი-ს უდრის. ეს -ი- შეიძლება -ო-დ ქცეულიყო ზმნის ფუძისეული -ვ-ს გავლენით, როგორც ამას დეეტერსი ფიქრობს, ანდა მომდევნო მ-ს ზეგავლენით. -ლ-II-მ კიდევ ზმნის ფუძეს უნდა განეკუთვნოს“ (ჩიქობავა 1942: 223).

ვფიქრობთ, რომ **-ომ** და **-ოლ** მანიც საწყისის მაწარმოებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ ეტაპზე ზმნურ ფუძეში მათი არსებობის დამოწმებული დასაბუთება სარწმუნოდ არ მიგვაჩნია.

ტექსტში დასტურდება **R-ომ-არე** და **R-ომ-ელ** ყალიბთა მონაცვლეობის მაგალითი:

„და კუალად იხილა იგი მწვეალმან მან და იწყო სიტყუად წინაშე **მდგომარეთა** მათ, ვითარმედ: ესეც მათგანივე არს.

ხოლო მან კუალად უვარ-ყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა წინაშე **მდგომელნი** იგი ეტყოდეს პეტრეს: ჭემმარიტად მათგანი ხარ და რამეთუ გალილეველ ხარ, სიტყუადაცა შენი გამოგაჩინებს“ (მარკ. 14: 69-70 HIK).

„εκαί ἡ παιδίσκη ἰδοῦσα αὐτὸν ἤρξατο πάλιν λέγειν τοῖς **παρεστῶσιν** ὅτι Οὗτος ἐξ αὐτῶν ἐστιν.

ὁ δὲ πάλιν ἠρνεῖτο. καὶ μετὰ μικρὸν πάλιν οἱ **παρεστῶτες** ἔλεγον τῷ Πέτρῳ Ἀληθῆς ἐξ αὐτῶν εἶ· καὶ γὰρ Γαλιλαῖος εἶ“ (Μαρκ. 13:14).

ორივე ბერძნული ფორმა პერფექტის მიმღეობაა. მათ შორის ფორმოზრივ განსხვავებას მხოლოდ ბრუნვის კატეგორია ქმნის – **παρεστῶσιν** მიცემითში დგას, ხოლო **παρεστῶτες** – სახელობითში. შესაბამისად, ქართულში დადასტურებული ყალიბთა მონაცვლეობა ძველბერძნულის გავლენით არ არის შეპირობებული.

საგულისხმოა, რომ ადიშის ოთხთავში ორსავე შემთხვევაში დასტურდება ზმნური ფორმა:

„და მწვეალმან მან იხილა იგი, იწყო სიტყუად, რომელ **დგეს** მუნ, ვითარმედ: ესე მათგანივეა.

ხოლო მან უვარ-ყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა რომელნი-იგი გარემოდს **დგეს** მისა, ეტყოდეს პეტრეს: ჭემმარიტად მათგანი ხარ, რამეთუ ხარვე გალილეველ“ (მარკ. 14: 69-70 C).

აღსანიშნავია, რომ მიმღეობური კონსტრუქციის შეცვლა ზმნურით ოთხთავის ქართულ რედაქციებში საკმაოდ ხშირად დასტურდება.

თ. დევიძე

„არისტოფანემ ეს კომედია წარმოადგინა ძვ.წ.ა. 423 წელს დიონისიებზე და მხოლოდ მესამე ადგილი მოიპოვა. როგორც „ღრუბლების“ პარაბასიდან ჩანს, მას საკმაოდ მწარედ განუცდია მარცხი, რადგან ამ კომედიას თავად ძალიან აფასებდა. იგივე პარაბასა გვამღვეს საფუძველს ვიფიქროთ, რომ შემდეგ არისტოფანეს კომედია რამდენადმე გადაუმუშავებია“ (გორდეზიანი 2019:503).

ვ. ენდელაძე

სტრუქტურული ცვლილება არ ჩანს მოქმედების განვითარებაში, ის არანაირ მონაწილეობას არ იღებს ამბის მსვლელობაში, თუმცა ქმნის ერთგვარ ფონს ამისთვის. ის არ ჩანს, როგორც მოქმედი პირი. მას ვხვდებით მხოლოდ მისი ქმრის სიტყვებში. სტრუქტურული ცვლილება, ის ავი მაქანკალი დაიღუპოს, რომელმაც ეგ ქალი ცოლად მომაცვანინაო. სოფელში და ტალახში უტკბესად ვცხოვრობდით. სოფლელი კაცი ვიყავ და ქალაქელი ცოლი მოვიყვანე, ზვიადი და კარგი ცხოვრების მოყვარულიო.

სტრუქტურული ცვლილება იმაში, რომ ვალებში იხრჩობა, შვილს ადანაშაულებს, ასევე, ირიბ მინიშნებას აკეთებს, რომ ცოლი რომ არ მოეყვანა, ბედნიერად იცხოვრებდა და ვალებიც არ ექნებოდა. სტრუქტურული ცვლილების სახელიც არ არის ნახსენები და უსიტყვო პერსონაჟია. არც ჩანს, მაგრამ მთავარი გმირი საკუთარი უკუღმართი ცხოვრების მიზეზად სწორედ მას მიიჩნევს (არისტ. დრუბ. 1. 40-45).

პლაგატუსის „ფსევდოლოში“ გვხვდებიან ისეთი პერსონაჟები, რომლებსაც ტექსტში ახსენებენ, მაგრამ არ ჩანან, თუმცა ისინი გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ სიუჟეტის განვითარებაში და, ამდენად, ძალიან საინტერესო არიან.

პლაგატუსის კომედიაში „ფსევდოლოის“ მთავარი პერსონაჟია ცბიერი მონა, ფსევდოლი. კომედიის სიუჟეტია, როგორ ცდილობს სხვადასხვაგვარი ხრიკებით ფსევდოლი თავისი ბატონის ვაჟმა, კალიდორმა მიაღწიოს საწადელს, შეერთოს თავისი სატრფო. კომედია, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს გარკვეული კომპოზიციური ხარვეზები, პლაგატუსის საუკეთესო ქმნილებად ითვლება.

კომედიაში არ ჩანს ორი პერსონაჟი - ფინიკია, ვის გამოც ხდება მთელი ეს მოქმედებები და მეომარი, რომელსაც ცოლად სურს ქალი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს მთავარი გმირისთვის. ეს ორი პერსონაჟი მუდმივად იხსენიებიან კომედიაში, თუმცა ფიზიკურად მათი ადგილი კომედიაში არ აღმოჩნდა.

ამ შემთხვევაში კიდევ უფრო საინტერესო ვითარება გვაქვს, რადგან, ფინიკია უბრალოდ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი კი არაა, ვინც შეიძლება ცალკეულ ეპიზოდში იყოს ნახსენები, არამედ ის კალიდორის სატრფოა და კომედიის სიუჟეტზე მათ ერთად ყოფნისკენ სწრაფვაზე, უფრო სწორად, ამ მიზნის მისაღწევად ფსევდოლის ხრიკებსა და გამჭრიახოებაზეა აგებული. ეს გარემოება ამ კომედიას ხიზლსა და ინტერესს მატებს.

გარკვეწილად, ემოციური წონასწორობაა დაცული იმ გარემოებით, რომ ფინიკიასთან ერთად არ ჩანს მეომარი, რომელსაც ის ცოლად სურს. ეს არ არის უბრალო გარემოება. მეომრის, როგორც პოტენციური მეტოქის არსებობა სიუჟეტს კიდევ უფრო მატებს ინტერესს და ფინიკიას, როგორც პერსონაჟის, ფუნქციად მხოლოდ სიყვარულის ობიექტის განსახიერება არ

რჩება.

„უჩინარ“ პერსონაჟს ვხვდებით პუბლიუს ტერენციუს აფერის კომედიაში „საჭურისი“. ეს კომედია დაიდგა ძვ. წ. 161 წელს და მას დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს პიესა ნამდვილად გამორჩეულია ავტორის სხვა ტექსტებისაგან როგორც დახვეწილობით, ასევე პერსონაჟთა ხატვის ოსტატობითა და, ზოგადად, მხატვრული დონით. მასში ცხადად იგრძნობა ბერძნული სიუჟეტების გავლენა.

ამ კომედიაში არ ჩანს პერსონაჟი პამფილა, რომლის შესახებაც მუდმივად საუბარი ტექსტში.

მეომარმა თრასომ ჰეტერა თაისს ატიკიდან ჩამოუყვანა მსახურად მისი ნახევარდა პამფილა. პამფილა მოქმედების განვითარებასა და მსვლელობაში მუდმივად ფიგურირებს, მასზე საუბრობენ, ახსნებენ, აქებენ, მის სილამაზეს და განსაკუთრებულ ჰაბიტუსს უსვამენ ხაზს, თუმცა თავად, როგორც პერსონაჟი, არ არის ჩართული კომედიაში.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის სიუჟეტთან დაუკავშირებელი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, რომელიც უშუალოდ არ არის ჩართული ამბავში, არ მოქმედებს, უშუალოდ არ გამოხატავს საკუთარ პოზიციას და ა.შ. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მასზე სხვები საუბრობენ, მის განცდებსა და ემოციებს სხვები გადმოსცემენ. ეს, თავის მხრივ, გარკვეული ნოვაციაა ანტიკურ მწერლობაში (Altalib 2013:307-313). ამ ხერხით არ არის წარმოჩენილი პერსონაჟი, როგორც თავისთავადი, თუნდაც, ავტორის მიკერძოებული პოზიციიდან გამომდინარე. აქ მკითხველი ხდება მოწმე იმისა, თუ როგორ აღიქვამს ერთი ადამიანი მეორეს და ისმის მარადიული კითხვა - რა არის ამ აღქმაში სუბიექტური და რა - ობიექტური?

მსგავს მეორეხარისხოვან პერსონაჟს ვხვდებით ჰელიოდორეს რომანში „ეთიოპიკა“. ეს ტექსტი არის ყველაზე მოცულობითი ანტიკური რომანი და თარიღდება ახ. წ. IV საუკუნით. ტექსტი საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალშრიანია. იგი ეხება სხვადასხვა სფეროს და სხვადასხვა ტიპის მორალის გარკვეულ ერთობასაც წარმოადგენს. ეს გარემოება ტექსტს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის და ძალიან მნიშვნელოვანია ჟანრის ისტორიისა და მისი განვითარებისათვის.

„ჰელიოდორეს „ეთიოპიკის“ სიუჟეტი ჩვეულებრივია ბერძნული რომანისათვის: ულამაზეს ყმაწვილს შეუყვარდება ასეთივე ლამაზი ქალიშვილი, მაგრამ მათ ხვდებათ მრავალი წინააღმდეგობა: დაატყვევებენ, გადაიტანენ განშორების სიმწარეს, ბოლოსდაბოლოს დაქორწინდებიან. მოქმედება ხდება ეგვიპტეში, ძვ.წ. VI ს.-ში.

კომპოზიციური თვალსაზრისით, იგი საკმაოდ რთული და

ვ. ენდელაძე

საინტერესოა. იმ სიახლეებიდან, რომელსაც ავტორი ჟანრის განვითარების თვალსაზრისით გვთავაზობს, აღსანიშნავია, რომ საბერძნეთი მხოლოდ მეორეხარისხოვან პერსონაჟთა თხრობაში გვხვდება, ხოლო მოქმედება ეგვიპტეში მიმდინარეობს (ჩიხლაძე 2003:196; Currie 2009:78).

„თუკი სხვა ანტიკურ რომანებში გმირი ტოვებს თავის სამყოფელს, გადალახავს მრავალ წინააღმდეგობას და ბოლოს ისევ უკან ბრუნდება, „ეთიოპიკის“ გმირი ბავშვობას საბერძნეთში ატარებს, ხოლო არაერთი განსაცდელის გადალახვის შემდეგ, შეყვარებულების ხელახალი შეხვედრა ეთიოპიაში ხდება“ (წერედანი 2023: 82).

რომანის მთავარ პერსონაჟები არიან თეაგენე და ქარიკლეა. საინტერესოა, რომ ისინი ინდივიდუალურობით ხასიათდებიან და, ამდენად, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ზოგადად, ამ ჟანრის ტექსტების საერთო მახასიათებლად შეიძლება გამოვყოთ ის გარკვეული სიუჟეტური ჩარჩო, რომელიც არსებითი ნიშნებით ყველა ტექსტში ერთნაირია (Franklin, Pearl 2019:104-109).

ბერძნული რომანების სიუჟეტთა შემადგენელი მოტივები გასაოცრად ემთხვევა ერთმანეთს, იმდენად, რომ ადვილად შეიძლება ტიპური სქემის შედგენაც კი, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება: ჩვენ წინაშეა საქორწინო ასაკის ახალგაზრდა წყვილი. მათი წარმომავლობა უცნობი ან იდუმალებით მოცულია. ორივენი გამორჩეული სილამაზის ახალგაზრდები არიან. ისინი მოულოდნელად ხვდებიან ერთმანეთს და, როგორც წესი, ეს დიდ დღესასწაულზე ხდება. მათში მოულოდნელი და წამიერი ვნება იფეთქებს, მაგრამ დაქორწინება შეუძლებელია. ქალ-ვაჟი გარკვეული გარემოებების გამო შორდება ერთმანეთს; შემდეგ ისინი ეძებენ და პოულობენ ერთმანეთს, ეს დაშორება და პოვნა რამდენჯერმე მეორდება. ჩვენს წინაშეა ჩვეულებრივი დაბრკოლებები: ქორწილის წინ პატარძლის გატაცება, მშობლების წინააღმდეგობა, შეყვარებულთა გაქცევა, მოგზაურობა, ზღვის ბრძოლა, გემის დაღუპვა, სასწაულებრივი გადარჩენა, მეკობრეთა თავდასხმა, ტყვეობა და საპყრობილეში ყოფნა; შეყვარებულთა უმწიკვლოების ხელყოფის მცდელობა, ომი, ბრძოლები, მონად გაყიდვა, მოჩვენებითი სიკვდილი, გადაცმა, ამოცნობა, მოჩვენებითი ღალატი, ცრუ ბრალდება, სასამართლო პროცესი. იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს აქამდე არ იცნობდნენ, გმირები პოულობენ მათ. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოულოდნელად გამოჩენილი მეგობრები ან მტრები, წინასწარმეტყველება, წინათგონობა, სიზმარი. რომანი მთავრდება დიდებული ქორწილით. ასეთია რომანის ძირითადი სიუჟეტური მოტივები (დაწვრ. იხ. წერედანი 2023:83-84).

მსგავსება ახასიათებს არა მხოლოდ სიუჟეტური ხაზის ძირითადად მახასიათებლებს, არამედ მთავარ პერსონაჟებსაც. როგორც წესი, ამგვარი

ტექსტები იგება შეყვარებული წყვილის ისტორიაზე და ამ წყვილის ურთიერთობაც რამდენადმე სქემატურად ვითარდება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იდეალიზებული წყვილი, რომელიც გარეგნულადაც აბსოლუტურად გამორჩეულია, აწყდება უამრავ წინააღმდეგობას იმისათვის, რომ ერთად ყოფნას მიაღწიოს.

რომანის ტექსტში არ ჩანს პერსონაჟი ალკამენე. ის არის თეაგენეს მოწინააღმდეგე, რადგან სწორედ მასზე სურს ქარიკლეს გათხოვება ქარიკლეს. ეს ტრადიციული და მარადიული დაპირისპირება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ალკამენე არ ჩანს და ის მხოლოდ შეყვარებული წყვილის ამბის განვითარების ერთ-ერთი შესაძლო, რაც მთავარია, ცუდი, ვარიანტია.

ალკამენეზე საუბრობენ და, მიუხედავად იმისა, რომ ის არ ჩანს, მთავარ გმირში შიშსა და აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ შესაძლოა, მასზე დააქორწინონ. შეიძლება, ამით განისაზღვროს კიდევამეორეხარისხოვანი პერსონაჟის ფუნქცია, რომელიც ცხადი ხდება მზაობით - შესაძლებლობის შემთხვევაში იქორწინოს ქარიკლეაზე. ის, ცხადია, არავითარ ღონეს არ ხმარობს ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ რომანში ამას აკეთებს ქარიკლე. ეს კიდევ უფრო ნათელს ხდის, რატომაა შიშისმომგვრელი ის ქარიკლესათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი პერსონაჟის ძალისხმევა იცვლება მეორე პერსონაჟის ძალისხმევით. მხატვრული ეფექტი იგივეა, თუმცა ამ მხატვრული გადაწყვეტილების შედეგად, მეორეხარისხოვან პერსონაჟთა გალერეას კიდევ ერთი უჩინარი წევრი შეემატა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორეხარისხოვან პერსონაჟს, რომელიც თავად არ ჩანს მხატვრულ ტექსტში და მოქმედების განვითარებაში არ მონაწილეობს, მკითხველი ეცნობა სხვა პერსონაჟთა დახასიათებიდან, სხვის მიერ ნაამბობიდან, რაც ანტიკურ მწერლობაში გარკვეული ნოვატიაა.

უჩინარი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ზოგჯერ საფრთხეს უქმნიან მთავარ გმირებს, აბრკოლებენ წყვილს და ხელს უშლიან მათ ერთად ყოფნაში, მაშინაც კი, როცა მათი ძალისხმევა ტექსტში საერთოდ არ ჩანს (Hack 2017:418-425).

უჩინარი პერსონაჟი შეიძლება არ იყოს ეპიზოდური და მთელი მოქმედების მანძილზე წარმოადგენდეს მთავარი გმირის ამა თუ იმ ნაბიჯის მოტივს, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის თავად არაფერს არ აკეთებს.

ანტიკური ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრმა მიმართა მსგავს მხატვრულ ხერხს საკმაო წარმატებით. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ იგივე ხერხი ასეთი წარმატებით აიტაცეს შემდგომი ეპოქების მწერლებმა და თანამედროვე ლიტერატურაშიც მრავლად დაიმუშავეს.

ვ. ენდელაძე

უჩინარი, მაგრამ ხშირად მრავალფუნქციური მეორეხარისხოვანი პერსონაჟები.

ლიტერატურა

- არისტოფანე. 2013. კომედიები, XI ტ., („აქარნელები“, „მხედრები“, „ლრუბლები“, „კრაზანები“) თარგმანი ლევან ბერძენიშვილისა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ევრიპიდე. 2022. ტრაგედიები: „ალკესტისი“, „მედეა“, „ჰერაკლიდები“, „ჰიპოლისტოსი“, „ანდრომაქე“, „ჰეკაბე“, „მავედრებელი ქალები“, თარგმანი ნანა ტონიასი, გამომცემლობა პალიტრა L.
- ევრიპიდე. 2022. ტრაგედიები: „ჰერაკლე“, „ტროელი ქალები“, „ელექტრა“, „ფინიკიელი ქალები“, „ორესტესი“, „ბაკქი ქალები“, „იფიგენია ავლისში“, თარგმანი ნანა ტონიასი, გამომცემლობა პალიტრა L.
- ელინისტური და რომაული კომედია. 2013. ტ. XVIII, ტიტუს მაკვიუს პლავტუსი, „ფსევდოლი“ (თარგმანი იამზე გაგუასი), პუბლიუს ტერენციუს აფერი „საჭურისი“ (თარგმანი მანანა ფხაკაძისა), მენანდროსი, „დისკოლოსი“ (თარგმანი მანანა ფხაკაძისა), ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- რატინი, ი. 2023. ტრაგედია - უძველესი ლიტერატურული ჟანრი. ლიტერატურული ჟანრები I. თბილისი.
- სოფოკლე. 2021. აიასი. მთარგმნელი გიორგი კახიშვილი, თბილისი.
- ჩიხლაძე, ნ. 2003. ამამონობის მოტივი ანტიკურ ლიტერატურაში, „ლოგოსი“, თბილისი.
- წერედიანი, ა. 2023. ანტიკური რომანი, ლიტერატურული ჟანრები ტ. I, თბილისი.
- ჰელიოდორე. 2008. ეთიოპიკა, მთარგმნელი გიგლა სარიშვილი, თბილისი.
- Daniel, Hack. 2017. „Fictional Character: Response, Victorian Studies“, Vol. 59, No. 3, *Papers and Responses from the Fourteenth Annual Conference of the North American Victorian Studies Association*.
- Ruth, Franklin, Maayan, Pearl. 2019. „Character Development“, *Foreign Policy*, No. 209.
- Gregory, Currie. 2009. „Narrative and the Psychology of Character“. *The Journal of Aesthetics and Art Criticism*, Vol. 67, No. 1, Special Issue: The Poetics, Aesthetics, and Philosophy of Narrative, pp. 61-71.
- Omar, Altalib. 2013. „Character and Personality“, From: Parent-Child Relations: *A Guide to Raising Children, International Institute of Islamic Thought*.
- David, Carr. 2014. „Four Perspectives on the Value of Literature for Moral and Character Education“, *The Journal of Aesthetic Education*, Vol. 48, No. 4.

Classics

**“Invisible” Secondary Characters
in Ancient Literature**

Vakhtang Endeladze

endeladze.vakhtang@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.12>

In the traditional sense, a character should be a participant in the story, perform an action, express an attitude towards this or that object or event... This view has changed, to some extent, by those characters who are only mentioned by others, but are connected to any possible option of the development of the story. In the article, we will discuss the secondary characters of the texts of ancient literature, who do not appear in the development of the story, but have a certain, sometimes, even a key function. Moreover, they do not play an episodic role, but even appear throughout the story. This “invisibility” does not necessarily prevent their individualization.

Keywords: ancient literature, secondary invisible character.

In ancient literature, there are many famous characters whose names are associated with myths, expressions, idioms, concepts and more, such as: Achilles' heel, Oedipus' complex, beautiful Helen, mentoring conversations and many others.

While working on secondary characters, I discovered that in ancient literature there are characters who neither have a name nor attract much attention, but, no matter how surprising, they make quite interesting artistic faces.

In the traditional sense, a character must perform a certain function in the text, must be a participant in the story, perform an action, express an attitude towards objects, events, other characters. To some extent, this view is changed by characters who are only mentioned by others, but are connected to any possible options for the development of the story.

Similar characters appeared in a special abundance in ancient drama and artistic prose (novel). In “Oedipus the King” by Sophocles, Oedipus in his dialogue with Jocasta mentions a certain man (drunkard) who was drunk with wine, to whom he said that Oedipus had been abandoned by the king. A drunkard, whose words make Oedipus think and frighten even more, may the words of Tiresias not be justified (Sophocl.Oid.1, 23-25).

ვ. ენდელაძე

This drunkard, whose words cause the main character to panic, does not appear in the text and we meet him only in the story of Oedipus. It is a kind of narrative within a narrative, a character without the main characteristics of a character.

In general, secondary characters may be less characterized as having all the traits that traditionally a story participant should be characterized by, but this does not prevent them from being individualized. Moreover, a secondary character, regardless of whether it appears in the text or not, can have an interesting function (Carr 2014:3-15).

Hector is such a character in Sophocles' tragedy "Aias". He is dead during the development of the story, although he still has some functions. Teucross says: "Hector, with the girdle dedicated to Aias, tied firmly to the wheel of the chariot, was martyred until his soul departed from his body. And Ayas died with a gift dedicated to him, falling to death (Soph. Ayas. 1030-1035). A dead Hector can be said to kill Aias.

In general, secondary characters in ancient comedy are different, and this difference is often determined by the characteristics of the genre. Unlike tragedy, comedy focused on a real context, a secular setting, an informal relationship with the audience, and familiar speech, and always ended well" (Ratiani 2023: 438).

The peculiarity of the genre naturally has a certain influence on the faces of the characters. The main functions of secondary characters in ancient comedy are different from tragedy. This was expected and, we think, natural. The development of the story here is different and different elements are used to tie the knot.

We find invisible secondary characters in Aristophanes' comedy "The Clouds", which can be said to be one of Aristophanes' most popular comedies.

Strepsiades' wife does not appear in the development of the action, she does not take any part in the course of the story, although she forms a kind of background for it. She does not appear as an actor. We meet her only in the words of her husband. Strepsiades says: "May the matchmaker die, who married me to that woman. I lived happily in the village and in the mud. I am a country man and I have married a city wife, a lover of the good life.

Strepsiades blames his son for drowning in debts, and also makes an indirect hint that if he had not taken a wife, he would have lived happily and had no debts. The name of Strepsiades' wife is not mentioned and she is a speechless character. It is not even visible, but the main character considers him the reason for his perverse life (Arit. Cloud. 1. 40-45).

We find a similar secondary character in Heliodorus' novel "Ethiopica". This text is the most voluminous ancient novel. The text is quite diverse and multi-layered. It refers to different areas and represents a certain unity of different

types of morality. This circumstance makes the text particularly interesting and very important for the history of the genre and its development.

As a conclusion, we can say that the secondary character, who does not appear in the artistic text and does not participate in the development of the action, is introduced to the reader from the characterization of other characters, from the narration by someone else, which is a certain innovation in ancient writing.

Invisible secondary characters sometimes threaten the main characters, hinder the couple and prevent them from being together, even when their efforts are not at all visible in the text.

An invisible character may not be episodic, and throughout the action may be a motive for one or another move of the main character, despite the fact that he himself does nothing for it.

Almost all genres of ancient literature applied this artistic technique with considerable success. The proof of this is even the fact that the same method was so successfully adopted by the writers of later eras, and in modern literature, invisible but often multi-functional secondary characters can be found in abundance.

ანტიკური ლიტერატურა

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი:
პოპულარობის ტერიტორია (XV-XIX საუკუნეები)

ქეთევან ფუტკარაძე

putkaradze.ketevani@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.13>

ახ. წ. პირველ საუკუნეში, მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა „მჭევრმეტყველების სწავლება“, რომელშიც შეცადა ეჩვენებინა ადამიანის იდეალური მოდელი, რომელიც, მისი აზრით, ერთდროულად უნდა ყოფილიყო საუკეთესო ორატორი და და პატიოსანი კაცი, ანუ ლათინურად *a vir bonus dicendi peritus*. ეს ნაშრომი უამრავი ინტელექტუალისთვის გადაიქცა შეუცვლელ სახელმძღვანელოდ საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში. შევეცდებით, წინამდებარე ნაშრომში ვაჩვენოთ მისი ზეგავლენები სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში.

საკვანძო სიტყვები: კვინტილიანუსი, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, პროტუგალია, ამერიკა.

ახ. წ. პირველ საუკუნეში, მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა „მჭევრმეტყველების სწავლება“, რომელშიც შეცადა ეჩვენებინა ადამიანის იდეალური მოდელი, რომელიც, მისი აზრით, ერთდროულად უნდა ყოფილიყო საუკეთესო ორატორი და და პატიოსანი კაცი, ანუ ლათინურად *a vir bonus dicendi peritus*. ეს ნაშრომი უამრავი ინტელექტუალისთვის გადაიქცა შეუცვლელ სახელმძღვანელოდ საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში. შევეცდებით, წინამდებარე ნაშრომში ვაჩვენოთ მისი ზეგავლენები სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში.

იტალიაში ძალიან მოსწონდათ კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლება“. 1416 წელს ფლორენციელმა ჰუმანისტმა, პოჯიო ბრაჩოლინიმ, აღმოაჩინა კვინტილიანუსის ამ ნაშრომის სრული ტექსტი. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენა, რადგან მანამდე არსებული ხელნაწერი იყო ძალიან დაზიანებული და აკლდა ბევრი ნაწილი. კვინტილიანუსის ამ ნაშრომით დაინტერესდნენ ფრანჩესკო პეტრარკა, ჯოვანი ბოკაჩო, კოლუმჩიო სალუტატი, პიერ პაოლო ვერჟერიო და სხვები.

Institutio oratoria განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა

იტალიაში რიტორიკის მასწავლებელთა შორის, თუმცა მალე მისით დაინტერესდნენ სრულიად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები (Adamik 1990-1992:123-124).

კვინტილიანუსის პოპულარობა გაიზარდა კიდევ უფრო მას შემდეგ, რაც ბექდვა გამოიგონეს, რადგან 1470 წლიდან გაჩნდა მისი ნაშრომის უამრავი გამოცემა. რომაელის პრესტიჟი გაიზარდა იტალიელ ჰუმანისტთა შორის და მეთხუთმეტე საუკუნის განმავლობაში განათლებული, ინტელექტუალი იტალიელები დიდი მონდომებით იყენებდნენ მის საგანმანათლებლო სწავლებებს. ასეთები იყვნენ: ლეონ ბატისტა ალბერტი, ენეა სილვიო პიკოლომინი, მატეო პალმიერი, ლორენცო ვალა და სხვები (Barilli 1989:146).

გერმანიულ ევროპაში (გერმანია, ნიდერლანდები, შვეიცარია), იტალიის მსგავსად, დიდი იყო კვინტილიანუსის სწავლებებისადმი ინტერესი, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო რეფორმების პერიოდში (XV - XVI სს.), როცა დაიწყო „მქვერმეტყველების სწავლების“ შეტანა უნივერსიტეტებში და გრამატიკულ სკოლებში, რომლებიც იყო გერმანიულ სახელმწიფოებში კლასიკური კულტურის შესწავლის ცენტრები (Adamik 1990-1992:124-128).

გარდაამისა, ცნობილია დამიანები თავადვე დაეწაფნენ კვინტილიანუსის შრომას. ესენი იყვნენ: ალექსანდრე ჰეგიუსი, იოჰან მურმელიუსი, ჰენრიკ ბებელი, იოჰან როიხლინი და სხვები. მათ შორის გამოირჩეოდნენ გერმანული ჰუმანიზმის საუკეთესო წარმომადგენლები: რუდოლფო აგრიკოლა და ერაზმუსი, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ კვინტილიანუსს და მის დოქტრინებს იყენებდნენ თავიანთ შრომებში. ამით ისინი ხელს უწყობდნენ კვინტილიანუსის იდეების კიდევ უფრო გავრცელებას ევროპელ ჰუმანისტებს შორის (Barilli 1989:46).

ევროპის ამავე ნაწილში კვინტილიანუსმა დიდი როლი ითამაშა პროტესტანტული რეფორმირების პროცესებში და ამ პროცესების ისეთი ხელმძღვანელების იდეების ფორმირებაში, როგორებიც იყვნენ: კალვინი, ლუთერი, ცვინგლი, მელანქტონი.

კვინტილიანუსით დაინტერესდნენ ავსტრიაში, უნგრეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში. მის შრომას ევროპის ამ რეგიონებში ბევრი თაყვანისმცემელი (*connoisseurs*) გამოუჩნდა (Walker 2000: 91).

ინგლისში, 1400-1800 წლებში, კვინტილიანუსი არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა ამ პერიოდის ინტელექტუალებში. განსაკუთრებით, განათლებაზე საუბრის კონტექსტში, რადგან ისე, როგორც მთელ ევროპაში, ინგლისელი სტუდენტებისთვისაც კლასიკურ კულტურასთან მიახლოების ერთადერთი გზა განათლება იყო (Terrill 2016: 157-171).

ქ. ფუტკარაძე

წლების განმავლობაში, სპეციალისტთა უზარმაზარმა არმიამ ცხადად აჩვენა კვინტილიანუსის *Institutio oratoria*-ს როლი ინგლისის გრამატიკულ სკოლებში. რაც მთავარია, ამ ნაწარმოების ინტენსიური შესწავლა დაიწყო ოქსფორდსა და კემბრიჯში. კვინტილიანუსის თაყვანისმცემელთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი ინგლისელი მოაზროვნეები და მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ: თომას მორი, თომას ელიოტი, რიჩარდ მულკასტერი.

ამ პერიოდის ინგლისში კვინტილიანუსის ზეგავლენები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საგანმანათლებლო სფეროთი. ასეთივე დიდი ზეგავლენა ჰქონდა რომაელ ავტორს დამის შრომას ლიტერატურაზე. ვინაიდან მაშინ პოეზიაზე დიდი გავლენას ახდენდა რიტორიკის თეორია, ბევრი ცნობილი პოეტი იყენებდა მის შეხედულებებს საკუთარ შემოქმედებაში. ესენი იყვნენ: ჯორჯ პუტენჰემი, უილიამ ბები, ჯონ დონი, ბენ ჯონსონი და სხვები (Adamietz 1986: 2240-2271).

დიდი დოზით იყენებდა კვინტილიანუსის დოქტრინებს უილიამ შექსპირი. ტ. ვ. ბოლდვინის აზრით, შექსპირის პერსონაჟები ხშირად საუბრობენ, როგორც დახელოვნებული ორატორები და შექსპირის რიტორიკულ განათლებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლებამ“ ითამაშა. ინგლისელი დრამატურგისთვის კვინტილიანუსი იყო „უმაღლესი ავტორიტეტი“.

ინგლისში კვინტილიანუსი ძალიან პოპულარული იყო მთელი სამი საუკუნის განმავლობაში (XVI- XVIII სს.) და დიდი ზეგავლენა ჰქონდა ინგლისურ ჰუმანიზმზე. კვინტილიანუსის ნაშრომის საუკეთესო ცოდნას ამჟღავნებდნენ ამ საუკუნეების ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: ლორდი ჩესტერფილდი, ალექსანდრე პოპი, უილიამ პიტი, ედვარდ გიბონი და დავიდ ჰიუმი. შეიძლება ითქვას, რომ კვინტილიანუსის ნაშრომმა ზეგავლენა მოახდინა ინგლისში მთელ ლიბერალურ განათლებაზე (Vitanza 1994: 209-210).

საფრანგეთში კვინტილიანუსით განსაკუთრებით დაინტერესდნენ 1450-1850 წლებში. უპირველესი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ აქ კვინტილიანუსის გავლენის მასშტაბები ძალიან ფართო და ღრმაა, მაგრამ განსაკუთრებული ანალიზის საგანი შეიძლება გახდეს მისი ზეგავლენა გრამატიკაზე, პოეზიაზე, რიტორიკასა და განათლებაზე (Adamietz 1986: 2231-2240).

კვინტილიანუსს ბაძავდნენ XVI საუკუნის ისეთი ფრანგი ჰუმანისტები, როგორებიც იყვნენ ჟან გერსონი, ნიკოლას ლუი. სწორედ მათი მონდომების შედეგად გავრცელდა კვინტილიანუსის დოქტრინები მთელ საფრანგეთში.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ჰუმანიზმის განვითარება აღინიშნა პოეზიის ახალ ფორმით, რომელიც დაწერილი იყო ხალხური ენით და

ეყრდნობოდა რიტორიკის წესებს. ამის გამო, კვინტილიანუსის სწავლებები ცნობილი იყო ამ ე.წ. „მჭევრმეტყველური ტიპის“ პოეტებისთვის, როგორებიც იყვნენ: ჟან რობერტი და ფრანსუა ჟილბერტი.

XVI საუკუნეში, საფრანგეთში, ჰუმანიზმის გავრცელების პერიოდში, ანტიკური ეპოქის კვინტილიანუსის მსგავსი ავტორები ინტენსიურად ისწავლებოდა. ეპოქის ერთ-ერთი დიდი ჰუმანისტი, დილიან ბუდე, აქტიურად სწავლობდა და შემდეგ აქტიურად იყენებდა რომაელი ავტორის იდეებს საკუთარ შრომებში (Meador 1983: 160-176). იგივე შეიძლება ითქვას ამ დროის ისეთ ცნობილ მასწავლებლებზე, როგორებიც იყვნენ: რამე პიერ დე ლა, მათურინ კორდიე და სხვები. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ, რომ კვინტილიანუსის შრომა გავრცელებულიყო სტუდენტებს შორის (Calboli 2010:15-28).

დიდი იყო კვინტილიანუსის ზეგავლენა XVI საუკუნის ფრანგ გრამატიკოსებსა და რიტორებზე, რადგან მათთვის სწორედ კვინტილიანუსი იყო მჭევრმეტყველაში მთავარი ავტორიტეტი.

მნიშვნელოვანი იყო რომაელი ორატორის ზეგავლენა ამ საუკუნის ფრანგულ პოეზიაზე, რომელიც La Pléiade-ს სახელით იყო ცნობილი. ერთ-ერთი ავტორი, რომლის ნაშრომს - *Défense et Illustration de la langue française* (1549)-ს, აშკარად ეტყობა კვინტილიანუსის გავლენა, იყო იოაჰიმ დუ ბელი. კვინტილიანუსის დარიგებებით უხვად სარგებლობდნენ სხვა პოეტებიც: მოლიერი, ფონტანი, დენის დიდრო, რუსო, ვოლტერი და სხვები (Vickers 1988:89).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ კვინტილიანუსი საფრანგეთში ძალიან მნიშვნელოვანი ავტორი იყო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

პორტუგალიაში დიდი წვლილი მიუძღვის კვინტილიანუსს რიტორიკის, ლიტერატურის, განათლების საკითხების ჩამოყალიბება-განვითარებაში. იწყება დიდი კამათი ამ საკითხებზე და ბევრი პორტუგალიელი ჰუმანისტისთვის მისაღები სწორედ კვინტილიანუსის აზრები და მისი *Institutio oratoria* აღმოჩნდა. კვინტილიანუსის პოპულარობა აქ გაგრძელდა XVII საუკუნემდე და განსაკუთრებით იგრძნობოდა ისეთი მოაზროვნეების ნაშრომებში, როგორებიც იყვნენ ბენედიქტ პერიერა და ანტონიო დე მაჩადო.

პორტუგალიურკულტურაში რომაელი ავტორის გავლენა განსაკუთრებით აშკარაა ორ სფეროში - გრამატიკასა და პოეზიაში, ხოლო ფერნანდო ოლივეირას გრამატიკის სახელმძღვანელოს *Grammatica de Lingoagem Portuguesa* (1536) და ჯოაო დე ბაროსის *Gramatica da lingua portuguesa* (1540) ძირითადი წყარო სწორედ კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლება“ უტყუარად იყო (Gwynn 1999: 231).

მალე, ევროპელი ინტელექტუალების წყალობით, კვინტილიანუსის

ქ. ფუტკარაძე

სახელმა **ამერიკაშიც** მიაღწია, როცა ევროპელი განმანათლებლები შეეცადნენ, ამერიკაში ევროპული ჰუმანიზმის და კვინტილიანუსის იდეებზე დამყარებული განათლება შეექმნათ. საერთოდ ამ ტიპის განათლება დიდი დოზით ეყრდნობოდა კლასიკოს ავტორებს (Gunderson 2000:33).

აქ კვინტილიანუსის შეხედულებები სწრაფად გარცელდა, რადგან ეს ახალი განათლების სისტემა ორატორული ხელოვნების განვითარებაზე დიდწილად იყო ორიენტირებული. ამ მიზნით, კვინტილიანუსის ნაშრომი საკვანძო ფუნქციას შეიძენდა აუცილებლად, მით უმეტეს, რომ უამრავი მისიონერული სკოლა გაჩნდა ერთბაშად. სწორედ ეს სკოლები იქცა ამერიკელებისთვის კლასიკურ ლიტერატურასთან მიახლოების მთავარი ცენტრებად, ხოლო კვინტილიანუსის *Institutio oratoria* - სტუდენტების აღზრდის გამორჩეული სახელმძღვანელოდ (Meador 1983:151-160).

გარდა ამისა, ყველა სასწავლებელში, ევროპული სკოლების მსგავსად, ისწავლებოდა ანტიკური ლიტერატურა და ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, ციცერონის შრომებთან ერთად, იყო „მჭევრმეტყველების სწავლების მეათე თავი, რომელიც ლიტერატურის ისტორიის პირველ სახელმძღვანელოდ თამამად შეიძლება ჩაითვალოს (Adamietz 1986:2226-2230).

კვინტილიანუსის სახელი და აზრები განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სამხრეთ ამერიკაში, XVI-XIX საუკუნეებში, ისეთ მოაზროვნეებს შორის, როგორებიც იყვნენ: მატოსი, გრანადოსი, ბოლივარი და მუნგუი.

იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ ამერიკის უნივერსიტეტებზე - ჰარვარდზე, იალეზე, პრისტონზე, რომლებშიც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, ანტიკური ლიტერატურის და ორატორული ხელოვნების ინტენსიური შესწავლის ეპოქა დადგა (Calboli 2010:11-15).

ამის მაგალითია ჯონ ვორდის 1759 წელს გამოცემული „ორატორული სისტემა“, რომლის თეზების ძირითად სამაგალითო ბაზას ანტიკური ავტორების, განსაკუთრებით, ციცერონის და კვინტილიანუსის ციტირება წარმოადგენს.

ისეთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ ბენჯამინ ფრანკლინი და ჯონ ქვინსი ადამსი, შექმნეს ჰარვარდის უნივერსიტეტში კვინტილიანუსის შემოქმედების შემსწავლელი კურსები.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი-ახალ კონტინეტზე კლასიკური განათლება, ანტიკური ეპოქის ავტორები, მათ შორის, კვინტილიანუსი, ისეთივე მისაღები და საინტერესო აღმოჩნდა XVI-XIX საუკუნეებში, როგორც ბებერ ევროპაში.

ლიტერატურა

- Adamietz, J. 1986. *Quintilians "Institutio oratoria"* In *Aufstieg und Niedergang der römischen Welt* II.32.4, Berlin and New York.
- Adamik, T. 1990-1992. "Quintilian's Theory of Rhetoric and Style". *Acta Antiqua Academiae Scientiarum Hungaricae* 33.
- Barilli, R. 1989. *Rhetoric*, translated by G. Menozzi. Minneapolis, MN (Original edition; second edition 1983).
- Calboli, G. 2010. 'Quintilien et les déclamateurs'. In *Quintilien Ancien et moderne*, edited by P. Galand et al. Turnhout, 11-28.
- Gunderson, E. 2000. *Staging Masculinity: The Rhetoric of Performance in the Roman World*. Gwynn, A. (1999), *Roman Education from Cicero to Quintilian*. Oxford.
- Meador, P.A., Jr. 1983. *Quintilian and the Institutio Oratoria* In *A Synoptic History of Classical Rhetoric*, edited by J.J. Murphy. Second edition, Davis, CA.
- Terrill. 2016. *Reproducing Virtue: Quintilian, Imitation, and Rhetorical Education*. *Advances in the History of Rhetoric* 19.2.
- Vickers, B. 1988. *In Defense of Rhetoric*. Oxford: Clarendon.
- Vitanza, V. J. 1994. *Writing Histories of Rhetoric*. Carbondale, IL: Southern Illinois University Press.
- Walker, J. 2000. *Rhetoric and Poetics in Antiquity*. New York: Oxford University Press.

Classics

**Marcus Fabius Quintilianus:
Area of Popularity (XV-XIX centuries)**

Ketevan Putkaradze

putkaradze.ketevani@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.13>

In the 1st century, Marcus Fabius Quintilianus wrote “Institutio Oratoria”, in which he tried to show the ideal model of a man who, in his opinion, should be both the best orator and an honest man, or in Latin a vir bonus dicendi peritus. This work has become an indispensable guide for many intellectuals throughout the centuries in different countries. In this paper we will try to show its effects in different geographical areas.

Keywords: Quintilianus, Italy, France, England, Portugal, America.

In the 1st century, Marcus Fabius Quintilianus wrote “Institutio Oratoria”, in which he tried to show the ideal model of a man who, in his opinion, should be both the best orator and an honest man, or in Latin a vir bonus dicendi peritus. This work has become an indispensable guide for many intellectuals throughout the centuries in different countries. We will try to show its effects in different geographical areas in this paper.

In Italy they liked Quintilianus’ “Institutio Oratoria” very much. In 1416, the Florentine humanist Poggio Bracciolini discovered the complete text of this work by Quintilian. This was a discovery of great importance, as the previous manuscript was very damaged and many parts were missing. Francesco Petrarca, Giovanni Boccaccio, Coluccio Salutati, Antonio Lochi, Pier Paolo Vergerio and others were interested in this work of Quintilianus.

In Germanic Europe (Germany, the Netherlands, Switzerland), like Italy, there was great interest in the teachings of Quintilianus, especially during the period of educational reforms (XV-XVI centuries), when they began to introduce the “Institutio Oratoria” in universities and grammar schools, which were in the Germanic states centers of classical culture study.

In England, in 1400-1800, Quintilianus enjoyed no less popularity among the intellectuals of this period. Especially in the context of talking about education, because, as in all of Europe, the only way for English students to approach classical

culture was through education.

Quintilianus was especially popular in France in 1450-1850. The first thing is that the scope of Quintilianus' influence here is very wide and deep, but his influence on grammar, poetry, rhetoric and education can be the subject of special analysis.

In Portugal, Quintilianus made a great contribution to the formation and development of rhetoric, literature, and education issues. A great debate begins on these issues, and it is Quintilianus thoughts and his *Institutio oratoria* that are acceptable to many Portuguese humanists. Quintilianus' popularity here lasted until the 17th century and was especially felt in the works of such thinkers as Bento Pereira and Antonio de Macedo.

Soon, thanks to European intellectuals, Quintilianus' name reached America as well, when European educators tried to create an education based on European humanism and Quintilianus' ideas in America. In general, this type of education relied heavily on classic authors. Here the views of Quintilianus spread quickly, because this new education system was largely focused on the development of the art of oratory. For this purpose, Quintilianus' work would definitely play a key role, especially since many missionary schools appeared at once. It was these schools that became the main centers of access to classical literature for Americans, and Quintilianus' *Institutio Oratoria* - an outstanding guide for the education of students.

And finally, the most important thing - classical education on the new continent, the authors of the ancient era, including Quintilianus, were as acceptable and interesting in the 16th-19th centuries as in the old Europe.

ანტიკური ლიტერატურა

ბიბლიოთეკის წარმოშობა ძველ საბერძნეთსა და რომში
(ტრადიციული შეხედულებების რევიზირება)

გიორგი ჭიჭინაძე

giorgi.chichinadze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.14>

ანტიკური ბერძნული ბიბლიოთეკის წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენიმე ცნობილი ისტორია არსებობს, თუმცა, ვფიქრობთ, მათ გარკვეული ხარვეზი ახლავს. პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დადასტურებული არ არის ლიცეუმების არსებობა არისტოტელეს დროს და შესაბამისად, ფილოსოფოსის, რომელიც ბიბლიოთეკის პირველ შემქმნელად ითვლება, წიგნები, სავარაუდოდ, განთავსებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ადგილას. ამ ტიპის სადავო შეხედულებებზე ვამახვილებთ ყურადღებას წინამდებარე სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: ბიბლიოთეკა, წარმოშობა, ბერძნული, რომაული, რევიზირება.

ანტიკური, ბერძნული და რომაული, ბიბლიოთეკების წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენიმე ცნობილი ისტორია არსებობს, თუმცა, ვფიქრობთ, მათ გარკვეული ხარვეზი ახლავს. პირველ რიგში, გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დადასტურებული არ არის ლიცეუმის (ლიკეიონი) არსებობა არისტოტელეს დროს და შესაბამისად, ფილოსოფოსის წიგნები, სავარაუდოდ, განთავსებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ადგილას. არც ალექსანდრიის უძველეს ისტორიაზე მოგვითხრობს წყაროები და საეჭვოა, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მოდელი სწორედ არისტოტელეს ლიკეიონი ყოფილიყო. შეცდომად მიგვაჩნია ასევე მისი იდენტიფიცირება პერგამონის ბიბლიოთეკასთან. რომის უძველესი ბიბლიოთეკების შესახებ ინფორმაციაც საკმაოდ მწირია. მტკიცება, რომ წიგნები გამოიყენებოდა მხოლოდ კოლონადაში (სვეტების გრძელი თანმიმდევრობა, ცალკე მდგომი, ან შენობის ნაწილი) ან ექსედრაში (ნახევარწრიული ნიში, რომელშიც დასაჯდომი ადგილები იყო მოწყობილი, განსხვავებით ოთახისგან, რომელშიც წიგნები ინახებოდა), შეიძლება ადვილად უარყვოდ (Bagnall 2002: 25).

განაცხადი იმის შესახებ, რომ არისტოტელემ შექმნა პირველი

ბიბლიოთეკა, გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. პირველი არის არისტოტელეს დროს ლიკეიონის არქიტექტურის შესახებ ცნობების ნაკლებობა (Dix 1994: 2820296); მეორე - არისტოტელე სადაც წიგნებს ინახავდა, ჩვენი აზრით, არ უნდა ყოფილიყო ლიკეიონი. ათენის სამი ცნობილი გიმნასიონი (გიმნაზია), რომლებიც ნაპოვნია - აკადემია (ჰეკადემია), ლიკეიონი და კინოსარგესი, არქაულ პერიოდში გაჩნდა. ეს სამი ტერიტორია, ყველა ქალაქს გარეთ იყო და საზოგადო სიწმინდეებად მიიჩნეოდა. აკადემია წმინდა იყო გმირი ჰეკადემოსისთვის, ლიკეიონი - აპოლონ ლიკეიონისთვის და კინოსარგესი - ჰერაკლესთვის (Travlos 1971: 42). ეს სიწმინდეები თავდაპირველად მხოლოდ უბრალო ადგილები იყო ფიზიკური მომზადებისა და სამხედრო წვრთნებისთვის, რაიმე კონკრეტული შენობების გარეშე. ისინი მოიცავდნენ დიდ ტერიტორიებს. აკადემია იყო დაახლოებით 450x300მ (Delorme 1960: 36-50). ასევე, საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა ლიკეიონს (Xen. Eq. mag. 3.1.6-7), რომელსაც იყენებდნენ ჯარების წრთენისთვის (Ar. Pax 35-56), ხოლო პლუტარქოსი აღნიშნავს, რომ სულა ლიკეიონს და აკადემიას იყენებდა ალყის დროს გამოყენებული ძრავების ასაშენებლად (Plut. Sull.23).

ძვ.წ. IV საუკუნის განმავლობაში გამოჩნდა მონუმენტური საწვრთნელი სტრუქტურები (დაწვრ. იხ. Wacker 2007). პლატონი თავის ნაშრომში *Euthydemus* საუბრობს გასახდელ ოთახზე (ἀοιδναρχία) და დაფარულ ბილიკზე ლიკეიონში (καταστέγα δρόμα), რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ გიმნასიონი ფიზიკური სტრუქტურის გაგებით (და არა, როგორც უბრალოდ ადგილი ვარჯიშისთვის) უკვე ჩამოყალიბებული იყო. ასევე საუბრობენ დიდ ოთახზე გრძელი სკამებით, რომელიც ბილიკზე გადიოდა (Delorme 1960: 374-94; Wacker 2007: 349-51).

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ვიცით ლიკეიონის ოთახების განლაგების შესახებ ძვ.წ. IV საუკუნეში. კრისტინ კალმერმა გამოიყენა თეოფრასტოსის ინფორმაცია ლიკეიონის თავისებურებების შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს დოკუმენტი ვერ გამოდგება სახელმძღვანელოდ (Callmer 1944: 147) თეოფრასტოსი გარდაიცვალა ძვ.წ. 287-286 წლების მახლობლად და არსებობს ეჭვი, რომ ამ ტერიტორიამ საკმაოდ დიდი ცვლილებები განიცადა არისტოტელეს სიკვდილის შემდეგ.

დიონისიოს ლაერტელის ცნობით, დემეტრიოს ფალერუმელმა თეოფრასტოსს გადასცა ლიკეიონის მიმდებარე მიწის ნაკვეთი (Diog. Laert. 5.39) და ის შეიძლება ყოფილიყო მრავალი პერიპატეტული საქმიანობის ადგილი. თეოფრასტოსი ანდერძში ახსენებს ბევრ არასრულ სამშენებლო პროექტს, რაც მიანიშნებს, რომ ლიკეიონის ტერიტორია მაშინაც ხშირად იცვლებოდა. შესაბამისად, გაგვიჭირდება იმის მტკიცება, რომ შემდგომი

გ. ჭიჭინაძე

ბიბლიოთეკები შეიქმნა არისტოტელეს ლიკეონის მოდელით, რადგან არ არსებობს სანდო მტკიცებულება იმისა, თუ როგორ გამოიყურებოდა არისტოტელეს ლიკეონი.

შემდეგი მნიშვნელოვანი შენიშვნა არის ის, რომ ეს საერთოდ არ იყო არისტოტელეს ლიკეონი. ჯონ ლინჩი აღნიშნავს, რომ ლიკეონი იყო სახალხო საკურთხეველი, სადაც აკრძალული იყო კერძო საკუთრების განთავსება, მით უმეტეს, ისეთი არა ათენელისთვის, როგორც არისტოტელე იყო (Lynch 1972: 60).

ლიკეონში იკრიბებოდნენ სხვადასხვა ტიპის მასწავლებლები და იქ ისინი თავიანთ მსმენელებს (მოსწავლეებს) პოულობდნენ. სავარაუდოდ, ეს იყო სოფისტების თავშეყრის ადგილიც. პლატონი აღნიშნავს, რომ სოკრატესს უყვარდა იქ ხშირად მისვლა (*Euthphr.* 2a). ისოკრატესიც ჰყვება ლიკეონზე, როგორც სასწავლო თავშეყრის ადგილზე (*Panath.* 18, 33). საშუალო კომედია იმავეზე მეტყველებს (Lynch 1972: 46). სავარაუდოდ, არისტოტელეც მას ამავე მიზნისთვის იყენებდა და იქ ვერ იქნებოდა მისი ბიბლიოთეკა განთავსებული, რადგან არისტოტელე არ ფლობდა ლიკეონის რომელიმე ნაწილს და იგი იყო საჯარო ადგილი, სადაც არისტოტელე ასწავლიდა.

იდეა, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა შეიქმნა არისტოტელეს ლიკეონის მოდელით, კიდევ უფრო პრობლემური გვეჩვენება. მტკიცება, რომ არისტოტელემ გამოიგონა ბიბლიოთეკა და ეს იდეა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში განსხეულდა, ეკუთვნის სტრაბონს (13.1.54), რომელიც წერდა ამ ფაქტიდან სამასი წლის შემდეგ და აშკარად არასწორი მტკიცებით, რომ არისტოტელე ასწავლიდა პტოლემოსებს. ლიფსიუსის ინტერპრეტაცია (*De Bibl.* 2.2), რომ სტრაბონი მხოლოდ გავლენაზე ლაპარაკობდა, არ არის დამაჯერებელი. ლიფსიუსი, უბრალოდ, ცდილობდა სტრაბონის აშკარა შეცდომის სწორად გაგებას და ახსნას.

მოსაზრება, თითქოს დემეტრიოს ფალერუმელმა მოიტანა ბიბლიოთეკის იდეა ათენიდან ალექსანდრიაში, ნაკლებად სანდოა. როგორც ბაგნალმა აღნიშნა, წყაროები, რომლებიც ჩვენ გვაქვს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის წარმოშობის შესახებ, მის დაარსებას პტოლემოს II ფილადელფოსის (ძვ.წ. 285–246) დროზე მიანიშნებს (Bagnall 2002: 349–51). ბაგნალმა აჩვენა, რომ ზოგიერთების მტკიცება, თითქოს ბიბლიოთეკა პტოლემოს I სოტერის დროს უნდა დაწყებულიყო, არის აშკარად წყაროების არასწორად გაგების შედეგი (Bagnall 2002: 350–51).

რაც შეეხება სავარაუდო მსგავსებას არისტოტელესა და ფილადელფოსის ბიბლიოთეკების არქიტექტურულ ფორმებს შორის, იგი ემყარება თეოფრასტოსის ანდერძს. სტრაბონი ბიბლიოთეკას საერთოდ არ ახსენებს, მაგრამ ახსენებს მუზეუმს (მუსეიონი). მიუხედავად იმისა,

რომ მუზეუმი არ შეცვლილა 250 ან მეტი წლის წინ სტრაბონამდე, მისი აღწერა არ მიესადაგება პერგამონის ბიბლიოთეკას. სტრაბონის მიერ დაფიქსირებული შენობის ძირითადი ნიშნებია პერიპატოსი, ექსედრა და ოიკოს მეგასი. პერგამონის კომპლექსში არ არის ექსედრას ნიშნები, ხოლო კოლონადისა და დიდი ოთახის არსებობა მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება (Jacob 2013: 57-81).

ამასთან, ვერც იმის მტკიცებას შევუდგებით, რომ პერგამონის ბიბლიოთეკის იდენტიფიკაცია სწორია. ალექსანდრე კონზეს მოსაზრება ამ თვალსაზრისით ემყარებოდა რამდენიმე ფაქტორს (დაწვრ. იხ. Conze 1884): დიდ დარბაზში იდგა ათენას უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც, კონზეს აზრით, შესაფერისი იქნებოდა ბიბლიოთეკისთვის (იუვენალისმა სწორედ ასეთი რამ ახსენა (Juv. Sat. 3.219: ახლა გაუჩინარებული ხის (იქნებ, წიგნის?) თაროები). იქვე ჰომეროსის, ალკეოსის, ტიმოთეოსის და ჰეროდოტოსის ქანდაკებებს ცენტრალური ნაწილი უკავიათ (Conze 1884: 1261-62). მისი აზრით, ბიბლიოთეკები ხშირად განთავსებული იყო ტაძრის მიდამოებში. ესეც ხომ წმინდა ადგილად იყო მიჩნეული?!

კონზემ ასევე არგუმენტად გამოიყენა აფთონიუსის ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ კოლონადებში აშენდა სვეტები, რომელთაგან ზოგიერთი იყო წიგნების საწყობი (παρῳκιδόμῳνται δὲ τοῖσι τῶν στοῶν ἔνδοθεν, οἱ μὲν ταμεία γεγενημένοι ταῖς βίβλοις, Progyrnasmata 12). კონზე ამტკიცებდა, რომ სათავსოების კომბინაცია კოლონადებთან უნდა იყოს ელინისტური და რომაული ბიბლიოთეკებისთვის დამახასიათებელი. მსგავსადწერაშემოგვთავაზაპლუტარქოსმალუკულუსისბიბლიოთეკაზე საუბრისას (ლუკ. 42.1). ასევე იყო არქეოლოგიური შედარება, რომელიც კონზემ აღმოაჩინა პაპირუსების ვილაში არსებულ ბიბლიოთეკაში. ყველაფერი ამის საფუძველზე, კონზე ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს იყო ცნობილი პერგამონის ბიბლიოთეკა.

ამგვარი იდენტიფიკაცია ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში არავის გაუპროტესტებია. ერთადერთი საკამათო საკითხი ეხებოდა დიდი დარბაზის გამოყენებას. ზოგი თვლიდა, რომ აქ შეიძლებოდა ყოფილიყო წიგნების თაროები (რიჩარდ ბონი); ზოგისთვის იგი ბნელი ფართი იყო და წიგნები გვერდით ოთახში უნდა ყოფილიყო მოთავსებული (კარლ ზიატცკო); ჰარალდი მიელსის აზრით, ამ კომპლექსს არავითარი კავშირი არ ჰქონდა პერგამონის ბიბლიოთეკასთან (Bohn 1885: 56-71; Dziatzko 1897: 415; Mielsch 1995: 770-71).

რაც შეეხება ანტიოქიისა და პელას ბიბლიოთეკებს, მათი არსებობის მტკიცებულება ძალიან სუსტია და შეიძლება დავეყრდნოთ მხოლოდ გვიან ბიოგრაფიულ ტრადიციებს ევფორიონისა და არათუსის შესახებ (Maass 1898: 78).

გ. ჭიჭინაძე

პლუტარქოსი წერს, რომ ემილიუს პაულუსმა წიგნები წაიღო უკან რომში, როცა მან დაამარცხა მეფე პერსევსი (ძვ.წ. 179-168), თუმცა, ის ფაქტი, რომ მეფეს ჰქონდა წიგნები, მაინცდამაინც არ უნდა მიანიშნებდეს, რომ მას ჰქონდა სამეფო ბიბლიოთეკაც (Harris 1995: 57).

ასევე, გაუგებარია, რომ რომის კერძო ბიბლიოთეკებს ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული არქიტექტურული ფორმა, მით უმეტეს, „ბერძნული ბიბლიოთეკის“ მსგავსი. მენანდროსის სახლის ბიბლიოთეკა (ფიგ. 2) შესანიშნავი მაგალითია კერძო ბიბლიოთეკაზე წარმოდგენის შესაქმნელად, როგორც ამას ლიტერატურული წყაროებიდან ვგებულობთ - პატარა ოთახი წიგნების თაროებით იხსნება კოლონადაზე ექსედრებით. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თაროებზე, ალბათ, იყო მხოლოდ მცირე ზომის კერამიკის ნათურები, მინის ჭურჭელი და სხვა წვრილმანი ნივთები, რომლებიც რეალურად აღმოაჩინეს კიდეც ოთახში; ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ იგი სათავსო უფრო იყო, ვიდრე ბიბლიოთეკა. მენანდროსის სახლის ბიბლიოთეკა არაფრით ჰგავდა ბიბლიოთეკას და არაფრით გამოირჩეოდა მდიდარი მემამულეების ვილებიდან.

რაც შეეხება მტკიცებას, რომ „ბერძნულ ბიბლიოთეკებში“ (და რომაულ კერძო ბიბლიოთეკებში) წიგნები ინახებოდა სათავსოში, ხოლო წიგნთან დაკავშირებული აქტივობები (კითხვა, დისკუსია და ა.შ.) ტარდებოდა კოლონადაში - ვერანაირი მტკიცებულება მის დასადასტურებლად ვერ მოვიძიებნეთ (შდრ.: Dillon 2003).

ციცერონი ნაშრომში *De Finibus* (3.7), d (3.7), აღწერს საკუთარ სტუმრობას ახალგაზრდა ლუკულუსის ტუსკულანის ვილაში, რათა წამოიღოს რამდენიმე წიგნი მისი ბიბლიოთეკიდან. იქ მას შეხვდა მარკუს კატო, რომელიც იჯდა ბიბლიოთეკაში (*in bibliotheca sedentem*), ხოლო ირგვლივ ეწყო უამრავი წიგნი.

ნაშრომში *De Diuinatione* (2.8) ციცერონი წერს: როდესაც ბევრი ვისეირნეთ, გადავწყვიტეთ, ლიცეუმის (ტუსკულანის ვილაში და არა ათენში) ბიბლიოთეკაში დავმსხდარიყავით.

ციცერონი აღნიშნავს, რომ როცა რაიმე დიდტანიან ნაწარმოებზე მუშაობდა, როგორცაა, მაგალითად, „ორატორი“, თუ ვინმე ესტუმრებოდა, ბიბლიოთეკაში იმალებოდა, რომ მუშაობაში ხელი არ შეშლოდა (Ad Fam. 7.28.2). ციცერონი წერს გაიუს ტრეპატიუსს, როგორ იხსდნენ მის ბიბლიოთეკაში და კითხულობდნენ მათთვის საინტერესო წიგნებს, მერე კი, როგორ ორივე დაინტერესდა არისტოტელეს ნაშრომით *Topica*: Cum enim mecum in Tusculano esses et in bibliotheca separatim uterque nostrum ad suum studium libellos quos uellet euolueret, incidisti in Aristotelis Topica quaedam, quae sunt ab illo pluribus libris explicata. Qua inscriptione commotus continuo a me librorum eorum sententiam requisisti.

ვიტრუვიუსი ასევე თავის რჩევებში ბიბლიოთეკების სახლის შიგნით განლაგების შესახებ, მიუთითებს, რომ წიგნების ოთახი უფრო წიგნების ფაქტობრივი გამოყენების (წაკითხვის) ადგილი იყო, ვიდრე უბრალოდ მათი შენახვის. იგი წერს, რომ ბიბლიოთეკა ყოველთვის უნდა იყურებოდეს აღმოსავლეთისკენ, რომ მასში შუქი კარგად აღწევდეს (*cubicula et bybliothecae ad orientem spectare debent; usus enim matutinum postulat lumen*, 6.4.1). ამკარაა, რომ თუ ბიბლიოთეკაში აუცილებელი პირობა იყო სინათლის არსებობა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წერა-კითხვაც. ძნელი სათქმელია, რამდენად ემთხვევა რეალობას ვიტრუვიუსის ინფორმაციები, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგი კითხვის იდეას იგონებს, ან უსაფუძვლოდ წერს (Davies 2003: 323-343).

ამგვარად, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ უძველესი, ბეძნული და რომაული, ბიბლიოთეკების წარმოშობასთან დაკავშირებული მოსაზრება შეიძლება დროთა განმავლობაში გარკვეულ რევიზირებას დაექვემდებაროს.

ლიტერატურა

- Bagnall, R. S. 2002. "Alexandria: Library of Dreams." *PAPs* 1.
- Bohn, R. 1885. *Das Heiligtum der Athena Polias Nikephoros*. Berlin: W. Spemann.
- Callmer, C. 1944. "Antike Bibliotheken." *Op. Arch.* 3 (*Acta Instituti Romani Regni Sueciae*10).
- Conze, A. 1884. "Die pergamenische Bibliothek." *Sitzungsberichte der königlich preussischen Akademie der Wissenschaft zu Berlin*. 1884: 1259-70.
- Davies, J. K. 2003. "Greek Archives: From Record to Monument." In Brosius, M. ed. *Ancient Archives and Archival Traditions: Concepts of Record-Keeping in the Ancient World*. Oxford: Oxford University Press.
- Delorme, J. 1960. *Gymnasion: Étude sur les monuments consacrés à l'éducation en Grèce*. Paris: E. de Boccard.
- Dziatzko, K. 1897. "Bibliotheken." *RE* 3.1: 405-24.
- Dillon, J. 2003. *The Heirs of Plato: A Study of the Old Academy, 347-274 B.C.* Oxford: Clarendon Press.
- Dix, T. K. 1994. "'Public Libraries' in Ancient Rome: Ideology and Reality." *Libraries & Culture* 29.
- Harris, M. H. 1995. *History of Libraries in the Western World*. 4th ed. Metuchen, NJ: The Scarecrow Press.
- Jacob, C. 2013. "Fragments of a History of Ancient Libraries." In König, Oikonomopoulou and Woolf.

- Lynch, J. P. 1972. *Aristotle's School: A Study of a Greek Educational Institution*. Berkeley: University of California Press.
- Maass, E. 1898. *Commentariorum in Aratum Reliquiae*. Berlin: Weidmann.
- Mielsch, H. 1995. "Die Bibliotheken und die Kunstsammlung der Könige von Pergamon." AA 765–79.
- Travlos, J. 1971. *Pictorial Dictionary of Ancient Athens*. London: Thames and Hudson.
- Wacker, C. 2007. "Die bauhistorische Entwicklung der Gymnasien von der Parkanlage zum 'Idealgymnasion' des Vitruv." *In Kah and Scholz*.

Classics

The Origin of the Library in Ancient Greece and Rome (Revising Traditional Views)

Giorgi Chichinadze

giorgi.chichinadze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.14>

There are several well-known stories about the origins of the ancient Greek library, but we believe they are somewhat flawed. First of all, we would like to point out the fact that the existence of lyceums at the time of Aristotle is not confirmed, and therefore, the books of the philosopher, who is considered the first creator of the library, should probably have been placed in different places. We focus on these types of controversial views in this article.

Keywords: library, origin, Greek, Roman, revision.

There are several well-known stories about the origins of the ancient Greek library, but we believe they are somewhat flawed. First of all, we would like to point out the fact that the existence of lyceums at the time of Aristotle is not confirmed, and therefore, the books of the philosopher, who is considered be the first creator of the library, should probably have been placed in different places. In this article, we focus on controversial views of the type. Nor do the sources tell us about the ancient history of Alexandria, and it is doubtful that the Lyceum was supposed to be the model of the Alexandrian library. It is also

a mistake to identify it with the library of Pergamone. Information about the ancient libraries of Rome is also quite scarce. The claim that books were used only in the colonnade or exedra (as opposed to the room in which they were kept) can be easily dismissed (Bagnall 2002: 25).

The claim that Aristotle created the first library faces some objections. The first is the lack of records of Lyceum architecture in Aristotle's time (Dix 1994: 2820296). The second is that the place where Aristotle kept his books, in our opinion, could not have been a lyceum. The three famous Athenian gymnasiums that have been found - the Academy, the Lyceum and the Kynosarges - originated in the Archaic period. These three areas were all outside the city and were considered public sanctuaries.

The academy was about 450 x 300 m (Delorme 1960: 36–50). A large area was also occupied by the Lyceum (Xen. Eq. mag. 3.1.6–7) for the training of the troops (Ar. Pax 35–56), and Plutarch notes that Sulla used the Lyceum and the Academy to build the engines used during the siege (Plut. Sull. 23).

During the 4th century B.C., monumental training structures appeared (for details, see Wacker 2007). Plato in his *Euthydemus* speaks of a dressing room (ἀποδυτήριον) and a covered walkway (καταστέγων δρόμον) in the lyceum, indicating that the gymnasium in the sense of a physical structure (and not simply a place for training) was already established. There is also talk of a large room with long benches that led to a passageway (Delorme 1960: 374–94; Wacker 2007: 349–51).

Unfortunately, we know very little about the layout of the Lyceum rooms in the IV century. Christian Callmer used the will of Theophrastus to outline the features of the Lyceum, but the document cannot serve as a guide (Callmer 1944: 147).

Theophrastus died in around 287–286 B.C., and it is reasonable to suspect that the area underwent considerable changes after Aristotle's death.

The next important note is that this was not Aristotle's Lyceum at all. John Lynch notes that the Lyceum was a public sanctuary where private property was forbidden, especially for a non-Athenian such as Aristotle (Lynch 1972: 60). Different types of teachers gathered in the lyceum and found their listeners (pupils) there. It was probably a gathering place for sophists. Plato mentions that Socrates liked to come here often (Euthphr. 2a). Isocrates also mentions the Lyceum as a place of learning (Panath. 18, 33). The average comedy tells the same (Lynch 1972: 46). Aristotle probably used it for the same purpose, and his library could not have been located there, since Aristotle did not own any part of the Lyceum and it was a public place where he taught.

Plutarch records that Aemilius Paulus took the books back to Rome when

3. քրոնոսմյ

he defeated King Perseus (179-168 BC), although the fact that the king had the books does not necessarily indicate that he also had a royal library (Harris 1995: 57).

It is also not clear that the private libraries of Rome had any special architectural form, much less the “Greek library” form. The Library of the House of Menandros (Fig. 2) is an excellent example of creating a representation of a private library as we understand it from literary sources - a small room with bookshelves opens onto a colonnade with exedes. Penelope Ellison argues that the shelves probably only contained small ceramic lamps, glassware, and other trinkets that were actually found in the room; In any case, it is likely that it was a storage room rather than a library. The library of the house of Menandros was nothing like a library, and nothing distinguished from the villas of wealthy landlords.

As for the claim that in “Greek libraries” (and Roman private libraries) books were stored in the vault, and book-related activities (reading, discussion, etc.) took place in the colonnade - we could not find any evidence to support it (cf.: Dillon 2003).

Cicero, in *De Finibus* (3.7), d (3.7), describes his own visit to the Tusculan villa of the young Lucullus to borrow some books from his library. There he met Marcus Cato, who was sitting in the library, while many books were arranged around him. In the work *De Diuinatione* (2.8) Cicero writes: After we had walked a lot, we decided to sit in the library of the Lyceum (in the Tusculan villa, not in Athens). Cicero writes to Gaius Trebatius how they sat in his library and read books of interest to them, and then how they both became interested in Aristotle’s work *Topica*: Cum enim mecum in Tusculano esses et in bibliotheca separatim uterque nostrum ad suum studium libellos quos uellet euolueret, incidisti in Aristotelis *Topica* quaedam, quae sunt ab illo pluribus libris explicata. Qua inscriptione commotus continuo a me librorum eorum sententiam requisisti.

Vitruvius also, in his advice on the arrangement of libraries within the house, indicates that the book room was a place for the actual use (reading) of books, rather than just their storage. He writes that the library should always face the east so that the light reaches it well (cubicula et bybliothecae ad orientem spectare debent; usus enim matutinum postulate lumen, 6.4.1). It is obvious that if the presence of light was a necessary condition in the library, it would be possible to read and write there. It is difficult to say how true Vitruvius’s information is, but it is unlikely that he is inventing the idea of reading (Davies2003: 323-343).

In this way, we tried to show that the opinion related to the origin of ancient, Greek and Roman libraries can be subject to some revision over time.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და მკვლევარობის რეცეფციის
თავისებურებები გურამ ბათიაშვილის პიესაში
„მოზრუნებული ქართველები“

ნესტან კუტივაძე

nestani.kutivadze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.15>

გურამ ბათიაშვილი სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის 60-იანი წლებში გამოდის, როდესაც მრავალი საგულისხმო ტენდენცია ვითარდება ქართულ ლიტერატურაში და უაღრესად შთამბეჭდავი ტექსტები იქმნება თითქმის ყველა ჟანრში. პუბლიცისტმა, პროზაიკოსმა და დრამატურგმა მის მიერ ასახულ პრობლემათა თუ ქართულ-ებრაული ურთიერთობების მხატვრული ინტერპრეტაციით, გადაწყვეტის ორიგინალურობით, უშუალოდ იმთავითვე მიიქცია ყურადღება. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს როგორც რომანები, ისე დრამატურგიული ნაწარმოებები, გამონაკლისს არ წარმოადგენს არც პიესა „მოზრუნებული ქართველები“, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლევარობასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს ასახავს. გამორჩეული მოაზროვნის მხატვრული განსახოვნება ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, რასაც ხელი შეუწყო XX საუკუნის ბოლოს მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა. მართალია, „საუკუნის მკვლევარობა“ უკვე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ არ იცვლება ემოციური დამოკიდებულება ილიას ტრაგიკული აღსასრულის მიმართ. მხატვრული რეპრეზენტირება ხელს უწყობს ილიას მოღვაწეობის სიღრმისეულ გააზრებასა და ჭეშმარიტი ღირებულებების არსში წვდომას, რაც დღესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ მუდმივ პროცესში მონაწილეობენ თანამედროვე ქართველი ავტორები, რომელთა შორისაა გურამ ბათიაშვილი.

საკვანძო სიტყვები: დრამატურგია, მხატვრული რეპრეზენტაცია, რეფლექსია.

გურამ ბათიაშვილი სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის 60-იანი წლებში გამოდის, როდესაც მრავალი საგულისხმო ტენდენცია ვითარდება ქართულ ლიტერატურაში და უაღრესად შთამბეჭდავი ტექსტები იქმნება თითქმის ყველა ჟანრში. პუბლიცისტმა, პროზაიკოსმა და დრამატურგმა

6. კუტივაძე

მის მიერ ასახულ პრობლემათა თუ ქართულ-ებრაული ურთიერთობების დაფარული შრეების მხატვრული ინტერპრეტაციით, გადაწყვეტის ორიგინალურობით, უშუალოდ იმთავითვე მიიქცია ყურადღება. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს როგორც რომანები, ისე დრამატურგიული ნაწარმოებები (იხ. ნიკოლეიშვილი 2008), გამონაკლისს არ წარმოადგენს არც პიესა „მოზრუნებული ქართველები“, რომელიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მკვლევლობის პერიპეტიებს ასახავს.

ილია ჭავჭავაძის მონუმენტური ფიგურა, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მასშტაბურად იკვეთება, მიუხედავად იმისა, რომ „მგზავრის წერილების“ ავტორი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აღიარებული იყო XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად და წინამძღოლად. XIX საუკუნის ბოლოსა თუ XX საუკუნის პირველ ნახევარში მის წინააღმდეგ წარმოებული ცილისმწამებლური კამპანია, არაერთი პუბლიკაცია მიზნად ისახავდა ილიას ბრძოლის დაკნინებას, მისი იდეების დევალიზირებას, მისი მკვლევლობისათვის საზოგადოების მომზადებას (გურული 2008; გურული 2014; შველიძე 2013-2014: 218-238 და სხვ.). ამ ტრაგიკულმა მოვლენამ ერის ცხოვრებაში არა მხოლოდ წარმოაჩინა რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკა, არამედ აჩვენა ქართველი ხალხის შეურიგებლობაც.

გამორჩეული მოაზროვნისა და შემოქმედის მხატვრული განსახოვნება ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა თანამედროვე მწერლობაში, რასაც ხელი შეუწყო XX საუკუნის ბოლოს მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა. მართალია, „საუკუნის მკვლევობად“ შეფასებული მოვლენა უკვე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ არ იცვლება ემოციური დამოკიდებულება ილიას ტრაგიკული აღსასრულის მიმართ. მხატვრული რეპრეზენტირება ხელს უწყობს ილიას მოღვაწეობის სიღრმისეულ გააზრებასა და ჭეშმარიტი ღირებულებების არსში წვდომას, რაც დღესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ მუდმივ პროცესში მონაწილეობენ თანამედროვე ქართველი ავტორები, რომელთა შორისაა გურამ ბათიაშვილი.

„მოზრუნებულ ქართველებს“ ერის ბედის პიესა-კვლევას უწოდებს ავტორი, რაც პირდაპირ აჩვენებს მწერლის მიზანს, ჩაწვდეს იმ მიზეზებს, რომლებმაც იმ მდგომარეობამდე მიიყვანა ქვეყანა, რომ იმპერიის ნების აღმსრულებლებად ყალბი ლოზუნგებით დაბრმავებული და გაბოროტებული ადამიანები – ისევ ქართველები – იქცნენ. „დღეს ჩვენ გვინდა თქვენთან ერთად მივადევნოთ თვალი ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო წლებს. ერთად გადავხედოთ, თუ როგორი გახლდათ ბედი ამ უზენაესი ქართველისა“, - თავიდანვე ამზადებს მკითხველს/მაყურებელს ავტორი (ბათიაშვილი 2013: 355).

პიესაში გადმოცემული ამბის დროდ გურამ ბათიაშვილს მონიშნული აქვს 1907 წელი, ადგილად კი – საგურამოს შემოგარენი, რაც გასაგები ლოკაციაა, მაგრამ მწერალი შიგადაშიგ არღვევს მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ქრონოტოპს, ავტორის ნიღაბს ირგებს და დიალოგს იწყებს მკითხველთან/მაყურებელთან. ცხადია, რომ ტექსტი ამბის გადმოცემაზე მეტად მომხდარის მიზეზების გააზრებაზეა ორიენტირებული. ამ მიზნით, პიესაში მთხრობელის ფუნქციას ასრულებენ პირველი და მეორე ივერიელი (გაზ. „ივერიის“ თანამშრომლები), რომლებიც შემოდინან მოქმედების მსვლელობაში და მაშინდელი პერიოდული გამოცემების მიხედვით აღადგენენ მოვლენათა თანამიმდევრობას, განმარტავენ ვითარების არსს, მკითხველს/მაყურებელს აუწყებენ ილიას მოღვაწეობის შეფასებასა და მკვლელობასთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებული განსხვავებული მოსაზრებების შესახებ. პიესის დასაწყისში კი მათი მეშვეობით გაცხადებულია ილიას მოღვაწეობის ავტორისეული რეცეფცია – „ეს არის ამბავი საქართველოს გადარჩენისათვის თავისსავე ხალხთან უიღბლო ბრძოლისა“ (ბათიაშვილი 2013: 355). მწერალმა ამგვარად შეაფასა ის მოვლენები, რომლებიც ილიას მკვლელობით დაიწყო 1907 წელს და 1921 წელს საქართველოს ოკუპაციით დასრულდა. საგულისხმოა, რომ, ტექსტის მიხედვით, ივერიელები ილიას ერთგული თანამებრძოლები არიან გაზეთ „ივერიაში“ მისი დაარსების დღიდან. ბათიაშვილი ხაზს უსვამს ასეთ დეტალს, რომ მათ „საქართველოს სამსახური“ გააგრძელეს მაშინაც, როდესაც ილია აღარ რედაქტორობდა გაზეთს, რაც მნიშვნელოვანი პასაჟია ილიას ერთგულ თანამოაზრეთა არსებობის, მისი მოღვაწეობისა და თავდადების წარუშლელი კვალის აქცენტირებისათვის.

პიესის კომპოზიციაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება მიზანსცენებს. როგორც ავტორი მიუთითებს, წარმოდგენა უნდა გათამაშდეს რამდენიმე სცენურ სივრცეში ერთდროულად. დრო-სივრცულ დეტალებზე ყურადღების გადატანით აქცენტირებულია შინაარსობრივი პლანები. პიესის ერთიანი დრო-სივრცე – საგურამოს შემოგარენი 1907 წელს – რამდენიმე სცენურ სივრცედაა დაშლილი. ერთი ესაა წიწამურის ტყის სცენური გარემო, მეორე კი – გრძელი მაგიდის ირგვლივ არსებული სცენური სივრცე. ამ სცენოგრაფიული დეტალებით შექმნილ გარემოში ერთმანეთის პარალელურად ხდება მოქმედება, სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ, წინა პლანზე ხან ერთი სცენური გარემო წამოიწევს/ნათდება, ხან მეორე. ამ სივრცეების მიღმა არიან პირველი და მეორე ივერიელი, რომლებიც მაშინდელი პუბლიკაციების შინაარსს გადმოსცემენ. ამ გზით ავტორი არამხოლოდ აზრობრივ აქცენტებს სვამს, არამედ მაყურებელს/მკითხველს მაშინდელ საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ვერსიებს შეახსენებს.

6. კუტივაძე

ტექსტის მხატვრული კონცეფციის გასააზრებლად საგულისხმოა ილიას მკვლევლობის ვერსიების განსახოვნების თავისებურებები.

მწერალი, ბუნებრივია, ისტორიულ ცნობებში არაფერს ცვლის, არ ქმნის ახალ ლეგენდას, თუმცა ამ ყოველივეს გვთავაზობს ინდივიდუალური მგრძობელობით. მათში წარმმართველია მაშინდელი აღქმები, რომელთა გაუცნობიერობლობამ შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში, ილიას მკვლევლობა გარდაუვალობად აქცია, ხოლო მკვლევლები ბრმა იარაღად. ეს უკანასკნელი პასაჟები კარგად აირეკლა იმ ეპიზოდებში, ტყეში გახიზნულთა რეაქციას რომ ასახავს ილიას მოკვლის დავალების მიღებასთან დაკავშირებით.

პიესის მიხედვით, პირველი ვერსია ილიას მეფის „ოხრანკის“ მიერ მკვლევლობის შესახებ გავრცელებული ვარაუდია, რომელიც „ოხრანკის“ პოლკოვნიკისა და ოფიცრის დიალოგით განსახოვნდება. მასში მკაფიოდაა გამოკვეთილი ილიას როლი და ავტორიტეტი ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლაში. ხაზგასმულია დაპირისპირება ილიას იდეებსა და „მესამე დასის“ წევრებს შორის. მწერალი აქცენტს ამგვარად სვამს – საქართველოს ავტონომიის მიღების შემთხვევაში, ილია მეფის წინააღმდეგ ბრძოლას არ გააგრძელებს, ის დაუპირისპირდება სოციალ–დემოკრატებს (ესდეკებს), რომლებსაც იმპერიის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მხოლოდ მეფის გადაგდება უნდათ (ბათიაშვილი 2013: 389). პიესაში ეს დაპირისპირება წარმოდგენილია, როგორც „ისტორიის მიერ შემუშავებული გეგმა“ (ბათიაშვილი 2013: 389), როდესაც თავად ჭავჭავაძის შეუპოვარი პოზიცია განაპირობებს მისი მოკვლის აუცილებლობას, რადგან ილიას „საქართველო უნდა“ (ბათიაშვილი 2013: 389), „ესდეკებს კი საქართველო იმპერიაში“ (ბათიაშვილი 2013: 389). ასეთ ვითარებაში რუსეთისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ეყოლება თუ არა მეფე, მთავარია რუსეთის იმპერიაში დარჩეს საქართველო. ამდენად, რუსებს აძლევთ ხელს ესდეკებმა იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო თავად მოკლან ილია. მწერალი აპელირებს ქართველთა არცთუ სანაქებო თვისებაზე, რომ საქართველოში განსხვავებული აზრი ხშირად დაუნდობლობის სათავეა (ბათიაშვილი 2013: 388).

მეორე ვერსია ილიას მკვლევლობისა, პიესის მიხედვით, ასევე, კარგად ნაცნობი ვარაუდია, რომ ილია, როგორც სასტიკი მემამულე, გლეხებმა მოკლეს.

მესამე ვერსიას, ბათიაშვილი ყველაზე რეალურ ვარიანტს უწოდებს, რითაც მკაფიოდ იკვეთება ავტორის პოზიცია. მწერალი იზიარებს მეცნიერულ თვალსაზრისს რუსეთის სოციალ–დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრთის მიერ ილიას მკვლევლობის შესახებ. აქ მოქმედ გმირად შემოდის ფილიპე მახარაძე, რომელიც „მგზავრის

წერილების“ ავტორს მშრომელი ხალხის ინტერესების დალატში სდებს ბრალს, რადგან მას სურს საქართველო „დამოუკიდებელი ბურჟუაზიული სახელმწიფო“ იყოს (ბათიაშვილი 2013: 394).

ბოლშევიკებისათვის დამახასიათებელი რადიკალიზმის მაჩვენებელია ერთ–ერთი საყურადღებო პერსონაჟის – იმერელის სიტყვები: „მხოლოდ მუშათა და გლეხთა ბედზე ზრუნვაა კეთილი საქმე“ (ბათიაშვილი 2013: 376). სწორედ იმერელის ხელმძღვანელობით უნდა შესრულდეს კომიტეტის დავალება – განადგურდეს „საგურამოელი გლეხების ჯალათი“ და „სისხლისმსმელი“ (ბათიაშვილი 2013: 377). ფაქტობრივად, იმერელისა და სხვა პერსონაჟების (ცალთვალა, ახალუხიანი) დიალოგი განასახოვნებს ილიას მკვლელობის ბოლშევიკურ ვერსიას. რა თქმა უნდა, ილიას, როგორც სასტიკი მემამულისა და ექსპლოატატორის, მოხსენიება არ არის ახალი და უცნობი მოსაზრება, მაგრამ მნიშვნელოვანია ის შრეები, რომელთა დახმარებით, ავტორი აჩვენებს ამ მოვლენის დრამატიზმს, ამასთან, აცოცხლებს ემოციურ დამოკიდებულებას, რაც აძლიერებს მგრძნობელობას როგორც ამბის, ისე ეპოქის მიმართ.

მრავლისმთქმელი დეტალია მოხარშული დედლის დაგემოვნების ფონზე ილიას – ვიღაც თავადის – მკვლელობის შესახებ მსჯელობა, ეს რეფლექსია მოიცავს დისკურსს ილიას ნიჭიერებაზე, მის წიგნებზე, რომელიც წაკითხული არ აქვთ, მაგრამ იციან, როგორც გავრცელებული აზრი. საგულისხმოა, ასევე, რომ მკვლელებს უჩნდებათ ლოგიკური კითხვა, თუ „კარგი კაცია“ და „კარგ წიგნებს წერს“, რატომ უნდა მოკლან, რა დააშავა, რაზეც იმერელის პასუხია, რომ ჩაგრულთა წინაშე უნდა მოიხადონ ვალი, თუმცა იმერელი ამავე დროს აღიარებს, რომ თავად თვალითაც არ ჰყავს ნანახი ილია და ეს მკვლელობა „მაღლა გადაწყდა“ (ბათიაშვილი 2013: 382). ეს დიალოგი საბოლოოდ სარკასტულ აბსურდში გადაიზრდება. მკვლელები მსხვერპლის შესანდობარს სვამენ წინასწარ („მოდით, ის კაცი გაანათლოს ღმერთმა და სასუფეველიც დაუმკვიდროს“ (ბათიაშვილი 2013: 382)). შემზარავია ეს ცივისსხლიანობა, რომელიც, ერთი მხრივ, აბსოლუტური უმეცრებით, გადაგვარებით, ხოლო, მეორე მხრივ, შიშითაა ნაკვები, თუმცა ეს უკანასკნელი ვერასდროს იქნება გამამართლებელი ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგი აქცენტს აკეთებს სასტიკ ანგარიშსწორებაზე ოდნავი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი. მაგალითად, მათთან მყოფი ერთი წევრის (მაღალი) სახლი დაწვეს, რადგან შეეცადა თავიანთი ბრძოლის საბოლოო მიზანი გაერკვია, არც მეორეს (ცალთვალა) მოსწონს, რომ მაღალს სახლი ფერფლად უნდა უქციოს, მაგრამ ასეთი დავალება თუნდაც იმიტომ უნდა შეასრულოს, რომ თავად მასზეც ასეთივე ფორმით არ იძიონ შური. შესაძლებელია, ეს პასაჟები შემდგომი ეპოქების მოვლენათა პროეცირებაც იყოს, მაგრამ,

6. კუტივაძე

ამით კიდევ უფრო მკაფიო ხდება ბოროტებაზე დაფუძნებული ბრძოლის ბუნება და იმთავითვე ანტიჰუმანური ხასიათი, რასაც ვერასდროს ექნება რამე სახით დადებითი შედეგი.

პიესის ერთ–ერთი მთავარი სიუჟეტური ხაზი იქმნება ქართველ თავადთა მოლხენით. ქართველი თავადები, რომლებსაც დრამატურგი არაერთხელ მოიხსენიებს „დროის მათრეველებად“, რითაც მკაფიოდ ახასიათებს მათი ცხოვრების წესს, საკუთარ თავს „ქვეყნის ნალებსა“ და მამულის ღირსეულ შვილებს უწოდებენ. მართალია, მათი მოლხენის პათოსი მამულის სიყვარულია, მაგრამ ეს უკანასკნელი აბსოლუტურად პროფანირებულია, ავტორის მიერ ირონიზებული და სარკაზმით განსახოვებული. „–ვისაც მამული არ უყვარს, ვისაც საქართველო არ უყვარს, ათას მიზეზს მოიძებნა და წვეთსაც არ დალევეს, მაგრამ ვისაც შესტკივა ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოზე, ის შეერკინება ამ ყანწსა და ისე დაცლის, ვითარ ჩვენს წინაპართ მამული დაუცლიათ ურჯულთაგან!“ (ბათიაშვილი 2013: 357) – ამ სადღეგრძელოს თავადი ლუარსაბი ამბობს. მისი თანამეინახეებიც – დავითი, პორუჩიკი, ყარამანი, ნიკოლოზი, აფროდიტა ამ შემართებას მთლიანად იზიარებენ. ყანწს მამულის გულს ადარებს პორუჩიკი (ბათიაშვილი 2013: 358). ყანწი, როგორც მამულის გული, საკმაოდ გროტესკული მეტაფორაა და მასში კარგად თავსდება სამშოლოს სიყვარულის მაღალფარდოვანი სადღეგრძელოებით გადმოცემის შინაარსისაგან დაცლილი „ტრადიცია“, როდესაც აბსოლუტურად დაშორებულია ერთმანეთს ამგვარი ტექსტების სულისკვეთება და მათი მთქმელების რეალური მისწრაფებები, რაც იმთავითვე ფიქციად აქცევს ყოველგვარ ასეთ ქმედებას. ეს დაცილება დაპყრობილ ქვეყანაში ტრაგიკულია და თავისი მძიმე შედეგები მოაქვს. სიტყვების შინაარსისაგან დაცლა, ამავე დროს, საზოგადოების მენტალურ გამოფიტვასა და, შესაბამისად, ბრძოლისუნარიანობის შესუსტებას იწვევს. ეს საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩვევა ძნელია მხოლოდ დროის კონკრეტული ლოკალით შემოიფარგლოს, ის რაციონალიზმისგან დაცლილ ავტომატურ ქმედებად იქცა თანამედროვე ყოფაშიც, რაზეც მკითხველის კრიტიკული რეაგირება უთუოდ ავტორის ერთ–ერთი მიზანდასახულებაა. ბათიაშვილი ამ საკითხს საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს და პიესაში ქეიფით გამოხატულ პატრიოტიზმს თანდათან უფრო აღრმავებს. ლუარსაბი თვლის, რომ სუფრაა მათთვის სკოლაც და უნივერსიტეტიც (ბათიაშვილი 2013: 359), ხოლო პორუჩიკი მიიჩნევს, რომ, სწავლასთან ერთად, სუფრაზე იზრდებიან და კაჟდებიან (ბათიაშვილი 2013: 359). ამგვარ სწავლა–აღზრდის შედეგსაც დრამატურგი იქვე აჩვენებს: ნიკოლოზი ფრაკიან კაცს კონტრაქტით მამულს სთავაზობს არცთუ დიდი თანხის სანაცვლოდ. მამული რომ სარფიანად დააგირაოს, ილიას შეხედულებას, რომ ქართველი

თავადები მამულებს ანიავებენ, სათავისოდ იმოწმებს (ბათიაშვილი 2013: 362).

ქართველ თავადთა გადაგვარებას კარგად აჩვენებს პორუჩიკი, რომელიც, ასევე, თავს იწონებს პატრიოტული განცდებით, თუმცა მამულს აგირავებს, ვალს იმატებს, წუწუნებს, რომ დაკავებულია, მაგრამ რეალურად მისი საქმიანობაც და მოუცლელობაც წვეულებით და საზეიმო ვახშმებით შემოიფარგლება (ბათიაშვილი 2013: 385).

პიესის მიხედვით, საკუთარ უფუნქციობას მაინც გრძნობენ თავადები, რაზეც მეტყველებს მათი კიდევ უფრო დამაკნინებელი თავისმართლება, რომ მთავარი მამულის კი არა, ცხოვრების სიყვარულია (ბათიაშვილი 2013: 374). ამ დამღუპველი ჩანაცვლების ავტორი, ბუნებრივია, მევახშეა, ის, ვინც სხვების დაუდევრობის ხარჯზე მდიდრდება. მწერალი საკუთარი მამულების მიმართ ქართველ თავადთა ზერელე დამოკიდებულებით სამშობლოს ინტერესების დაცვის უუნარობას აჩვენებს.

მრავლისმთქმელია ის პასაჟი, რომ ამ მოლხენის უცვლელი წევრია რუსი ჩინოვნიკი, რომელიც აღფრთოვანებულია იმით, როგორ უყვართ ქართველებს საკუთარი მიწა-წყალი, რაც, ცინიკურია თავისი არსითაც და გამოხატვის ფორმითაც.

პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირია მოძღვარი. მისი მხატვრული სახე არაერთ აზრობრივ შრეს მოიცავს და საკვანძო ადგილი უჭირავს პიესის სტრუქტურაში. ეს პერსონაჟი რეალურისა და ირიალურის ზღვარზე განსახოვნებული გმირია, რომლის საშუალებითაც დასასრულს ნაწარმოებში პოსტმოდერნისტული ესთეტიკისათვის დამახასიათებელი შტრიხები შემოდის, რითაც ავტორი მკითხველს მუდმივ, უცვლელ ფასეულობებს შეახსენებს.

მოძღვარი, პიესის მიხედვით, მოქეიფეთა თანამეინახეა, მაგრამ არა თანამოაზრე, პირიქით, ის მათი მამხილებელია, მას დისონანსი შეაქვს ქართველ თავადთა მოლხენაში, მუდმივად შეახსენებს მათ, რომ მამული კვლავ მტრის ხელშია და უნდა გათავისუფლდეს, რომ სუფრაზე ყანწით ხელში მამულის დიდება მხოლოდ სიტყვებია, „მამულს კი საქმე, მოვლა სჭირდება“ (ბათიაშვილი 2013: 359). ამგვარი მხილება თავადებს აღაშფოთებთ, თუმცა არ აფხიზლებთ.

საგულისხმოა, რომ მოძღვარი საკუთარ თავს თავადთა სარკეს უწოდებს (ბათიაშვილი 2013: 368), მრავლისმთქმელია სახელიც – ქართველიშვილი, მის მიერ ხაზგასმა იმისა, რომ „ერთი ქართველი კაცია“ მრავალთა მსგავსი (ბათიაშვილი 2013: 369). ეს დეტალი მოძღვარს ქართველის ერის ზოგადი სულისკვეთების გამომხატველ პერსონაჟად და მამხილებელი სინდისის პერსონიფიკაციად აქცევს, რომელიც ვერასდროს დაყუჩდება, ვიდრე ქვეყანა განსაცდელშია.

6. კუტივაძე

პიესის ბოლო მიზანსცენაში კვლავ თავადთა ქეიფია ასახული. წიწამურის გზაზე გასროლილი ტყვია მათ აფაშფოთებთ, მაგრამ რეაქცია არანაკლებ ტრაგიკულია, თუმცა არცთუ მოულოდნელი. „იყავი შენთვის, შენი ოჯახისათვის“ (ბათიაშვილი 2013: 398), – ესაა ის სამწუხარო დასკვნა, რომელიც დავითს გამოაქვს ამ ტრაგიკული მოვლენიდან. ქვეყნის ბედის მიმართ ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულების მქონე ადამიანებისაგან სავსებით ლოგიკურად ჩანს ისიც, რომ მოძღვრის ძალისხმევა სიგიჟედ, ქართველთა მტრობად აღიქმებოდეს. „დაგვეხსენ, თერგდალეულო!“ (ბათიაშვილი 2013: 379), – ასე მიმართავენ მოძღვარს მისგან გაბეზრებული თავადები, რაც საყურადღებოა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ–საზოგადოებრივი ვითარების კონტექსტში („დამეხსენი ჩრდილოელო“ – აკაკი წერეთლის ეს ფრაზა ერთ–ერთი მკაფიო გამოხატულებაა ამ პერიოდის ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო სულისკვეთებისა).

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ მოძღვრის მხატვრული სახე ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ მოხუცის – საქართველოს თანამდევი სულის ინტერტექსტია. მის სიტყვებში „აჩრდილის“ არაერთი მოტივი მკაფიოდ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე, ინტერპრეტირდება ისევე, როგორც თავად ლუარსაბის სახესა თუ მოქეიფეთა მოსაზრებებში „კაცია–ადამიანის“ პერსონაჟთა შეხედულებები მარტივად ამოსაცნობია, მეტიც, ერთ–ერთ სცენაში, როდესაც მოძღვარი რამდენიმე მათგანს ეკითხება, ვინ არის, პასუხად ისმის – „კაცი ვარ, ადამიანი“ (ბათიაშვილი 2013: 378), – რაც "კაცია–ადამიანის?!" პირდაპირი ალუზიაა. შესაბამისად, საკუთარ ნაჭუჭში მშვიდად მყოფი თავადების მყუდროების დარღვევა და გზაარეული საზოგადოების წინამძღოლობა მიზნად აქვს დასახული მოძღვარს.

მოძღვარი გამაერთიანებელ ფიგურად რჩება მაშინაც, როდესაც ტექსტში შემოდის პარტიათა დაპირისპირების ეპიზოდები. „საქართველო გვართა ბრძოლამ დაამხო, დღეს კი საქართველო იმგვარს ისტორიულ პირობებში ჩადგა, როდესაც ხალხის დაყოფა სხვადასხვა პარტიებად, დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ გამთელება, გაერთიანება, ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. საქართველოს დღეს ერთი პარტია სჭირდება – „ქართველთა პარტია“ (ბათიაშვილი 2013: 382). ეს, ერთი შეხედვით, ურავატრიოტული ელფერის მქონე ოპუსი პიესაში საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგეთა საპასუხოდ ისმის, მას კიდევ უფრო მეტ მკაფიოობას სძენს „მგზავრის წერილების“ ინტერტექსტი – „ყველა თავის თავს უნდა ეყუდნოდეს, თავისი ქვეყნისთვის უნდა იზრუნოს, ქართველმა კი საქართველოსთვის“, – ამბობს მოძღვარი (ბათიაშვილი 2013: 382), რომელიც პიესის ბოლოს უკვე მარქსისტებს უპირისპირდება.

ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის გასახსნელად საგულისხმოა მოძღვრის მიერ მოთხრობილი იგავი, რომლის მოსმენაც არ სურთ მოქეიფეებს, ნაძალადევად მოსმენილს კი არასერიოზულად აღიქვამენ, რითაც, ასევე, ხაზს უსვამენ საკუთარი ყოფის უმიზნობასა და უშინაარსობას. იგავის მიხედვით, გიორგი XIII–ს ყაზახ–ბორჩალოში სტუმრობისას უთხრეს, რომ იქაური საყოველთაოდ განთქმული ბედაურები აღარ არიან, რადგან „იმ ბედაურებზედ ის უწინდელი ბედაური ქართველები შესხდნენ და გაფრინდნენ“ (ბათიაშვილი 2013: 364). მოძღვარი თვლის, რომ მისი მისია შეუსრულებელია, ვიდრე ყველა ერთად მომავლისთვის არ იბრძოლებს და წარსულით ტკბობას თავს არ დაანებებს. ამიტომ ის ილიას მკვლევლობის შემდეგ კვალავ ბრუნდება, რომ „ძირშივე არ შეიკვეცოს ფიქრი ქართველთა, რომ ვიყოთ არა ისეთი, როგორც ვართ, ისეთნი, როგორც უნდა ვიყოთ“ (ბათიაშვილი 2013: 399). ფრაზით „თქვენთან ვიქნები მარად და ყველგან“ (ბათიაშვილი 2013: 399), რომელიც, ასევე, „აჩრდილის“ იოლად ამოსაცნობი ინტერტექსტია („მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“), მოძღვარი ილია ჭავჭავაძის სიმბოლურ სახედ გარდაისახება, შემდეგი ფრაზებით კი ცხადი ხდება, რომ მოძღვარი–ილია ჭავჭავაძე – ბედაურებთან ერთად გაფრენილ ქართველთაგან ერთ–ერთი მობრუნებული ქართველია, რომელიც მოძღვრის სახეში უკვე ყველა იმ წინაპარს აერთიანებს, ქვეყნისთვის რომ იბრძოდნენ და არასდროს მისცემს მოსვენებას დროის მათრეველთ, ყანწით რომ ურჩევნიათ ამტკიცონ სამშობლოს სიყვარული. დაბრუნებული ქართველების იგავი მეტაფორული განსახოვნებაა იმ იდეალისტი ქართველებისა, ეროვნული გამირებისა, მარადიულ ორიენტირებად რომ იქცევიან და საკუთარ ერს გადარჩენისა თუ გამარჯვების ენერგიით ავსებენ.

გურამ ბათიაშვილის, როგორც დრამატურგის, ხელწერას ინდივიდუალიზმს ანიჭებს არაერთი შტრიხი. მათ შორის უნდა გამოიყოს ის ფაქტი, რომ პიესაში პროზისათვის დამახასიათებელი ნიშნები იჩენს თავს, მაგ. „დაბურული ტყის ფოთლებით მოფენილი მიწიდან კაცი ისე წამოიზღაზნება, გეგონებათ, გუბიდან ამოვიდა და წუმპის სუნიც თან მოჰყვებაო“ (ბათიაშვილი 2013: 355), – ასე აღწერს ბათიაშვილი ერთ–ერთ მიზანსცენას. პეიზაჟის ასეთი შტრიხები, პერსონაჟის ამგვარად დახასიათება უფრო მეტად მკითხველისთვისაა განკუთვნილი. მწერლის მხატვრული სტილისთვის ნიშანდობლივია, ასევე, გამირების პერსონიფიცირება გარეგნული ნიშნებით (მაღალი, ცალთვალა, პირმცინარი), წოდებით (პორუჩიკი, ჩინოვნიკი) ან საქმიანობით (პირველი ივერიერლი, მეორე ივერიელი). ახდენს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მწერალი საკუთარ სახელებით მოიხსენიებს პერსონაჟებს, თვალში საცემია

6. კუტივადე

პირობითობა და განზოგადების მაღალი ხარისხი. ეს უკანასკნელი თავისი მხატვრული ფუნქციით საერთო პრობლემის ჩვენებას ემსახურება და არა კონკრეტული ისტორიული პირების მხილებას, რაც არც წარმოადგენდა ავტორის მიზანს.

დრამატურგი ილიას მხატვრული ტექსტების ალუზირებით რეფლექსირებს საზოგადოების ნაწილის დეგრადაციაზე, ილიას მკვლევლობასთან დაკავშირებულ ვერსიებზე, რომლებიც მკაფიოდ გამოკვეთს ილიას, როგორც იმპერისათან დაპირისპირებული პატრიოტისა და მოაზროვნის მასშატებებს. ამასთან, კარგად აჩვენებს დაუსრულებელი და დაუღლეელი ბრძოლის აუცილებლობას ეროვნული იდეალების განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით, პიესა აქტუალურია დღევანდელი მთავრობისთვისაც. მისი ინტერტექსტი თანაბრად მიემართება XIX, XX თუ XXI საუკუნეებს, ერთდროულად წარმოადგენს ავტორის დიალოგს მკითხველთან საერთო წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, რითაც გაცილებით მნიშვნელოვანი და ღირებული ხდება ილიას მოღვაწეობისა და მკვლევლობის მხატვრული რეცეფციის ის ასპექტები, გურამ ბათიაშვილმა რომ შესთავაზა ქართველ მკითხველს.

ლიტერატურა

- ბათიაშვილი, გ. 2013. *რჩეული თხზულებები*. ტომი III, დრამატურგია. თბილისი: საარი.
- გურული, ვ. 2008. *ჯვარცმული და ჯვარცმელები*. თბილისი. მოძიებულია 15.05.2024. <https://sangu.ge/images/vguruli/29geo.pdf>
- გურული, ვ. (2014). *ილია*. თბილისი: არტანუჯი.
- ნიკოლეიშვილი, ა. 2008. *ნარკვევები ქართველებზე რელიგიური და პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის ისტორიიდან*, II. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.
- შველიძე, დ. 2013–2014. „რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე“. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*. VIII. 2013–2014.

Literature and Literary Theory

Peculiarities of the Reception of Ilia Chavchavadze's Work and Murder in Guram Batiashvili's Play "Returned Georgians"

Nestan Kutivadze

nestani.kutivadze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.15>

Guram Batiashvili entered the writing arena in the 60s of the 20th century, when many significant trends were developed in Georgian literature and highly impressive texts were created in almost all genres. The publicist, prose writer and dramatist immediately attracted attention by his artistic interpretation of Georgian-Jewish relations, the originality of the solution, and his directness. In this regard, both novels and dramaturgical works should be noted. The play "Returned Georgians", which depicts the vicissitudes related to the murder of Ilia Chavchavadze, is no exception. The artistic embodiment of an outstanding thinker in Georgian literature turned out to be especially significant in modern Georgian writing, which was facilitated by the historical changes at the end of the 20th century. It is true that the "murder of the century" has already been studied quite well, but the emotional attitude towards Ilia's tragic end does not change. Artistic representation contributes to the in-depth understanding of Ilia's work and gaining an insight into the essence of true values, which is equally important even today. Modern Georgian authors, including Guram Batiashvili, participate in this continuous process.

Keywords: dramaturgical works, artistic representation, reflection.

Guram Batiashvili entered the writing arena in the 60s of the 20th century, when many significant trends were developed in Georgian literature and highly impressive texts were created in almost all genres. The publicist, prose writer and dramatist immediately attracted attention by his artistic interpretation of Georgian-Jewish relations, the originality of the solution, and his directness. In this regard, both novels and dramaturgical works should be noted. The play "Returned Georgians", which depicts the vicissitudes related to the murder of Ilia Chavchavadze, is no exception.

The artistic embodiment of an outstanding thinker in Georgian literature turned out to be especially significant in modern Georgian writing, which was facilitated by the historical changes at the end of the 20th century. It is true that the "murder

6. კუტივადე

of the century” has already been studied quite well, but the emotional attitude towards Ilia’s tragic end does not change. Artistic representation contributes to the in-depth understanding of Ilia’s work and gaining an insight into the essence of true values, which is equally important even today. Modern Georgian authors, including Guram Batiashvili, participate in this continuous process.

The author calls “Returned Georgians” a play-study of the fate of the nation, which directly shows the writer’s goal to understand the reasons that led the country to the state where the Georgians – the people blinded and misled by false slogans became the implementers of the empire’s will.

Guram Batiashvili takes the year 1907 as the time of the story told in the play, and Saguramo’s surroundings – as the place, which is a logical choice for the location. But from time to time the writer deviates from the chronotope predetermined by him, puts on the author’s mask and starts a dialogue with the reader/spectator. It is clear that the text is more focused on understanding the causes of what happened rather than telling the story. For this purpose, the function of the narrator in the play is performed by the first and second Iverians (employees of the newspaper “Iveria”), who enter the scene and restore the sequence of events according to the periodicals of that time. They explain the essence of the situation, inform the reader/spectator about the evaluation of Ilia’s work and the various opinions published in the press regarding his murder. At the beginning of the play the author’s reception of Ilia’s work is disclosed through them - “This is the story of an unlucky struggle with its own people for the salvation of Georgia” (Batiashvili, 2013, p. 355). This is how the writer evaluated the events that began with Ilia’s murder in 1907 and ended with the occupation of Georgia in 1921. The *mise-en-scène* of the play is significant. As the author points out, the performance should be performed simultaneously in several stage spaces. Content plans are emphasized by shifting attention to space-time details. The unified space-time of the play – the surroundings of Saguramo in 1907 – is divided into several stage spaces. One is the scenic environment of the Tsitsamuri forest, and the other one – the scenic space around the long table. As the story unfolds the parallel scenes take place in the environment created by these scenographic details. At times, one scenic environment is brought to the fore, alternating with another. The first and second Iverians stand beyond these spaces. They are the narrators of the content of the publications of that time. In this way, the author not only highlights significant aspects, but also reminds the spectator/reader of the different versions existing in the society at that time.

Obviously, the write does not change anything in the historical records, does not create a new legend, but offers everything with individual sensitivity. They are guided by the perceptions of that time, the ignorance of which may, in some

cases, have made the murder inevitable, and turned the killers into blind weapons. The playwright shares a scientific point of view about Ilia's assassination by the Bolshevik wing of the Russian Social Democratic Labour Party.

One of the main story lines of the play is created by the feast of the Georgian princes. Georgian princes call themselves "the cream of the country" and worthy sons of their homeland. It is true, the pathos of their feast is the love of their country, but the latter is absolutely profane, ironized by the author and imbued with sarcasm.

The passage showing a Russian official, a regular member of this feast, who admires the love of the Georgians toward their homeland, speaks volumes. It is cynical both in its essence and form of expression.

One of the main characters of the play is the priest. His artistic face comprises many meaningful layers and occupies a central place in the structure of the play. This character is a hero depicted on the boundary between the real and the surreal, by means of which the characteristic features of postmodernist aesthetics are introduced at the end of the play. In this manner, the author reminds the reader of constant, unchanging values.

According to the play the priest unmasks the feasters and brings dissonance to the feast of the Georgian nobility, constantly reminding them that the country is still in the hands of the enemy and must be freed. In general, it should be said that the artistic face of the priest is the intertext of the old man in "The Ghost" by Ilia Chavchavadze - the spirit of Georgia. In his words many motifs of "The Ghost" are clearly interpreted, without any concealment, while in the opinions of the feasters, the views of characters from "Is a Man a Human" can easily be identified. The priest remains a unifying figure even when the episodes of the conflict between the parties are introduced in the text.

The parable told by the priest about the returned Georgians is significant for opening the author's artistic idea. The parable serves as a metaphorical representation of idealistic Georgians, national heroes, who act as an eternal guiding lights infusing their nation with the energy for survival and victory.

Alluding to Ilia's artistic texts, the playwright reflects on the degradation of some part of the society, on the versions related to Ilia's murder, which clearly outline the dimensions of Ilia as a patriot and thinker opposed to the empire. At the same time, it effectively demonstrates the necessity of endless and tireless struggle for the realization of national ideals. In this regard, the play is still relevant today. Its intertext equally refers to the 19th, 20th or 21st centuries, at the same time it represents the author's dialogue with the reader about the common past, present and future, thereby making the aspects of the artistic reception of Ilia's work and murder, which Guram Batiashvili offered to the Georgian readers, more important and valuable.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

კეთილისა და ბოროტის დიქტომია და 1930-იანი წლების რეპრესიები ზაირა არსენიშვილის „კენჭებში“

ზეინაბ კიკვიძე

zeinab.kikvidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.16>

კომუნისტურმა პარტიამ საზოგადოების გარდაქმნა საბჭოთა ხალხად მიზანმიმართულად დაიწყო სხვადასხვა საშუალებით, რომელთა შორის უმკაცრესი იყო რეპრესიები. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების სისხლიანმა ტერორმა არამარტო ფიზიკურად გაანადგურა, არამედ უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მოაზროვნე პიროვნებებსა და მათ ახლობლებს. რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ ე.წ. „ხალხის მტრები“, „მავნებლები“, რომელთა ოჯახის წევრებიც, გადარჩენის ინსტინქტის გამო, იძულებული გახდნენ კონფორმისტული დამოკიდებულება ჰქონოდათ საბჭოთა სისტემასთან. ზაირა არსენიშვილი მოთხრობების კრებულში „კენჭები“ თვითმხილველის ტრაგიკული ხედვით მოგვითხრობს ურთულეს დროში კეთილისა და ბოროტის დიქტომიაში ადამიანთა უსასოო ყოფაზე, მედროვეებსა და კეთილშობილებზე. ე. წ. „სტოკჰოლმის სინდრომზე“, რის საფუძველზეც ადამიანთა უმრავლესობას დაეკარგა სინამდვილის აღქმის რეალისტური უნარი და მათ წარმოდგენაში ბოროტისა და კეთილის დეფინიციებს ადგილები შეეცვალათ.

საკვანძო სიტყვები: 1930-იანი წლები, საბჭოთა რეპრესიები, დიქტომია, არსენიშვილი.

დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია და მისი გადაქცევა საბჭოთა ქვეყნად მხოლოდ ერთი ისტორიული ფაქტით არ დასრულებულა; გაცილებით რთული აღმოჩნდა ბოლშევიკებისათვის მოსახლეობის სულიერი გადაგვარება და დამონება. კომუნისტურმა პარტიამ საზოგადოების გარდაქმნა საბჭოთა ხალხად მიზანმიმართულად დაიწყო სხვადასხვა საშუალებით, რომელთა შორის უმკაცრესი იყო რეპრესიები. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების სისხლიანმა ტერორმა არამარტო ფიზიკურად გაანადგურა, არამედ უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მოაზროვნე პიროვნებებსა და მათ ახლობლებს. „რეპრესიების

სქემა, რომელმაც მალე მთელი ქვეყანს მოიცვა, საკმაოდ მარტივი იყო: საბჭოთა კავშირში სტალინის ყველა ფარული თუ აშკარა მოწინააღმდეგე ფიზიკურად უნდა განადგურებულყო. იჭერდნენ, ხვრეტდნენ, ამხელდნენ ძველ რევოლუციონერებს, მაგრამ მანამდე მათ საშინლად აწამებდნენ, რათა საჩვენებელ ღია სასამართლოებზე ბრალდებულებს ეღიარებინათ საკუთარი დანაშაული. ტერორი შეეხო ყველას-სამხედრო პირებს, მეცნიერებს, არტისტებს, სრულიად უბრალო მოქალაქეებს” (ბექიშვილი 2011). რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ ე.წ. „ხალხის მტრები“, „მავნებლები“, რომელთა ოჯახის წევრები გადარჩენისათვის იძულებული გახდნენ კონფორმისტული დამოკიდებულება ჰქონოდათ საბჭოთა სისტემასთან.

ზაირა არსენიშვილი მოთხრობების კრებულში „კენჭები“ თვითმხილველის ტრაგიზმით მოგვითხრობს ურთულეს დროში კეთილისა და ბოროტის დიქტომიაზე, ადამიანთა უსასოო ყოფაზე, მედროვეებსა და ზნეობრივად უმწიკვლო ადამიანებზე. ასეთი მდგომარეობის აღსაწერად და დასახასიათებლად სოციალურ ფსიქოლოგიაში გამოყენებულია ტერმინი „სტოკჰოლმის სინდრომი“, რომელიც ასახავს მსხვერპლის სპეციფიკურ დამოკიდებულებას მოძალადეზე.

ფსიქოლოგიურ კვლევებში დადასტურებულია, რომ ბოროტმოქმედის მიერ ადამიანის მძევლად აყვანის დროს, შესაძლოა, მსხვერპლს განუვითარდეს ემპათიური დამოკიდებულება დამნაშავის მიმართ (მორისონ 2021). ეს ტერმინი სოციალურ ფსიქოლოგიაში შემუშავდა 1973 წლის შემდგომ, როცა სტოკჰოლმის ერთ-ერთი ბანკის მარცვის დროს მძევლებს ბოროტმოქმედთან განსაკუთრებული, სიმპათიური ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. „მოცემული მოვლენა, რომელსაც სტოკჰოლმის სინდრომი ეწოდა, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში სხვადასხვა ვითარებაში განმეორდა. მისი ფსიქოლოგიური განმარტება წინააღმდეგობრივია, მას ხსნიან, როგორც დაცვის მექანიზმს. ამ მექანიზმს ფსიქოლოგმა ანა ფროიდმა (ზიგმუნდ ფროიდის შვილმა), აგრესორთან იდენტიფიკაცია უწოდა. ადამიანებს ეს ირაციონალური რეაქცია შეიძლება აღმოაჩნდეთ გადარჩენის მცდელობისას, როდესაც რაციონალური რეაქციები არაეფექტური და უიმედოა. აგრესორთან გაუცნობიერებელი სოლიდარობით ადამიანს იმედი აქვს, რომ აგრესორი თავისნაირს ზიანს არ მიაცენებს. ამ ირაციონალური პოზიციის გასამყარებლად მოძალადე აღიქმება, როგორც სიმპათიური და კარგი ადამიანი, რადგან სხვანაირად მასთან იდენტიფიცირება გამწვანდებოდა“ (Greenberg 2009: 32).

სავარაუდოა, რომ ასეთი მდგომარეობა საბჭოთა კავშირში დიდი

ზ. კიკვიძე

რეპრესიების შემდგომ ჩამოყალიბდა და „სტოკჰოლმის სინდრომი“ განუვითარდა არა ერთ ადამიანს, არამედ, ზოგადად, ყველას, ვისაც საბჭოთა ტერორი შეეხო. ეს უნდა გამოეწვია იმ ფაქტს, რომ იდეოლოგიური წნეხი, რომელსაც კომუნისტური პარტია იყენებდა მასების დასამორჩილებლად და საკუთარი ხელისუფლების განსამტკიცებლად, ჩაითვალა ეთიკურ-მორალური ღირებულებების მქონე დიად ქმედებად. რის საფუძველზეც ადამიანთა უმრავლესობას დაეკარგა სინამდვილის აღქმის რეალისტური უნარი და მათ წარმოდგენაში ბოროტისა და კეთილის დეფინიციებს ადგილები შეეცვალათ. ასე ჩამოყალიბდა მსხვერპლის მორალი, რომელიც უსასტიკეს ქმედებებს, უდანაშაულოთა წამებასა და დახვრეტას, პოლიტიკურ დევნას სახელმწიფოებრივი ინტერესების პოზიციიდან ამართლებდა და გულუბრყვილოდ მიაჩნდა, რომ საბჭოთა ბელადების სახელით გაკეთებული სისასტიკე მხოლოდ და მხოლოდ ხალხის საკეთილდღეოდ ჩადენილი სიკეთე იყო და სხვა არაფერი.

ზაირა არსენიშვილმა თავის მოთხრობების კრებულში ეს სისასტიკე მტკივნეულ მხატვრულ რეალობად გარდაქმნა. აქ გაერთიანებულია სამი მოთხრობა: „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“, „კენჭები“ და „ქარი ამწევი ფარდის“. სამივე მათგანი რეალურ ფაქტებსა და მოგონებებს ეყრდნობა. პირველში მოქმედი პირი რეპრესირებულის ცოლია, რომელსაც მრავალ განსაცდელთან ერთად ბელადისადმი ტოტალური შიშისა და ზიზღის გამო, ცხოვრება სიზმარ-ცხადად ქცევია. მეორე მოთხრობა რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება და დოკუმენტური პროზის ნიშნებს ამჟღავნებს. აქ ვხვდებით ისეთ ტერმინებს („ჩესეირა“, „ვრიდლო“), რომელთა მნიშვნელობა, შესაძლოა, მხოლოდ ამ ეპოქის მკვლევართათვის იყოს ცნობილი. მესამე მოთხრობაში კი ზაირა არსენიშვილის რომანის „ვა, სოფელოს“ პერსონაჟების ისტორია გრძელდება, ბედი-მდევარი რომ დასწევიათ.

პერსონაჟთა კონტრასტულობაში გამოსახული ტრაგიკომიკურობა ურთიერთპოლარიზაციას ეფუძნება. კრებულის საერთო სახელწოდებით „კენჭები“, მწერალი თითქოს კენჭებს ესვრის უსასტიკეს წარსულს, ფარდის ასახდელად და მისი რეალური სახის გამოსამზეურებლად.

მოთხრობას „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“ ფრჩხილებში დაზუსტებული ქვესათაური აქვს – „ქალბატონი თამარის სიზმარი და ცხადი“. ავტორმა იგი დედის ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც მთავარი პერსონაჟივით რეპრესირებული და ხალხის მტრად გამოცხადებულის ცოლი იყო. ეს კი ნიშნავდა, რომ ასეთი ადამიანების სიცოცხლეც დიდ საფრთხეში იყო, რადგან მათაც აპატიმრებდნენ, როგორც ჩესეირს და გადაასახლებდნენ კიდეც. ჩესეირი აბრევიატურაა – член семьи изменника

родины – სამშობლოს მოძალატის ოჯახის წევრი.

თამარის მეუღლე შალვა, მეცნიერი იყო, ანუ ინტელიგენციის წევრი, რომელიც საქართველოშივე დახვრიტეს, ოჯახს კი ეს ინფორმაცია დაუმალეს, ისინიც ფიქრობდნენ, რომ მამაშორეულ ციმბირში გადაასახლეს და კარგა ხანი თბილი ტანსაცმლისთვის თანხას აკოწიწებდნენ, რომ მისთვის გაეგზავნათ.

მთავარი მოქმედი პირი ინტელექტუალია, უნივერსიტეტის რექტორი დიდი რისკის ფასად თამარს ბიბლიოთეკარად აიყვანს, სადაც ის განაახლებს მთარგმნელობით მუშაობას. საგულისხმოა, რომ თამარი ვაჟას „ამოდის, ნათდებას“ თარგმნის. მგლური კანონის სოციუმის არსებითი მახასიათებელი – დაუნდობლობა და ერთმანეთის გაწირვა ფონად ედება თხრობას. ზ. არსენიშვილი ფსიქო-ფიზიკური პასაჟებით, ხმის ტემბრითა და კილოს შერჩევით ახასიათებს პერსონაჟთა შინაგან სიცარიელესა თუ სიღრმეს. განსაკუთრებით ხელშესახებია ფსევდო-მეცნიერი გიგლა ნიბლას, იგივე ნიბლადის სახე, როგორც იდეოლოგიის მხარდამჭერი, ე.წ. „ვიდვიჟენეცი“, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მეხოტბე, რომელიც დისერტაციას წერს და თავი მოაქვს, რომ დღე დღედ არ მიაჩნია, თუ ოც გვერდს მაინც არ დაწერს. რამდენიმე შტრიხიც კი საკმარისია მისი ნატურის წარმოსადგენად: „მოსაწონი მამაკაცის ამპლუა, მოდიმარე სალმიანობა, პრიმიტიული ვირეშმაკობისა და უტიფარი პატივმოყვარეობის ნიმუში“ (არსენიშვილი 2020: 25). თამარი იძულებული ხდება დათანხმდეს გიგლას შეთავაზებას, რომ დისერტაცია გაუსწოროს. ის უნებურად ერთმანეთს ადარებს ვაჟას გენიალურ თხზულებებს და გიგლა-ნიბლას ნაცოდვილარს და დანანებით ხვდება, რომ სწორედ „მდაბიორის უმეცრებით“ სავსე გიგლასწაირთა ეპოქაში რეალურად არ არის ჭეშმარიტი ლიტერატურისა თუ მეცნიერების ადგილი.

არსენიშვილი მკითხველის თვალწინ გადაშლის 30-იანი წლების ტრაგიკულ სინამდვილეს. მისი პერსონაჟები გამოცდიან ყველა იმ ტკივილს, დამცირებას, მიუსაფრობასა და იმედგაცრუებას, რაც განიცადეს ხალხის მტრად წოდებულთა ოჯახის წევრებმა, იქნება ეს უმუშევრობა, საცხოვრებლის დაკარგვა, გადარჩენაზე ფიქრი. ამას ემატება კიდევ უფრო მეტად აუტანელი გარიყვა საზოგადოებისაგან, ახლობლებისა და ნაცნობებისაგან. მწერალი წერს: „ბევრს ისე ეჭირა თავი, რომ თითქოს ვერ ცნობდნენ, თვალს არიდებდნენ“ (არსენიშვილი 2020: 28). ავტორი ცდილობს გაარკვევოს, ასეთ შემთხვევაში როგორ ხდება თავის გადარჩენა, და საერთოდ რა იგულისხმება გადარჩენაში.

ზაირა არსენიშვილი გვიჩვენებს ადამიანთა რადიკალურად განსხვავებულ სახეებს, ერთნი, რომლებიც ცდილობენ ფიზიკურ გადარჩენას, სიცოცხლის შენარჩუნებას და მეორენი, რომელთათვისაც

ზ. კიკვიძე

ფიზიკური არსებობა არაფერს ნიშნავს სულიერების გარეშე. ერთ-ერთ მონაკვეთში რეპრესირებული დედა-შვილის დანახვისას მათი ოჯახის ახლობელი, მირიან ლაღაძე, პოეტად რომ მოჰქონდა თავი და ხელოვნებაზე გატაცებით საუბრობდა, ქუჩის მეორე მხარეს გადადის, რომ მისალმება აირიდოს. მისი პათეტიკური სტრიქონები - „ჩემო მამულო, შენზე ვფიქრობ მე დღე და ღამე, სოფლის ფშა და შორეული სახე თამარისა“ - თითქოს მის მაღალ მოქალაქეობრივ მორალზე ღაღადებს. გარკვეულწილად ამ ფრაზაში მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის კლიშე ირეკლება. რამდენადაც მწერალი, კრიტიკული რეალიზმის თანახმად, ქვეყნის პატრონად, მის სვე-ბედზე დაფიქრებულ და მოამაგე პირად იდენტიფიცირდებოდა. მთავარი მოქმედი პერსონაჟის შვილს კი უჩნდება შეკითხვა, „მამულში ჩვენ არ შევდივართ?“. ცხადია, რეპრესირებული და ქვეყნის მტრად შერაცხილი პირის შვილთან რაიმე კონტაქტი საეჭვო და საშიში იქნებოდა სოციალისტურად მოაზროვნე პოეტისათვის, რომელსაც, ერთი მხრივ, სოციალისტური რეალიზმის პრინციპით, „ვინც ჩვენთან არ არის, ის ხალხის მტერია“, უნდა ეწერა, მეორე მხრივ კი, საკუთარი ამხედრებული სინდისი უნდა ჩაეხშო. მირიან ლაღაძის პიროვნებისეულ დიქტომიაში ბოროტი საწყისი იმარჯვებს კეთილშობილების სახელით და ეს ასე ჟღერს: „მწერალმა ქვეყანას თავი უნდა გადაურჩინოს“. ოპტიმალური გამოსავალი ნაპოვნია, შემოქმედი მაღლა დგას ყოველგვარ რეალობაზე და საკუთარი ეგოც პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია. თუმცა გადის რამდენიმე დღე და ამ მწერლის ქუჩაზედაც ჩამოივლის შინსახკომის შავი მანქანა, რომლითაც წაყვანილები უკან აღარასდროს ბრუნდებიან.

ასეთ ფონზე მავნებლის ცოლის დასაქმება გამირობის ტოლფასია. სწორედ ასე ლაგდება ერთმანეთის საპირისპიროდ კეთილი და ბოროტი სისხლის წვიმების დროს. ეპოქა ცხადყოფს ადამიანთა სულის დაფარულ შრეებს, რომლებიც ავლენენ კეთილსაც და ბოროტსაც. ერთნი საკუთარი თავის გადარჩენისათვის კონფორმისტულ გზას ირჩევენ, თუმცა მაქსიმალურად ცდილობენ არ გაისვარონ საბჭოთა ბოროტების სიბილწეში. მეორენი ისევ საკუთარი თავის გადარჩენისათვის მოყვასს სწირავენ, აბეზღებენ, დახმარებაზე ხომ ზედმეტია საუბარი.

სასტიკი დროება ისეთ დაღს აჩენს თამარის სულს, რომ მას სიზმარიც კი ცხადად გადაქცევა. თხზულებაში მთელი კოლიზია ეფუძნება სტალინის ბიუსტის დაზიანებას. ეს აბსოლუტურად შოკისმომგვრელი, გამანადგურებელი ფაქტია პერსონაჟისთვის, რადგან არ არსებობს ახსნა თავის გასასამართლებლად. დიდი ბელადის ბიუსტის დაზიანებისათვის, რა თქმა უნდა, სასჯელი უმკაცრესი იქნებოდა. თხზულების პერსონაჟი

დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია მასწავლებლის როლი და მისი პროფესიული განვითარება. ამჟამად ძირითად მეთოდიკურ ორიენტირად მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომაა პრიორიტეტული. წარმატებული მასწავლებელი მოსწავლეზე ორიენტირებულია და ამაში მას პროფესიული განვითარება ეხმარება. მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას კი რეფლექსია უწყობს ხელს. წლების განმავლობაში სხვადასხვა ინიციატივის და კანონის ცვლილების ფონზე მასწავლებლებს უწევდათ დაეწერათ ის გარკვეული სახით და დოზით. ამდენად, დაგროვდა მასწავლებლების რეფლექსიები, მაგრამ რეფლექსიის ეფექტურობა და მასწავლებლების დამოკიდებულება ჯერ ჯეროვანი შესწავლის საგანი არ გამხდარა. სწორედ ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ რეფლექსიის ცნების და მნიშვნელობის კონცეპტუალიზაციას და მათ მიერვე განხორციელებული რეფლექსიის პროცესის მათეული შეფასების შესწავლას ისახავს მიზნად წარმოდგენილი ნაშრომი. აღნიშნული სტატია არის სადისერტაციო ნაშრომისთვის განხორციელებული ერთი დიდი კვლევის ნაწილი, რომელიც დაფუძნებულია მანამდე ჩატარებულ სამაგიდო კვლევაზე და მიღებულ შედეგებზე. სტატიაში აქცენტი გაკეთებულია კვლევაში ჩართული მასწავლებლების სუბიექტურ შეფასებაზე რეფლექსიის რაობასა და მიზანთან მიმართებაში და იმ სირთულეებზე, რომელსაც მასწავლებლები აწყდებიან რეფლექსიის დროს. ასევე შევეცადეთ დაგვეფიქსირებინა მასწავლებლების დამოკიდებულება რეფლექსიისა და რეფლექსიის წერის მიმართ და დაგვედგინა რამდენად განიხილავენ მას მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო და მნიშვნელოვან კომპონენტად.

საკვანძო სიტყვები: რეფლექსია, მასწავლებლების პროფესიული განვითარება, ინგლისური ენის მასწავლებლები.

შესავალი. დღეს, მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის პირობებში, როგორც არასდროს აქტუალურია მასწავლებლის როლი და მისი

თ. დემეტრაძე

პროფესიული განვითარება. წარმატებული მასწავლებელი მოსწავლეზე ორიენტირებულია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ „ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური [...] პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს“ (ეროვნული სასწავლო გეგმა 2018), მასწავლებელს შეიძლება გაუჭირდეს მისი მოსწავლის საჭიროებების სწორი განსაზღვრა და შეფასება, შესაბამისად აქტივობების და სწავლა-სწავლების პროცესის მართებული წარმართვა. მიმაჩნია, რომ აღნიშნული სირთულის დაძლევა შესაძლებელია და ამაში პედაგოგს პროფესიული განვითარება ეხმარება.

წლების განმავლობაში სხვადასხვა ინიციატივის, კანონის და ცვლილების ფონზე მასწავლებლებმა გაიარეს ბევრი გადამზადება, სერტიფიცირება, ჩააბარეს გამოცდა, აიმაღლეს სტატუსი. სტატისტიკის თანახმად, 2010 წელს როგორც პროფესიული უნარების, ასევე საგნის გამოცდაზე 16544 პედაგოგი გავიდა, მათგან ინგლისურ ენაში დარეგისტრირებული 1407 მასწავლებლიდან გამოცდაზე 999 (71%) დაფიქსირდა (განათლებისა ... 2023). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანგარიშის მიხედვით 2010-2011 წლებში 26000 მასწავლებელი ჩაერთო ტრენინგებში და მათთვის სულ 139 განსხვავებული მოდული შეიქმნა; 2011 წელს მასწავლებლის ჩართულობა გამოცდებში 24000-მდე გაიზარდა, ხოლო სერტიფიცირებული სტატუსი 2500 მასწავლებელმა მოიპოვა, 2014 წელს უცხო ენის მასწავლებლების 37 % სერტიფიცირებული იყო (ჭანტურია 2020). 2011 წელს 5000 მასწავლებელმა ჩააბარა გამოცდა პროფესიულ უნარებში და 4000 მასწავლებელმა ჩააბარა საგნის გამოცდა (mes.gov.ge 2011).

2016 წელს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით ინგლისური ენის მასწავლებლების 1/2 სერტიფიცირებული იყო - 2119 სერტიფიცირებული (უფროსი ან წამყვანის სტატუსის მქონე) პედაგოგი დაფიქსირდა (<https://edu.aris.ge/> 2016).

მასწავლებელთა განათლების 60-კრედიტიან პროგრამაში ინგლისური ენის მიმართულებით 2016-2021 წლებში 928 ადამიანმა ისარგებლა (სამოქალაქო ... 2023).

მოყვანილი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ რეფორმის ფარგლებში ბოლო წლების განმავლობაში მასწავლებლების გარკვეულმა ნაწილმა გაიარა ტრენინგები, ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდები, აიმაღლა სტატუსი. თუმცა იმისათვის, რომ მასწავლებელი დამოუკიდებელ, კრიტიკულად მოაზროვნე პროფესიონალად ჩამოყალიბდეს და სიახლეებთან საკუთარი შეხედულებების ადაპტირება შეძლოს, მხოლოდ ახალი ხერხების, აქტივობების და რესურსების გაცნობა არ არის საკმარისი. ამის მიღწევის

საუკეთესო გზა რეფლექსია (Richards 1994; Tomlinson 2003; Farrell 2004; Harmer 2007; Danielson 2013). რეფლექსური სწავლება საფუძველს ადრეულ მე-20 საუკუნეში იღებს და დაკავშირებულია ჯონ დიუისთან (Dewey 1933), რომელმაც განიხილა რეფლექსია, რეფლექსური სწავლება და ჩამოაყალიბა ძირითადი კრიტერიუმები, რეფლექსიის ხუთი გამორჩეული ნაბიჯი, რეფლექსური სწავლების ძირითადი მახასიათებლები და რეფლექსიის ფაზები. მისი აზრით, ნებისმიერი რწმენის ან ცოდნის სავარაუდო ფორმის აქტიური, დაჟინებული და ფრთხილი განხილვა და შემდგომი დასკვნები, რომლისკენაც ის მიემართება, წარმოადგენს რეფლექსიას (Dewey 1938). ის ანსხვავებს რუტინულ და რეფლექსურ ფიქრს და განმარტავს, რომ თუ გვსურს ვიყოთ ნამდვილი მოაზროვნეები, უნდა შეგვეძლოს ექვის მდგომარეობის შენარჩუნება (Dewey 1910).


რეფლექსური მასწავლებლის კონცეფცია პირველად მკაფიოდ ჩამოაყალიბა დონალდ შონმა (Schon 1983) და შემდგომ თავადვე განავითარა (Schon 1987). მან გამოყო რეფლექსურ სწავლებასთან ასოცირებული სამი კოგნიტური განზომილება, რომლებიც დღეს ფართოდაა აღიარებული - რეფლექსია ქმედებაში, რეფლექსია ქმედებაზე და რეფლექსია ქმედებისთვის (Schon 1983). ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს რეფლექსია ქმედებაზე, რომელიც გულისხმობს უკან დაბრუნებას და ჩატარებულ გაკვეთილზე ფიქრს, და რეფლექსია ქმედებისთვის, რომელიც დაკავშირებულია ჩატარებული ქმედების გაანალიზებასთან და მომავალი ნაბიჯების დაგეგმვასთან. რეფლექსიის არსის მრავალგანზომილებიანობას და კომპლექსურობას ადასტურებს რიცარდსისა და ლოკჰარტის განმარტებაც, სადაც ისინი განმარტავენ რეფლექსურ სწავლებას როგორც მიდგომას, სადაც მასწავლებლები აგროვებენ მონაცემებს სწავლების შესახებ, შეისწავლიან მათ დამოკიდებულებას, რწმენას და სწავლების პრაქტიკას, და მიღებულ ინფორმაციას იყენებენ საფუძველად რეფლექსიისთვის (Richards & Lockhart 1994: 1). ასევე რეფლექსური სწავლების შემადგენელი ნაწილი არის სწავლა რომ საჭიროებისამებრ იმოქმედო და გააუმჯობესო ენის სწავლების ხარისხი (Richards & Farrell 2011).

რეფლექსიის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე ყურადღებას ასევე ჯონ მერფი ამახვილებს და რეფლექსური სწავლების 4 მიზანს ასეხელებს: 1) სწავლა-სწავლების პროცესის უკეთ გაგება; 2) ჩვენი, როგორც ენის მასწავლებლების, სტრატეგიული არჩევანის/რეპერტუარის განვითარება/გაფართოება; 3) სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე ენის სწავლების საკუთარ თეორიებზე პასუხიძებლობის აღება; 4) გაკვეთილზე სწავლის შესაძლებლობების ხარისხის გაუმჯობესება (Murphy 2014: 614). რიცარდსი რეფლექსიას მასწავლებლის განვითარების ძირითად კომპონენტად

თ. დემეტრაძე

(Richards 1990) მიიჩნევს, რომელიც ქმნის ბაზისს შეფასებისთვის და გადაწყვეტილების მიღებისთვის და არის წყარო დაგეგმვისა და ქმედებისა (Farrell 1995). ბილ ტემპლერი თვლის რომ მასწავლებელმა სარკვეში უნდა დაინახოს თავისი პრაქტიკა და უფრო მეტად გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რა ხდება ზედაპირის ქვეშ (Templer 2004). რეფლექსია დაეხმარება მასწავლებელს, გაზომოს საკუთარი წინსვლა, მოაგვაროს არა მარტო ხილული პრობლემები, არამედ ის პრობლემებიც აღმოაჩინოს და გადაჭრას, რომელთა არსებობა არც კი ჰქონდა გათვითცნობიერებული რეფლექსიის გაკეთებამდე.

აღსანიშნავია, რომ რეფლექსიის მნიშვნელობა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის სრულად არის გააზრებული საქართველოში მოქმედ შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებში, როგორცაა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. ამ დოკუმენტებში რეფლექსიის როლის ევოლუციის დეტალური განხილვისთვის იხ. Demetradze (2023). დამოუკიდებელ საქართველოში რეფლექსიის როლი, მისი კონცეფციის ევოლუცია განათლების სისტემის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა. ბოლო წლებში შემუშავებულ მასწავლებლების პროფესიული განვითარების მარეგულირებელ დოკუმენტებში ვლინდება რეფლექსიის მზარდი როლი. შედეგად რეფლექსია მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნების მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა და მოხდა მისი ინტეგრირება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში (Demetradze, 2023). იხ. სქემა 1.



სქემა 1 /Graph 1

პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის პროცესში, გადამზადების დროს ყველა მასწავლებელმა გარკვეული სახით და დოზით არა მხოლოდ მიიღო ინფორმაცია რეფლექსია/თვითშეფასებაზე, არამედ დაწერა ის გარკვეული სახით, იქნება ეს წლიური ანგარიშისთვის ან გარე დაკვირვების დროს თუ გაკვეთილის/პროექტის განხორციელების შემდეგ დაწერილი რეფლექსიები.

ამდენად, დაგროვდა მასალა - მასწავლებლების რეფლექსიები, მაგრამ რეფლექსიის ეფექტურობა და მასწავლებლების დამოკიდებულება ჯერ ჯეროვანი შესწავლის საგანი არ გამხდარა. მასწავლებლის პროფესიული განვითარების მარეგულირებელ დოკუმენტებში რეფლექსიის ევოლუციის შესწავლის შემდეგ (Demetradze 2023) სწორედ ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ რეფლექსიის ცნების და მნიშვნელობის კონცეპტუალიზაციას და მათ მიერვე განხორციელებული რეფლექსიის პროცესის მათეული შეფასების შესწავლას ისახავს მიზნად წარმოდგენილი ნაშრომი.

მეთოდოლოგია. ინგლისური ენის მასწავლებლების მიერ განხორციელებული რეფლექსიის პროცესის მიმართ დამოკიდებულების გამოსაკვლევა და მათ მიერ რეფლექსიის ცნების და მნიშვნელობის გააზრების შესასწავლად დაიგეგმა და ჩატარდა გამოკითხვა.

თეორიული ჩარჩო, რომელსაც დაეყრდნო სტატიაში აღწერილი კვლევა, ეფუძნება მანამდე ჩატარებულ სამაგიდო კვლევას, რომელმაც შექმნა ბაზისი შემდგომი ეტაპებისთვის.

შესწავლილი მასალის (მარეგულირებელი დოკუმენტების) შედეგად მიღებული დაზუსტებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მასწავლებლებთან კვლევის ჩატარებისთვის მზადება დაიწყო (Demetradze 2023). მომზადდა მასწავლებლების გამოკითხვისთვის საჭირო კითხვარის სამუშაო ვერსია, რომელიც ერთობლივ სადოქტორო პროგრამაში ჩართულმა დოქტორანტმა მასწავლებლებმა განიხილეს და შემდგომ მათი ჩართულობით მოხდა მისი პილოტირება. კითხვარის დაზუსტებული და საბოლოო ვერსია გაიგზავნა ეთიკის კომისიასთან. ელექტრონული ფორმატის google form-ში გაკეთებული კითხვარი დაიგზავნა იმერეთის სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლებთან.

შესწავლილი მარეგულირებელი დოკუმენტების სია მოიცავდა საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნულ გეგმას, მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტს, მასწავლებლის პროფესიული მომზადებისა და განვითარების სქემას, საქართველოს მთავრობის დადგენილებებს მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული

თ. დემეტრაძე

განვითარების კონცეფციასთან დაკავშირებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამებს. შედეგად აღნიშნულ დოკუმენტებში თვითშეფასების და რეფლექსიის ასახვის თვალსაზრისით შესწავლა განხორციელდა და მოხდა მიღებული ინფორმაციის ანალიზი (Demetradze 2023).

კითხვარი 26 კითხვას შეიცავდა. პირველი ხუთი კითხვა ზოგადი ხასიათის იყო და ეხებოდა სქესს, სწავლების საფეხურს, სკოლის ტიპს, სკოლის მდებარეობას და მასწავლებლობის გამოცდილების ხანგრძლივობას. დანარჩენი კითხვები გადანაწილდა ორ ნაწილად, კითხვები მორგებული იყო ისეთ მასწავლებლებზე, რომლებიც იცნობდნენ ან არ იცნობდნენ მასწავლებლების პროფესიული განვითარების გეგმას. კითხვების გარკვეული რაოდენობა, მრავალჯერადი პასუხის გაცემის საშუალებას იძლეოდა, ამასთან მითითებული იყო ოფცია „სხვა“, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევდა კითხვაზე დამატებითი პასუხი ან კომენტარი დაეფიქსირებინა.


კითხვარის მეშვეობით, შევეცადეთ ორი თემა დაგვეფარა: ზოგადად ა) პროფესიული განვითარების საკითხები და ბ) რეფლექსია/ თვითშეფასებასთან დაკავშირებული თემატიკა. პროფესიული განვითარების ნაწილში ჩვენი მიზანი იყო გაგვეგო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რა რესურსებს იყენებენ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებებიდან, რომელში მიუღიათ მონაწილეობა, რომელმა აქტივობებმა შეუწყო ხელი მათ პროფესიულ წინსვლაში და/ ან სტატუსის ამაღლებაში რომ უკეთესი მასწავლებელი გამხდარიყვნენ. რეფლექსიასთან დაკავშირებული კითხვებით გავიგეთ, რა სახით მიიღეს ინფორმაცია რეფლექსია/თვითშეფასებაზე, ასევე ღია ტიპის კითხვების საშუალებით, ვთხოვეთ სუბიექტური შეფასებით დაესახელებინათ რეფლექსიის მიზანი, რეფლექსიის რაობა და ის სირთულეები, რომელსაც მასწავლებლები აწყდებიან რეფლექსიის დროს. კითხვები ასევე ეხებოდა რეფლექსიის დროს ხელისშემშლელ ფაქტორებს. ბოლო ნაწილში შევეცადეთ დაგვეფიქსირებინა მასწავლებლების დამოკიდებულება რეფლექსიისა და რეფლექსიის წერის მიმართ და დაგვედგინა რამდენად განიხილავენ მას მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო და მნიშვნელოვან კომპონენტად. ამის დადგენა განსაკუთრების საინტერესო იყო, რამეთუ მასწავლებლების პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვან კომპონენტს რეფლექსია წარმოადგენს.

კვლევის შედეგები და ანალიზი

მასწავლებლების გამოკითხვა. გამოკითხულ მასწავლებელთა (120) უმრავლესობა (95%) მდებარეობით სქესის წარმომადგენელი იყო. მასწავლებლები რომლებიც ასწავლიან მხოლოდ დაწყებით საფეხურზე უმცირესობას წარმოადგენენ და გამოკითხულთა მხოლოდ 2,3% შეადგენდნენ. მასწავლებლების 9,1% მხოლოდ საშუალო საფეხურზე ასწავლის, მხოლოდ საბაზოზე - 11,4%, საბაზო და საშუალო საფეხურს კი ფარავს მასწავლებელთა დაახლოებით 16%.

გამოკითხვაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო და კერძო სკოლის მასწავლებლები. სკოლის ტიპის მიხედვით სახელმწიფო სკოლის წარმომადგენლების რიცხვი კერძო სკოლის მასწავლებლების რიცხვს (68,2,8% / 31,8%) აღემატება. სკოლების მდებარეობის მიხედვით პასუხების უმეტესობა ქალაქში მდებარე სკოლების მასწავლებლებისგან არის დაფიქსირებული (54,5%), სოფელში მდებარე სკოლიდან - 34,1%, რაიონული ცენტრიდან - მასწავლებლების 11%. მასწავლებლების სამუშაო გამოცდილება ვარიირებს: უმეტესად 11-20 წლის გამოცდილების მქონე მასწავლებლები არიან. მათი რაოდენობა გამოკითხულთა ნახევარზე ცოტა მეტს წარმოადგენს (54,5%). დაახლოებით მეხუთედს წარმოადგენენ მასწავლებლები 3-5 წლიანი გამოცდილებით. 6-10 წლის გამოცდილება აქვს გამოკითხული მასწავლებლების 13%-ს. გამოკითხვაში ახალბედა მასწავლებლების მონაწილეობის წილი მცირეა და მხოლოდ 2,3% წარმოადგენს. გამოცდილი, 20 და მეტი წლის სტაჟის მქონე მასწავლებლების რაოდენობა 12% არ აღემატება (11,8%). იხ. დიაგრამა 1

5. სამუშაო (მასწავლებლობის) გამოცდილება



დიაგრამა 1

კითხვაზე იცნობენ, თუ არა პროფესიული განვითარების სქემას, მასწავლებლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი

თ. დემეტრაძე


გასცა და მათი რაოდენობა 97% შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს რომ ინფორმირებულობის ხარისხი მაღალია. მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა დააფიქსირა, რომ არ იცნობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას და მიზეზად დასახელებულია გაცნობისთვის დროის ნაკლებობა. კითხვარი არ იძლევა საშუალებას დადგინდეს რამდენ წლიანი სტაჟის მქონე მასწავლებლის პასუხია მიღებული, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ რომ ეს მასწავლებელი ახალბედაა და გამოკითხვაში მონაწილეობის მომენტისთვის ჯეროვნად არ იყო ჩართული პროფესიული განვითარების სქემაში.

ასევე აღსანიშნავია სქემის ხელმისაწვდომობა, რადგან მასწავლებლების 50%-ზე მეტმა დააფიქსირა რომ ინფორმაცია ინტერნეტით მიიღო. შემდეგ პოზიციებს თანაბრად იკავებს/ინაწილებს პასუხი, რომ ინფორმაცია დირექტორისგან (44,2%), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისგან (44,2%) და კოლეგა მასწავლებლებისგან (37,2%) მიიღეს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის პედაგოგების მიერ გამოყენებულ საჭირო რესურსებს შორის პოპულარულია ინტერნეტრესურსები (88,6%), შემდეგ პროცენტული მაჩვენებლით მოდის ტრენინგები (75%) და ელექტრონული რესურსები (70,5%). ურთიერთდასწრებას ასახელებს გამოკითხულთა 45%, ხოლო კონფერენციას - 43%. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსად რეფლექსიას 30%-ზე ცოტა მეტი მასწავლებელი ასახელებს (38,6%). მასწავლებლების დაახლოებით მეხუთედი თვლის, რომ ჟურნალები მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რესურს წარმოადგენს. იხ. დიაგრამა 2

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებებიდან მასწავლებლების უმეტესობა (81,8%)


7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო რა რესურსებს იყენებთ?



დიაგრამა 2

მოკლევადიანი ტრენინგების (ზოგადი პროფესიული) მონაწილეა. 13%-ანი სხვაობით მეორე ადგილზე მოკლევადიანი საგნობრივი ტრენინგებია. კონფერენციებს გამოკითხულთა 36% ირჩევს. უცნობია აღნიშნული რაოდენობის რა ნაწილს წარმოადგენს კონფერენციაში მონაწილეობა, და არა უბრალოდ დასწრება. იხ. დიაგრამა 3

8. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული მომსახურებებიდან რომელში მივიღიათ მონაწილეობა?




დიაგრამა 3

საინტერესო პროცენტული გადანაწილება დაფიქსირდა იმ კითხვასთან დაკავშირებით, სადაც მასწავლებლებმა დააფიქსირეს მათი აზრით რამ შეუწყო ხელი მათ პროფესიულ წინსვლას და/ან სტატუსის ამაღლებას. მასწავლებლების პასუხები თითქმის თანაბრად გადანაწილდა მოკლევადიან ზოგად პროფესიულ ტრენინგებსა და მოკლევადიან საგნობრივ ტრენინგებს შორის (65,9% და 61,4%). კონფერენციებში გამოკითხულთა 36,4% მონაწილეობს, მაგრამ მხოლოდ 22% -ს მიაჩნია, რომ კონფერენცია მათ პროფესიულ წინსვლას უწყობს ხელს. რესპონდენტთა 5% ირჩევს პასუხს „სხვა“ და განმარტავს, რომ ჩამოთვლილთაგან უჭირს ამორჩევა, რადგან შემოთავაზებული კომპონენტებიდან -ორივე სახეობის მოკლევადიანი ტრენინგები (პროფესიული და საგნობრივი), გრძელვადიანი ზოგადი პროფესიული ტრენინგ-კურსები, სემინარები, კონფერენციები და კონსულტაციები - თავის წვლილი თითოეულმა კომპონენტმა შეიტანა. პასუხში „სხვა“ ასევე დასახელებულია ინტერნეტ რესურსები.

უკეთესი მასწავლებლები რომ გამხდარიყვნენ, რესპონდენტთა 65%-ზე მეტი ისევ მოკლევადიან ზოგად პროფესიულ ტრენინგებსა (68,2%) და მოკლევადიან საგნობრივ ტრენინგებს (68,2%) ასახელებს. კონფერენციას ამ ნაწილში რესპონდენტთა ცოტა მეტი რაოდენობა ასახელებს (29,5%)

თ. დემეტრაძე

და წინა კითხვის მსგავსად 6% ირჩევს პასუხს „სხვა“ და აქაც ინტერნეტ რესურსებს ასახელებს. იხ. დიაგრამა 4




დიაგრამა 4

კითხვაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული რომელი მომსახურებების დროს მიეწოდათ ინფორმაცია რეფლექსიაზე/თვითშეფასებაზე, მასწავლებლების ნახევარზე ცოტა მეტმა მოკლევადიანი ტრენინგები (ზოგადი პროფესიული) დაასახელა, 45% მოკლევადიან საგნობრივ ტრენინგებს ასახელებს. მესამე პოპულარული პასუხი არის - პირადი კონტაქტებით სხვა კოლეგისგან ან ნაცნობისგან მიღებული ინფორმაცია (34,1%). ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება ორაქტივობასთან დაკავშირებით - 9%-მა ინფორმაცია მიიღო სემინარებზე და კონფერენციებზე. 13,6% აფიქსირებს ფაქტს, რომ რეფლექსიაზე ინფორმაცია არ მიუღია, რაც დაახლოებით რესპონდენტების მეხუთედია და შედარებით მაღალი მაჩვენებელია. კატეგორია „სხვა“-ს მასწავლებლების დაახლოებით 5% ირჩევს და აფიქსირებს რომ მსგავსი არ ჰქონია. იხ. დიაგრამა 5.

საინტერესო იყო გაგვეგო, რა სახით მიეწოდათ მასწავლებლებს

12. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული რომელი მომსახურებების დროს მოგეწოდათ ინფორმაცია რეფლექსიაზე/თვითშეფასებაზე.




დიაგრამა 5

ინფორმაცია რეფლექსია/თვითშეფასებაზე. აღნიშნულ კითხვაზე პასუხები ისე გადანაწილდა რომ მასწავლებელთა 50%-მა აღნიშნა, რომ თეორიული ინფორმაცია მიეწოდა და თეორიასთან ერთად მოხდა პრაქტიკული განხილვა იმისა თუ როგორ იწერება რეფლექსია. თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი (25%) დაფიქსირდა 2 პოზიციასთან დაკავშირებით. მასწავლებლების ერთ ნაწილს ინფორმაცია მხოლოდ თეორიის სახით მიეწოდა, მეორე ნაწილმა სხვისი დაწერილი რეფლექსიები განიხილა. დაახლოებით 30%-მა თეორიასთან ერთად რეფლექსია პრაქტიკულად დაწერა. იხ. დიაგრამა 6.

კვლევის ჩატარების დროს, კითხვარში ერთ-ერთი ღია კითხვის

13. რა სახით მოგეწოდათ ინფორმაცია რეფლექსიაზე/თვითშეფასებაზე?



დიაგრამა 6

თ. დემეტრაძე

დასმით გვინდოდა დაგვედგინა (მასწავლებლების სუბიექტური აზრით) რა მიზანს ემსახურება რეფლექსია. მასწავლებლების პასუხების გადანაწილება ორ დიდ ჯგუფში შეიძლება. პასუხების ერთი ნაწილი ზოგადი ხასიათიაა და ძირითადად მოკლედ, ერთი სიტყვით განმარტებას გულისხმობს. რესპონდენტთა მეორე ნაწილმა რეფლექსიის მიზანზე საუბრის დროს მეტად ვრცელი პასუხები გასცა, და მეტი კონკრეტულობა შემოიტანა.

თქვენი აზრით რეფლექსია რა მიზანს ემსახურება (თქვენი სუბიექტური აზრით)*	
ზოგადი დახასიათება	მეტად კონკრეტული
„თვითშეფასებას“; „თვითანალიზებას“;	„ჩემთვის რეფლექსია საკუთარ თავთან ხმამაღალი საუბარია, რაც მეხმარება უკეთ დავგეგმო სასწავლო პროცესი“
„პროფესიულ განვითარებას“; „წინსვლის ხელშეწყობას“ „განვითარებას“;	„ეხმარება მასწავლებელს გამოავლინოს საქმიანობის ძირითადი კომპონენტები, პრობლემები, მათი გადაწყვეტის გზები და შემდეგ განსაზღვროს მისი საქმიანობის გზები“
„პრობლემის გააზრებას“; „სუსტი და ძლიერი მხარის იდენტიფიკაციას“; „პრობლემის პოვნას, აღმოფხვრას“; „სუსტი მხარის გაუმჯობესებას“	„რეფლექსიის წერით ვიაზრებთ რა და როგორ გავაკეთეთ. გავედით თუ არა მიზანზე. რა აქტივობები გამოვიყენე. „გვეხმარება დავინახოთ ძლიერი და სუსტი მხარეები და იმის მიხედვით შევცვალოთ და დავგეგმოთ სწავლა/სწავლების სტრატეგიები“

მასწავლებლების პასუხებში შედარებით მეტი დაკონკრეტების გარდა ფიქსირდება ისეთი პასუხები, რომლებშიც შეიმჩნევა მასწავლებლის კონკრეტული გამოცდილება, შესამჩნევია რომ მასწავლებელი ზოგადად არ საუბრობს და კონკრეტულ გამოცდილებას ეყრდნობა. რიგ შემთხვევაში რესპონდენტი ზოგადად მასწავლებლებს კი არ მოიაზრებს, არამედ თავის თავზე საუბროს (მე), ან მასწავლებლების ჯგუფზე, სადაც თავის თავსაც მოიაზრებს (ჩვენ).

მასწავლებლების მიერ დასახელებული ქვეთემები, რეფლექსიაზე და თვითშეფასებაზე საუბრის დროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და პასუხობენ იმ განმარტებებს, რომლებიც მასწავლებლებისთვის

განკუთვნილ სხვადასხვა ლიტერატურაში/გზამკვლევი წარმოდგენილი:

თვითშეფასება უნდა განვიხილოთ როგორც განმავითარებელი შეფასების ტიპი, რომლის დროსაც მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას, აფასებს თავისივე მუშაობის პროცესს, წინასწარ განსაზღვრული სტანდარტის/კრიტერიუმების შესრულების ხარისხს. იგი აკეთებს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და მუშაობის პროცესში ცვლილებები სწორედ რეფლექსიისა და ანალიზის საფუძველზე შეაქვს“ (მასწავლებლის საქმიანობის ... 2015, 2016).

რეფლექსური სწავლება ზრდის პროფესიონალიზმს. მასწავლებელი, რომელიც კარგად არის ინფორმირებული თავისი სწავლების შესახებ, უკეთ აფასებს მისივე პროფესიული განვითარების დონეს და ხვდება, რომელი მიმართულებით სჭირდება ცვლილება, იზრდება პროფესიულად; რეფლექსური მასწავლებელი ეფექტურად უმკლავდება სასწავლო პროცესში არსებულ კომპლექსურ გამოწვევებს“ (მასწავლებლების თვითშეფასების 2019).

ყოველი გაკვეთილის ბოლოს, როდესაც მასწავლებელი ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიას აკეთებს, უნდა გააანალიზოს, რა იყო კარგი, რა დაეხმარა შედეგის მიღწევაში და რამ დააბრკოლა, რისი გაუმჯობესებაა სასურველი. შეფასების შედეგებისა და თვითშეფასების გათვალისწინებით მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა შეიტანოს გარკვეული ცვლილებები და დამატებები გაკვეთილის გეგმაში. სასწავლო პროცესისადმი ასეთი შემოქმედებითი მიდგომა ეხმარება «მასწავლებელს მუდმივად დახვეწოს თავისი პედაგოგიური პრაქტიკა“ (პედაგოგიური გზამკვლევი 2016).

თვითშეფასება არის განმავითარებელი შეფასების ტიპი, რომლის დროსაც მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას, აფასებს საკუთარი მუშაობის პროცესს, წინასწარ განსაზღვრული სტანდარტის/კრიტერიუმების შესრულების ხარისხს. იგი აკეთებს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და მუშაობის პროცესში ცვლილებები სწორედ რეფლექსიისა და ანალიზის საფუძველზე შეაქვს (პედაგოგიურ გზამკვლევი 2016)

კითხვარის მომდევნო შეკითხვით, მასწავლებლებს ვთხოვეთ განემარტათ, როგორ ესმოდათ რეფლექსიის რაობა. აქაც მათი

თ. დემეტრაძე

სუბიექტური განმარტება გვანტერესებდა. წინა კითხვის მსგავსად, პასუხების დაყოფა 4 ჯგუფად შეიძლება, იმაზე დაყრდნობით რა არის ხაზგასმული განმარტების დროს. ამ ჯგუფებში აქცენტირებული თემები შემდეგნაირად გადანაწილდა:

„საკუთარი საქმიანობის შეფასება“, რეფლექსია, ჩემი აზრით, არის საკუთარ თავთან საუბარი
ძლიერი და სუსტი მხარეების/პრობლემების დადგენა/აღმოჩენა/გააზრება და დაფიქრება, რისი შეცვლა/კორექტირებაა სასურველი, რომ მომავალში გაკვეთილი უკეთესი იყოს
თვითშეფასება, თვითგაანალიზება, თვითშემეცნება და სწავლის მიზანი; ობიექტური თვითშეფასება

უნდა აღინიშნოს, რომ კითხვაზე გაცემულ პასუხებთან შედარებით, მკვეთრი სხვაობა არ დაფიქსირებულა წინა მეტიც განმარტებებთან ერთად ნახსენებია რეფლექსიის საჭიროების და მნიშვნელობის ახსნა: „რეფლექსიის მეშვეობით შეგიძლია უკეთ დაგეგმო შემდეგი გაკვეთილი“, „რეფლექსია აუცილებელი ელემენტია, მომდევნო ნაბიჯების დასაგეგმად და საჭიროების გასაგებად“, „ეხმარება მასწავლებელს გამოავლინოს და შეიმეცნოს თავისი საქმიანობის ძირითადი კომპონენტები“, „პრობლემების დანახვა“, „რეფლექსია გვეხმარება დეტალური ანალიზის გაკეთებაში. გვაჩვენებს დადებით და უარყოფით მხარეებს, რა გაკეთდა კარგად და რა საჭიროებს გაუმჯობესებას“.

რესპონდენტების მიერ გაკეთებული განმარტებები უმეტესად ან ზოგადი ხასიათის განმარტებებს წარმოადგენდა ან შედარებით კონკრეტულს, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით.

„რეფლექსია გულისხმობს საკუთარი გამოცდილების, ემოციების და მოქმედებების გააზრებულ განხილვას და ანალიზს. ის მოითხოვს ინტროსპექციას, რათა შეისწავლოს პიროვნული რწმენა, ღირებულებები და ქცევები, ხელი შეუწყოს საკუთარი თავის და სამყაროს უფრო ღრმა გაგებას“.

ზოგიერთი განმარტება იმდენად ზოგადი იყო, რომ მასში მასწავლებელთან, მოსწავლესთან, სკოლასთან კავშირი არ ფიქსირდებოდა და მოიაზრებოდა ზოგადად ადამიანი, პროფესიის განურჩევლად: „რეფლექსია ნიშნავს ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების, ცოდნის და მდგომარეობის გაცნობიერებას“. მსგავსი განმარტებები არ ჭარბობს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განმარტება ახალბედა მასწავლებელმა გააკეთა, რომელსაც თეორიული და მეტწილად ზოგადი ცოდნა აქვს.

პასუხების უმეტესობაში დასახელებულია რეფლექსიასთან

დაკავშირებული კომპონენტები ან დამახასიათებელი თვისებები, როგორებიცაა:

- „თვითშეფასება“, „ერთგვარი შეფასება“;
- „საკუთარი გამოცდილების, ემოციების და მოქმედებების გააზრებულ განხილვას და ანალიზს. ის მოითხოვს ინტროსპექციას, რათა შეისწავლოს პიროვნული რწმენა, ღირებულებები და ქცევები, ხელი შეუწყოს საკუთარი თავის და სამყაროს უფრო ღრმა გაგებას.“
- „დეტალური მიმოხილვა განვლილის“;
- „რა არის სუსტი გაკეთებული და რა არის კარგი. ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრება“.


მასწავლებლების აბსოლუტური უმრავლესობა (93%) აცხადებს, რომ თვითონ დაუწერია თვითშეფასება/რეფლექსია. ყველაზე გავრცელებული რეფლექსია არის თვითშეფასება წლის ბოლოს დაწერილი (65,9%). მეორე ადგილზე არის სამოდელო გაკვეთილის რეფლექსია (56,1%), მცირე სხვაობით მესამე და მეოთხე ადგილზე არის შიდა დაკვირვების დროს დაწერილი რეფლექსია (53,7%) და თვითშეფასება წლის დასაწყისში (51,2%). გარე დაკვირვების დროს დაწერილი რეფლექსიას ასახელებს მასწავლებლების საკმაოდ დიდი ნაწილი - 39%. პასუხში „სხვა“ ერთმა რესპონდენტმა დააფიქსირა კონკურსებში მონაწილეობის რეფლექსია, პროექტის მართვის რეფლექსია და კლუბების მართვის რეფლექსია, ხოლო მეორე რესპონდენტმა დაასახელა მაგისტრატურის საფეხურზე სწავლების დროს დაწერილი რეფლექსია და ბრიტანეთის საბჭოს ონლაინ პლატფორმაზე დაწერილი რეფლექსია. იხ. დიაგრამა 7.

დასახელებული «სხვა»

კონკურსებში მონაწილეობის რეფლექსია, პროექტების მართვის რეფლექსია, კლუბების მართვის რეფლექსია.....

მაგისტრატურაზე სხვადასხვა საგნებში. ბრიტანეთის საბჭოს ონლაინ პლატფორმაზე.

რომელი რეფლექსია დაგიწერიათ?



დიაგრამა 7

თ. დემეტრაძე

თვითშეფასების/რეფლექსიის წერაში საკუთარი კომპეტენციის შეფასების დროს, მასწავლებლების პასუხების მრავალფეროვნება დაფიქსირდა. ნახევარზე მეტმა რესპონდენტმა საკუთარი კომპეტენცია შეაფასა როგორც „მაღალი“, 26,8%-მა აირჩია პასუხი „ძალიან მაღალი“, დაახლოებით მეხუთედმა 5–ქულიანი შეფასების სკალაზე კომპეტენცია რეფლექსიის წერაში 3 ქულით შეაფასა. 2%-მა 2 ქულა დაიწერა, რითაც შეფასება „დაბალი“ აირჩია.

თვითშეფასების წერის დროს 31,7%-ს დასჭირდა სხვისი დახმარება, ხოლო 68,3%-მა რეფლექსია დახმარების გარეშე დაწერა. რეფლექსიის დროს სირთულეების ჩამონათვალში ფიგურირებს:

არაფერი, არ მქონია პრობლემა, უმეტესად არ გამჭირვებია
საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებზე საუბარი, უარყოფით მხარეზე აქცენტირება და გამოხატვა, თვითკრიტიკა
ყველა კრიტერიუმის გათვალისწინება, სტრუქტურის მიგნება, თუ როგორ იწერება რეფლექსია, სტრუქტურის დაცვა, სტრუქტურის შენარჩუნება, რეფლექსიისთვის სწორი სტრუქტურის მიცემა

ხელისშემშლელი ფაქტორებიდან, რის გამოც მასწავლებელმა თავი შეიკავა რეფლექსიის წერისგან, რესპონდენტების 44% პროცენტმა, დრო დაასახელა, რეფლექსიის დაწერა დროს მოითხოვს, 22% რეფლექსიის დაწერის არცოდნას ასახელებს. რეფლექსიის წერას უსარგებლოდ 12% მიაჩნია, ხოლო დაახლოებით 15% აცხადებს, რომ რთულია სუსტ მხარეებზე საუბარი. იხ. დიაგრამა 8

დაასახელეთ «სხვა»

დროის უქონლობის გამო შესაძლოა ვერ დავეწერო, ანალოგიურად დროის დეფიციტი მიმაჩნია ხელისშემშლელად.

აუცილებელია დაწერა. სამომავლოდ ითვალისწინებ რა იყო სუსტი მხარე და ცდილობ ხარვეზის გამოსწორებას.


არც ერთი

მიმაჩნია, რომ რეფლექსია აუცილებელია და მას ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს, დიახ დროს მოითხოვს, თუმცა სხვა დოკუმენტაციაზე ბევრად საჭირო კომპონენტია თვითგანვითარებისთვის

არ მქონია სირთულეები

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია რეფლექსია.

დაასახელეთ ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რის გამოც თავს შეიკავებდით რეფლექსიის წერისგან



დიაგრამა 8

კითხვაზე რეფლექსიის წერა უნდა იყოს თუ არა შეფასებადი კომპონენტი მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაში, გამოკითხულთა 55% დადებით პასუხს აფიქსირებს, ნახევარზე ცოტა ნაკლები (45,5%) ისურვებდა რეფლექსია შეფასებად კომპონენტად არ ფიქსირდებოდა. მიმაჩნია, პროცენტული გადანაწილება იმაზე მიუთითებს რომ მასწავლებლების ნაწილისთვის რეფლექსია ბოლომდე კომფორტულ თემას არ წარმოადგენს.

მონაცემების ინტერპრეტაცია და ანალიზი. გამოკითხულ მასწავლებელთაგან უმრავლესობა სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ან საშუალო/საბაზო საფეხურზე ასწავლის. უმეტესობა ქალაქის სკოლების მასწავლებელია, თუმცა პასუხები გაცემული აქვთ სოფელში და რაიონულ ცენტრებში მდებარე სკოლებში მომუშავე მასწავლებლებს. თითქმის 70% 10-წელზე მეტი გამოცდილების მქონე მასწავლებელია. აღნიშნული ცხადყოფს დემოგრაფიულ მრავალფეროვნებას და ასევე მასწავლებლების გამოცდილებას, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია საერთო ტენდენციის დანახვა.

მასწავლებლების გამოცდილებიდან გამომდინარე არ არის გასაკვირი, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაზე ინფორმირებულობა მაღალია. აღნიშნული ტენდენცია (97%) ასევე მოსალოდნელი იყო ქვეყანაში ჩატარებული ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების, სხვადასხვა ტრენინგების და ვერქშოფების გათვალისწინებით.

ინფორმირებულობის მაღალი დონე სავარაუდოდ შეიძლება აიხსნას იმიტაც, რომ მასწავლებლებმა ინფორმაცია მიიღეს რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან და ამ წყაროებმა ეფექტურად იმუშავა, რადგან ინტერნეტის (>50%) გარდა მასწავლებლები ინფორმაციის წყაროდ პროფესიული განვითარების ცენტრს (42,2%) და სკოლის დირექტორებს (42,2%)

თ. დემეტრაძე

ასახელებენ. ვფიქრობ, დადებითად შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტი, რომ მასწავლებლის განვითარების სქემაზე ინფორმაცია გამოკითხულთა 37,2%-მა კოლეგა მასწავლებლებისგან მიიღო, რაც მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ერთგვარი ინდიკატორი შეიძლება იყოს.

საინტერესო პროცენტული გადანაწილება დაფიქსირდა იმ კითხვასთან დაკავშირებით, სადაც მასწავლებლებმა დააფიქსირეს მათი აზრი, თუ რამ შეუწყო ხელი მათ პროფესიულ წინსვლას და/ან სტატუსის ამაღლებას. მასწავლებლების 65,9% მოკლევადიან ზოგად პროფესიულ ტრენინგებს და 61,4% მოკლევადიან საგნობრივ ტრენინგებს ასახელებს, კონფერენცია 22%-მა დააფიქსირა. ვფიქრობ, კონფერენციას პროფესიული წინსვლის/სტატუსის ამაღლების საშუალებად შედარებით ნაკლებად იყენებენ, რადგან სავარაუდოდ არ მიაჩნიათ, რომ ის პროფესიულ წინსვლაში ეხმარებათ, ან უფრო პრობლემურად ესახებათ, ვიდრე ტრენინგზე დასწრებაა. საინტერესოა, პროფესიული წინსვლა აქ მხოლოდ გაუმჯობესებული სტატუსი და მომატებული ხელფასი ან ბონუსია, თუ ახლის გაგება-გაზიარების სურვილი.

საკმაოდ მკვეთრი განსხვავება გამოვლინდა განვლილი ორი ტიპის ტრენინგების სარგებლიანობის თვალსაზრისით. გამოკითხულთა 82%-ს მოკლევადიან ზოგად პროფესიულ ტრენინგებში აქვს მონაწილეობა მიღებული, მოკლევადიან საგნობრივში კი 68,2%-ს, მაგრამ სარგებლიანობის ნაწილში პასუხების პროცენტული მაჩვენებელი ცოტათი დაბალია. პროფესიული წინსვლისთვის ზოგადი პროფესიული ტრენინგები 65,9%-თვის, ხოლო მოკლევადიანი დარგობრივი ტრენინგი 61,4%-თვის აღმოჩნდა სასარგებლო. მაშასადამე მოკლევადიან ზოგად პროფესიულ ტრენინგში ჩართული 82% -დან სარგებლიანობა 65,9% დაინახა, რაც 17%-ით ნაკლებია. მოკლევადიან საგნობრივ ტრენინგებში ჩართული 68% -დან სარგებლიანობა 61,4 დაინახა, რაც 6%-ან სხვაობას გვამღვეს. აღნიშნული სხვაობებიდან ჩანს, რომ საგნობრივი ტრენინგები უფრო მეტად გამოსადეგი აღმოჩნდა მასწავლებლებისთვის, რაც გვამღვეს საშუალებას ვთქვათ, რომ დაგეგმვის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს მეტ საგნობრივ ტრენინგზე.

გამოკითხვამ გამოავლინა გარკვეული დისბალანსი რეფლექსიაზე მიღებულ ტრენინგებში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის. რეფლექსიის შესახებ ინფორმაცია მასწავლებლების მეოთხედმა მხოლოდ თეორიის სახით მიიღო, ხოლო 13,6%-ს ინფორმაცია არ მიუღია, რაც ჯამურად იმაზე მიუთითებს რომ გამოკითხული მასწავლებლების მესამედს სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა. ამასთან აღსანიშნავია, რომ გადამზადება თეორიულ მასალასთან ერთად უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ ელემენტსაც.

კითხვარში ღია კითხვებზე გაცემული პასუხები იმაზე მიგვანიშნებს, რომ მასწავლებლებმა იციან რეფლექსიის რაობა და რა მიზანს ემსახურება ის. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების პასუხების ნაწილი არის ვრცელი, თითქოს და კონკრეტული, მაგრამ ამავდროულად ძალიან ზოგადი. ამასთან რეფლექსიაზე საუბრის დროს ობიექტი არ არის ნათლად გამოკვეთილი, რაც იმის მანიშნებელი შეიძლება იყოს, რომ რესპონდენტისთვის თემა, რომელზეც საუბრობს, ან ბუნდოვანია და მოქმედ პირად თავის თავს ვერ ხედავს (ეს ჩემი არ არ არის, მე არ მჭირდება), ან რეფლექსია ბოლომდე არ აქვს გააზრებული. უკიდურეს შემთხვევაში, რეფლექსიას მასწავლებლებთან/მოსწავლეებთან ვერ აკავშირებს და/ან მნიშვნელოვან თემად არ აღიქვამს და უბრალოდ მზა ზოგადი განმარტების სახით ახსოვს (სმენია ან წაუკითხავს).

თუმცა არის შემთხვევები, როცა ფიქსირდება სიღრმისეული განმარტებები. მასწავლებლების პასუხებში შედარებით მეტი დაკონკრეტების გარდა ფიქსირდება ისეთი პასუხები, რომლებშიც შეიმჩნევა მასწავლებლის კონკრეტული გამოცდილება, შესამჩნევია რომ მასწავლებელი ზოგადად არ საუბრობს და კონკრეტულ გამოცდილებას ეყრდნობა. რიგ შემთხვევაში რესპონდენტი ზოგადად მასწავლებლებს კი არ მოიაზრებს, არამედ თავის თავზე საუბროს (მე), ან მასწავლებლების ჯგუფზე, სადაც თავის თავსაც მოიაზრებს (ჩვენ).

ასევე ფიქსირდება პასუხები, სადაც რეფლექსია მოსწავლეებთან მიმართებაშია ნახსენები - საუბრობს მოსწავლეების რეფლექსიაზე. ეს შეიძლება იყოს გაკვეთილის/თემის/თავის ბოლოს მოსწავლეების მიერ გაკეთებული რეფლექსია, რომლის გაკეთება ასევე ევალუა მასწავლებელს შედეგებისა და პროგრესის გადამოწმება/დაფიქსირების მიზნით. აღნიშნული ასევე გვამღებს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლისთვის რეფლექსიის თემა ნაცნობია და ის ერკვევა მის ფორმებსა თუ სახეობებში.

მასწავლებლების პასუხები ასევე შეიძლება განვიხილოთ კატეგორიების მიხედვით, იქედან გამომდინარე, რა არის უფრო მეტად ხაზგასმული, რეფლექსიის როლთან მიმართებაში, რაზეა გაკეთებული მეტი აქცენტი. ამ თვალსაზრისით პასუხების გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება:

პროფესიული განვითარება, პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა.
ძლიერი და სუსტი მხარეების/პრობლემების დადგენა/აღმოჩენა/გააზრება და დაფიქრება, რისი შეცვლა/კორექტირებაა სასურველი, რომ მომავალში გაკვეთილი უკეთესი იყოს.

თ. დემეტრაძე

თვითშეფასება, თვითგანალიზება, თვითშემეცნება და სწავლის მიზანი;
ობიექტური თვითშეფასება.

მასწავლებლების მიერ დასახელებული ქვეთემები, რეფლექსიასა და თვითშეფასებაზე საუბრის დროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და პასუხობს იმ განმარტებებს, რომლებიც მასწავლებლებისთვის განკუთვნილ სხვადასხვა ლიტერატურაში/გზამკვლევეშია წარმოდგენილი.

თვითშეფასების წერის დროს მასწავლებლების 31,7%-მა სხვისი დახმარებით ისარგებლა. დამატებით იმ მიზეზთაგან, რის გამოც მასწავლებლები თავს იკავებდნენ რეფლექსიის წერისგან, რესპონდენტებმა დაასახელეს დროის დეფიციტი, რეფლექსიის წერის პრაქტიკული უნარის ნაკლებობა და რეფლექსიის წერის უსარგებლობა. მიგვაჩნია, აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ არსებობს მასწავლებლების კატეგორია, ვისთვისაც რეფლექსია ბოლომდე გასაგებ საკითხს არ წარმოადგენს. მათ დამატებით სჭირდებათ რეფლექსიაზე მუშაობა და ტრენინგების დროს აუცილებლად რეფლექსიის წერის პრაქტიკული ასპექტები უნდა იყოს აქცენტირებული.

დასკვნა. ნაშრომში წარმოდგენილი ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეჯამების სახით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- მასწავლებლების მიერ გაცემული პასუხების ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგადი განათლების მიმართულებით მასწავლებლების პროფესიული განვითარების სისტემას და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას მასწავლებლები იცნობენ. მათ პასუხებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ინფორმირების სისტემამ გამართულად იმუშავა.

- სხვადასხვა ტიპის სკოლებში დასაქმებული სხვადასხვა გამოცდილების მქონე ინგლისური ენის მასწავლებლები იცნობენ რეფლექსიას და გააზრებული აქვთ მისი მიზანი.

- პროფესიული ზრდისთვის მასწავლებლები განსაკუთრებით ეფექტურ საშუალებად მიიჩნევენ საგნობრივ ტრენინგებს.

- ინგლისური ენის მასწავლებლების შეფასებით, რეფლექსიის მთავარი როლი მდგომარეობს პროფესიული განვითარების ხელშეწყობაში, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში და მომავალი აქტივობების გაუმჯობესებაში, რაც სრულ თანხვედრაშია თეორიულ წყაროებთან.

- იკვეთება რეფლექსიის პრაქტიკულ განხორციელებაზე ორიენტირებული ტრენინგების ან სხვა მხარდამჭერი აქტივობების ნაკლებობა.

- რეფლექსიის წერის ხელისშემშლელ ფაქტორებში დასახელებულია დროის დეფიციტი და რეფლექსიის სტრუქტურის არქონა/არცოდნა. მასწავლებლების გარკვეული ნაწილი რეფლექსიას ჯერ-ჯერობით ბოლომდე კომფორტულ თემად არ/ვერ აღიქვამს. მათ მცდარი შეხედულება აქვთ ჩამოყალიბებული რეფლექსიის წერაზე, რადგან ბოლომდე არ ფლობენ რეფლექსიის წერის ტექნიკას. ვფიქრობ, ამ მიმართულებით რეფლექსიაზე ფოკუსირებული ტრენინგების ჩატარება უნდა გაგრძელდეს და გადამზადების დროს აუცილებელია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

ლიტერატურა

განათლების და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეფასება. 2023 https://edu.aris.ge/news/wp-content/uploads/2023/12/53bb71_92c6abb687bc405bb1dc063dab514b5c.pdf

ინგლისური ენის სწავლების სტრატეგია ზოგადი განათლებისთვის 2022-2030. https://www.mes.gov.ge/mesgifs/1667991332_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%202022-2030.pdf

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა. 2011

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1335610?publication=0>

პედაგოგიური გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2016

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024. მოძიებულია 20.09.2023 <https://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%202022-2030.pdf>

თ. დემეტრაძე

[E1%83%9B%E1%83%90%202018-2024&id=3929&lang=geo](https://matsne.gov.ge/ka/document/view/80548?publication=0)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1014 მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. 2008. მოძიებულია 15.11.2023

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/80548?publication=0>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება გარე დაკვირვების წესის დამტკიცების შესახებ. 2017. მოძიებულია 20.10.2023

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3676756?publication=0>

საქართველოს მთავრობის დადგენილება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ. 2015. მოძიებულია 20.11.2023

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2739007?publication=0>

საქართველოს მთავრობის დადგენილება, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 2020. მოძიებულია 15.11.2023 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907094?publication=0>

საქართველოს მთავრობის დადგენილება, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 2023. მოძიებულია 10.11.2023

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5748972?publication=0>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2018.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ბიულეტენი რა უნდა ვიცოდეთ მასწავლებლების შესახებ საქართველოს სკოლებში. 2023. მოძიებულია 10.12.2023 https://cciiir.ge/images/Analytical_Bulletin_version.pdf

ჭანტურია, გ., ქადაგიძე მ., მელიქაძე გ. 2020. სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020. თბილისი.

Demetradze, T. 2023. „PERCEPTION OF REFLECTION IN TEACHERS' PROFESSIONAL DEVELOPMENT: THE CASE OF THE REPUBLIC OF GEORGIA.“ *ICERI2023 Proceedings* 2023.

Danielson, C. 2013. *The Framework for Teaching Evaluation Instrument*. <http://danielsongroup.org/framework/>

Dewey, J. 1910. *How We Think*. D.C Heath & Co Publishers, Boston, New York, Chicago.

Dewey, J. 1933. *How we think: A restatement of the relation of reflective thinking to the educative process*. Boston, MA: Heath.

- Farrell, T. 2024. *Reflective Practice in Action: 80 Reflection Breaks for Busy Teachers*. Corwin Press, CA.
- Farrell, T. 1995. "Second language teaching: Where are we and where are we going?" An interview with Jack Richards. *Language Teaching: The Korea TESOL Journal*, 1995.
- Harmer, J. 2007. *The Practice of English Language Teaching*. Pearson Education Limited.
- <https://edu.aris.ge/>, მასწავლებელთა პროფესიული უნარების გამოცდაზე გამოყენებული ტესტები გამოქვეყნდა – გამოცდები 2022. 2022. მოძიებული 15.11.2023 <https://edu.aris.ge/news/maswavlebelta-profesiuli-unarebis-gamocdaze-gamoyenebuli-testebi-gamoqveynda-gamocdebi-2022.html>
- Murphy, J.M. 2014. *Reflective Teaching: Principles and Practices in Celce-Murcia*. M., Brinton, D., & Snow, M. A. 2014. *Teaching English as a second or foreign language*. Boston, National Geographic Learning. 4th ed.
- Mes.gov.ge, *Teachers Certification Exams*. 2011. მოძიებულია 15.11.2023 <https://mes.gov.ge/content.php/content.php?id=2718&lang=eng>
- Richards, J. 1990. *Beyond training: Approaches to teacher education in language teaching*. Language Teacher 1990.
- Richards, J.C. 1994. *Reflective Teaching in Second Language Classrooms*. Cambridge University Press.
- Richards, Jack C. & Lockhart, C. 1996. *Reflective teaching in second language classrooms*. Cambridge University Press.
- Richards, J. C., & Farrell, T.S.C. 2011. *Practice teaching: A reflective approach*. New York, NY: Cambridge University Press.
- SchonDonald, A. 1983. 1991. *The Reflective Practitioner How Professionals Think in Action*.
- Templer, B. 2004. *Reflective teaching in the low-resource classroom: reinventing ourselves as teachers through self-scrutiny*. Humanising Language Teaching.
- www.edu.aris.ge, როგორ ნაწილდება უფროსი და წამყვანი მასწავლებლების რაოდენობა საგნების მიხედვით. 2016. მოძიებულია 15.11.2023 <https://edu.aris.ge/news/rogor-nawildeba-ufrosi-da-wamyvani-maswavleblebis-raodenoba-sagnebis-mixedvit.html>

Education

Reflection as a professional development tool based on experience of Georgian teachers of English

Tamta Demetradze

tamta.demetradze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.22>

The role of a teacher and teachers' professional development have become more important than ever. Nowadays, when a student-centered approach is prioritized, a successful teacher is student-oriented, and professional development helps teachers to be inline with the priority. Professional development of teachers is facilitated by reflection. For years based on various initiatives and laws, teachers not only received information about reflection /self-evaluation, but also have written it. Thus, teachers' reflections were written, but the effectiveness of reflection and the attitude of teachers have not yet become the subject of thorough study. The purpose of the given paper is to conceptualize the concept and meaning of reflection by English language teachers and to study the critical evaluation of the reflection process carried out by them. The article is a part of the big research that is being conducted for a PhD thesis, and is based on the previous desk research and acquired results. The article focuses on the teachers' subjective identification of the purpose of reflection and the challenges that teachers face during reflection. We also tried to determine the attitude of teachers towards reflection writing and to determine the extent to which they consider it as a necessary and important component for teacher's professional development.

Keywords: reflection, teachers' professional development, English language teachers.

For years based on various initiatives, laws and changes, teachers participated in a lot of trainings, certification process, passed exams, and raised their status, which means that all of them have not only received information on reflection/self-evaluation, but also wrote it either as an annual report or reflections written during an external observation or after a lesson, a project.

Thus, teachers' reflections were written, but the effectiveness of reflection and the attitude of teachers have not yet become the subject of thorough study. The purpose of the given paper is to conceptualize the concept and meaning of reflection by English language teachers and to study the critical evaluation of the

reflection process carried out by them.

Methodology. A study was planned and conducted in order to find out attitude of English language teachers towards the reflection process and to explore their understanding of the concept and importance of reflection.

In order to determine the changing role and weight of teacher reflection at the initial stage, desk research was selected as a data collection method, that involved a detailed study of previous and current legislative documents and regulatory framework in the Georgian education system. Its purpose was to understand when and how the idea of reflection was conceptualized in the education system of the independent republic (Demetradze 2023).

The list of regulatory documents included the Law of Georgia on General Education, the National Plan, the professional standard of teachers, the scheme of professional training and development of teachers, the resolutions of the Government of Georgia regarding the concept of teacher training and professional development, and the programs of the National Center for Teachers Professional Development (Demetradze 2023).

On the basis of the analysis of the regulatory documents, preparations for conducting research with teachers began. A draft version of the questionnaire needed for the teachers' survey was prepared, discussed and piloted by the doctoral students of the joint doctoral degree program "Educational Sciences" – who were teachers at public and private schools. The revised and final version of the questionnaire was sent to the Ethics Commission. The questionnaire made in electronic format google form was sent to English language teachers from schools in Imereti region.

There were 26 questions in the questionnaire. The first five questions were general in nature and related to gender, level of teaching, type of school, location of school and length of teaching experience. The rest of the questions were divided into two parts, with questions tailored to teachers who were or were not familiar with the teachers' professional development plan. A certain number of questions allowed multiple answers, and the option "Other" was indicated, which allowed teachers to state additionally their own answer or comment on the question.

The questionnaire gave us opportunity to cover two topics: a) professional development issues and b) reflection/self-evaluation topics. In the professional development section, our goal was to find out what resources teachers use for their professional development, which of the services offered by the Center for Teachers' Professional Development they participated in, which activities contributed to their professional advancement and/or raising their status and becoming a better teacher. Through questions related to reflection, we learned

თ. დემეტრაძე

how they received information about reflection/self-evaluation, and through open-ended questions, we asked them to name the purpose of reflection, the amount of reflection, and the difficulties that teachers face during reflection. The questions were also about the factors hindering reflection. In the last part, we tried to determine the teachers' attitude towards reflection and reflection writing and to determine at what extent they considered it as a necessary and important component for the teacher's professional development. It was particularly interesting, because reflection was one of the important components of the assessment of teachers' practical activities.

Research results and analysis

A survey of teachers. The majority of interviewed teachers (95%) were females. Educators who teach only at the primary level were a minority and made up only 2.3% of the respondents. Half of the teachers taught at all three levels - primary, basic and secondary. 9.1% taught only at the secondary level, 11.4% only at the basic level, about 16% of teachers covered the basic and secondary levels.

Teachers from state and private schools participated in the survey. The number of state school representatives exceeded the number of private school teachers (68.2.8% / 31.8%). The teaching experience of the teachers varies: most of them (54.5%) are teachers with 11-20 years of experience. About a fifth are teachers with 3-5 years of experience. 13% of interviewed teachers have 6-10 years of experience. The share of participation of novice teachers in the survey was small and represents only 2.3%. The number of experienced teachers with 20 or more years of experience did not exceed 12%.

The vast majority (97%) stated that they were familiar with the professional development scheme that indicates that the level of awareness is high. Only one teacher noted that he/she was not familiar with the teacher's professional development scheme, stating lack of time as a reason. The questionnaire did not allow to determine the number of years of experience of the teacher, although it can be assumed that the teacher is novice and was not yet involved in the professional development scheme at the time of participation in the survey.

The tendency of awareness of the scheme of professional development of teachers was expected considering the awareness-raising activities, various trainings and workshops conducted in the country. The accessibility of the scheme is also worth noting, as more than 50% of the respondents reported that they received information online. 44.2% received information from the director and 44.2%- from the teacher's professional development center.

From the services offered by the Center for Teacher Professional Development majority (81.8%) of teachers participated in short-term trainings (general professional). With a difference of 13%, short-term subject trainings are on the

second place -13%. Conferences are chosen by 36% of respondents, but it is not known how many participated in the conference, and not just attendended.

An interesting percentage distribution was observed for the question where teachers indicated what, they believed, contributed to their professional advancement and/or status enhancement. Teachers' responses were almost equally distributed between short-term general professional training and short-term subject training (65.9% and 61.4%). 36.4% of respondents participated in conferences, but only 22% believed that the conference contributed to their professional advancement. 5% of the respondents chose the answer "other" and explained that it was difficult to choose from the listed ones, because all offered components - short-term trainings of both types (professional and subject), long-term general professional training courses, seminars, conferences and consultations - contributed to their professional development. Internet resources were also named in the answer "Other".

Teachers were also asked which services offered by the Center for teachers Professional Development provided information on reflection/self-evaluation: a little more than a half of the teachers named short-term trainings (general professional), and 45% named short-term subject trainings. The third popular answer stated that information was received through personal contacts from another colleague or acquaintance (34.1%). 13.6% said that they did not receive information on reflection, which is about a fifth of the respondents and is a relatively high rate.

Additionally, we wanted to determine the purpose that reflection serves based on teachers' subjective opinion. Teachers' answers can be divided into two large groups. One part of the answers is general in nature and basically involves a brief, one-word explanation. The second part of the respondents gave more extensive answers when talking about the purpose of reflection, and introduced more specific details.

In the relatively more specific answers of the teachers their specific experience is noticed - the teacher does not speak in general and relies on specific experience. In some cases, the respondent does not think of teachers in general, but speaks about himself/herself (I), or about a group of teachers where he/she also thinks about himself/herself (we). e.g. "For me, reflection is a loud conversation with myself, which helps me plan the learning process better"; "Helps us see strengths and weaknesses and adjust and plan learning/teaching strategies accordingly"; "The purpose of reflection is to evaluate the strengths and weaknesses of the lesson, our professional activity"; "Reflection helps you discover your strengths and come up with solutions to improve your weaknesses."

၈. လေ့ကျင့်ခန်း

There are also cases when reflection is mentioned in relation to students. It may also be considered as a sign that the teacher remembers and relies on personal experience and states: “reflection helps the student/teacher to identify the main components of the activity, problems, ways to solve them”; “The goal of reflection is for both the student and the teacher to understand the main purpose of his activity.”

Teachers’ responses can also be categorized according to what is emphasized more. In majority of cases reflection is associated with professional development, identification of weak and strong points, self-reflection, self-analysis, objective self-assessment. While discussing reflection and self-assessment teachers address the definitions provided in the various literature/guidelines for teachers.

The teachers were also asked to explain how they understood the notion of reflection. Again, we were interested in their subjective definition. It should be noted that there was no significant difference in answers when talking about the notion and purpose of reflection. Moreover, the explanation of the need and importance of reflection was mentioned along with the explanations: “Through reflection, you can better plan the next lesson”, “Reflection is a necessary element to plan the next steps and understand the need”, “it helps a teacher to identify and learn the main components of his/her activity”, “Reflection helps us to make a detailed analysis. It shows us the pros and cons, what was done well and what needs improvement.”

Some of the definitions were so general that there was no connection with the teacher, student or school, the respondents considered people in general, regardless of the profession. There were only few cases so it can be assumed that the definition was made by a novice teacher who had theoretical and mostly general knowledge about reflection.

The majority of teachers (93%) stated that they wrote a self-evaluation/reflection and the most common reflection named was an evaluation written at the end of the year (65.9%). In the second place is the reflection of the model lesson (56.1%), followed by the reflection written during internal observation (53.7%) and self-assessment at the beginning of the year (51.2%). Reflection written during external observation is mentioned by a large part of teachers - 39%.

The teachers were asked to evaluate their own competence in writing self-evaluation/reflection. More than half of the respondents assessed their competence as “high”, 26.8% chose the answer “very high”, about a fifth assessed competence in reflection writing with 3 points on a 5-point evaluation scale. 2% wrote 2 points, choosing the rating “low”. 31.7% needed the help of

others while writing the self-evaluation, and 68.3% wrote the reflection on their own.

Among the factors preventing teachers from writing reflection, 44% of the respondents named time - writing reflection requires time, 22% named lack of knowledge how to write reflection. 12% considered writing a reflection useless, and about 15% said that it was difficult to talk about weaknesses.

To the question whether writing a reflection should be an assessible component in the teacher's professional development, 55% of respondents gave a positive answer, a little less than a half (45.5%) would like not to have reflection as a component for evaluation. I believe that the percentage distribution indicates the fact that some of the teachers still do not feel much confidence and some further work is needed.

Findings. The majority of interviewed teachers teach at all three levels or at the secondary level at schools located in the cities, villages or districts. Almost 70% are teachers with more than 10 years of teaching experience. We assume that the demographic diversity as well as the experience of the interviewees, will provide the data that will enable to see major trends.

Based on the experience of the teachers, and considering the number of awareness raising activities, various trainings and workshops provided in the country the high level of awareness on the teachers' professional development scheme is not surprising.

The high level of awareness can also be explained by the fact that the teachers received information from several different sources that in general seems worked effectively. In addition to the Internet (>50%), teachers named the Teachers' professional development center (42.2%) and school principals (42.2%) as sources of information. The fact that 37.2% of respondents received information from their fellow teachers can be considered as a positive indicator of mutual cooperation between teachers.

A notable difference was revealed in terms of the usefulness of the two types of trainings. 82% of respondents took part in short-term professional trainings, and 68.2% in short-term subject trainings, but the percentage of answers in the part of usefulness is a little lower. For professional advancement, general professional trainings were found useful by 65.9% of respondents (out of 82%, difference 17%), and short-term subject training by 61.4% (out of 68%, difference 6%). Therefore, the mentioned difference, indicates that probably more subject trainings should be developed and provided to teachers.

The survey revealed a certain imbalance between the theoretical and practical components of the trainings received on reflection. A quarter of teachers received

თ. დემეტრაძე

only theoretical knowledge, and 13.6% did not receive information at all, which in total indicates that 1/3 of the interviewed teachers need additional support. And inclusion of practical elements regarding reflection writing during the trainings should be noted as an important issue.

Answers given to open questions indicate that the teachers know what reflection is and what purpose it serves. It should be noted that there was no significant difference in answers when talking about the notion and purpose of reflection. However, it should be noted that even in this category there was a concrete answer, but at the same time very general - the object was not clearly defined, which may be an indication that the subject/notion was unclear to the respondent and he/she did not see himself/herself as a main actor.

In some cases the teachers provide in-depth explanations. In addition to being relatively more specific, the answers of the teachers include traces of their own specific experience. It is noticeable that the teacher does not speak in general and relies on specific experience.

There are answers, where reflection is mentioned in relation to students. This could be a reflection done by the students at the end of the lesson/theme/chapter, planned by the teacher to check results and progress. This also allows us to assume that the teachers are not only familiar with the topic of reflection, but also know its types.

Teachers' responses can also be categorized according to what is more emphasized and seen as the role of reflection. The sub-topics identified by the teachers are professional development, identification of strengths and weaknesses, and better performance in the future, that respond to the definitions presented in various literature/manuals for teachers.

31.7% of teachers needed some help while writing their self-evaluation, or reflection. Among the reasons that hinder reflection writing, the respondents named lack of time, lack of practical skills in reflection writing, and its uselessness. Thus, there is an indication that there is still a category of teachers for whom reflection is a vague issue. They still need to work on reflection, and the practical aspects of writing reflection must be emphasized during their training.

Conclusion. Based on the results of the research presented in the paper, the following conclusions can be made:

- The analysis of the answers given by the teachers reveals that the teachers are familiar with the system of professional development of teachers and the scheme of professional development of teachers in the direction of general education. Based on their answers, it can be said that the information provision system worked properly.

- English language teachers with different experiences employed in different types of schools are familiar with reflection and understand its purpose.
- Teachers consider subject trainings to be a particularly effective means for professional growth.
- According to the respondent English language teachers, the main role of reflection is to promote professional development, to identify strengths and weaknesses, and to improve future activities, that fully corresponds to the theoretical sources.
- There is a lack of trainings or other supporting activities focused on the practical implementation of reflection.
- Lack of time and lack of knowledge on the structure of reflection are named among the factors hindering reflection writing. Some teachers are not confident in reflection writing. They have a wrong view on reflection writing because they have not fully mastered the technique of reflection writing. I think that trainings focused on reflection should be continued, and the practical component should be strengthened during trainings.

ჯანდაცვა

ფსიქოემოციური სტრესის დონე, გამომწვევი ფაქტორები და მისი გავლენა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტთა ჯანმრთელობაზე

გულნარა შელია

gulnara.shelia@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.23>

კვლევის მიზანს წარმოადგენდა აკადემიური სტრესის დონის, დეტერმინანტების და გამოვლენის თავისებურებების იდენტიფიცირება საგამოცდოსესიების მიმდინარეობის პერიოდში და სტუდენტთა ჯანმრთელობაზე ამ ფაქტორების კომპლექსური გავლენის შეფასება. კვლევა ჩატარდა ჯვარედინ-სექციური მეთოდით. გამოკითხვის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრად სტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი კითხვარი, ხოლო კვლევის ობიექტს - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები (n=165). მიღებული მონაცემების მიხედვით: სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან 43 % იყო მამრობითი, ხოლო 57 % - მდედრობითი სქესის, დასაქმებული 61 სტუდენტიდან მხოლოდ ნაწილი (23 %) მუშაობდა სამედიცინო პროფილის სხვადასხვა დაწესებულებაში - ძირითადად, დამხმარე მედიის პოზიციაზე. სწავლასთან სამუშაოს შეთავსება „უჭირდა“ დასაქმებულ სტუდენტთა ნახევარზე მეტს, „ძალიან უჭირდა“ - 28 %-ს. კვლევამ აჩვენა, რომ ინტენსიური სასწავლო დატვირთვა და გამოცდები, როგორც ძირითადი სტრეს-ფაქტორები, გავლენას ახდენენ სტუდენტის ჯანმრთელობაზე. აკადემიური სტრესი ვლინდება საკმაოდ მაღალი ფსიქოემოციური დაძაბულობით, განსაკუთრებით საგამოცდო სესიების პერიოდში. სტრესის გამოვლინების ბიოლოგიური ნიშანი უმეტესად იყო თავის ტკივილი, სტუდენტ გოგონებში შფოთვის დონე უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ვაჟებში ($p < 0,05$). სტრესის მოხსნის მეთოდებთან დაკავშირებით ახალგაზრდების 92 %-ს ჰქონდა საკმაოდ მწირი ინფორმაცია. სტუდენტთა ნაწილი დაძაბულობის მოსახსნელად უპირატესად იყენებდა მეგობრებთან ურთიერთობას (52,4 %) და ძილს (16,9 %). ამრიგად, კვლევის შედეგების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტთა ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციული და გარემოსმხრივი დატვირთვის უარყოფითი შედეგების შემცირების, სტრესული სიტუაციის ადეკვატური აღქმის განვითარების, გამოცდისათვის მათი ფსიქოემოციური მომზადების მიზნით საჭიროა გამოვლენილი თავისებურებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტების დასაქმება, აკადემიური სტრესი, შფოთვა, სტრესის შემსუბუქების მეთოდები.

შესავალი. უკანასკნელ წლებში არსებითად გაიზარდა სტუდენტთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე გავლენის მქონე რისკ-ფაქტორების შეფასების მიმართ მკვლევართა ინტერესი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სარწმუნო მონაცემები სხვადასხვა აკადემიური სტრესორის ნეგატიური მოქმედების შესახებ ახალგაზრდების სომატურ ჯანმრთელობასა და ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე (Sarinova 2022: 71), ასევე დადასტურებულია სტრესის მნიშვნელოვანი როლი ფსიქოლოგიური დარღვევების და ნევროზების განვითარებაში (Ruzhenkova 2020: 135). პუბლიკაციებში, რომელიც ეძღვნება სწავლასთან ერთად დასაქმების ფენომენს, აღნიშნულია, რომ სხვა თანაბარ პირობებში, დასაქმებულ სტუდენტებში გაცილებით ხშირია ავადობა, დაღლილობა და სხვადასხვა სახის ქრონიკული დაავადება (Verulava 2022: 51). თუმცა არსებობს წინააღმდეგობრივი მოსაზრებებიც შედეგების თვალსაზრისით, სტრესსა და დაავადების განვითარებას შორის ურთიერთკავშირის საკითხთან მიმართებაში (Sabirova 2020: 71). ამავე დროს, მეცნიერთა სოლიდური ნაწილი აკადემიურ სტრესს, ზოგადად, განიხილავს როგორც სტუდენტის ორგანიზმის რეაქციას დაგროვილ პრობლემებსა და ყოველდღიურ სირთულეებთან გამკლავების დაუსრულებელ პროცესზე, რომელიც ვითარდება გარკვეული სტიმულის ზეგავლენით და იწვევს ემოციური წონასწორობის დარღვევას (Novgorodtseva 2015: 35). მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო აქტივობებთან დაკავშირებული სტრესი ყველა სტუდენტისათვის არაა დამაზიანებელი ბუნების, პირიქით, რიგ შემთხვევაში და განსაკუთრებით, წარმატების მიღწევის დროს, იგი ხელსაყრელი უწყობს მათი თვითშეფასების და ფსიქოემოციური მდგომარეობის ამაღლებას (Winzer 2018). სხვა ავტორთა კვლევებში აღნიშნული წინააღმდეგობრივი დასკვნები ახსნილია ცნობილი ფაქტით, რომ თითოეულ ადამიანს აქვს სტრესისადმი მგრძობილობის საკუთარი საზღვარი, ანუ პიროვნული თვისებების ერთობლიობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს გაუძლოს საგანმანათლებლო ან პროფესიული საქმიანობის თავისებურებებით განპირობებულ მნიშვნელოვან ინტელექტუალურ და ემოციურ დატვირთვას (Катушин 2012: 144). თუმცა საკითხი, კონკრეტულად, საგამოცდო სესიების პერიოდში ინტენსიური გონებრივი სამუშაოს შესრულების ფონზე, გაზრდილი სტატიკური დატვირთვის, უკიდურესად შეზღუდული მოძრაობითი აქტივობის, ძილის რეჟიმის დარღვევის პირობებში, რამდენად შეიძლება შეიცვალოს ახალგაზრდის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ჯერ კიდევ

გ. შელია

არაა საკმარისად შესწავლილი (Андреева 2021: 162). პრობლემის სხვადასხვა ასპექტის შესახებ არსებული სამეცნიერო წყაროების ანალიზი უკანასკნელი 10-15 წლის სიღრმით, აჩვენებს, რომ სტუდენტთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დეფიციტი საქართველოში ჯერ კიდევ რჩება, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ამჟამად არსებული ჯანდაცვის სტატისტიკური მაჩვენებლების არასაკმარისობით და მეორეს მხრივ, კვლევითი შესაძლებლობების შეზღუდულობით. სამედიცინო პროფილის სტუდენტების მაღალი ფსიქოემოციური დატვირთვისა და ინტენსიური რეჟიმიდან გამომდინარე, ცალსახაა მსგავსი კვლევების მაღალი სოციალური მნიშვნელობა და აქტუალობა, განსაკუთრებით. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სტუდენტთა უმეტესობა დასაქმებულია. შესაბამისად, ბუნებრივია ჩვენი ინტერესი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მაგალითზე შეგვესწავლა აღნიშნული პრობლემა. უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანს შეადგენდა: აკადემიური სტრესის დონის, დეტერმინანტების და გამოვლენის თავისებურებების იდენტიფიცირება საგამოცდო სესიების მიმდინარეობის პერიოდში, ასევე სტრესისადმი რეზისტენტობის და სტუდენტთა ჯანმრთელობაზე ამ ფაქტორების კომპლექსური გავლენის შეფასება.

კვლევის მეთოდები: ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა ჯვარედინ-სექციური კვლევის მეთოდი. გამოკითხვის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრადსტრუქტურირებული თვითადმინისტრირებადი კითხვარი, რომელიც დაფუძნებული იყო ლიტერატურულ მომხილვასა და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის საგამოცდო სისტემის თავისებურებების შერწყმაზე. კვლევის ხანგრძლივობა 2023 წლის ივნისში იყო ოთხი კვირა. კითხვარი შედგენილ იქნა ჰელსინკის დეკლარაციით განსაზღვრული ეთიკური პრინციპების სრული დაცვით. სტუდენტებს წინასწარ მიეწოდათ ინფორმაცია კვლევის მიზნებთან დაკავშირებით, თითოეული მონაწილისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა, ასევე, რესპოდენტებს განემარტათ, რომ ნებისმიერ დროს შეეძლოთ უარი ეთქვათ კვლევაში მონაწილეობის გაგრძელებაზე. ანკეტა შედგებოდა 3 ბლოკისაგან: პირველი ბლოკის შეკითხვები სტუდენტის სოციო-დემოგრაფიულ პროფილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისათვის იყო განკუთვნილი, მეორე ბლოკი აკადემიური სტრესის დონის, მიზეზების და მისი გამოვლენის თავისებურებების გარკვევას უკავშირდებოდა, რისთვისაც გამოყენებულ იქნა კითხვები სასწავლო სტრესის დონის / Test for educational stress განსაზღვრის ტესტიდან (Shcherbatykh 2012: 112-114) ასევე Cohen and G. Williamson-ის სტრესისადმი ტოლერანტობის

თვითშეფასების ტესტიდან (Test for stress resistance 1988: 33-38) მესამე ბლოკის შეკითხვები კი განსაზღვრული იყო სტუდენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის თვითშეფასებისათვის გამოცდების პროცესში და შემდეგ. ანკეტის ამ ნაწილში კითხვების ადაპტირება მოხდა სპილბერგის შკალის (Spielberger-Hanin anxiety test 2021) ორივე კომპონენტის (პიროვნული და სიტუაციური შფოთვის ტესტები) გათვალისწინებით, ხოლო შედეგის ინტერპრეტაციისათვის გამოყენებულ იქნა შფოთვის ხარისხის საორინტაციო შეფასება: შფოთვის დაბალი (30 ქულამდე), ზომიერი (31-44 ქულა) და მაღალი (45 და მეტი) დონე. ანკეტის სირთულის შეფასების მიზნით, თავდაპირველად ჩატარდა 15 პილოტური ინტერვიუ. მიღებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა სტანდარტული პროგრამული პაკეტების (Microsoft Excel და SPSS) დახმარებით. მონაცემთა შედარება მოხდა სტუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც გაიყვნენ 2 ჯგუფად: I ჯგუფს შეადგენდა პირველი-მესამე (n= 76), ხოლო II ჯგუფს მეოთხე-მეექვსე (n=89) კურსის სტუდენტები.

კვლევის შედეგები და განსჯა. მედიკო-სოციალური ინფორმაციის (ანკეტის I ბლოკი) ანალიზით მიღებული შედეგების მიხედვით, კვლევაში მონაწილე 165 სტუდენტიდან 72 (44%) იყო მამრობითი, ხოლო 93 (56%) - მდედრობითი სქესის, დასაქმებული 61 სტუდენტიდან მხოლოდ ნაწილი (23%) მუშაობდა სამედიცინო პროფილის სხვადასხვა დაწესებულებაში - ძირითადად, უმცროსი და დამხმარე მედიის პოზიციებზე. ახალგაზრდების უმრავლესობა (58 %) მუშაობის მოტივად მატერიალურ მხარეს ასახელებდა, მეორე ადგილზე იყო თვითრეალიზაციის და ახალი უნარების შეძენის (30 %) სურვილი, კარიერული მიზნები მხოლოდ 12%-მა მიუთითა.

ცხოვრების წესთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხად გამოკითხულთა 22%-მა აღნიშნა, რომ „პერიოდულად ვარჯიშობს“, 12% - „იშვიათად“, ხოლო 18% „არასდროს ვარჯიშობს“. ალკოჰოლს იშვიათად და ზომიერად იღებს რესპოდენტთა 8 %, თამბაქოს ეწევა 18 %. სტუდენტთა 89%-ს მიაჩნია, რომ კვების და დასვენების რეჟიმი ხშირად დარღვეული აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ თვითშეფასებისა და ჯანმრთელობის ობიექტური დახასიათების შესაბამისობის საკმაოდ მაღალი ხარისხის (80%-მდე) გამო ინდივიდის მიერ თავისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შეფასება ჯანმრთელობის რეალურ მაჩვენებლად ითვლება, დავინტერესდით კვლევის მონაწილეების პასუხებით შესაბამის შეკითხვებზე. შედეგების მიხედვით: რესპოდენტთა უმრავლესობა თვლიდა, რომ ჰქონდა „კარგი“ და „მალიან კარგი“

გ. შელია

ჯანმრთელობა, 18% მას აფასებდა, როგორც „საშუალოს“, ხოლო 7% აღნიშნავდა, რომ „პერიოდულად მკურნალობდა“ სხვადასხვა სახის სომატური პათოლოგიის გამო. ამასთან, ფიზიკური ჯანმრთელობის თვალსაზრისით, შესადარებელი ჯგუფების სტუდენტებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის თვითშეფასების ნაწილს, ყოველდღიურ ცხოვრებაში ნეგატიური ემოციების გადატანის სიხშირესთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, პირველი ჯგუფის რესპოდენტთა 54%-მა უპასუხა, რომ „ხშირად ნერვიულობს“, 33% - „არც თუ ხშირად“, ხოლო 13% - „არასდროს ნერვიულობს“. თითქმის იდენტური იყო მეორე ჯგუფის (მათ შორის, მომუშავე) სტუდენტების პასუხები და შეადგენდა შესაბამისად, 56%, 32% და 12%-ს. ვინაიდან ფსიქოლოგიური დისტრესის გამომწვევ ფაქტორთა შორის ხშირად „უძილობა“ და ზოგადად, „ძილი-სიფხიზლის“ ციკლის დარღვევა სახელდება, შევეცადეთ გაგვეჩვენოთ დასაქმებულ სტუდენტებს „უწევდათ თუ არა ღამით მორიგეობა“ და იყვნენ თუ არა „დაღლილი სამუშაოს დასრულების შემდეგ“. რესპოდენტთა 36%-მა მიუთითა, რომ ყოველთვიურად აძლევდა 3-4 მორიგეობას, 20% მორიგეობდა 6 ან 7-ჯერ. ამავე დროს, 48 % აღნიშნავდა, რომ „იღლება“, 24% კი - „იღლება ძალიან“, რაც მიუთითებს მათი ცხოვრების საკმაოდ დაძაბულ რიტმზე. სწავლასთან სამუშაოს შეთავსება „უჭირდა“ დასაქმებულ სტუდენტთა ნახევარზე მეტს, „ძალიან უჭირდა“ - 28 %-ს, „არ უჭირდა“ - 17%-ს. მუშაობით პროვოცირებულ ძლიერ ემოციურ დაძაბულობას მკვლევარების გარკვეული ნაწილი დასაქმებულ სტუდენტთა ჯანმრთელობის პოტენციურ რისკის ინდიკატორად მიიჩნევს (Shcherbatykh 2012), ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, ემოციური დაძაბულობა დასაქმებულ და არადასაქმებულ სტუდენტებს შორის, შესაბამისად შეადგენდა 40,4% და 34,7% -ს ($p < 0,01$). სხვა ფსიქოემოციური სიმპტომების გაჩენის სიხშირე შესადარებელ ჯგუფებს შორის არ იყო სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავებული. კერძოდ, „პესიმიზმის განცდა“ აღნიშნებოდა შესაბამისად, 15,0% და 15,9%-ს და „დასვენების მიმართ ინტერესის დაკარგვა“ - 12,8% და 13,1%-ს. სტრესის გამომწვევ ძირითად მიზეზებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხისას, პირველი ჯგუფის სტუდენტები უპირატესად მიუთითებდნენ: ინტენსიურ სასწავლო დატვირთვას (8,2 ქულა), არარეგულარულ კვებას (5,3 ქულა), გამოცდის წინ ღამით მეცადინეობას (5,1 ქულა), ხოლო მეორე ჯგუფის რესპოდენტები მძიმე აკადემიურ დატვირთვასთან ერთად (6,8 ქულა), ასახელებდნენ: სწავლისადმი ინტერესის დაკარგვას პროფესიისადმი იმედგაცრუების გამო (5,4 ქულა), ყოველდღიური რუტინის სწორად

ორგანიზების სირთულეს (5,2 ქულა), რაც, სავარაუდოდ, სწავლისა და მუშაობის შეთავსებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც მეტ დროს მოითხოვს.

კვლევით მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური სტრესის გამოვლენის ხარისხი განსაკუთრებით გაზრდილია საგამოცდო სესიის მიმდინარეობის პერიოდში. უშუალოდ გამოცდების დროს ორივე ჯგუფის რესპოდენტებში სტრესი უპირატესად ვლინდებოდა „დაღლილობის“, „ემოციების კონტროლის და კონცენტრაციის გაძნელების“ სახით. სტუდენტები ასევე მიუთითებდნენ: „მუდმივად დროის უკმარისობის შეგრძნებას“ „დაბალ შრომისუნარიანობას“, „ცუდ განწყობას, დეპრესიას ან შფოთვისას“. ამასთან, „დროის უკმარისობის შეგრძნების“ და „დაღლილობის“ კომპონენტში აღინიშნა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება შესადარებელ ჯგუფებს შორის ($p < 0,01$). რაც შეეხება საგამოცდო სტრესის ბიოლოგიურ გამოვლინებებს, ყველაზე მეტად დომინირებდა: თავის ტკივილი (I ჯგუფი - 47%, II ჯგუფი - 36 %) და უძილობა (I ჯგუფი - 23 %, II ჯგუფი - 18 %).

ფსიქოემოციური დაძაბულობის დინამიკის შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სტრესის მაჩვენებლების გამოხატულების ხარისხში საგამოცდო პერიოდად და შემდეგ კერძოდ, სესიის დაწყებამდე ორივე ჯგუფის სტუდენტებს ჰქონდათ შფოთვის შედარებით დაბალი დონე (საერთო ჯამური მაჩვენებელი 19 და 21 ქულა, შესაბამისად), უშუალოდ გამოცდის წინა მდგომარეობა შეფასდა, როგორც „შფოთვის ზომიერი დონე“ (ჯამური მაჩვენებელი 38 და 42 ქულა, შესაბამისად), გამოცდის შემდგომ კი სტრესული მდგომარეობა პრაქტიკულად სრულიად იყო ნიველირებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაციური შფოთვის დონის გაზრდა არ იყო დამოკიდებული რომელ კურსზე სწავლობდა ახალგაზრდა და დასაქმებულნი იყო თუ არა, თუმცა სტუდენტგოგონებში პიროვნული შფოთვის დონე უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ვაჟებში ($p < 0,05$), რაც ადასტურებს ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადაპტაციური რეაქციის ინტენსივობა არაა დამოკიდებული მხოლოდ სტრესორის მახასიათებლებზე და ერთმა და იმავე გამოცდამ შესაძლოა განსხვავებული ფსიქოფიზიოლოგიური და სომატური გამოვლინება ჰქონოს სხვადასხვა სტუდენტში (Mapუკ 2019: 224). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სტრესისადმი მგრძობელობის ინდივიდუალური დონის შეფასება, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ფსიქოლოგიური მზაობას, გამძლეობას აკადემიური სტრესისადმი. შესაბამისად, კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩვენი ამოცანა იყო საგამოცდო სესიაზე სტუდენტების სტრესისადმი წინააღმდეგობის მახასიათებლების გამოვლენა. რეზისტენტობის დონის შეფასების მიზნით, ახალგაზრდებმა

გ. შელია

პასუხი გასცეს Cohen and G. Williamson-ის თვითშეფასების ტესტის ათ სტანდარტულ შეკითხვას. კვლევის შედეგად მიღებული ბალების საერთო რაოდენობამ შეადგინა 87 ქულა, რაც ითვლება სტრესისადმი რეზისტენტობის დაბალ მაჩვენებლად (ანუ მიუთითებს სტრესის მიმართ მაღალ მგრძობელობაზე). სტრესისადმი დაბალი რეზისტენტობა უფრო გამოხატული იყო დასაქმებულ სტუდენტებში, თუმცა შერჩევის შედარებით მცირე ზომა ერთმნიშვნელოვნად არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ამ შემთხვევაში წამყვან როლს სწორედ სტუდენტთა დასაქმება ასრულებს. ვფიქრობთ, არსებობს რეზისტენტობის მიხედვით რესპოდენტთა შფოთვის დონის დეტალური შედარებითი ანალიზის რეალური საჭიროება - მომავალში უფრო დიდი მასშტაბის კვლევის დაგეგმვის მიზნით.

ლიტერატურის მიხედვით, ზოგადად, ახალგაზრდის ორგანიზმზე სტრესის ნეგატიური გავლენის შემცირებისათვის რეკომენდებულია სტრესული პირობების მართვა და ფსიქოკორექციის მრავალი მეთოდიდან იმსახურებების შერჩევა, რომელიც უპასუხებს, ერთი მხრივ, კონკრეტული პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებს, მეორე მხრივ კი, რეალურ პირობებს, რომლებიც არსებობს მოცემულ დროს, მოცემულ ადგილზე (Shcherbatykh 2012: 113). სტრესის მოხსნის ტექნიკის არჩევანის შეფასებასთან დაკავშირებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კვლევის მონაწილეები (ორივე ჯგუფიდან) პირველ ადგილზე აყენებდნენ „მეგობრებთან კომუნიკაციას“ (8,9 და 8,6 ქულა, შესაბამისად), მეორე ადგილზე კი - „ძილს და დასვენებას“ (7,5 და 7,9 ქულა, შესაბამისად). მინიმალური შეფასების ქულები დაფიქსირდა სტრესის მოხსნის /შფოთვის შემცირების სხვა მეთოდებთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად, ახალგაზრდების 92,7%-ს არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა, მხოლოდ 7% ფლობდა მწირ ინფორმაციას ფიზიკური ვარჯიშისა და რელაქსაციის ტექნიკის გამოყენების დადებითი ეფექტის შესახებ.

საბოლოოდ, ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო პროგრამების სპეციფიურობის და შესაბამისი პროფილით მედიკოს სტუდენტთა დასაქმების საკმარისი მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი სემესტრის განმავლობაში სასწავლო დატვირთვისადმი ფსიქოლოგიურად ადაპტირებულია, თუმცა საგამოცდო სესიის პერიოდში შფოთვის დონის მომატება სახეზეა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტთა უმრავლესობას არაქვს ადეკვატური ინფორმაცია შფოთვის კონტრიბუტორი ფაქტორების პრევენციის საშუალებების შესახებ და სტრესის მოხსნის ტექნიკის ელემენტებთან დაკავშირებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხანგრძლივი ფსიქოემოციური დაძაბულობის ფონზე საგამოცდო სტრესი

შესაძლოა გახდეს რიგი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური რეაქციის წარმოშობის პირობა, რომელიც, თავის მხრივ, იქნება ერთგვარი ტრიგერი დეზადაპტაციური დარღვევის ყველა გამოვლინების გაძლიერებისათვის. ორგანიზმის დისფუნქციის განვითარების რისკების შემცირების/თავიდან აცილების და სტრესისადმი რეზისტენტობის გაზრდის მიზნით საჭიროა ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავება და მისი გათვალისწინება სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს.

ლიტერატურა

- Cohen, S. and Williamson, G. 1988. „Perceived Stress in a Probability Sample of the United States“. [The Perceived Stress Scale (PSS-10)]. *The Social Psychology of Health: Claremont Symposium on Applied Social Psychology*, Newbury Park, CA: Sage. 1988: 31-67.
- Fateeva N.M.- „Adaptation of students to exam stress“, *Simvol nauki*. 1, 2016: 32-34.
- Hashmat, Sh., Hashmat M., F. Amanullah, S. Aziz. 2008: „Factors causing exam anxiety in medical students“ *J Pak Med Assoc*. Vol. 58, No. 4, 2008: 167-170.
- Novgorodtseva, I.V., S.E.Musihina, V.O.Pyankova. 2015. “Training stress of medical students: causes and manifestations”, *ж. Meditsinskie novosti*. N8, 2015: 35–37.
- Qamar K, NS. Khan, Bashir Kiani MR. 2015. “Factors associated with stress among medical students”, *Journal of Pakistan Medical Association*. 65(7), 2015: 753-5.
- Ruzhenkova, VV. 2020. “The prevalence and clinical structure of mental disorders in medical students”, *Research Result in Biomedicine*. 6(1), 2020: 135-153.
- Sabirova, RS, Umurkulova, MM, Kuo, BC. 2020. “Academic stress at different years of study”, *Bulletin of the Karaganda University. Pedagogy series*. № 4(100), 2020: 71-78.
- Sarinova, G., V. Popov. 2022. “The study of the features of the manifestation of stress in students of Kazakhstan Universities”. *Scientific and practical journal EJCRP&P*. 1(1), 2022: 69-76.
- Shcherbatykh, YV. 2012. “Psychology of stress and correction methods”, *Vysshee obrazovanie v Rossii*. №3, 2012: 111 – 115. <http://www.no-stress.ru/testy/stress.htm>
- Spielberger-Hanin anxiety test. 2021. https://testyonline.com/TitlePassTestsPsychology_eng/Health2
- Tung, YJ, Lo KK, Ho, RC, Tam, WS. 2018. “Prevalence of depression among nursing students: A systematic review and meta-analysis”, *Nurse Education*

გ. შელია

- Today*. 2018; 63:119-29 [DOI:10.1016/j.nedt.2018.01.009] [PMID]
- Verulava, T., R. Jorbenadze. 2022. "The impact of part-time employment on students' health: A Georgian Case", *MMJ, Malta Medical Journal*, Volume 34, Issue 01, 2022: 50-57.
- Winzer, R., Lindberg, L., K., Guldbbrandsson, A. Sidorchuk. 2018. "Effects of mental health interventions for students in higher education are sustainable over time: A systematic review and meta-analysis of randomized controlled trials." *PeerJ*. 2018; 2; 6: e4598 [DOI:10.7717/peerj.4598] [PMID] [PMCID]
- Zaitsev, Yu.A., Khvan, A.A. 2011. "Standardization of methods for diagnosing anxiety by Ch. Spielberger - Yu. Khanina and J. Taylor." *Psychological diagnostics*. No.3, 2011: 9-31.
- Андреева, Е. А. 2021. „Особенности проявления стресса у студентов во время сдачи экзаменационной сессии“ *ж. Педагогика и Психология образования*. Т. 5. № 1(14), 2021: 159-170.
- Бердиев, Р.М., В.А. Кирюшин, Д.И. Мирошникова. 2017. „Состояние здоровья студентов-медиков и факторы его определяющие“, *Российский медико-биологический вестник имени академика И.П. Павлова*. Т. 25, №2, 2017: 307-315.
- Катунин, А.П. 2012. „Стрессоустойчивость как психологический феномен“, *ж. Молодой ученый*, №9. 2012: 243-247.
- Марчук, С. А. 2019. "Влияние экзаменационного стресса на психофизическое состояние студентов". *Ученые записки университета имени П.Ф. Лесгафта*. № 10 (176), 2019: 222-227.

Health

Level of psycho-emotional stress, its causative factors and impact on the health of medical faculty students

Gulnara Shelia

gulnara.shelia@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.23>

The purpose of the study was to identify the level of academic stress, determinants and features of its manifestation during examination sessions and to assess the complex impact of these factors on the health of students. The study was conducted using a cross-sectional method. The instrument of the survey was a semi-structured self-administered questionnaire, and the object of the study was students of the Faculty of Medicine of Akaki Tsereteli State University (n=165). According to the received data: 43% of the total number of students were male, and 57% were female, only part of the 61 employed students (23%) worked in various medical institutions - mainly in the position of assistant nurse. Combining work and study was “difficult” for more than half of employed students, “very difficult” for 28%. Research has shown that heavy academic workload and exams as major stress factors affect the health of students. Academic stress is manifested by quite high psycho-emotional tension, especially during exam sessions. The most common biological sign of stress was headache; the level of anxiety in female students was higher than in male students ($p<0.05$). 92% of young people had very little information about stress relief methods. Some students mainly used communication with friends (52.4%) and sleep (16.9%) to relieve stress. Thus, according to the results of the research, it can be said that in order to reduce the negative effects of significant informational and environmental load on students’ health, to develop an adequate perception of the stressful situation and psychoemotionally prepare them for the exam, it is necessary to take into account the identified features during the organization of the educational process.

Keywords: students employment, academic stress, anxiety, stress relief methods.

Introduction. An analysis of scientific sources over the past 10-15 years shows, that there is still a shortage of information about the health of students in Georgia, which is due, on the one hand, to the insufficiency of existing health statistics and due to limited research capabilities, on the other hand. At the same time, research conducted in this direction in different countries show that the

გ. შეჯამება

high psycho-emotional load of medical students, as well as the intensive regime during both in classroom and independent work, has a negative impact on their health (Sarinova 2022: 71). Thus, the high social significance and relevance of such research is obvious, especially at the present stage, when the majority of students are employed.

Aim. The purpose of the study was to identify the level of academic stress, determinants and features of its manifestation during examination sessions and to assess the complex impact of these factors on the health of students.

Methodology. The study was conducted using a cross-sectional design. The survey instrument was a semi-structured self-administered questionnaire. In addition to the student's socio-demographic profile, the questionnaire included 25 questions about study and lifestyle, examination system, somatic health and psychological problems, academic stress level and self-assessment of stress resistance, as well as Spielberg's anxiety tests. The analysis of the obtained data was carried out using standard software packages (Microsoft Excel and SPSS). 240 self-administered questionnaires were distributed among students of the Medicine Faculty of Ak. Tsereteli State University, out of which only 165 were received back and the response rate was 60%. For comparative analysis, 2 groups were identified, from them: Group I consisted of first- to third-year students (n=76), and Group II consisted of fourth- to sixth-year students (n=89).

Results. 43% of the total number of respondents were male, and 57% were female. Out of the 61 employed students, only a part (23%) worked in various medical institutions - mainly in the position of assistant nurse. Combining work with studies was "difficult" for more than half of employed students, "very difficult" for 28%. The research showed that among the students of the first and second groups, strong emotional stress provoked by work was 40.4% and 34.7% respectively ($p < 0.01$). Low stress resistance was more pronounced among employed students. The incidence of other psychoemotional symptoms between the comparison groups was not statistically significantly different. When answering the questions related to the main causes of stress, the students of the first group predominantly indicated: heavy academic load (8.2 points), irregular nutrition (5.3 points), while the respondents of the second group, along with extensive study load (6.8 points), mentioned: Loss of interest in the profession due to disappointment (5.4 points) and difficulties in properly organizing daily routine (5.2 points). A comparative analysis of the dynamics of psycho-emotional stress showed that there is a significant difference in the severity of stress indicators before and after the examination period. In particular, before the start of the exam session, students of both groups had a relatively low level of anxiety

(total score 19 and 21 points, respectively), the state immediately before the exam was assessed, As a “moderate level of anxiety” (total index 38 and 42 points, respectively), after the exam, the stressful situation was practically completely leveled out. The most common biological signs of stress were headache (group I - 47%, group II - 36%) and insomnia (23% and 18%, respectively). The level of anxiety in female students was higher than in male students ($p < 0.05$). 92.7% of young people had very little information about stress relief methods. Part of the students mainly used communication with friends (52.4%) and sleep (16.9%) to relieve stress.

Conclusion: based on the conducted research, it can be said that despite the specificity of medical programs and the rather high rate of employment of medical students, a significant part of young people is psychologically adapted to the extensive academic load during the semester, although there is an increase in the level of anxiety during the examination session. In order to reduce the negative impact of significant informational and environmental load on students' health, to develop an adequate perception of stressful situations, and to prepare them psychoemotionally for the exam, it is necessary to take into account the identified features during the organization of the educational process